



## წინასიტყვაობა

ი. ერენბურგმა ჯერ კიდევ 1944 წელს გონებამახვილურად შენიშნა—სამამულო ომისა და საარმიო ცხოვრების თემაზე საუკეთესო წიგნებს დაწერენ ის ადამიანები, რომელნიც შაშხანით ხელში გმირულად გაივლიან ომის გრძელ და განსაცდელით აღსავსე გზასო. ეს ასეც მოხდა. ამაზე ნათლად მეტყველებენ ო. გონჩარის „მედროშენი“, მ. ბუბენოვის „თეთრი არყისხე“, ე. ნეკრასოვის „სტალინგრადის სანგრებში“; შეიძლებოდა მკაფიო ნიმუშები დაგვესახელებინა ქართული მწერლობიდანაც, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

უახლოესი დროის ლიტერატურული მოვლენებიდან ამ თვალსაზრისს ამართლებს ივანე ურჯუმელაშვილის მხატვრული ნარკვევი „დღეები კორეაში“, რომლის ავტორმა, საბჭოთა არმიის რიგებში ნაძყოფმა მებრძოლმა, მკითხველს მოუთხრო თავისთვის კარგად ნაცნობ არმიულ ცხოვრებაზე, საკუთარი გულითა და გონებით ნაგრძნობ ამბებზე, მღელვარე ისტორიულ დღეებზე.

წიგნში მხატვრული დამაჯერებლობითაა გადმოცემული საბჭოთა არმიის დიადი განმათავისუფლებელი მისია, არმიისა, რომელმაც გერმანიის ფაშიზმის განადგურების შემდეგ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა იაპონელთა სამხედრო ხროვას და თავისუფლება მოუტანა მანჯურიისა და კორეის მოსახლეო-

ბას. საუცხოოდ გამოძერწილ ბატალურ სცენებში ავტორი გვიჩვენებს ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი საბჭოთა მეომრის დიად თვისებებს, ღრმა პატრიოტიზმს, ქედუხრელობას, დიდ ოპტიმიზმს, ყველა ეროვნების უბრალო ადამიანებისადმი გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას. ეცნობით მწერლის მიერ ლაკონურად გამოკვეთილ ამ სცენებს (პირველი იერიში, „დოტის“ აფეთქება, ცეცხლმოკიდებულ სოფელში შესვლა) და თქვენთვის ნათელი ხდება, თუ რა არის საბჭოთა არმიის, საბჭოთა მებრძოლის ძალისა და უძლეველობის წყარო.

ამ ნაწარმოებში მკითხველი ცხადად ხედავს, თუ რა უანგარო და კეთილშობილური დახმარება გაუწია საბჭოთა არმიამ კორეელ ხალხს მეორე მსოფლიო ომის დროს. „ეს ჩემი ცრემლები სიხარულის ცრემლებია. ისინი დილის ნამივით სპეტაკია და წმინდა. ასევე სპეტაკი და წმინდაა მიწისადმი ჩემი სიყვარული. აღარვის მივცემთ ჩვენი მიწის დაპყრობის ნებას; დედაბუდიანად დავიხოცებით, სხვისი მონები კი არასოდეს აღარ გავხდებით. ათასი მადლობა თქვენ, რუსო ადამიანებო, თქვენ მოგვიტანეთ თავისუფლება, გვაჩუქეთ სიცოცხლე, გვასწავლეთ ცხოვრება“, — ასე ამბობს ნაწარმოებში გამოყვანილი მოხუცი კორეელი გლეხი და მის სიტყვებში მთელი კორეელი ხალხის გულისნადებია გამოთქმული.

ნაწარმოებში მძაფრადაა მხილებული კორეელი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის გაცოფებული მტრები — ამერიკელი დამპყრობლები. „დღეები კორეაში“ პირველი ქართული ბელეტრისტული ნაწარმოებია, სადაც დახატულია იმპერიალისტ იანკთა სახეები, მათი შავბნელი, სისხლიანი საქმეები. ივ. ურჯუმელაშვილის წიგნში დოკუმენტური სიზუსტითაა მოცემული ოკეანისგალმელი ავანტურისტების ნამდვილი ზრა-

ხეები, მათი მხეცური შოვინიზმი. წიგნში გამოყვანილი ამერიკელი იმპერიალისტები კორეას ისე უყურებენ, როგორც მსუქან ლუკმას, ხოლო კორეელებს, როგორც „აზიელ ზანგებს“, რომელნიც, მათი აზრით, შეიძლება დაუსჯელად ძარცვო და აწამო.

მკითხველს გულისწყრომა და აღშფოთება იპყრობს, როდესაც იმ სცენებს ეცნობა, სადაც ამერიკელი პოლკოვნიკისა და მაიორის პირქუში სილუეტები ჩნდება. წიგნში შესანიშნავადაა ჩართული სამხრეთიდან ჩრდილოეთში გამოქცეული კორეელი ექიმის დღიური, რომელიც კინემატოგრაფიული სისწრაფით მოგვითხრობს 38-ე პარალელის სამხრეთით მცხოვრებ კორეელთა ბედზე ამერიკელ დამპყრობთა ხელში (სცენა სამშობიაროში, სურსათის რეკვიზიცია, სცენა ბაზარში, ღრობა და მისი შედეგები და ა. შ.).

„დღეები კორეაში“ დიდი ინტერესითა და ხალისით იკითხება. ეს იმიტომ, რომ აეტორმა შიშველ, მოსაწყვენ პუბლიცისტიკას როდი შიმართა, არამედ დაემყარა საკუთარი თვალთ ნანახ მოვლენებს, პირად შთაბეჭდილებებს, ცოცხალ სინამდვილეს და გამოამქლავნა მახვილი თვალი, რაც საშუალებას აძლევს, მთავარი არაარსებითისაგან გამოარჩიოს და კონკრეტული ფაქტი ოსტატურად განაზოგადოს. მასში ცოცხალი ცხოვრების სუნთქვა ისმის და ხელოვნური გამოგონებებისათვის ადგილი არ რჩება, რადგან ეს ცხოვრება ყოველგვარ გამოგონებაზე მდიდარიცაა, ლამაზიც და საინტერესოც.

ამ ნაწარმოების გმირები გამოირჩევიან კოლორიტულობითა და მკაფიობით. ყოველ ზათვანს აქვს თავისი ინდივიდუალური თავისებურება, რის გამო ისინი დიდხანს ამახსოვრდებიან მკითხველს. განა შეიძლება საკირკოს, ავერიანოვის, პატიაშის, მასლენიკოვის, კორეელი ექიმის დავიწყება? დასა-

მახსოვრებლად არის წარმოდგენილი სულ რამდენიმე ფრაზით დახატული ამერიკელი ჯარისკაციც კი, რომელიც ჩვენი მებრძოლი პერეკრესტოვის დანახვაზე შიშისაგან ცახცახებს.

„დღეები კორეაში“ სადა ქართულითაა დაწერილი, რის გამოც მას დიდი გამომსახველობითი ძალა აქვს. ავტორის თხრობა ბუნებრივი, ძალდაუტანებელია, ენა—სურათოვანი, ძარღვიანი და დახვეწილი.

\* \* \*

ახალგაზრდა მწერალმა, რომელიც კარგად იცნობს კორეელი ხალხის ცხოვრებას და სულისკვეთებას, თავისი მეორე ნაწარმოებიც კორეას მიუძღვნა. ამჯერად მან დღევანდელ, განმათავისუფლებელი ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულ კორეაზე მოგვითხრო. მიუხედავად ენრობრივი და მხატვრული სხვადასხვაობისა, ეს ორი ნაწარმოები თითქოს ავსებს ერთმანეთს და ერთი ქმნილებების ორ აუცილებელ ნაწილს მოგვაგონებს.

„მორანბონში“ მკაფიოდ ვხედავთ ხალხის გმირობას როგორც უშუალოდ ბრძოლის ველზე, ისე მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ ნაწარმოებში აშკარად მოჩანს, რომ კორეელ პატრიოტთა დამარცხება არაფითარ ძალას არ შეუძლია, რომ მასთან ქიდილი დამარცხებას უქადის მსოფლიო ბატონობის ყველა ჯურის პრეტენდენტს.

ყველაზე საინტერესო მოთხრობაში ორი კორეელი ნორჩი პატრიოტის ინ გორისა და კაი სუს გმირული თავგადასავალია. მათ მოქმედებაში ავტორი საუცხოოდ ათავსებს რომანტიკას და წინდახედულობას, ბავშვურ გატაცებას და მომწიფებულ განსჯას. ამ პატარა გმირებს, რომელთაც განსაცდელი ამეგობრებს, ვხედავთ სხვადასხვა საბრძოლო დავალების შეს-

რულების დროს. მათ პირველი საბრძოლო ნათლობა მორან-ბონის კალთებზე, საზენიტო ქვემების გატანის დროს მიიღეს. ამის შემდეგ არა ერთი გაბედული საქციელი ჩაიდინეს, რითაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეს. ინ გორი და კაი სუ ოკუპირებულ ფხენიანშიც არ უშინდებიან სიძნელეებს და ფრიად სერიოზულ ამოცანებს ასრულებენ: აკრავენ პროკლამაციებს, საქარხნე მილზე აღმართავენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროშას, პარტიზანებთან ამყარებენ ურთიერთობას და ა. შ. მოთხრობაში ამ ბავშვთა შოქმედებას წარმართავს გამობრძმედილი მებრძოლი ჩოსოცარამი, რომელიც განასახიერებს პარტიული მუშაკის შესანიშნავ თვისებებს.

დანარჩენი პერსონაჟებიდან აღსანიშნავია ინ ბო და ბოკლიმი, რომელნიც მთელი სულითა და გულით ეხმარებიან კორეელ მებრძოლებსა და იატაკქვეშელებს ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

„მორანბონში“ დიდი ადგილი უჭირავს ამერიკელ გესტაპოელთა ბარბაროსობის მხილებას. პირველი საჰაერო თავდასხმის სცენა აღწერილია მძაფრად და მაღალი ოსტატობით. ჟრუანტელი გივლით, როდესაც კითხულობთ, თუ როგორ დაიღუპა პატარა, წითელბანტიანი გოგონა ნიუნი, რომელიც ამერიკელი საჰაერო მტკობრეების პირველივე ავაზაკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

ყველაზე რელიეფურად ავტორს გადმოცემული აქვს კორეელ პატრიოტთა ცოცხლად დამარხვის შემადრწუნებელი სცენა. ამ სცენაში დიდ, შინაგან ტრაგიზმთან შერწყმულია ვაჟკაცური ოპტიმიზმი, ხალხის უკვდავების მღელვარე იდეა. ეს არის ნაწარმოების ერთი უძლიერესი ადგილი. მოვიყვანთ ნაწყვეტს: „მხოლოდ ჩოსოცარამი და ორი კორეელი მამაკაცი იწვნენ

უძრავად. უცბად ორმოში სიმღერის ხმა გაისმა, კლდეზე მი-  
ყუდებული მოხუცი მამაკაცი, მკერდიდან რომ სისხლი ჩამოს-  
დიოდა, კორეელი ხალხის ჰიმნს მღეროდა.

კაი სუ ამ სიმღერის მოსმენისას ყოველთვის სიხარულსა  
და აღტაცებას გრძნობდა: ეს იგრძნო ახლაც. მან თავი მალ-  
ლა ასწია და ბანი მისცა. ამღერდა ბოკ ლიმიცი, რომელსაც  
კაი სუსათვის მხარზე ხელი შემოეხვია, დედაც, რომელსაც  
ატირებული შვილი უკვე გაღელილ მკერდზე ჰყავდა მიკრული.

გაცოფებულმა ამერიკელებმა ავტომატებიდან ცეცხლი და-  
უშინეს ამღერებულ ორმოს.

მაგრამ ორმო არ დუმდებოდა. უფრო მკექარედ, უფრო  
ხმამალღა გაისმოდა დამარხული ადამიანების სიმღერა.

კაი სუს მიწა პირში ეყრებოდა, ყელამდე მიწაში იყო ჩაფ-  
ლული, მაგრამ ის მაინც მღეროდა.

უცბად სული შეეხუთა. „ნუთუ უკვე ვიხრჩობა“, გაიფიქრა  
მან და პირი ფართოდ გააღო, უნდოდა რაც შეიძლება მეტი  
ჰაერი ჩაესუნთქა, შემდეგ თავს ძალა დაატანა და მთელი ძალ-  
ღონის დაქიმვით დაიძახა:


„თავისუფლება კორეას!“

ეს იყო მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ამის შემდეგ სული შეეხუთა და იმწამსვე გონება დაკარგა.“  
კითხულობთ ამ სტრიქონებს და თქვენ გრძნობთ, რომ  
მწერალი აქ არაფერს არ უმატებს, ზუსტად და კონკრეტუ-  
ლად გამოხატავს იმას, რაც კორეაში ყოველდღიურად ხდება.

ივ. ურჯუმელაშვილის ნაწარმოებები „დღეები კორეაში“ და  
„მორანბონი“ წარმოადგენენ მნიშვნელოვან მხატვრულ დოკუ-  
მენტებს, რომლებიც ნათლად ასახავენ კორეელი ხალხის თავ-  
განწირულ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის  
გამხეცებულ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა წინააღმდეგ,  
რაზეც დიდადაა დამოკიდებული მშვიდობის ბედი აზიასა და  
მთელ მსოფლიოში.

# მიტრანბონი





ივანე ურჯუმილაშვილის მო-  
თხრობა „მორანონი“ პრემიერბუ-  
ლია საქართველოს სსრ განათლე-  
ბის სამინისტროსა და საქართველოს  
ალკა ცენტრალური კომიტეტის მიერ  
გამოცხადებულ საუკეთესო საბავ-  
შვო მხატვრულ ნაწარმოების კონ-  
კურსზე 1951 წელს.



ლამაზია მორანბონი. ეს საკმაოდ მოზრდილი მთაა ფხენი-  
ანის შუაგულში, მდინარე თედონგანის მარცხენა ნაპირზე  
აღმართული. აქ არის კორეის მეფეთა ძველი სასახლეები,  
იაპონელ დამპყრობთაგან თავის დასაცავად აგებული ციხე-  
სიმაგრეები. დაფნისა და ნაძვის ხეებით შემოსილი მორანბონის  
ქალთები დასერილია სასეირნო ხეივანებითა და ბილიკებით.

ზაფხულობით, ყოველ კვირა დღეს, ექიმ ლი გო ჩეს  
ხელჩაკიდებული დაჰყავდა თავისი პატარა ქალ-ვაჟი მორან-  
ბონის მთაზე. ვაჟს სახელად ინ გორი ერქვა. თორმეტი  
წლისა იყო, გამხდარი, ტანმალალი. ოღნავ ფერმკრთალი.  
გოგოს კი ნიუნი ერქვა, ძმაზე ხუთი წლით უმცროსი იყო,  
ლოყაწითური. გრძელი შავი თმის ნაწნავებზე ყოველთვის წი-  
თელი ლენტები ეკეთა.

მამა და შვილები მთელ მთას შემოივლიდნენ, სასახლეებში  
პოწყობილ ეთნოგრაფიულ მუზეუმებს ნახავდნენ, შემდეგ კი  
მორანბონის მწვერვალზე აღიოდნენ და მაღალი ობელისკის  
ძირას, აბიზინებულ მოლზე სხდებოდნენ. აქედან ხელისგული-  
ვით ჩანდა ფხენიანი და მისი გარეუბნები, მშვიდი თედონგანი  
და მის ნაპირებზე ატეხილი ქალები.

შებინდებისას, როცა მზე ამწვანებულ მთებს ამოეფარე-  
ბოდა და თედონგანიდან წამოსული ნიავი დაფნის ფოთლებს  
ააშრიალეზდა, ლი გო ჩე შვილებთან ერთად ქალაქისაკენ დაე-  
შვებოდა; იმ გორი და ნიუნი მამის წინ მირბოდნენ, გაღელილ  
მკერდს გრილ ნიავს უშვერდნენ, ყვავილების სურნელებით  
გაჟღენთილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდნენ.

ამ დილითაც ლი გო ჩე და მისი შვილები მორანბონის მთაზე  
უნდა წასულიყვნენ. წინადლით იმ გორმა და ნიუნმა, როგორც  
აყო, დაიყოლიეს მამა, რომ დილით ადრე ასულიყვნენ მორან-  
ბონზე და იქიდან მზის ამოსვლისათვის ეცქირათ, შემდეგ ნა-  
ვით თედონგანი გადაეცურათ და თევზი დაეჭირათ. საღამოთი  
დედამ ბავშვებს ლოგინი ადრე გაუშალა—ადრე რომ დაიძი-  
ნებთ, დილაზეც ადრე გაიღვიძებთო.

იმ გორი მაშინვე დაწვა, მაგრამ ნეტა სულაც არ დაწოლი-  
ლიყო. ხვალინდელ დღეზე ფიქრმა ისე გაიტაცა, რომ გვიანო-  
ბამდე ვერა და ვერ ჩაეძინა. მთელი ღამე სიზმრებს ხედავდა:  
აი, ის მამასთან და ნიუნთან ერთად შუა თედონგანზე გაჩერე-  
ბულ ნავში ზის. ირგვლივ სიჩუმეა. ხელში გრძელ ჯოხებზე  
მიბმული ანკესები უჭირავთ და თავჩაღუნული დასცქერიან მა-  
ნიშნებელს. პირველად ანკესი მან ამოსწია და, ჰოი, საკვირ-  
ველებავ! ანკესზე ერთის მაგივრად ორი თევზი ეკიდა. შემ-  
დეგ მამამაც დაიჭირა თევზი, ნიუნმაც. სულ მალე ვედრო

თევზებით აავსეს, მდინარე გამოსცურეს, სწრაფად გაიარეს ხალხით გაქედილი ქუჩა. აგერ სახლიც. თევზით სავსე ვედრო-მას და მამას უჭირავთ, ნიუნს მხარზე ანკესები გაუწყვია და წინ მიაბიჯებს.

— ომანი, ომანი,\* აი, რა ბევრი თევზი დავიჭირეთ!—უძახის ინ გორი მათ შესახვედრად გარეთ გამოსულ დედას.

— აქა ვარ, შვილო, რა დაგემართა? — მოესმა ინ გორს. დედის სიტყვები.

ინ გორს არ უნდოდა თვალები გაეხილა, ეშინოდა, ვაითუ დამესიზმრა და თევზის დაჭერა მართალი არ გამოდგესო.

— გაიღვიძე, შვილო! სიცხე ხომ არ გაქვს?—ეუბნებოდა. ინ გორს დედა და თან შუბლს უსინჯავდა.

ინ გორმა გაბედა თვალების გახელა. უმაღვე შეამჩნია, რომ მამამისი რალაც აღელვებული დადიოდა ოთახში წინ და უკან. დედას შუბლი ჩვეულებრივზე უფრო მეტად დანაოქებოდა.

— რა არის, დედი, ასე შემზარავად რა გუგუნებს? — იკითხა ინ გორმა.

დედამ შვილს არაფერი უპასუხა.

ინ გორის ყურადღება რადიომ მიიპყრო. გარკვევით ისმოდა დიქტორის ხმამაღალი ლაპარაკი:

„ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, ჩვენ უკვე ვიციტ, თუ რა არის თავისუფლება და სხვისი მონები არასოდეს აღარ გავხდებით“...

საუზმის შემდეგ ლი გო ჩე სამსახურში გამოიძახეს და მხოლოდ საღამოთი დაბრუნდა შინ. ამჯერად მას კორეის სახალხო

---

\* დედა, დედა.

არმიის ოფიცრის ტანსაცმელი ეცვა, სამსარეებზე კაპიტნის ნიშნები ეკეთა.

მაშამ ჩანთაში წიგნები და თავისი საექიმო ნივთები ჩაალაგა, წასვლის წინ რამდენჯერმე გადაკოცნა ცოლ-შვილი და ინ გორს ამ სიტყვებით დაემშვიდობა:

— შვილო, ახლა შენ იქნები ოჯახის უფროსი და, აბა, შენ აცი, როგორც მოიქცევი.

ერთხელ, დილით, სძინარე ინ გორი თვითმფრინავების გუგუნსა გაბოაღვიძა. ინ გორი მაშინვე წამოხტა ლოგინიდან და ტანთ ჩაიცვა.

ნიუნი უკვე ფეხზე იყო, ფანჯარასთან იდგა და ცას შეჰყურებდა. დედა შინ არ ჩანდა. როგორც ნიუნმა უთხრა, მეზობელთან იყო წასული ამბების გასაგებად.

ინ გორს ეგონა, თვითმფრინავები ქალაქს გადაუქროლებდნენ და ყველაფერი მიწყნარდებოდა, მაგრამ ისინი ქალაქს არ სცილდებოდნენ.

— ინ გორ, რამდენი თვითმფრინავია! მოდი გარეთ გავიდეთ. იქიდან უფრო კარგად დავინახავთ, — თქვა ნიუნმა.

— მერე არ გეშინია, ამერიკელებმა რომ ბომბები დაგვაყარონ? დედამ ხომ თქვა, მიგუყები\* ქალაქებს ბომბავენო.

— არა, ისინი ჩვენ ბომბებს არ დაგვაყრიან, რა დაგვიშავებია მათთვის?!

გარეთ პირველად ინ გორი გავიდა. ნიუნიც ფეხდაფეხ გაჰყვა.

---

\* მიგუყები კორეულად ამერიკელებს ნიშნავს. კორეულ ენაზე ყველა სახელი „ცარამით“ მთავრდება, რაც ადამიანს ნიშნავს. მაგალითად, ნოგუ-ცარამ—რუსი ადამიანი, ცუცუმცარამ—კორეელი ადამიანი და სხვა. იმის გამო, რომ ამერიკელები მხეცურად ღლეტენ მშვიდობისმოყვარე კორეულ ჯალსს, მათ სახელს „ცარამი“ ჩამოაცილეს და მათ მიგუყებს ეძახიან.

ირგვლივ მოტორების გრიალი ისძოდა, ყველაფერი ზანზარებდა, თითქოს მიწისძვრააო. თედონგანის გაღმა მხარეს, მალა, სულ მალა, ხუთ-ხუთად ჩამწკრივებულ ორმოცამდე თვითმფრინავს ცაზე ნახევარწრე შემოევლო და მძიმედ მოფრინავდა მორანბონისაკენ.

— ინ გორ, აბა, ვინ უფრო ჩქარა დათვლის, — უთხრა ნიუნმა ინ გორს და თითოთ დაიწყო თვითმფრინავების თვლა.

ინ გორი გაშტერებული შესცქეროდა დაბლა დაშვებულ თვითმფრინავებს, რომლებიც ძერებივით დასტრიალებდნენ ქალაქს.

— ინ გორ. ინ გორ, შეხედე, თვითმფრინავებმა რაღაცეები ჩამოყარეს! იქნება ფერადი ქალაღებია, — შესძახა ნიუნმა და ტაში შემოჰკრა.

მას პირველი მაისი გაახსენდა. ის და მამა დემონსტრაციაზე იყვნენ. ორმა თვითმფრინავმა ზედ თავზე გადაუქროლა სტალინის ქუჩაზე მიმავალ დემონსტრანტთა კოლონებს და ქალაღები ჩამოყარა.

მამას ნიუნი კისერზე ეჭდა. ბავშვი ჰაერშივე იჭერდა ციდან ფოთლებივით ჩამოცვენილ ფერად-ფერად ქალაღებს. იქნებ დღესაც ფერად ქალაღებს ჰყრიან?

ინ გორმაც დაინახა. თუ როგორ მოსცილდნენ თვითმფრინავებს პატარა, შავი წერტილები. ისინი დაბლა მოექანებოდნენ და, რაც უფრო უახლოვდებოდნენ დედამიწას. მით უფრო იზრდებოდნენ.

უცბად გრიალი გაისმა, თითქოს დაიქუხაო. ჰაერის მძლავრმა ტალღამ ინ გორი მიწაზე დასცა. ბავშვს თვალთ დაუბნელდა, ისე მოეჩვენა, თითქოს მის ტანისამოსს ცეცხლი ეკიდა.

„ვაიფუ შეეშინდა ნიუნს“, — გაუელვა აზრმა და მაშინვე თვალები გაახილა.

ირგვლივ ყველაფერი კვამლში იყო გახვეული, მათ სახლს ცეცხლი გასჩენოდა: ჰაერში დამწვრისა და კიდევ რაღაცა უცნაური სუნი იდგა.

თვითმფრინავები სულ დაბლა დაშვებულიყვნენ და ტყვიას აყრიდნენ ცეცხლწაქიდებული სახლებიდან გამოცვენილ ხალხს.

ინ გორი იქით იცქირებოდა, სადაც თავისი პატარა და ეგულეობოდა, მაგრამ ნიუნი არსად ჩანდა. ტანში შიშის ურუხანტელმა დაურბინა. ინ გორი წამოხტა და იქით გაიქცა, სადაც ნიუნთან ერთად იდგა, მაგრამ ნიუნი იქ აღარ დახვდა.

შუა ქუჩაში ბომბს დიდი ორმო ამოეთხარა. მის მახლობლად ინ გორმა წითელი ლენტი დაინახა. იცნო — ეს ნიუნის ლენტი იყო. ანაზღვეულად დაავლო ხელი და ხელში შერჩა ნიუნის თმები, ცოტა მოშორებით კი ნიუნი გულაღმა იწვა ხელებგაშლილი. თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, თითქოს სძინავსო. მარჯვენა ყურისძირიდან წვეთ-წვეთად გამონადენ დაიხლს წითელი ზოლი გაეცლო მის ფაფუკ ყელზე.

— ნიუნი, ნიუნი! — ალერსით ამბობდა ინ გორი და ფეხაკრეფით მიდიოდა მისკენ, სწორედ ისე, როგორც დილდოობით იცოდა, როცა ადრე ადგებოდა და ოთახიდან ჩუმად გამოდიოდა, რომ დილის ძილი არ დაეთრთხო ტკბილად მძინარე დისათვის.

ახლო მივიდა ნიუნთან, მუხლისთავეებზე დაიჩოქა. ნახევრად მიწაში ჩაფლულ დას თავზე ხელს უსვამდა და თან ეუბნებოდა:

— ნიუნი, ნიუნი, ჩემო საყვარელო დაიყო! მითხარი, რა გტკივა? რატომ არ მეუბნები? მე ინ გორი ვარ, შენი ძმა.

ნიუნი ხმას არ იღებდა, უძრავად იწვა.

ინ გორი ვილაც მამაკაცმა ფეხზე წამოაყენა. ორმა თეთრ-ხალათიანმა ქალიშვილმა ნიუნი საკაცზე დააწვინა და ავტომობილისაკენ წაიღო, რომელიც იქვე, ქუჩის შესახვევთან, იდგა.

ინ გორს მხოლოდ ახლა მოაგონდა დედა. უცნობ მამაკაცს ხელიდან გაუსხლტა, თავისი სახლისაკენ გაიქცა და ყვირილი მოართო:

—დედი, დედილო, ნიუნი სადღაც მიჰყავთ...

მაგრამ დედამისი არსად ჩანდა, მეზობლის სახლიც მათი სახლივით დანგრეულიყო და ცეცხლი ეკიდა.

დიდხანს იდგა ინ გორი ერთ ადგილზე და შესცქეროდა ცეცხლმოკიდებულ მშობლიურ სახლს. შემდეგ ქუჩა-ქუჩა დაიწყო სიარული, ვინც კი წინ შემოხვდებოდა, ტირილით ეკითხებოდა ერთსა და იმავეს:

—დედაჩემი ხომ არ გინახავთ? დედაჩემი ხომ არ გინახავთ?

—ოფსუმიდა,\*—ხელის გაქნევით უპასუხებდნენ ყველანი.

როცა შელამდა, მათ ნასახლარზე მხოლოდ ბუხარიღა იდგა თუნუქის საკვამლე მილით. ინ გორი ბუხართან იჭდა თავჩალუნული. ტიროდა, ცხარედ ტიროდა. ვილაცამ მხარზე ხელი დაადო და ოდნავ შეანძრია. ინ გორმა აიხედა. მის წინ ტანდაბალი, გამხდარი, გაყვითლებული, ტანსაცმელშემოფლეთილი ბიჭი იდგა. ეს კაი სუ იყო, ინ გორის ტოლი და სკოლის მეგობარი. ისინი უბნის ფეხბურთის გუნდშიც ერთად თამაშობდნენ. კაი სუ განთქმული თავდამსხმელი იყო. თუ ბურთს გაიტაცებდა, ველარავინ დაეწეოდა. ინ გორს კი დაცვაში ტოლი არა ჰყავდა. თამაშობდა დინჯად, მოფიქრებით, შეცდომას არც თუ ისე ადვილად უშვებდა.

---

\* არა.



—მეც მარტო ვარ!.. დედა ამერიკელებმა მომიკლეს, მამა-  
ჩემი კი ფრონტზეა. ჩვენი სახლიც ამერიკელებმა გადასწვეს,—  
უთხრა ინ გორს კაი სუმ.

ლამე ერთად იყვნენ. ღია ცისქვეშ, ბუხრის ძირას გაშალეს  
ქილობი, ზევიდან ტომრები დაიფარეს, ერთმანეთს ჩაეკვრნენ  
და მოღლილ-მოქანცულებმა მაშინვე ჩაიძინეს.

მეორე დღეს ინ გორი და კაი სუ ქალაქის მორიგეებმა თავ-  
შესაფარში წაიყვანეს. თავშესაფარი მორანბონის ჩრდილო-  
ეთით, ფრილო კლდის ძირას იყო მოწყობილი. შიგ ოცამდე  
ადამიანს შეეფარებინა თავი. ინ გორსა და კაი სუს გარდა  
აქ სხვა ბავშვებიც იყვნენ, მაგრამ, თითქოს განგებ შეურჩე-  
ვიათო, ყველანი გოგონები იყვნენ და ამასთან მათზე უმ-  
ცროსები. პატარა მეგობრებს პირველი დღიდანვე ემძიმებოდათ  
თავშესაფარში ყოფნა, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ  
დღეს-ხვალ ავტომანქანებით ჩრდილოეთში უპირებდნენ გაგ-  
ზავნას. ამ ბნელ ორმოში ჯდომას, როგორც იყო, შეურიგ-  
დნენ. რამდენიმე დღემ განვლო, ავტომანქანები კი არ ჩანდა.

—ინ გორ, როდემდის უნდა ვიმალებოდეთ თავშესაფარ-  
ში, — უთხრა ერთხელ კაი სუმ, როცა თედონგანიდან ბრუნდე-  
ბოდნენ წყლით სავსე სურებით,—ყველაფერს რომ თავი  
დავანებოთ, ხომ ხედავ, აქ ჩვენს მეტი არავინ არის ბიჭი.

—მართლაცდა, რას ვაკეთებთ აქ, თედონგანიდან წყალს  
თუ მოვიტანთ, ეს არის და ეს!—უპასუხა ინ გორმა.

—ინ გორ, მოდი, მორანბონზე ავიდეთ, ქვემეხი ვნახოთ,  
ჩემი არ იყოს, შენც ხომ არ გინახავს ქვემეხი?

მორანბონის მთაზე რამდენიმე საზენიტო ქვემეხი იდგა.  
მტრის თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ თუ არა ფხენია-  
ნის თავზე, ქვემეხები მაშინვე სროლას იწყებდნენ. ამერიკე-

ლი საპაერო ყაჩაღები კი მთელ დღეს მოსვენებას არ აძლევდნენ დედაქალაქს, ისე რომ, თითქმის განუწყვეტლივ ისმოდა ქვემეხების გრიალი.

—ქვემეხის ნახვა მეც ძალიან მინდა, მაგრამ ვაითუ ახლო არ მიგვიშვან,—უპასუხა ინ გორმა.

—წავიდეთ, მიგვიშვებენ!

მეგობრებმა მოილაპარაკეს, რომ იმ ქვემეხთან მისულიყვნენ, რომელიც თედონგანის მხარეს იდგა. კაი სუ არწმუნებდა ინ გორს, რომ გუშინ სწორედ ამ ქვემეხმა მოახვედრა ყუმბარა ბომბდამშენს, რომელიც მაშინვე ცეცხლის ალში გაეხვია და შიგ თედონგანში ჩავარდა.

როგორც კი მიიტანეს წყალი, მეგობრები ფარულად გამოვიდნენ თავშესაფრიდან და ქვემეხის მიმართულებით გაიქცნენ. ბავშვებს ეგონათ, რომ ქვემეხი ახლო იდგა, მაგრამ ბევრი იარეს და მაინც ვერა და ვერ მიაღწიეს.

ქვემეხი რომ ერთხელ მაინც გაესროლათ, მერე აღარ გაუჭირდებოდათ მისი მიგნება. მაგრამ, თითქოს მათ ჯიბრზე, ქვემეხები ღუმდნენ. ამერიკელებმა ამ დღეს დილიდანვე არ დაიწყეს ქალაქის დაბომბვა, ალბათ, იმიტომ, რომ ღრუბლიანი ამინდი იყო და მიზნის დანახვა არც თუ ისე იოლი იქნებოდა.

მეგობრები მთლად ოფლში გააწურნენ. უძნელდებოდათ მალლობზე ასვლა, ბუჩქებში ძროპით ხელ-ფეხი დაიკაწრეს, კაი სუმ ხალათიც კი დაიხია.

დალლილ-დაქანცული ბავშვები ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდნენ, რომ ყურები ცქვიტეს. სამხრეთიდან თვითმფრინავების შორეული გუგუნე მოისმა.

სწრაფად დაეშვნენ თავშესაფრისკენ. კაი სუ წინ მირბოდა, მას ფეხდაფეხ მისდევდა ინ გორი. უცბად კაი სუმ მარცხნივ

გადაუხვია და პატარა ორმოში ჩახტა. თვალის დახამხამებაში  
ინ გორიც მის გვერდით გაჩნდა და სულგანაბული გაეკრა  
მიწას.

ხელმარცხნივ, იქვე ბუჩქებში, ცეცხლის ალი ავარდა. ბავ-  
შვებმა მიხედვაც კი ვერ მოასწრეს, რომ ქვემეხის გრიალი  
შემოესმათ. ქვემეხი მათ შორიახლო იდგა. საცეცხლე პოზი-  
ციის ირგვლივ ჩარგული ხის ტოტები, რომლებითაც იყო  
შენიღბული ქვემეხი, რამდენიმე გასროლის შემდეგ წაიქცა.  
ბავშვები ახლა გარკვევით ხედავდნენ ქვემეხის გრძელ ლუ-  
ლას, რომელიც დროდადრო კვამლში ეხვეოდა. ქვემეხთან  
ხუთი სახალხოარმიელი ტრიალებდა: ერთი ბრძანებას იძლე-  
ოდა, მეორე ქვემეხს ისროდა, მესამე ტენიდა, ხოლო ორ  
მებრძოლს თხრილიდან ყუმბარებით სავსე ყუთები ამოჰქონ-  
და. ღრუბლებიდან ცერად წამოსულ ბომბებს საშინელი წი-  
ვილი გაჰქონდა. დიდი ხიდის მარცხენა მხარეს, მუშათა უბან-  
ში კვამლი სვეტებად აღმართულიყო. ხალხი თედონგანის-  
კენ გარბოდა. ბევრ მათგანს უკვე მოესწრო ნავეებში ჩაჯდო-  
მა და მდინარის მარჯვენა ნაპირისაკენ მიცურაჲდა.

შორიახლოს რამდენიმე ბომბი გასკდა. ბავშვებს ისე  
მოეჩვენათ, თითქოს ერთი ბომბი ზედ ქვემეხს დაეცა.  
ამაოდ ცდილობდნენ რაიმე გაერჩიათ, ირგვლივ ყველაფერი  
კვამლში გახვეულიყო.

თედონგანიდან მქროლავმა ქარმა კვამლი მალე გაფანტა.  
ბავშვებმა ქვემეხი კვლავ დაინახეს: ფეხზე მხოლოდ ერთი  
მებრძოლი იდგა. დანარჩენები უძრავად იწვნენ მიწაზე.  
ქვემეხი ისევ აგუგუნდა... მართოდ დარჩენილი მებრძოლი  
ქვემეხს თვითონვე სტენიდა, უმიზნებდა და ისროდა.

ინ გორმა და კაი სუმ კარგად დაინახეს, როგორ გაიქცა  
მებრძოლი ქვემეხიდან ოციოდე მეტრით დაცილებულს

თხრილისაკენ, როგორ ამოიტანა იქიდან ყუმბარებით სავსე ყუთი და ქვემეხთან მიაჩვენინა. ქვემეხი კვლავ აგრიალდა.

ინ გორი ფეხზე წამოხტა და კაი სუს რაღაცა უთხრა. იგი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ კაი სუმ ვერაფერი გაიგო. როცა ის ქვემეხისაკენ გაიქცა, კაი სუც წამოვარდა და უკან გამოედევნა.

ქვემეხთან მდგომ მებრძოლს დაქრილი მკერდიდან სისხლი გადმოსდიოდა. მან ინ გორს დაუძახა:

— აბა, თუ ყოჩალი ბიჭი ხარ, ყუმბარები მოარბენინე.

ინ გორს ჭარისკაცის თქმა არ უნდოდა. უიმისოდაც კარგად იცოდა, როგორ მოქცეულიყო. სწრაფად ჩახტა თხრილში. ყუთიდან ყუმბარა ამოიღო და უმაღლ ქვემეხთან გაჩნდა.

ჭარისკაცმა რომ ქვემეხი გაისროლა, ინ გორმა ჩახმახთან მიიღბინა, ქვემეხის გატენას შეეცადა, მაგრამ ეს საქმე არც თუ ისე იოლი იყო.

ჭარისკაცმა ინ გორს რაღაც უთხრა, მომარჯვებული ყუმბარა გამოართვა და მარჯვედ გატენა ქვემეხი. ინ გორი ყურადღებით ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. კაი სუსაც უკვე მოესწრო თხრილიდან ყუმბარის ამოტანა და ახლა ქვემეხისაკენ მოარბენინებდა. ინ გორმა შუა გზაზე ჩამოართვა ყუმბარა და კვლავ ქვემეხთან გაჩნდა. კაი სუ კი ისევ თხრილისაკენ გაიქცა. ინ გორი კვლავ შეეცადა დამოუკიდებლად გაეტენა ქვემეხი, მაგრამ ჭარისკაცის დაუხმარებლად მაინც ვერ შესძლო, მესამეჯერ კი ქვემეხი, როგორც იყო, თვითონ გატენა.

ბავშვებმა მემიზნე არმიელს ბევრად გაუადვილეს საქმე. იგი ახლა უკეთ უმიზნებდა და სწრაფად ისროდა.

როგორც კი გამოვარდებოდა ცარიელი მასრა, ინ გორი მაშინვე ქვემეხს სტენიდა, ხანდახან კი, როცა კაი სუ ყუმბა-

რის მოტანას აგვიანებდა, ჩიტვიით მიფრინავდა თხრილისა-  
კენ და მეგობარს ეხმარებოდა ყუმბარების ზიდვაში.

კაი სუ მკვირცხლად მირბი-მორბოდა, თანაც თვალს არ  
აშორებდა დაბლა დაშვებულ თვითმფრინავებს, რომლებიც  
ქუჩებში ტყვიამფრქვევს უშენდნენ ხალხს.

— ინ გორ, ინ გორ! ვერა ხედავ, მოვახვედრეთ!—დაუყვი-  
რა მეგობარს თხრილთან მდგარმა კაი სუმ.

ცხვირით დაყირავებულ თვითმფრინავს ცაზე კვამლის  
მსხვილი ხაზი გაეწლო და ძირს მოექანებოდა. თვითმფრინავი  
ქალაქის განაპირას ჩავარდა. ინ გორი და კაი სუ სიხარულით  
ბტოდნენ, ერთი-ორჯერ ტაშიც კი შემოჰკრეს.

— ეგეც თქვენ, მიგუყებო! ეგეც თქვენ, ყაჩაღებო! — გაი-  
ძახოდნენ მეგობრები.

ჯარისკაცი სროლას განაგრძობდა. ერთ ადგილას გაჩერე-  
ბული ბავშვები რომ დაინახა, ხმამაღლა დაუძახა:

— თქვენ, ეი, მეომრებო, რა დროს ხტუნვა-თამაშია! ყუმ-  
ბარები მოზიდეთ, ყუმბარები, ჩქარა! ვერა ხედავთ, ბრძოლა  
გრძელდება.

მეგობრებმა მაშინვე თხრილისაკენ მოჰკურცხლეს. კიდევ  
მტრის ორ თვითმფრინავს გაუჩნდა ცეცხლი; ერთი შიგ თე-  
ლონგანში ჩავარდა, მეორე კი — რკინიგზის სადგურის იქით,  
ქალაქის გარეუბანში.

ამერიკელების არეულ-დარეულმა თვითმფრინავებმა სამ-  
ხრეთისაკენ მოუსვენს და მალე ღრუბლებში მიიმაღლნენ. საზე-  
ნიტო ქვემეხებმა სროლა შეწყვიტეს.

— აი, ახლა შეგიძლიათ დაისვენოთ, — უთხრა ბავშვებს  
მემიზნე ჯარისკაცმა და ქვემეხთან ჩაიკეცა.

— ძია, თქვენ მკერდიდან სისხლი გდით! — შესძახა მის წინ  
მუხლისთავეებზე დაჩოქილმა კაი სუმ.

—ვიცი, ბიჭიკო, ვიცი! — უპასუხა ჭარისკაცმა და გულამა გადაწვა.

—ძია, ჭრილობას მე და ინ გორი შეგიხვევით, ჩვენ ვიციტ შეხვევა.

ინ გორიც მუხლისთავეებზე დაჩოქილიყო და თვალებში შესცქეროდა მთლად გაყვითლებულ ჭარისკაცს.

—არა, უკვე გვიან არის. უმჯობესია მეთაურს აცნობოთ, რაც მოხდა. ტელეფონი აი იმ თხრილშია, — მისუსტებული ხმით უთხრა მებრძოლმა და სახის ოდნავი მოძრაობით უჩვენა ქვემეხის მარჯვნივ გადახურული თხრილი, შემდეგ თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და დაბლა, ქალაქისაკენ დაიწყო ცქერა.

ქალაქს ცეცხლი ეკიდა. შენობათა სახურავებს შავი ნისლივით დასწოლოდა სქელი კვამლი. ისმოდა დაჭრილთა კენესაგოდება.

ჭარისკაცი აღარც განძრეულა და აღარც არაფერი უთქვამს. კაი სუ მას ერთხელ კიდევ დაელაპარაკა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ჭარისკაცი უძრავად იწვა და გაშტერებული თვალებით უმზერდა ქალაქს. მეგობრები თხრილისაკენ გაიქცნენ. კაი სუ თხრილში ჩახტა, ტელეფონის მილს ხელი დაავლო და ყურთან მიიტანა.

—იალუძიანი, იალუძიანი! ლაპარაკობს ვოლგა! ლაპარაკობს ვოლგა! იალუძიანი, იალუძიანი! გესმით თუ არა ჩემი ლაპარაკი? იალუძიანი, იალუძიანი! — ისმოდა ტელეფონში მამაკაცის ხმა.

—ძია, მე მესმის თქვენი ლაპარაკი, მაგრამ იალუძიანი როგორ გაიგონებს? იალუძიანი ხომ მდინარეა. ან შენ როგორ შეიძლება ვოლგა იყო, როცა ადამიანი ხარ?

— შენ ვინა ხარ, ან ვისი ხარ?

— მე კაი სუ ვარ, კიმ ოკას შვილი. არ იცნობდით მამა-ჩემს? მას სადგურთან ფეხსაცმლის სახელოსნო ჰქონდა.

— მერე როგორ მოხვდი მანდ? მებრძოლები სად არიან, რა დაემართათ? რატომ ისინი არ გვიპასუხებენ?

— მებრძოლები უკვე ცოცხლები აღარ არიან. მემიზნე ჯარისკაცი, რომელსაც მე და ინ გორი დავეხმარეთ, მკერდში იყო დაჭრილი და ეს-ეს არის გარდაიცვალა. ასე რომ, ახლა აქ ცოცხლები მე და ინ გორი ვართ. ინ გორი ჩემი სკოლის ამხანაგია. მამამისი კი ნამდვილად გეცნობებათ, ის ხომ...

— ნურათრისა ნუ შეგეშინდებათ, ჩვენ ახლავე მანდ გვიჩნდებით!

— არა, ჩვენ არ გვეშინია, ჩვენ მშიშრები როდი ვართ! გესმით, ძია, ჩვენ მშიშრები როდი ვართ! რატომ ხმას აღარ იღებთ? იქნებ ჩემი ლაპარაკი არ გესმით, მაშ მე უფრო ხმა-ქალღა ვილაპარაკებ...

ამოდ ჩაპყვიროდა კაი სუ მილში, პასუხს აღარავინ აძლევდა. რომ არა და არ უპასუხეს, მილი ტელეფონზე დასდო, თხრილიდან ამოხტა და ყველაფერი გააგებინა ინ გორს, რომელიც თხრილის თავზე იდგა.

მეგობრებმა მოილაპარაკეს, რომ მებრძოლების მისვლამდე ქვემეხისათვის თვითონ ედარაჯათ. ინ გორმა სანგრის მიწა-ყრილზე მიყუდებულ კარაბინს წამოავლო ხელი, კაი სუმ კი — ავტომატს. ქვემეხს აქეთ-იქით ამოუდგნენ და გუშაგი ჯარისკაცებივით დაიწყეს წინ და უკან სიარული.

მზე უკვე მთებს ამოჭფარებოდა. ფხენიანის თავზე ჩანოწოლილი ბინდი კიდევ უფრო აბნელებდა ისედაც კვამლში გახვეული ქალაქის ქუჩებს. რაც უფრო მატულობდა სიბნელე, მით უფრო მკაფიოდ ჩნდებოდნენ ცაში ავარდნილი ცეცხლის ენები.





პატარა გუშაგები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ თავი ამა-  
ყად დაეჭირათ და ერთმანეთისათვის გული გაემაგრებინათ.

ქალაქის ქუჩებიდან დროდადრო აფეთქებათა შემზარავი  
გრიალი ისმოდა. ეს დაყოვნებული მოქმედების ბომბები  
სკდებოდა. ორი ბომბი მორანზონის მთაზეც აფეთქდა. გორო-  
ხები და ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ხის ტოტები ბავშვებს ზედ  
გადაეყარათ.

უკვე ბნელოდა, როცა პატარა გუშაგებს ქვემეხის მარცხე-  
ნა მხრიდან ხმაურობა შემოესმათ. მეგობრებს თვალები გაუ-  
ფართოვდათ. ისინი თვალს არ აშორებდნენ ქალაქისაკენ მი-  
მავალი ბილიკის გასწვრივ ჩამწყკრივებულ ბუჩქებს. ბუჩქები  
ჯერ შეინძრნენ, მერე კი თითქოს ფეხი აიდგეს და მათკენ  
გამოეშურნენ.

— შესდექ! ვინ მოდის? — ერთდროულად დაიყვირეს ბავ-  
შვებმა.

მათ ბევრჯერ ჰქონდათ გაგონილი საგუშაგოზე მდგარ სა-  
ხალხო არმიის მებრძოლთა ეს შეძახილი.

— ჩვენ ვართ — სახალხო არმიის მებრძოლები! — იყო პა-  
სუხი.

მოსულები, მართლაც, სახალხო არმიის მებრძოლები  
იყვნენ.

ინ გორმა და კაი სუმ მათ ყველაფერი უამბეს. მებრძო-  
ლებმა ბავშვებს მადლობა გადაუხადეს. ვახშმის შემდეგ მე-  
გობრები ბლინდაჟში დაწვნენ მებრძოლების გვერდით და  
ტკბილად ჩაიძინეს.

დილით ინ გორსა და კაი სუს ადრე გაეღვიძათ. ბლინდაჟ-  
ში მათ გარდა აღარავინ იყო. ისინი მაშინვე გარეთ გამოვიდ-  
ნენ. ბლინდაჟის შორიახლო ტრაქტორი იდგა — ჯარისკაცებს  
საცეცხლე პოზიციიდან ქვემეხი გამოჰქონდათ. როგორც კი

მიუბნეს ქვემეხი ტრაქტორს, ორი მებრძოლი ბლინდაჟში ჩავიდა. მათ ხელში ჯამისოდენა ორ-ორი რკინის ყუთი ეჭირათ.

მებრძოლებმა ბლინდაჟში ოთხი ორმო ამოთხარეს და შიგნაღმები ჩაფლეს. ბლინდაჟის შესასვლელთან გაჩერებული ორი გორი და კაი სუ მებრძოლებს უცქეროდნენ.

— ეს ნაღმებია, — უთხრეს მათ მებრძოლებმა.

ამ დროს თავშესაფრიდან კაცი მოვიდა. მას რკინიგზელის ტანსაცმელი ეცვა და მკლავზე წითელი ლენტის ეკეთათ. ორი გორი და კაი სუ სწორედ ამ კაცმა მიიყვანა თავშესაფარში.

ბავშვებმა მისი სახელი არ იცოდნენ, ამიტომ ერთმანეთთან საუბარში მას ჩოსოცარამად იხსენიებდნენ, რაც კორეულად კეთილ ადამიანს ნიშნავს.

ჩოსოცარამი შუახნის კაცი იყო, წყნარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა, შავი თვალები კი მუდამ უცინოდა. ლამაზ წვერ-ულვაშსა და უკანგადაყრილ შეთხელებულ თმაში ჰქადარა გამორეოდა. ჩოსოცარამი ბუნებით კეთილი ადამიანი იყო, კეთილ ადამიანებს კი ადვილად შეიყვარებენ ხოლმე ბავშვები. ჩოსოცარამმა ადვილად იცოდა მოზარდების გულის მოგება; ამას ის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ფხენიანის დეპოსთან არსებულ ხელოსანთა სასწავლებელში დაეუფლა; სადაც აღმზარდელად გადაიყვანეს, როგორც ორთქლმავლების მოწინავე შემკეთებელი ოსტატი. ჩოსოცარამს ბავშვები დატუქსვა უნდოდა თავშესაფრიდან დაუკითხავად გამოსვლისათვის. მაგრამ მათი მამაკობის ამბავი რომ გაიგო, ორივეს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი და უთხრა:

— ახლა კი, ჩემო პატარა გმირებო, მებრძოლებს გამოეთხოვეთ და უკან განომყევით. თუ არ ვიჩქარეთ, ავტომანქანები ჩრდილოეთისკენ გავვასწრებენ.

ბავშვები მებრძოლებს გამოემშვიდობნენ და ჩოსოცარამ-  
თან ერთად გაიქცნენ ქალაქისაკენ.

ეს რა ამბავია?! ქუჩებში ტევა არ არის, სამხრეთიდან  
წრდილოეთისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მიედინება ზღვა-  
ხალხი. კიმ ირ სენის ქუჩა აქედან ისე მოჩანს, თითქოს ქუჩა  
კი არა, მდინარე იყოს.

აი ბაზარიც. შუა მოედანზე ბავშვებითა და ქალებით სავსე  
ავტომანქანა დგას. ორი ავტომანქანა კი უკვე დაძრულა და  
ქუჩისაკენ მიემართება.

ჩოსოცარამმა იმ გორი და კაი სუ ავტომანქანაზე დასხა და  
ჩელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა, როგორც ტოლებს.

ავტომანქანა თედონგანის სანაპირო ქუჩისაკენ გაემართა.  
რკინის ხიდს რომ მიუახლოვდნენ, ქალაქის თავზე ამერიკელებ-  
ის ორმოცამდე ბომბდამშენი გამოჩნდა. გაისმა ბომბების  
შემზარავი წივილი, აფეთქებათა გამაყრუებელი გრიალი. ავ-  
ტომანქანა შეჩერდა. ვილაცა ყვიროდა:

— ბავშვებო, ავტომანქანიდან ჩამოდით და გზისპირა  
თხრილში ჩაწექით.

იმ გორი და კაი სუ, რომლებიც ყველაზე უკან ისხდნენ,  
სხვებზე ადრე ჩამოხტნენ ავტომანქანიდან და გზისპირა  
თხრილში ჩაიმაღნენ. ორმა გოგონამ და ბავშვიანმა ქალმაც  
მოასწრეს ჩამოსვლა.

იმ გორის და კაი სუს თავზე შემზარავი გრიალი გაისმა,  
თითქოს ბომბი დაეცათო.

მცირე ხანს უძრავად იწვნენ, თვალის გახელაც კი ვერ გაე-  
ბედათ. თვალი რომ გაახილეს, ირგვლივ მაინც ვერა დაინა-  
ხეს რა, რადგან ყველაფერი კვამლში იყო გახვეული. ისმონდა  
დაჭრილი ბავშვების კენესა-გოდება; რომელიღაც ქალი ტირი-  
ლით გაჰკიოდა: ძმებო, მიშველეთ, დედა-შვილი ცუცხლში

ვიწვითო! ინ გორი და კაი სუ მკვირცხლად წამოხტნენ და ავტომანქანისაკენ გაიქცნენ. ზედ იმ ალაგას, სადაც ავტომანქანა იდგა, ერთმანეთში არეულიყო დამსხვრეული ავტომანქანის ნაწილები, მოკლულთა გვამები, მიწა და ქვა. პირქვე დაცემულ ქალს ცეცხლი ეკიდა, მისგან ერთი ხელის გაწვდენაზე კი ბავშვი იწვა გულალმა. ინ გორმა უმაღლ ბავშვს დაავლო ხელი, მაგრამ დედამ, ცეცხლით კი არა, შვილის დარდით გულდამწვარმა დედამ, ველარ გაიგო შვილის გადაარჩენა: სანახევროდ ნახშირადქცეული თავი ბავშვისაკენ გადაეხარა, ღიად-დარჩენილი თვალის გუგებში ატირებული შვილის სახე აღბეჭდოდა.

ბომბდამშენს უკვე მოესწრო შემობრუნება, დაბლა დასვებულიყო და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლს უშენდა ცოცხლად დარჩენილ ბავშვებს. ინ გორსა და კაი სუს ყურთან ტყვიებმა გაუზუზუნეს. ბავშვებმა შენიშნეს, რომ მათკენ სხვა თვითმფრინავებიც მოფრინავდნენ. ინ გორმა ერთი კი შესძახა კაი სუს, მომყევო, და ვიწრო ჩიხით გაიქცა თედონგანისკენ. კაი სუ უკან გამოედევნა. მეგობრებს ბავშვი რიგრიგობით მიჰყავდათ, მაგრამ ორივე მალე დაიღალა. როცა ამერიკელებმა ქალაქის დაბომბვა შეწყვიტეს, ბიჭები ერთი თანხის წინ შეჩერდნენ. ორივე ახლა სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე გაეჩუმებინათ ბავშვი.

— ნუ ტირი, პატარავ, ნუ ტირი! — ალერსით ეუბნებოდა ინ გორი ატირებულ ბავშვს და მკერდში იკრავდა.

მის ამ სიტყვებში ჩაქსოვილი იყო ბავშვისადმი უმანკო სიყვარული. კაი სუც ალერსით უსვამდა ბავშვს თავზე ხელს და თან ეუბნებოდა:

— ნუ ტირი, პატარავ, ნუ ტირი!

ბავშვი არ ჩუმდებოდა, ტიროდა და თან მხოლოდ ერთ სიტყვას ამბობდა:

—ომანი, ომანი.

მეგობრებს ფანზიდან ფანჯრის კაკუნი შემოესმათ. მოხუცი ქალი ხელს უქნევდა, შინ შემოდითო. ინ გორი და კაი სუ ფანზაში შევიდნენ. მოხუცის გარდა ოთახში არავინ იყო. მოხუცმა ინ გორს ბავშვი ჩამოართვა და მოეფერა. ბავშვმა რომ ქალის ხმა გაიგონა, გაიუმდა, თვალები გაახილა და გაოცებით შეხედა მოხუცს. მცირე ხნის შემდეგ ბავშვი ისევ ატირდა. მეგობრებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ; იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, ჩოსოცარამი მოენახათ და ყველაფერი გაეგებინებინათ. ბავშვი მოხუცს დაუტოვეს, თვითონ კი ბაზრისაკენ მოჰკურცხლეს. ბაზრის მოედანი დაცარიელებული იყო. ქალაქის სამხრეთიდან ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების გრიალი ისმოდა. ბავშვები მორანბონზე გაიქცნენ. უნდოდათ: გაეგოთ, თუ რა ხდებოდა ქალაქის სამხრეთით. მთაზე არავინ იყო. მეგობრები იმ თხრილში ჩასხდნენ, რომელიც ოციოდე მეტრით იყო დაშორებული საზენიტო ქვემეხის სანგარს. აქედან კარგად ჩანდა მთელი ქალაქი. სამხრეთით, რკინიგზის სადგურს გადაღმა, დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამერიკელებმა მძლავრი საარტილერიო მომზადება დაიწყეს. მტრის უთვალავმა ტანკებმა სახალხო არმიის თავდაცვითი ხაზის გარღვევა მოახერხეს. ამერიკელთა ტანკებს უკან ლისინმანელი ჯარისკაცები მოაბიჯებდნენ; მათ შორიახლო მოსდევდნენ ამერიკელები, რომელთაც ავტომატები ზურგში მოელერებინათ წინ მომავალი ლისინმანელებისათვის. ინ გორი და კაი სუ თვალს არ აშორებდნენ ქალაქის ქუჩებში ღრინაცვლით მიმავალ ამერიკელებს. ისინი მორანბონის მთაზეც ამოცვივდნენ. ხუთი ამერიკელი პირდაპირ ბავშვებისაკენ გამოეშურა.

ინ გორსა და კაი სუს შიშის ქრუანტელნა დაუაოა. ამერიკელები ტანის მოყვანილობითაც და სიარულითაც ერთმანეთს ჰგავდნენ. ხუთივე მაღალი იყო; წეროებივით წაგრძელებული კისრები მხრებში ჰქონდათ ჩაცვენილი; თვალებს საშინლად აბრიალებდნენ; წაკუზულები დადიოდნენ, თითქოს რაღაცას ეპარებინათ.

ამერიკელები ქვემეხის სანგართან შეჩერდნენ. ორმა მათგანმა ზურგიდან რადიომიმღები მოიხსნა და მის მომართვას შეუდგა, ორნი ღურბინდით ქალაქის ჩრდილოეთით იცქირებოდნენ, ერთს კი თვალები დაექყიტა და ირგვლივ ყველაფერს ათვალიერებდა. უცბად ერთმა ღურბინდიანმა ამერიკელმა უკანმიუხედავად ხმამაღალი ყვირილი მორთო. მის სიტყვებს რადიომიმღებთან მჭდარი ამერიკელი იმეორებდა.

ინ გორმა და კაი სუმ, მართალია, კარგად არ იცოდნენ ინგლისური ენა, მაგრამ ადვილად მიხვდნენ ამერიკელების ლაპარაკს: ისინი რადიოთი გადასცემდნენ ბრძანებას ცეცხლის გახსნის შესახებ.

მიგუკების შორიახლო რამდენიმე ყუმბარა აფეთქდა. თვალის დახამხამებაში ამერიკელები მიწას გაეკრნენ. ისინი განაბული იწვნენ და თავის მაღლა აწევას ვერ ბედავდნენ. სულ ცოტა ხუთი წუთი გავიდა, რაც მათ ახლოს ყუმბარა არ დატყემულა, მაგრამ ამერიკელები მაინც არ ინძრეოდნენ. გავიდა კიდევ ერთი-ორი წუთი. ერთმა ამერიკელმა, რომელიც საცოდავად მოკუნტულიყო და ნიკაპანდე ჩამოწეულ ჯაფხუტში მხრებთან ერთად მუხლისთავებიც კი შეემალა, ოდნავ აიწია ჯაფხუტი და ჩასისხლიანებული თვალებით გაიხედა ბლინდაჟისაკენ. სწორედ ამ დროს ყუმბარის წივილი გაიშვა. ამერიკელმა ისე სწრაფად შეჰყო ცხვირი ჯაფხუტში, თითქოს თავი სწორედ იქ იყო შექცეული.

ინ გორი და კაი სუ თვალს ადევნებდნენ ამერიკელების საცოდობას და სიხარულით ცას ეწეოდნენ. ერთი-ორი ყუმბარა მათ ახლოც გასკდა, მაგრამ ბავშვებს სულაც არ შეშინებიათ.

—ჩვენები ისვრიან, არ შეგეშინდეს!— ერთიმეორეს ეუბნებოდნენ ისინი და გუნებაში იმეორებდნენ ერთ და იმავეს: „კიდევ, კიდევ ისროლეთ!“

მართლაც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ყუმბარა სკდებოდა გარშემო. ოთხად მოკაკულმა ამერიკელებმა ბლინდაჟისაკენ მოჰკურცხლეს. ბლინდაჟთან უცბად შეჩერდნენ, შიგ შესვლა რატომღაც ვერ გაბედეს. შემდეგ თხრილისაკენ გამოიქცნენ.

ბავშვებმა ერთმანეთთან დალაპარაკებაც ვერ მოასწრეს, რომ თავს წამოადგნენ თვალეზღობრივად აღებული ამერიკელები. ჩამდენიმე ყუმბარამ სტვენით გადაუქროლა თხრილს. მიგუკები ფაციფუცით ჩაცვივდნენ თხრილში, ინ გორსა და კაი სუს მხრებსა და ფეხებში ჩაავლეს ხელი, ბრინჯით სავსე ტომრებივით გააქან-გამოაქანეს და მალლა ამოისროლეს.

ბავშვები თხრილიდან ათიოდე მეტრის მანძილზე იწვნენ. მათ გარშემო ყუმბარები სკდებოდა; შიშით ორივეს ეშინოდა. მაგრამ გულში მაინც ამას იმეორებდნენ: „ისროლეთ, კიდევ უფრო მეტი ისროლეთ, იქნებ და ერთი ყუმბარა მაინც ზედ თავზე დაეცეთ ამერიკელებს!“

როგორც კი შეწყდა სროლა, ინ გორმა მეგობარს თვალით ანიშნა გაქცეულიყო. კაი სუმ თანხმობის ნიშნად ორჯერ ზედიზედ ჩაუკრა თვალი. აი, წამოხტნენ კიდევ. მაგრამ ამერიკელებმა ავტომატებით ტყვია დაუშინეს.

—დაწექით!—ყვიროდნენ მიგუკები.

ბავშვები კვლავ მიწას გაეკრნენ.

ერთმა ამერიკელმა კისერში ხელი სტაცა კაი სუს და დაჩოქილი გაათრია ბლინდაჟისაკენ.

ინ გორი მათ გამოედევნა, აგურის ნატეხს წაავლო ხელი და, ის იყო ამერიკელისათვის თავში უნდა დაეშვა, რომ უკანიდან წამოპარულმა ამერიკელმა მასაც კისერში სტაცა ხელი და მთელი ძალ-ლონით რამდენიმეჯერ შიგ პირისახეში ჩასცხო მუშტი, თანაც ხრინწიანი ხმით წამოიძახა:

ერთი უყურეთ ამ ეშმაკის ფეხს, ესეც რომ კომუნისტი ყოფილა!

ამერიკელმა ინ გორს ხალათში ხელი სტაცა, უნდოდა მოეგლიჯა სამკერდე ნიშანი, რომელზედაც გამოსახული იყო კიმ ირ სენის სურათი. ინ გორმა მას კბილები ჩაავლო და ისე ძლიერ უკბინა, რომ ამერიკელი დაჭრილი დათვივით აღრიალდა. შემდეგ ინ გორი მალლა აიტაცა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მიწაზე დაანარცხა. პირქვეწაქცეულ ბავშვს ავტომატი დაუმიზნა, მაგრამ ამ დროს რომელიღაც ამერიკელმა დაუძახა:

—კაპრალ, ჯერ ნუ ესვრი! ეს ძაღლის ლეკვი ჩვენ დაგვჭირდება.

ინ გორს ახლა მეორე ამერიკელმა სტაცა კისერში ხელი და ბლინდაჟისაკენ გააქანა.

— ძაღლის ლეკვებო! ახლავე ჩადით ბლინდაჟში და იცეკვეთ, გესმით თუ არა! — უყვიროდა ბავშვებს სწორედ ის ამერიკელი, რომელიც რადიომიმღებით ცეცხლის გახსნის ბრძანებას გადასცემდა.

ეტყობოდა, იგი უფროსი იყო, რადგან დანარჩენები მას ბატონ კაპიტნად იხსენიებდნენ.

— გასაგებია,—უპასუხა პირველად კაი სუმ.



— შენთვის, გველის წიწილო? — დაუყვირა კაპიტანმა ინ გორს, რომლისთვისაც ამერიკელებს ისე მაგრად ჩაეელოთ ქორის ბრჭყალებივით ბასრი ფრჩხილები, რომ ბავშვს კისრიდან თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი.

— ჩემთვისაც გასაგებია, — უპასუხა ინ გორმა.

ამერიკელებმა ხელისა და წიხლის კვრით ჩაყარეს ბავშვები ბლინდაჟში.

ინ გორი და კაი სუ წინ და უკან დადიოდნენ ბლინდაჟში და თვალებით ერთიმეორეს რალაცას უჩვენებდნენ.

— იცეკვეთ! — დაიღრიალა კაპიტანმა.

— იცეკვეთ, იცეკვეთ! — იჭაჭებოდნენ სხვა ამერიკელებიც. მეგობრებმა ცეკვა დაიწყეს.

— გარშემო შემოუარეთ, ფეხი უფრო სწრაფად გაუსვით! — მხეცებივით ღრიალებდნენ ამერიკელები.

ინ გორმა და კაი სუმ რამდენიმეჯერ შემოუარეს ბლინდაჟს ცეკვით, ბავშვები ისე სწრაფად და ისე ყოჩაღად ხტოდნენ, რომ ამერიკელებისათვის სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა ის სიტუტხილე, რომელსაც ისინი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იჩენდნენ.

როცა ამერიკელები დარწმუნდნენ, რომ ბლინდაჟი დანადგული არ იყო, ბავშვებს დასტყვივლეს, მალლა ამოდითო.

ინ გორისა და კაი სუს მალლა ამოსვლისთანავე ბლინდაჟის შორიახლო რამდენიმე ყუმბარა გასკდა. შეშინებული ამერიკელები ბლინდაჟში ჩაცვივდნენ. ინ გორი და კაი სუ ჯერ ისევ ერთ ადგილზე იდგნენ, რომ ზედიზედ ოთხი აფეთქების ხმა გაისმა, ბლინდაჟის სახურავი ჩაინგრა და ირგვლივ ყველაფერი კვამლმა დაჰფარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეგობრები ისევ ბომბსათარში ისხდნენ და საუბრობდნენ.

— კაი სუ, იცი თუ არა შენ კრასნოდონელი ახალგაზრდა გვარდიელების შესახებ? — ჰკითხა ინ გორმა.

— როგორ არა. წელს მათ პატივსაცემად რაზმეულის შეკრებაც კი ჩავატარეთ.

— ხომ ხედავ, ამერიკელებმა ფხენიანი უკვე დაიპყრეს, მოდი, ჩვენც ასეთი გვარდია ჩამოვაყალიბოთ.

— თქმა კი ადვილია, მაგრამ გვარდიის შექმნა ძალიან გაგვიჭირდება.

— ვითომ რატომ?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ მათზე პატარები ვართ, მეორეც, იმიტომ, რომ მათ უფროსები ხელმძღვანელობდნენ, მე და შენ კი ისევ ძუძუმწოვარა ბავშვები ვგონივართ. ამ ორი დღის წინ ქალაქში ვიყავი, იქ ერთი არმიელი შემომხვდა, ვხედავ, მხარზე ორი ავტომატი ჰკილია, ახლოს მიველ და ჯარისკაცულად მივესალმე; ვუთხარი, ძია, რად გინდა ორი ავტომატი, რა იქნება, რომ ერთი მე მომცე-მეთქი. მას კი ჩემი ნათქვამი სიცილად არ ეყო. მეუბნება: ჯერ კარგად მიწაზე არც კი ჩანხარ და რა დროს შენი ავტომატია, უმჯობესია, ჩრდილოეთში გაემგზავრო და დედის კალთაში ტკბილად დაიძინო.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ მეგობრებმა გადაწყვიტეს, ჩოსო-ცარამი მოენახათ და მისგან რჩევა-დარიგება მიეღოთ.

მეორე დღეს, დილაადრიან, ისინი ქალაქში წავიდნენ.

ბიჭები ერთ ფანჯასთან შეჩერდნენ. ფანჯიდან მთვრალი ამერიკელების ყაყანი მოისმოდა. ერთი მათგანი ხმამაღლა ყვიროდა:

— დავლიოთ, დავლიოთ, ბატონებო! ომში ჯარისკაცისათვის მოღვაწია ღვინო. მადლობა ღმერთს, რომ ცუცუმცარებს\* შამპანურის მსგავსი ღვინო ჰქონიათ.

— ბრავო, ბრავო! — ტაშისცემით გაიძახოდნენ დანარჩენები.

მეგობრებმა ფანზას უკანა მხრიდან მოუარეს, რომ უფრო გარკვევით გაეგონათ ამერიკელების საუბარი.

იქ მათ ნაცნობი მოხუცი დაინახეს, იგი ცოცხალ-მკვდარს ჰგავდა, თვალებს ძლივს ახელდა. მის გვერდით კი ტყვიით წებლგახვრეტილი ბავშვი ეგდო.

მოხუცმა იცნო ბიჭები. ძალ-ღონე მოიკრიბა და ოდნავ ზეზე წამოიწია.

— წუხელ მიგუკები შემომიცივდნენ, — დაიწყო მოხუცმა, — ჩვენ ღერეფანში გამოგვყარეს და ოთახში თვითონ მოთავსდნენ. შუალამით ბავშვი ატირდა. მე ვაწყენარებდი მას, მაგრამ ვერაფრით ვერ შევძელი მისი გაჩუმება. ბავშვს შიმშილი ატირებდა, საჭმელი კი არსად იყო.

ამერიკელებმა ერთი ღრიანცელი მორთეს. მე ვერ გავიგე, თუ რას მეუბნებოდნენ ისინი. ბავშვი კი არ ჩუმდებოდა. უცბად ფანზის კარი გაიღო და მაღალმა ამერიკელმა, მკლავზე წარწერა\*\* MP რომ ჰქონდა, დამბაჩა დაახალა ატირებულ ბავშვს. ამის შემდეგ მეც და ბავშვიც წიხლების კვრით გარეთ გადმოგვაგდეს. მე უბედურს ბავშვი ცოცხალი მეგონა და, როგორც იყო, აქამდე მოვიყვანე, მაგრამ თქვენც ხომ ხედავთ, თუ რა უყვეს უსუსურ ბავშვს ამერიკელებმა.

---

\* კორეელებს.

\*\* სანხედრო პოლიციას ნიშნავს.

აქ მოსუცმა ღრმად ჩაისუნთქა და წყევლა-კრულვა გაუგზავნა ამერიკელებს. შემდეგ თვალები დახუჭა და მჭეტი აღარ გაუხელია.

ინ გორმა და კაი სუმ ქუჩაში მიმავალი კორეელი დაინახეს; იგი, ჯოხზე დაყრდნობილი, კოჭლობით მიდიოდა; ეს ჩოსოცარამი იყო. ბავშვები მას გამოედევნენ. ჩოსოცარამმა მათკენ მოიხედა და გაუღიმა. შემდეგ კი ბავშვებს ანიშნა, უკან გამომყევითო. ჩოსოცარამმა კიმ ირ სენის ქუჩა გადასჭრა და ფხენიანის მეორე სადგურისაკენ გაემართა; სადგურის მოედნიდან ვიწრო ქუჩისაკენ გაუსვია და ორსართულიანი სახლის ეზოში შევიდა. ინ გორი და კაი სუმ მას ფეხდაფეხ შეჰყვნენ.

მალე ჩოსოცარამი და ბავშვები პატარა ოთახში ისხდნენ. შათ გარდა იქ ორი სხვა უცნობი მამაკაციც იყო.

როცა ბავშვები მოჰყვნენ, რაც გადახდათ, ჩოსოცარამმა მათ ერთი სახლის მისამართი მისცა, იქ მოხუცი ქალი ცხოვრობს და ღამის გასათევად იმასთან მიხვალთო.

ბავშვებს უნდოდათ ეთქვათ, რომ მათ დამალვა კი არა, ამერიკელებთან ბრძოლა სწყურიათ, მაგრამ არაფერი უთხრეს, რადგან ჩოსოცარამმა სიტყვა ასე დააბოლოვა — ყოველთვის მზად იყავით, თუ საჭირო იქნებით, გამოგიძახებთო.

— მოდი, კაი სუმ, ის მაინც გავიგოთ, თუ რომელმა ამერიკელმა მოკლა ძუძუმწოვარა ბავშვი, — უთხრა მეგობარს ინ გორმა, როცა ისინი მოხუცი ქალის სახლისკენ მიდიოდნენ.

— ჰოდა რა, გავიგოთ. რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მივალთ მოხუცთან ღამის გასათევად თუ ცოტა ხნის შემდეგ, — უპასუხა კაი სუმ.

უკვე საღამო იყო. ქუჩებში მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცები დაეხეტებოდნენ. ისმოდა საცხოვრებელთა კარ-ფანჯრე-

ბის ლაწალუწი. ამერიკელები სახლებში ცვივდებოდნენ, მთელ ბარგი-ბარხანას აფორიაქებდნენ, კორეელ ადამიანთა ქონებით ტომრებს ავსებდნენ.

ინ გორი და კაი სუ ფანზამდე შეუმჩნევლად მივიდნენ. ფანზაში ხმაური აღარ ისმოდა. გაკვირვებულმა ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს. „ნუთუ წავიდნენ?“ — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს თვალებით.

ინ გორი ფანჯარასთან აცოცდა და ოთახში შეიხედა. ღვინით გაღებულ ამერიკელებს ტანისამოსი გაეხადათ, ონდოლზე დაყრილიყვნენ და პირდაღებული ხრიალებდნენ.

ინ გორი ფრთხილად მოსცილდა ფანჯარას და კაი სუს ყველაფერი უამბო.

ფანზის უკან, პატარა ბაღში, მაღალი ცოცხი იღვა, მეგობრები სწორედ ამ ცოცხში შექვრნენ და დაიწყეს მსჯელობა იმაზე. თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ფანზისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. იღბალზე კაი სუს ჯიბეში ასანთი აღმოაჩნდა. ახლა საჭირო იყო ნავთის ან ბენზინის შოვნა. ნავთს, როგორც ინ გორმა კაი სუს უთხრა, ბენზინი ბევრად სჯობდა. ბენზინის ამოღება კი შეიძლებოდა ფანზის კიბესთან მდგარ მოტოციკლიდან. ბავშვებმა თუნუქის ორჯამიანი იპოვეს. ინ გორი მოტოციკლთან მიიპარა, ბაკიდან გამოშვებული ბენზინით ორჯამიანი პირამდე აავსო და ბენზინი აივანზე მოასხა, კაი სუმ კი აივანს ცეცხლი წაუკიდა.

მეგობრები მეზობელ ფანზის ეზოში გადახტნენ, იქიდან მეორე ეზოში, შემდეგ ვიწრო ქუჩაში გავიდნენ და ჩქარი ნაბიჯით მოხუცი ქალის სახლისაკენ გაემართნენ.

ასლომახლო ქუჩებში ამერიკელებმა ერთი ღრიანცელი ატეხეს, ისინი ხმამაღლა ყვიროდნენ, ღრილებდნენ, ავტომატებიდან განუწყვეტლივ ისროდნენ, მაგრამ ყოველივე უშედეგო იყო. ფიცრულ ფანჯას ისე უცბად გაუჩნდა ცეცხლი, რომ ვერც ერთმა ამერიკელმა გარეთ გამოსვლა ვერ მოასწრო.

ბოკ ლიმის ფანჯა ასანთის ქარხნის მუშათა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლიდან ცოტა მოშორებით იდგა. ოთხმოცი წლის მოხუცი ბოკ ლიმი მარტო ცხოვრობდა. მას ქმარი ადრე დაედუპა. ქვრივობლით გამოზარდა ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც ომამდე სარივონში პარტიულ სამუშაოზე იყო. როცა ამერიკელებმა სარივონი დაიპყრეს, იგი მტრის ზურგში დარჩა პარტიზანად.

ბოკ ლიმი კეთილი ადამიანი გამოდგა, ბავშვებს თავი დაბუნა, ტანსაცმელი დაურეცხა. ინ გორს, რომელსაც მთლად დახეული ფეხსაცმელები ეცვა, ცოტათი ნახმარი ფეხსაცმელები უშოვა, კაი სუს კი ახალი ხალათი შეუკერა.

მეორე დღეს მოხუცთან თეთრბოხჩიანი უცნობი მამაკაცი მოვიდა, მან ბოხჩა ბოკ ლიმს დაუტოვა, ინ გორსა და კაი სუს კი ჩოსოტარამის მოკითხვა გადასცა და მაშინვე უკან გაბრუნდა.

ორი დღის შემდეგ უცნობი კვლავ მოვიდა. ამჯერად მან ტომარაში გახვეული ვედრო დასტოვა. ბავშვებს არ დაუნახავთ, თუ რა იყო ვედროში, მაგრამ მიხვდნენ, რომ მასში რაღაც მძიმე ნივთები ელაგა. ბოკ ლიმმა ტომარაში გახვეული ვედრო ონდოლის ქვეშ დამალა.

ერთ დღით რკინიგზელთა სახლთან ამერიკელების „ვილისი“ შეჩერდა. მასში ორი ოფიცერი იჯდა, ერთი მაიორი იყო, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი; შავი სათვალეები ეკეთა, ბრტყელი ქამარი ერტყა და ზედ ორი დამბაჩა ეკიდა.

შეორე კი კაპიტანი იყო. ისიც ორი დამბაჩით იყო შეიარაღებული; კიტელის მარჯვენა სახელო ნახევრად აკეცილი ჰქონდა, ალბათ, იმიტომ, რომ მკლავზე ტუშით დახატული სურათი გამოსჩენოდა—ვაშლისოდენა გული, რომელშიც ისარი იყო გატარებული; ისარს კი მთელ სიგრძეზე წარწერა ჰქონდა— „მოჰკალი, თუ გინდა იბატონო“. კაპიტანი ფიცარივით თხელი იყო და მაიორზე მთელი თავით დაბალი. მოკლე და დახლართული ფეხები ჰქონდა; მაიორი რომ ერთხელ გადააბიჯებდა, მას ორი ნაბიჯის გადადგმა უხდებოდა, ამიტომ იგი მაიორს ყოველთვის ხტუნვა-კუნტრუშით მისდევდა ხოლმე.

ოფიცრები რკინიგზელთა სახლში დადგნენ. თუმცა მათ ერთი ოთახი დაიკავეს, მაგრამ მცხოვრებლებს მთელი სახლი დააცლევინეს. სახლში კი ოცამდე ოჯახი ცხოვრობდა. პირველ დღესვე ამერიკელებმა მთელი უბანი შემოიარეს, ყველა ოჯახი გასინჯეს. ისინი ბოკ ლიმთანაც შევიდნენ. ინ გორსა და კაი სუს კუთხეში მოეკეცათ და ამერიკელებს თვალს არ აშორებდნენ. შესვლისთანავე მაიორმა დასჰყვივლა: ძაღლის ლეკვებო, როცა ოთახში ამერიკელები შემოდიან, ფეხზე უნდა აღგეთო. კაპიტანმაც უმაღვე მაიორის ნათქვამი გაიმეორა, იმ განსხვავებით, რომ დაუმატა, ამას მოითხოვს ამერიკული ზნე-ჩვეულებაო. ბავშვებმა გაგებით კი გაიგეს, თუ რას მოითხოვდნენ ამერიკელები, მაგრამ თავი ისე დაიპირეს, ვითომ ვერა გაიგეს რა. ინ გორი და კაი სუ არ დგებოდნენ. ისინი უძრავად ისხდნენ და ამერიკელებს დამცინავი ღიმილით შესცქეროდნენ. ალბათ, კაპიტანზე იცინოდნენ, მაიორის ყოველ სიტყვას და ყოველ მოძრაობას რომ იმეორებდა. უყურე, ეს გველის წიწილები დაგვცინიან კიდევცო, დაიღრიალა მაიორმა. უცბად ინ გორს ყურებში სტაცა ხელი და ისე

ლონონიერად ასწია, რომ კინალამ ორივე ყური ააგლიჯა. კაპიტანი კი კაი სუს ეძგერა და ყურების აწევით ფეხზე წამოაყენა. მაიორმა ბავშვებს დაუდრიალა: „აი, ასე ფეხზე ადგომით უნდა შეხვდეთ ყველა ამერიკელს, სულ ერთია, ოფიცერი იქნება თუ ჯარისკაცი!“ ამერიკელებმა ბავშვებს ყურებზე ხელი გაუშვეს თუ არა, ერთმაც და მეორემაც მაშინვე ონდოლზე მოიკეცეს. ამერიკელები ხელმეორედ ეცნენ ბავშვებს და ყურების აწევით ფეხზე წამოაყენეს, მაგრამ, როგორც კი ხელი გაუშვეს, ისინი ისევ ონდოლზე დასხდნენ. ამერიკელებმა თითქმის ხუთჯერ ააყენეს ბავშვები ძალით, ბევრსაც დაემუქრნენ, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ გააჩერეს. მიგუჯებმა ამ ჯიუტობისათვის იმ გორსა და კაი სუს თითო სილა სტკიცეს და ლანძღვა-გინებით ფანჯა დასტოვეს.

ამერიკელების გასვლისთანავე ბოკ ლიმი ბავშვებს შეეკითხა — რატომ გაჯიუტდით და ფეხზე არ დადექითო.

— ეს სახლი ამერიკელებისა კი არა, ჩვენია. ისინი სახლში ძალით შემოგვეჭრნენ და ფეხზე ადგომით, აბა, რად უნდა შევხვედროდით, — უპასუხეს ბავშვებმა. ამის შემდეგ მეგობრები ამერიკელებს პირისპირ აღარ შეხვედრიან. ისინი დილიდან საღამომდე ოთხ კედელშუა ისხდნენ, ხანდახან კი ფანჯრის სახურავზე აღიოდნენ, ქუჩებში მოსიარულე ამერიკელებს უთვალთვალებდნენ. სულ იმის ლაპარაკში იყვნენ, რომ ამერიკელი ოფიცრებისათვის როგორმე სამაგიერო გადაეხადათ. ვინ იცის, როგორ გეგმებს არ ადგენდნენ. კაი სუ იმასაც კი მოითხოვდა, რომ ღამით ჩკინიგზელთა სახლის ეზოში გადამძვრალიყვნენ და მძინარე ამერიკელებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, რადგან ოფიცრებს ეზოსთან გუშაგები ეყენათ. ერთხელ კაი სუმ მეგობარს ისიც უთხრა, ძალიან მომწყინდა აქ ჯდომა, მოდი, გავიპაროთო.



ინ გორი არ დაეთანხმა, ჩოსოცარამის მოტყუება როგორ შეიძლებაო. მეგობრები ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ მათთან ჩოსოცარამი მოვიდა. ბავშვები ონდოლიდან წამოხტნენ და კარებთან შეეგებნენ ოთანში შემოსულ ჩოსოცარამს.

— ბავშვებო, — მიმართა ჩოსოცარამმა მეგობრებს, — აი ახლა დაგვჭირდა თქვენი თავი. მართალია, ჯერ პატარები ხართ, მაგრამ იმედი გვაქვს, ამ საპასუხისმგებლო დავალებას შეასრულებთ: ამ საღამოთი ქალაქის ქუჩებში პროკლამაციები უნდა გააკრათ. პროკლამაციებში სწერია, რომ განსაცდელში მყოფ კორეელ ხალხს მხარში ამოუდგნენ დიდი ჩინელი ხალხის გმირი მოხალისეები, რომელთა დახმარებით სახალხო არმიამ მთელ ფრონტზე შეტევა დაიწყო და ოკუპანტთა ჯარებს უკვე არა ერთი დამარცხება აგემა. რას გაჩუმებულხართ, ხომ შესძლებთ ამ დავალების შესრულებას?

— შევძლებთ, როგორ არ შევძლებთ! — მკვირცხლად უპასუხეს გახარებულმა ბავშვებმა.

ბოკ ლიმმა ონდოლის ქვეშიდან ბოხჩა ამოიღო. ჩოსოცარამმა ბოხჩა გახსნა, ბავშვებს ას-ასი პროკლამაცია გადასცა და თან დაარიგა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. დაუსახელა ის ადგილები, სადაც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პროკლამაციების გაკერა. კაი სუს პროკლამაციები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში უნდა გაეკრა, ხოლო ინ გორს თედონგანის მარჯვენა მხარეს.

თედონგანზე გადასვლა ინ გორს ნავით მოუხდებოდა, რადგან მდინარეზე ერთი ხიდილა იყო მთელი და მასზეც ამერიკელი გუშაგები კორეელებს ფეხს არ ადგმევინებდნენ. პროკლამაციების გაკერის შემდეგ ინ გორი მდინარეს იმავე ნავით გადმოსცურავდა.

მოსაღამოვებისას, როცა შენობათა ჩრდილები გადაეფინა ქუჩებს, თავისუფლების მოედანზე გამოჩნდა პატარა ბიჭი, რომელსაც გრძელი პიჯაკი ფეხებში ჩასთრევდა. ეს იყო კაი სუ. პიჯაკს უკანა კალთაზე მიკერებული ჰქონდა დიდი ჯიბე, რომელშიც ორად გადაკეცილი პროკლამაციები ელაგა. პიჯაკის გარეთა ჯიბეში წებოთი სავსე პატარა ბოთლი ედგა.

ქუჩაში ჩვეულებრივზე უფრო დიდი მოძრაობა იყო, აქეთ-იქით განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა ავტომანქანები. კაი სუმ ადვილად შეამჩნია, რომ სამხრეთით მიმავალი მანქანები დატვირთული იყო; რაღა არ ელაგა მათზე: ბრინჯით სავსე ტომრები, დაკლული ძროხები, ცხვრები, ღორები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ლოგინი, ქვაბები, ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები. ჩრდილოეთით მიმავალი ავტომანქანები კი ცარიელი იყო.

კაი სუს რამდენიმე დიდმა დახურულმა ავტომანქანამ ჩაუქროლა. მათში კორეელები ისხდნენ. კარგად გაიგონა მათი გულსაკლავი ქვითინი, ხმამაღალი ყვირილი. ისინი შველას თხოულობდნენ.

ავტომატმომარჯვებული ამერიკელი ჯარისკაცები შუა ქუჩაში ისე დარბოდნენ, გეგონება, უკან მისდევთ ვინმეო. ზოგი მათგანი მცხოვრებლებს ბინაში ძალით უვარდებოდა. ზოგი დუქნის დახურულ დარაბებს ამტვრევდა, ზოგიც ქუჩაში გამოსულ კორეელებს გინებითა და წიხლის ცემით სადღაც მიერეკებოდა.

კაი სუ ისე მიაბიჯებდა, ვითომ არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. მის მიხვრა-მოხვრაში, ყოველ მოძრაობაში ბავშვური გულუბრყვილობა გამოსჭვიოდა. როცა წინ ამერიკელები შემოხვდებოდნენ, იგი მათკენ ორთავე ხელს გაიშვერდა, მო-

წყალებას თხოულობდა. აბა, რომელი ამერიკელი მისცემდა მოწყალებას! ისინი მას ზედაც არ უცქეროდნენ. თუ ვინმე შეჩერდებოდა, უფრო იმიტომ, რომ მისთვის თვალები დაებრიალებინა და ზედ სახეზე ან გამოშვერილ ხელებზე მიეფურტხებინა. როგორც კი ამერიკელები მოსცილდებოდნენ, კაი სუ უმალ ჩოსოცარამის მითითებულ ალაგას ამოყოფდა თავს და პროკლამაციებს მარჯვედ აკრავდა. უკვე ბნელოდა, როცა ასივე პროკლამაციის გაკვრას მორჩა. ის მაშინვე ბოკლიმის სახლისაკენ წავიდა, რადგან ჩოსოცარამს ნათქვამი ჰქონდა, რომ კაი სუს ღამე ისევ მოხუცთან უნდა გაეთენებინა.

ინ გორი კი მეთევზე ინ ბოსთან ერთად ნავით თედონგანის მარჯვენა ნაპირზე მიცურავდა. ინ ბო შუა<sup>1</sup>ხანს გადაცილებული კაცი იყო, განიერი მხარბეჭი და მსხვილი მკლავები ჰქონდა. ხელში მხოლოდ შუაზე გადატეხილი ერთი ნიჩაბი ეჭირა, მაგრამ ისე მარჯვედ და ისე მოხერხებულად უსვამდა, რომ ნავი სწრაფად აპობდა ზღვის მოქცევის შედეგად თედონგანის აშლილ ტალღებს. სულ რაღაც ხუთ წუთს მოუნდნენ თედონგანის გადაცურვას. ინ ბომ ბევრი რამ საინტერესო უამბო ინ გორს. მაგალითად, უთხრა ის, რომ, რაც ამერიკელებმა ფხენიანი დაიბყრეს, თედონგანში თევზი გაწყდა, რადგან მათ მრავალჯერ მოწამლეს ეს მდინარეო. ეს კიდევ არაფერი, ამერიკელებმა თედონგანიც მთლად წაბილწესო. რაც თავი მახსოვს, ეს მდინარე ასეთი მღვრიე არასოდეს ყოფილაო.

— ნუთუ თედონგანი აღარ დაიწმინდება? — შეეკითხა ინ ბოს ინ გორი.

— თედონგანი მაშინ დაიწმინდება, როცა ჩვენს სამშობლოში შემოჭრილ ამერიკელებს ამ მდინარის ამღვრეულ ტალღებში ჩავახრჩობთ, — უპასუხა ინ ბომ.

ისინი ამ ლაპარაკით მიადგნენ თედონგანის მარჯვენა ნაპირს. ინ ბომ ნავი რიყეზე ამოაცურა და ბუჩქის ძირზე თოკით გამოაბა. ნაპირს მსხვილ ზოლად ბუჩქები ეკრა. აქ ომამდე ათასობით წყლის ფრინველი ბუდობდა. საღამ-საღამობით ფრინველები ტკბილად გალობდნენ. ახლა კი დადუმებულ ბუჩქებში ქარი დასისინებდა. ინ ბო და ინ გორი ბუჩქებში შევიდნენ და გარემოს თვალი მოაველეს. როცა დარწმუნდნენ, რომ ახლომახლო არავენ იყო, ინ გორი ქალაქისაკენ გაემართა, ხოლო ინ ბო მდინარის ამალგებულ ნაპირზე ჩამოაჯდა და გრძელი ლერწმის ჯოხზე გაკეთებული ანკესწყალში ჩაუშვა. ის ინ გორს აქ უნდა დალოდებოდა.

ცენტრთან შედარებით თედონგანის მარჯვენა მხარეს ამერიკელები ცოტანი იყვნენ. ალბათ, იმიტომ, რომ აქ უფრო მეტი ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა. ცხადია, ამერიკელები აქ შესაფერის ბინებს ვერ გამონახავდნენ და, რაც მთავარია, ღარიბ მოსახლეობას ბევრს ვერაფერს წაართმევდნენ.

ინ გორისათვის ეს ადგილი ნაცნობი იყო. მან ზეპირად იცოდა ყველა ქუჩა თავისი ჩიხებითა და შესახვევებით. ის მოხერხებულად უძვრებოდა ქუჩაში მოსიარულე ამერიკელ გუშაგებს და პროკლამაციებს თვალსაჩინო ალაგას აკრავდა. საათ-ნახევარში მთელი ქუჩები შემოირბინა, ასივე პროკლამაცია გააკრა. როცა ინ გორი თედონგანისკენ გაემართა, მზე უკვე ჩასასვლელს იყო, მისი ოქროსფერი სხივები ქალაქის სამხრეთით ამართული მთების მწვერვალებს ეთხოვებოდნენ.

ნაპირიდან ოციოდე მეტრის მოშორებით ინ გორს ამერიკელების ლაპარაკი შემოესმა. ის უმაღლე ბილიკიდან მარცხნივ გადახტა და ბუჩქებში შეიმალა. ყური მიუგდო, დარწმუნდა, რომ ამერიკელები სწორედ იმ ალაგს ლაპარაკობდნენ, სადაც მათი ნავი იდგა. დროდადრო ქალების ლაპარაკი და სიცილ-

ბოხითიც ისმოდა. მცირე ხანს დაელოდა, იქნებ ინ ბოს ხმაც გავიგონოო. მაგრამ ინ გორს ხმის ნაცვლად ადამიანის ხშირი სუნთქვა და კვნესა-გოდება შემოესმა. „ნუთუ ეს ინ ზოა?“ გაიფიქრა მან. პირქვეგაწოლილი ნაპირისაკენ გაბოჭდა, სულ მალე ბუჩქები შეთხელდა და, აი, რა სურათი დაინახა: რკინიგზელთა სახლში მცხოვრები ამერიკელი ოფიცრები ინ ბოს თოკით ნერგზე აბამდნენ. მისუსტებულ ინ ბოს საფეთქლიდან სისხლი ჩამოსდიოდა. ცოტა მოშორებით კი ორი ამერიკელი ქალი იდგა. ისინი შოკოლადს ჭამდნენ და უდარდელად კისკისებდნენ. ინ ბოს ნერგზე მიბმას მორჩნენ თუ არა, ოფიცრებმა დამბაჩები იძრეს.

ამის დანახვაზე ბიჭს გული აუფრიალდა, მიხვდა, რომ ამერიკელები ინ ბოს ხვრეტდნენ. „წამოვხტები და ოფიცრებს ქეებს დავაყრი“, უცბად გაიფიქრა, მაგრამ უმაღვე შესცვალა ეს გადაწყვეტილება: ვერც ინ ბოს ვუშველი რამეს და ჩემ თავსაც დავლუპავო. თვალები დახუჭა, რომ მას არ დაენახა, თუ როგორ დახვრეტდნენ ამერიკელები ინ ბოს. სუნთქვაშეკრული ელოდა დამბაჩის გასროლას. გავიდა რამდენიმე წამი, მაგრამ დამბაჩები არ გავარდნილა. ინ გორმა თვლა დაიწყო თვლიდა ნელ-ნელა, ყოველი რიცხვის შემდეგ ჩერდებოდა, ვგონა, დამბაჩა გავარდებოდა. წამები მას დიდ დროდ ეჩვენებოდა. ათამდე რომ დათვალა, ვეღარ მოითმინა და თვალი გაახილა. ამერიკელებს დამბაჩები ქალებისათვის გადაეცათ. კაპიტანს ხელი ინ ბოსაკენ გაეშვირა, თანაც ილრიჯებოდა.

— ლამაზებო, ხომ ხედავთ, თქვენ წინ ცოცხალი ნიშანია. რომელი თქვენგანიც მას შიგ შუბლში მოახვედრებს, ის იქნება ამერიკის ღირსეული ქალიშვილი.

— ბატონო ოფიცრებო, განა არ ემჯობინება, მდინარეში შევცურდეთ და იქიდან ვესროლოთ? — პრანქვა-გრენით ამბობს ამერიკელი ქალი და ხელში დამბაჩას ათამაშებს.

— დიდებულია, დიდებულზე დიდებული! — უწონებს მაიორი და მოფერებით ქალს ლოყაზე ხელს ურტყამს.

— როზა, შენ პოეტი ხარ, ნამდვილი პოეტი! — თავის მხრივ გაიძახის კაპიტანი, — ეს ხომ ულამაზესი სცენა იქნება, დასამახსოვრებელი. ტალღებზე მოქანავე ნავში იდგე. გრილი სიო სახეში გიბერავდეს და შენ კი დამბაჩას ესროდე ამ შავ ეშმაკს. დიახ, ეს ლამაზია, დიდებული და, მე ვიტყვოდი, პოეტურიც. — მაიორი და ქალები ნავში ჩასხდნენ. რაკილა მაიორი ჩაჯდა, კაპიტანსაც უნდოდა ნავში ჩამჭდარიყო, მაგრამ მაიორმა მას თოკზე მიუთითა. რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯერ ეგ მოხსენიო.

ამერიკელების ნავი ინ ბოს ნავის გვერდით იდგა და ისიც ჯირკზე იყო გამობმული. კაპიტანი ჯირკთან მივიდა და თოკის მოხსნა დაიწყო.

ინ გორს ჯიბეში საკეცი დანა ედო. ეს იყო ერთადერთი ნივთი, რომელიც მას მამის სამახსოვროდ ჰქონდა. დანა ამოიღო, გაშალა და ინ ბოსაკენ სწრაფად გახობდა. ვიდრე კაპიტანი თოკს შეხსნიდა, ინ გორი ნერგამდე მიცოცდა.

ეტყობოდა, ინ ბო მიხვდა. რომ მისკენ ვილაც მიხობავდა, მან უკან მოიხედა, მაგრამ მიწაზე გაკრული ინ გორი ნერგს იყო ამოფარებული და ვერ დაინახა.

ბიჭი მუხლისთავეებზე წამოჯდა. მარჯვედ დაიწყო თოკის გაკრა, თანაც ხმადაბლა ამბობდა: „ძია ინ ბო, ეს მე ვარ, ინ გორი“. ამერიკელებს ინ ბო მსხვილი თოკით მიემათ ნერგზე, მაგრამ დანა საკმაოდ მჭრელი იყო და ინ გორს სულაც არ გაძნელებია ოციოდე წამში თოკის სამ ალაგას გადაჭრა.

ინ ბომ, როგორც კი ხელ-ფეხში თავისუფლება იგრძნო, ერთი კი გადახედა თედონგანში ნაერთ შეცურებულ ამერიკელებს და თვალის დახამხამებაში ინ გორთან ერთად ბუჩქებში შეიმალა.

ინ ბო და ინ გორი ბუჩქებში მიჰქროდნენ. ინ ბომ გაქცევისთანავე თავის პერანგს ბოლო მოახია და კრილობა შეიხვია. იგი პატარაობიდანვე თედონგანზე თევზაობდა და, როგორც საკუთარი ხუთი თითი, ისე კარგად იცოდა ეს დიდი მდინარე თავისი შენაკადებითა და ატეხილი ქალებით. ამასობაში ჩამობნელდა. ინ ბოს მაინც არ უძნელდებოდა გზის გაგნება. ის წინ მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ინ გორი კი უკან მისდევდა სირბილით. ინ ბო ქალაქიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, თავის მიტოვებულ ქოხთან შეჩერდა. გადაწყვიტეს, აქ გაეთენებინათ ღამე. მოლლილ-მოქანცულებმა ტანისამოსი გაიშრეს, ბუჩქებში გამოგლეჯილი ხმელი ბალახი ქოხში გაშალეს და წამოწვნენ.

— შენ, ალბათ, გაინტერესებს, თუ რატომ უნდოდათ ამერიკელებს ჩემი დასჯა, — მიმართა ინ გორს მეთევზემ, — ისინი როცა ნაპირზე გადმოვიდნენ, მე თავის დაკვრით მივესალმე.

— აქ რას აკეთებ? — თვალის დაბრიალებით შემეკითხა მაიორი.

— ვთევზაობ, ბატონო ოფიცერო, — ვუპასუხე მე.

— ახლავე ძირს დაწეკი, გესმის, ახლავე ძირს დაწეკი! — დაიღრიალა მაიორმა და ერთის მაგივრად ორი დამბაჩა დამიმიზნა.

კაპიტანიც დამბაჩას ატრიალებდა და თან მიყვიროდა:

— ვიცი, შე ეშმაკო, რა ვაჟბატონიც ხარ, მეთევზედ თავს ასალებ, ნამდვილად კი ამერიკელებზე ნადირობ. გუშინ სწო-

რედ 'შენისთანა შეთევვნემ ჩვენი ორი გუშაგი სიცოცხლეს გამოასალმა. დაწევი, თორემ გესვრი, ყრუ ხომ არ ხარ, დაწევი ცარიელი ხელით რას გავხდებოდი ორ-ორი დამბაჩით შეიარაღებულ ოფიცრებთან, მეც დავწევი.

კაპიტანმა ჩემთან მოიბრძინა. ვიფიქრე, ჩემი გაჩხრეკა თუ უნდა-მეთქი. მან კი მოულოდნელად დამბაჩა შიგ საფეთქელში დამცხო, მერე უცბად ფეხებში ხელი მტაცეს და ნერგთან სიმათრიეს. ამის შემდეგ რაც მოხდა, ეს, ალბათ, შენც დაინახე.

— დავინახე, — უპასუხა ინ გორმა.

ბოკ ლიმი და კაი სუ ამ ღამით ინ გორს გვიანობამდე ელოდნენ. შუალამე იქნებოდა, როცა ისინი ტანსაცმელგაუხდელი ონდოლზე დაწვნენ. კაი სუს ინ გორზე ფიქრმა ძილი დაუფრთხო. ნუთუ ინ გორს რაიმე შეემთხვა! იქნება ამერიკელებმა შეამჩნიეს და დააპატიმრეს. ვაითუ ინ გორს ახლა სტანჯავენ; ის კი, მისი ყველაზე უახლოესი მეგობარი, ონდოლზე წამოწოლილა და მშვიდად ისვენებს.

კაი სუმ თვალი მხოლოდ გათენებისას მოატყუა. დილით, გამოეღვიძა თუ არა, ფეხზე წამოხტა და სადღაც მოპკურცხლა. სახლში მხოლოდ შუადღისას დაბრუნდა. სახეზე მთლად შეცვლილიყო, ყვითელი ფერი დასდებოდა, თვალები ჩასცვენოდა. დადიოდა უხალისოდ, წელში ოდნავ მოხრილი, ბექის ძელები შესამჩნევად ამოზნექოდა. ბოკ ლიმი ბევრს ეხვეწა, ისადილეო, მაგრამ კაი სუმ პირში ლუკმაც არ ჩაიდო. აუტანელი იყო მისთვის მარტობა, უძნელდებოდა უინგოროდ ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ ბოკ ლიმმა არა ერთხელ უთხრა, შვილო, კაი სუ, ფეხი არსად გასდგაო, მან მოხუცს არ დაუჭერა და კვლავ სადღაც გაიპარა. სწუხდა ბოკ ლიმი. მას ყველაზე მეტად ის აფიქრებდა, ვაითუ ამერიკელებმა ბავ-



შვზე ექვი აილონ და ხელი სტაცონო. მოხუცს ინ გორის დაბრუნების იმედი კიდევ ჰქონდა. ამ დილით ჩოსოცარამისაგან მოსულმა კაცმა უთხრა, რომ ინ გორს გუშინ საღამოს პროკლამაციები ამერიკელების შეუმჩნეველად გაუყარეს და თედონგანის ნაპირისაკენ წასულაო. ამის შემდეგ თუ რა შეემთხვა, არავინ იცოდა.

ბოკ ლიმი იცნობდა ინ ბოს, როგორც მამაც და გამბედავ მეთევზეს. მას სჯეროდა, რომ ინ ბო ყოველ გაჭირვება-განსაცდელისაგან თავს დააღწევდა. კაი სუ იგვიანებდა. მოხუცმა სად არ ეძება, ვილას არ ჰკითხა, მაგრამ კაი სუს შესახებ ვერაფერი გაიგო. უკვე ლამის თორმეტი საათი იყო, კაი სუ კი არ ჩანდა. უიმისოდ ბოკ ლიმს, აბა, რა დააძინებდა. იგი სახლის აივანზე იდგა და ქუჩის ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს გასცქეროდა. უცბად მეზობლის ეზოდან ვილაც გადმოხტა, ეს კაი სუ იყო. ბოკ ლიმი წინ შეეგება კიბეზე მომავალ ბავშვს. ინ გორი ხომ არ მოსულაო, იკითხა კაი სუმ. ბოკ ლიმმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ბავშვი მკერდში ჩაიკრა. ასე იდგნენ ისინი ერთ ხანს და ორივენი ტიროდნენ, თუმცა ერთიც და მეორეც ცრემლების დამალვას ცდილობდა.

ბოკ ლიმის შეკითხვაზე, თუ სად იყო აქამდე. კაი სუმ, აი. რა უამბო:

— შუადღისას უკან ბალჩაში შევედი და ნუმს კენწეროზე მოვექეცი. აქედან ვუთვალთვალე ბდი ქუჩაში მოსიარულე ამერიკელებს. ერთიც ვნახოთ, ასანთის ფაბრიკის წინ ორი ავტომანქანა შეჩერდა; ერთში, რკინიგზელთა სახლში რომ ცხოვრობენ, ის ამერიკელები ისხდნენ, ხოლო მეორეში — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი იაპონელები. ერთი იაპონელი სხვებზე დაბალი იყო და დიდი ღიპით ყველასაგან გამოირჩეოდა. იგი თითქოს მეცნობოდა, სადღაც მენახა. და-

კაცქერდი, დავაკქერდი და რას ვხედავ, ეს ხომ იაპონელი მეფაბრიკე იყო, რომელიც კორეის განთავისუფლებამდე ამ ფაბრიკას ისაკუთრებდა. ამერიკელებმა ავტომანქანიდან ჩამოსვლისთანავე სწორედ ამ მეფაბრიკეს დაუწყეს ხელების ქნევით ლაპარაკი. იაპონელი კისერწაგრძელებული უსმენდა. თანაც დროდ-დრო დიდი წვალეებით (მუცელი ხელს უშლიდა) მუხლებამდე თავსა ხრიდა.

ძალიან მინდოდა მათი ლაპარაკი მომესმინა. ნუშიდან ჩამოვხტი, ფაბრიკის მესერის გასწვრივ ძეძვებში შევძვერი და მუცელზე ხოხვით შუა ეზოში გაჩერებულ ამერიკელებს და იაპონელებს მივუახლოვდი.

შავსათვალეებიანი მაიორი ფეხებგათაფხული იდგა, იაპონელი მეფაბრიკესათვის მოვრალივით ორივე ხელი მხრებში ჩაევლო და წამდაუწუმ აჯანჯლარებდა, თანაც დედაკაცის ჩახლეჩილი ხმით უყვიროდა:

— შესძლებ თუ არა რამდენიმე დღეში ფაბრიკის ამუშავებას? მისი სახელწოდება ისევ ასანთის ფაბრიკა იქნება. მაგრამ ასანთის მაგივრად ქურვებს გამოუშვებს.

იაპონელი მეფაბრიკე ამერიკელს წინ ყურებდაცქვეტილი იდგა, ხელები ფინია ძალღივით მალლა ჰქონდა აშვერილი, კისერი წაეგრძელებინა და კბილების კრეკით ეუბნებოდა:

— შევძლებ, ბატონო, შევძლებ.

ამერიკელები ქარხნიდან მალე წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იაპონელებით სავსე სატვირთო ავტომანქანა მოვიდა. მათ სამხედრო ტანსაცმელი ეცვათ. ზოგი მათგანი შეიარაღებული იყო. მეფაბრიკე მათ ქიშკართან ხელებგაშლილი შეეგება.

იაპონელებმა შესასვლელთან გუშაგები დააყენეს; მთავარი საამქროსა და საწყობის კარი ძალაყინებით შეამტვრიეს და შიგ შეცვივდნენ.

დრო ვიხელთე, ღობიდან გამოვძვერი და ჩოსოცარამისაკენ მოვეკურცხლე. ჩოსოცარამს ყველაფერი ვუამბე. ის ყურადღებოთ მისინდა. ამბის მოყოლას რომ მოვრჩი, მითხრა: ახლავე სახლში დაბრუნდი და დაუკითხავად ქუჩაში აღარ გამოხვიდეო. მეც ავდექი და წამოვედი. ისევე ქარხანას ჩამოვუარე; ჭიშკრის თავზე ამერიკელებს თავიანთი დროშა გადმოეკიდათ. სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ ზედ ამ ალაგას თავისუფალი კორეის სახელმწიფო დროშა ფრიალებდა. ახლა კი გულმავერ მომითმინა, ჭიშკარს მიეუახლოვდი, მინდოდა დროშა ჩამომეგლიჯა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო — იქ იაპონელი გუშაგი იდგა. სხვა რა გზა იყო, ჭიშკარს მოვცილდი; უცბად ერთი რამ გამახსენდა: მე და ინ გორმა, როცა ამერიკელები ფხენიანში შემოიჭრნენ, საბავშვო სახლის წინ დროშა ვიპოვეთ. დროშის ტარი შუაზე იყო გადატეხილი, ამიტომ ტარს დროშა შევხსენით და ერთი კლდის ძირას შევიწინახეთ. ამის გახსენებისთანავე მორანბონისაკენ გავიქეცი, ადვილად მოვნახე ეს კლდე, დროშა ხელუხლებელი დამხვდა, ჩავიდე უბეში და უკან გამოვბრუნდი.

ფაბრიკასთან რომ მოვედი, უკვე ბნელოდა, ისევე ძეძვში შევძვერი. იაპონელები ქარხნის ეზოში დაეხეტებოდნენ. მცირე ხანს ვიწექი უძრავად. როცა იაპონელები ოთახებში შევიდნენ, მავთულის მესერზე გადავხტი და ფაბრიკის საკვამლე მილისაკენ გავიქეცი. მილის ძირას შევჩერდი და აქეთ-იქით დავიწყე ცქერა.

ახლომანლო არც ერთი სამურაი არ ჩანდა. საკვამლე მილს წვრილი რკინისაგან გაკეთებული საფეხურები ჰქონდა. საფეხურებს ხელი ჩავკიდე და ასვლა დავიწყე. მილის თავამდე ხუთიოდე მეტრილა მაკლდა, რომ საფეხურები გამოილია. მილს ახლა მხოლოდ მრგვალი რკინებილა ჰქონდა მსხვილი

ლურსმნეებით შერკობილი. გადავწყვიტე, რაც იყოს იყოს, ამაზეც უნდა ავიღე-მეთქი, და მართლაც ავედი.

მიღს რომ თავზე მოვექეცი, ძირს გადმოვიხედე და ისე შემეშინდა, კინალამ გული საგულიდან ამომივარდა. როცა საკვამლე მიღს ძირიდან ვუცქეროდი, არც თუ ისე მაღალი მეგონა, მაგრამ ახლა კი თვალები ისე ამიჭრელდა, რომ ძირს ვერაფერი დავინახე. ხელ-ფეხი ამიკანკალდა და ცოტა გაწყდა, ძირს არ ჩამოვევარდი. ამის შემდეგ დაბლა აღარც გადმომიხედავს, უბიდან დროშა ამოვიღე და საკვამლე მიღის თავზე აშვერილ რკინის ჯოხს გავუკეთე. მართალია, წყნარი ღამე იყო, მაგრამ მაღლა ქარი მაინც ქროდა. დროშა იმწამსვე გაიშალა და საამოდ აშრიალდა. ჩამოსვლით უფრო ადვილად ჩამოვედი. ეზო გამოვირბინე, მესერზე გადმოვხტი და, აი, სახლში უვნებლად მოვედი.

— შვილო, კაი სუ, რამ გაგაბედინა საკვამლე მიღზე ასვლა, ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე—უფროსების დაუკითხავად არაფრის გაკეთება არ შეიძლება! — უთხრა ბოკ ლიმმა.

იმ ღამით კაი სუს ძლივს ჩაეძინა. მტრედისფრად ინათა თუ არა, ფეხზე წამოხტა. ადგა ბოკ ლიმც.

ყვითელ ზღვაზე ღრუბლები აშლილიყო. ჩრდილოეთისაკენ მქროლავი ქარი ასანთის ფაბრიკის საკვამლე მიღზე ლაღად აშრიალებდა ლურჯზოლიან წითელ დროშას — გმირი კორეელი ხალხის თავისუფლებისა და ერთიანობის დიად სიმბოლოს. ქალაქის ყველა კუთხიდან მოჩანდა იგი. ათიათასობით ადამიანი იმედითა და ნუგეშით შესცქეროდა ამომავალ მზის სხივებში ოქროსფრად მბზინავ დროშას, რომელიც მათ დარაზმულობისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ამ დილითვე ამერიკელებმა ქუჩებში ბრძანება გამოაცრეს:

ასანთის ფაბრიკის ყველა მუშა 8 საათის განმავლობაში სამუშაოდ უნდა გამოცხადდესო; ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სასტიკად დავსჯითო. გავიდა რვა საათი, მაგრამ ფაბრიკაში არც ერთი მუშა არ გამოცხადებულა.

გაბორტებულმა ამერიკელებმა იარაღით დაიწყეს მუშების შეგროვება, ვინც ფაბრიკაში მუშაობაზე უარს აცხადებდა. ადგილზე ხვრეტდნენ. მთელი დღის მანძილზე ამერიკელებმა ორმოცამდე კაცს ძლივს მოუყარეს თავი; ფაბრიკის ამუშავება მაინც ვერ შესძლეს, რადგან ლამით სამანქანო საამქრო და ის სახლი, რომელშიც იაპონელები იმყოფებოდნენ. ჩოსოცარამმა და მისმა ამხანაგებმა ააფეთქეს.

კაი სუს ფაბრიკის აფეთქებისას ტკბილად ეძინა და ვერაფერი ვერ გაიგო. დილით ამის შესახებ ბოკ ლიმმა უთხრა. ბავშვი მაშინვე ბაღში გაიქცა და ნუშზე ავიდა. სამანქანო საამქროს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა. ფაბრიკის ეზო ამერიკელებით იყო სავსე. ხუთიოდე ამერიკელ ჯარისკაცს ნანგრევებში მოყოლილ იაპონელთა გვამები გამოჰქონდა. შუა ეზოში მეფაბრიკე გაშხლართულიყო. ის თითქოს დამოკლებულიყო, მაგრამ ღიბი ერთიორად გაზრდილია.

გახარებული კაი სუ დიდხანს იჯდა ნუშის ხეზე და თვალყურს ადევნებდა ამერიკელთა ყოველ მოძრაობას. ბოკ ლიმმა რამდენიმეჯერ დაუძახა, მოდი. არ გისაუზმია და ისადილე მაინცაო, მაგრამ კაი სუ დაბლა არ ჩამოდიოდა.

გახარებული კაი სუ ნუშიდან ჩამოხტა, ძირგაეარდნილი ფეხსაცმელები გაიძრო, რომ უფრო ყოჩაღად ერბინა, და ქალაქისაკენ მოჰქურცხლა. ნახევარი ქალაქი ფეხით შემოირბინა, უნდოდა თედონგანის გაღმაც გასულიყო, მაგრამ ხიდზე მოსიარულე ამერიკელმა გუშაგებმა ავტომატების მოღერებითა და წიხლების ცემით უკან გამოაბრუნეს. თედონ-

განზეც იყო. მის კლდოვან ნაპირებზე ხტუნვით ფეხები დაისისხლიანა, დიდხანს იდგა იმ ალაგას, სადაც ინ ბოსა და ინ გორს ნავით უნდა გადაეცურათ. აცრემლებული თვალებით გაჰყურებდა თედონგანსა და მის მარჯვენა ნაპირზე შეყვითლებულ ჭალებს. ჩოსოცარამთანაც გაბედა მისვლა. თუმცა იგი სახლში არ დახვდა, მაგრამ იქ მყოფმა მოხუცმა უთხრა, ჯერჯერობით არაფერი გაგვიგიაო. უკვე ბინდდებოდა, როცა ის კოკლობით ბოკ ლიმის ფანზას უახლოვდებოდა. რკინიგზულ მუშათა სახლის გვერდით, ორსართულიანი ფანზის წინ, ორი ავტომანქანა იდგა: ერთი მათგანი დახურული იყო, მეორე კი ახდელი. სახლიდან შემზარავი წივილ-კივილი მოისმოდა. კაი სუმ ჯერ ნაბიჯს აუჩქარა, შემდეგ კი სწრაფად გაიქცა. ის იყო, ავტომანქანასთან მიიღბინა, რომ სახლის ეზოს კარი გაიღო და შემდეგი სურათი დაინახა: ორ ამერიკელს თმაგაწეწილი და ნახევრად შიშველი ქალისათვის ფეხებში ხელი ჩაეველო და ავტომანქანასთან მოათრევედა. ოთხ ამერიკელს კი კონდახის ცემით მოჰყავდა ახალგაზრდა ქალი და მოხუცი კაცი; ქალს ზურგზე ბავშვი ეკიდა. დედაშვილი ხმამაღლა ტირიდა... შვილს დედისათვის ყელზე ხელი შემოეველო და მამას ეძახდა, მას სთხოვედა შველას.

კაი სუ ერთ ადგილზე იდგა. გაშტერებული უცქეროდა ამ საბრალო ადამიანებს, უნდოდა როგორმე მათ დახმარებოდა, ეხსნა ამერიკელებისაგან, მაგრამ რას გახდებოდა ეს პატარა ბიჭი გაცოფებულ ამერიკელებთან.

— შე ეშმაკის ფეხო, აქ რას გაჩერებულხარ და პირდაღებული შემოგვცქერი! — დაულრიალა კაი სუს ამერიკელმა ოფიცერმა და ისე მაგრად მისცხო მუცელში წიხლი, რომ ბავშვმა თავი ვერ შეიკავა და ძირს დაეცა.

ამერიკელებმა დატყვევებული ადამიანები დახურულ ავ-

ტომანქანაში კისრის ტეხით შეყარეს და კარები მიუკეტეს, თვითონ კი ახდელ ავტომანქანაზე მოთავსდნენ.

როცა ავტომანქანები დაიძრა, კაი სუფეხზე წამოდგა და კოპლობით ბოკ ლიმის ფანზისაკენ გაემართა.

უკვე ბნელოდა, წვრილი სანთელი ფანზას ოღნავ ანათებდა. ბოკ ლიმმა ვერ დაინახა კაი სუს დანადგლიანებულ სახე, მისი ატირებული თვალები.

კაი სუ გამოტყდა, სადაც იყო. უამბო დატყვევებული ადამიანების შესახებაც. ბოკ ლიმმა ალერსით თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— შვილო, კაი სუ, ისინი ნამდვილი კორეელები არიან, მათ ისევე, როგორც ასობით სხვა მუშამ, არ მოისურვეს ემუშავათ იაპონელ მეფაბრიკესთან, რომელსაც ამერიკელებმა ჭურჭების დამზადება დაავალეს.

ბოკ ლიმი და კაი სუ ამ ღამით აღრე დაწვნენ. უმთვარო ღამე იყო. ქალღმერთულ ფანჯრებში შუქი ცუდად ატანდა. პირქვე მწოლ კაი სუს თვალები ოღნავ შეთეთრებული ფანჯრისათვის მიეპყრო. ახლა ის იმ გორზე და დატყვევებულ ადამიანებზე ფიქრობდა. ნუთუ აღარ მოუხდებოდა მას და იმ გორს ერთად ყოფნა! ნეტავი რას უზამენ დატყვევებულ მუშებს ამერიკელები?

უცბად ფანჯარაში შემოჭრილმა შუქმა ძთელი ოთახი გაანათა. კაი სუს ეგონა, რომ ცაზე გაიელვა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წამი, ოთახში სინათლემ უფრო იმატა. დამაყრუებელი გრიალი, სადგურის მხრიდან რომ გაისმა, სულაც არ ჰგავდა ქუხილს. კაი სუმ ბოკ ლიმის საწოლისაკენ გაიხედა.

— ნუ გეშინია, შვილო, დაწევი, ეს ჩვენებმა სადგურთან არსენალი ააფეთქეს, — ხმადაბლა უთხრა მას ბოკ ლიმმა.

მცირე ხნის შემდეგ გრიალი შეწყდა, მაგრამ ოთახი კვლავ

განათებული იყო. დროდადრო კიდევ ისმოდა აფეთქებათა შემზარავი გრიალი. ქუჩებში ატყდა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლა, ავტომანქანების ხმაური და ამერიკელების ყვირილ-ღრიალი.

ბოკ ლიმი და კაი სუ ერთმანეთს აღარ დალაპარაკებინან. მოხუცი უძრავად იწვა. კაი სუმ კი ვერა და ვერ მოისვენა. როგორც შამფური, ისე ტრიალებდა, ერთი-ორჯერ წამოჭდა კიდევ. ფანჯრისაკენ გაიხედა, იქნებ განათებული ცა დავიხანხო.

სულ ცოტა ორმა-სამმა საათმა განვლო. ბოკ ლიმს თითქოს ჩაეძინა. მისი სუნთქვაც კი არ ისმოდა. კაი სუ კვლავ ტრიალებდა, განათებულ ფანჯარაში იცქირებოდა. მათ ქუჩაზეც გაისმა ავტომანქანების ხმაური. რამდენიმე ავტომანქანა მათი სახლის შორიახლო შეჩერდა. ავტომანქანით მოსულები მცხოვრებლებს ბინებში ეჭრებოდნენ. ისმოდა ქალებისა და ბავშვების ყვირილი, გვიშველეთ, სახლში ყაჩაღები შემოგვიცვივდნენო.

კაი სუს ისე მოეჩვენა, თითქოს ავტომანქანა მათი სახლის წინ შეჩერდა. არა, კი არ მოეჩვენა, ავტომანქანა მათი ფანჯრის წინ მართლაც შეჩერდა. აი, ვილაცეებო ჩექმების ბაკაბუკით მათი ფანჯრის კიბეზედაც ამოცვივდნენ.

— დიდდა ბოკ ლიმ! — წაიჩურჩულა კაი სუმ.

— არ შეგეშინდეს, შვილო, ამერიკელები, ალბათ, ქალაქს რეკენ, — უპასუხა ბოკ ლიმმა.

კარმა უცბად ლაწანი გაიღო. ფანჯარაში რამდენიმე შუქმა გაიელვა.

— ადექით! — გაისმა ამერიკელების ყვირილი. მათ ბოკ ლიმი და კაი სუ წიხლების ცემით ფეხზე წამოყარეს.

ახლა კი კარგად დაინახა კაი სუმ სახლში შემოჭრილები,



მათ შორის სათვალეებიანი მაიორიც. მას ხელში დამბაჩა ეჭირა, დანარჩენები კი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. ორმა ამერიკელმა ონდოლს ცულები დაუშინა. სხვებმა ოთახის გაჩხრეკა დაიწყეს. კაი სუ კუთხეში მოკუნტულიყო და გული საშინლად უკანკალებდა. მას ეგონა, რომ ვედრო ისევ ონდოლის ქვეშ იყო შენახული. ის კი არ იცოდა, რომ მისი სახლში არყოფნის დროს დინამიტებიანი ვედრო ჩოსოცარამის ამხანაგებმა წაიღეს.

შავსათვალეებიანი მაიორი ძალღივით იღრინებოდა. ის ხან რომელ ჯარისკაცს წამოჰკრავდა კეფაში მუშტს, ხან რომელს: ოცი თვალი და ოცი ყური გამოისხით და სწრაფად იმოქმედებო.

ამერიკელებმა მთელი სახლი ააფორიაქეს, კიდობანი და ყუთები გადმოაპირქვევეს, თახჩებიდან ქურჭელი გადმოყარეს, მუთაქები ნაკუწ-ნაკუწად აკუწეს, ლოგინი მიგლიჯ-მოგლიჯეს. ონდოლიც აყარეს, ერთ-ორ ალაგას კედელიც გამოანგრიეს, მაგრამ პოვნით ვერაფერი იპოვეს.

ფანჯაში ხანგამოშვებით ამერიკელი ოფიცრები შემოვიდოდნენ და მაიორს ხელის ალებით მოახსენებდნენ, რომ მეზობელ ფანჯებში ვერც ვერავინ შევიპყარით და ვერც ვერაფერი ვიპოვეთ.

ისედაც გაავებული მაიორი ცოფებს ყრიდა. ეს როგორ, წუთუ ამალამდელმა ღამემ ისე უნდა ჩაიაროს, რომ ერთი ათი კორეელი მაინც არ დასაჯონ. რა მიქარვაა, ვერავინ ვიპოვეთ. ან ვინ უნდა იპოვონ. შუბლზე როდი აწერიათ, თუ ვინ რა შეილია. ყველა კორეელი, გინდ დიდი იყოს, გინდა პატარა. უნდა დაისაჯოს. აკი ამიტომ მოდის ვაშინგტონიდან ბრძანება ბრძანებაზე. ისე დახოცეთ და გაჟლიტეთ დედაბუ-

ღიანად ეს დაუმორჩილებელი ხალხი, რომ მათი ხსენებაც აღარ იყოსო.

— მაშ, სიკვდილი! სიკვდილი დიდსა და პატარას! — წაიბურღლუნა მაიორმა და კაი სუსთან მიიჭრა:

— შე ძაღლის ლეკვო, კიდევ არ ისწავლე ფეხზე ადგომა?! ამერიკელმა კაი სუ ჰაერში აიტაცა და თავი კედელზე მიახლევიანა.

— დიდება ბოკ ლიმ. მიშ... — სიტყვა ელარ დაამთავრა კაი სუმ, რომლისთვისაც ამერიკელს გრძელი თათები ყელში ჩაეელო და ახრჩობდა.

ცეცხლი წაეკიდა ამის დანახვაზე მოხუც ბოკ ლიმს. მაიორს ხელზე კბილებით ჩაათრინდა და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, უკბინა.

ამერიკელი ახლა მოხუცს მიუბრუნდა. თოვლივით თეთრ თმებში ხელი ჩაავლო და რამდენიმეჯერ თავი კედელზე მიახლევიანა.

„ვაჰმე“, აღმოხდა ბოკ ლიმს. ამერიკელი ახლა მოხუცს ახრჩობდა.

ერთი წამით კაი სუს თვალთ დაუბნელდა. შემდეგ კი როდინის ქვას წამოავლო ხელი, იქვე ღია თახჩაში რომ იდო. და მაიორს ესროლა. თავში უნდოდა დაერტყა. მაგრამ კისერში მოახვედრა.

— მიშველეთ, მომკლეს, მიშველეთ! — აღრიალდა აყლაყუდა მაიორი და ტკივილებისაგან თუ უფრო მეტად შიშისაგან მუხლებში ჩაიკეცა.

მგლებივით მიცვივდნენ კაი სუს ამერიკელები, ქვეშ ამოიღეს და ფეხებით დაუწყეს ზელა.

კაი სუმ თავზე ხელები დაიფარა. ონდოლს გაეყრა. მწარედ

სტკიოდა სახსრები, ძვლები ემტვრეოდა, მაგრამ არც აწო-  
უოხრავს და არც დაუკვნესია.

„ნეტავი როგორ არის დიდება ბოკ ლიმი, ვაითუ ამერი-  
კელმა ისევ ყელში წაავლო ხელი და ახრჩობს“, ფიქრობ-  
და იგი.

\*

სწორედ იმ ღამეს ფხენიანის სამხრეთით. თედონგანის  
მარჯვენა ნაპირზე მდგარმა გუშაგებმა სადგურთან ავარდნილი  
ცეცხლის ალით განათებულ თედონგანზე ნავი შენიშნეს.  
აგორებული ტალღები ნავს ქალაქისაკენ მიაქანებდა. როცა  
ნავი საგუშაგოს გაუთანასწორდა, ამერიკელმა კაპრალმა  
იმის მაგივრად, რომ ჯარისკაცებისათვის ებრძანებინა, ცეცხლი  
ვახსენითო, შემკრთალი ხმით წაილაპარაკა:

— ეს ნავი კი არაა, პატარა ტივია!

გუშაგები შეყოყმანდნენ, აღარ იცოდნენ რა ექნათ. ამ ორ-  
ღლის წინ სამხედრო პოლიციის მაიორმა, ქალაქის კომენ-  
დანტის მოადგილემ, უბრძანა, მარცხენა ნაპირიდან ჩაღის  
ჟუჩიჩიცი რომ მოცურავდეს, ცეცხლი დაუშინეთო. ეს გაიბ-  
ორა მასთან ერთად მყოფმა კაპიტანმაც, სამხედრო პოლიციის  
ზაიდუმლო აგენტმა. ადვილი შესასრულებელი ბრძანე-  
ბაა — სროლა მათ არ გაუჭირდებათ, მაგრამ, რომ ვთქვათ,  
რა საჭიროა ტყუილუბრალოდ სროლის ატეხა. ხომ კარგად  
ბედავენ, რომ ტივზე არავენ ზის და არც არაფერი დევს.  
ესეც რომ არა, ტივია თუ რაღაც ეშმაკი, მეორე ნაპირიდან  
ხომ არ მოცურავს. ნაბრძანები კია, რაც მეორე ნაპირიდან  
მოცურავდეს, ცეცხლი იმას დაუშინეთო. გამოდის, რომ, თუ  
არ ესვრიან, ამით ბრძანებას როდი დაარღვევენ, რომ ესრო-  
ლონ, ვაითუ ტივმაც სროლით უპასუხოს. სასწაულებრივი

ქვეყანა ეს კორეა. რა გინდა, რომ აქ ცეცხლს არ ისროდეს: სახლი თუ ბორცვი, ხე თუ ბუჩქი... ერთი სიტყვით, ყველაფერი. მერე რა ზუსტად ხედება მიზანს მათი გამოსროლილი ყოველი ტყვია — პირდაპირ შებლში. გუშინ არ იყო, რომ საგუშაგოზე ორი ამერიკელი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმეს. ისიც კი ვერ გაიგეს, თუ რომელი მხრიდან გამოსროლეს; თუ ვინ იყო, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ ის გაიგეს, რომ ორივე მოკლულს ტყვია შიგ შებლში ჰქონდა მოხვედრილი. მადლობა ღმერთს, რომ ახლა მათთან ოფიცერი არ არის, თორემ ამდენს რას ალაპარაკებდა. რაკილა უკეთესია, რომ არ ესროლონ, ადგებიან და არ ესვრიან, მორჩა და გათავდა.

ამერიკელ -გუშაგებს ახლა ბევრიც რომ მოენდომებინათ, რაღას ესროდნენ, როცა მათ ლაყბობაში ტივი წყალმა ისე შორს წაიღო, რომ აღარც კი ჩანდა.

გულდამშვიდებულმა ამერიკელებმა სიგარეტები გააბოლეს. ტივი კი მიცურავდა, თანაც ნაპირს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. ხიდის შორიახლო ტივი ჯერ ერთ ადგილზე შეჩერდა, შემდეგ კი ნაპირისაკენ გაირიყა. ორიოდ წუთის შემდეგ, ტივის უკან ათიოდე ნაბიჯზე წყლიდან კაცი წამოდგა და ნაპირზე გამოვიდა.

— მოვედით, ვაუკაცო, მოვედით, ხომ არ ჩაგეძინა? — ხმადაბლა თქვა მან, როგორც კი ტივთან ახლო მივიდა. ბოძებს შორის ბრტყელი ხის ქერქები აქეთ-იქით გადაცვივდა და პატარა ტანის ბიჭი მკვირცხლად წამოხტა. ეს მამაკაცი და ბიჭი ინ ბო და ინ გორი იყვნენ.

...იმ ღამეს ქოხში ორივემ კარგად დაისვენა. დილით ინ ბომ ქოხის შორიახლო ბუჩქის ძირას ჩაფლული ვედრო ამოი-

ლო. რალა არ იყო მასში: ქვაბი გინდა თუ ასანთი, მარლი თუ თოკი...

ინ ბომ სახელდაბელოდ ორი ანკესი გააკეთა. ინ გორი თევზის დასაქერად მდინარეზე დატოვა, თვითონ კი ტყეში წავიდა, იქვე მდინარის ნაპირას, მაღალ მთაზე რომ იყო. შუადღემდე ინ ბომ ორი ბოძი და ათმეტრიანი ლატანი მოიტანა. ბოძები ერთმანეთს მიაწყო და წნელით შექკრა. შემდეგ ორივე ბოძის შიგნითა მხარეს მეტრნახევრის სიგრძეზე შრგვლად ამოჭრა. ბოძებს უკან ლატანი გამოაბა და წყალში ჩაუშვა. ამასობაში მოსალამოვდა. ინ გორმა თევზი ბლომად დაიჭირა. ქოხის წინ პატარა ცეცხლი აანთეს, თევზი მოხარშეს და გემრიელად ისადილეს. ჰამას რომ მორჩნენ, ინ ბომ ინ გორი ნაპირთან მიიყვანა, ბოძებს შორის ჩააწვინა და ზევიდან მუხის ქერქი დაათარა. თავს ხომ კარგად გრძნობო, შეეკითხა ინ ბო. კარგადო, უპასუხა ინ გორმა.

ინ ბომ ტყიდან პირველი ბოძი ჩამოათრია თუ არა, ინ გორმა გაიფიქრა. ალბათ. ტივის შეკერა აქვს ინ ბოს განზრახულიო. ახლა მისთვის ისიც გასაგები გახდა, თუ ინ ბომ ბოძებს შორის რისთვის ამოსჭრა, მიხვდა იმასაც, თუ ტივს რატომ გამოაბა გრძელი ლატანი.

— როგორც კი ზღვის მოქცევა დაიწყება, ქალაქში ტივით გავემგზავრებით, -- უთხრა ინ გორს ინ ბომ.

მეორე დღით ინ ბო და ინ გორი ადრე ადგნენ. ზღვისაკენ ნელა მიემართებოდა იშვიდი თედონგანი. მოსალამოვების კი მისი დინება უფრო შენელდა. გეგონება, აღარ მიედინებო. იმ დამეს არც ინ ბო და არც ინ გორი ქოხში არ დაწოლილან. ბავშვს თედონგანის ცქერაში ჩაეძინა. მეთევზეს კი თვალი არ მოუხუჭავს. მხარეთქოზე წამოწოლილი თედონგანის ცქერით

ტკბებოდა. შუალაშისას თედონგანი ახმაურდა. ინ გორს მაშინვე გამოელვინა. მდინარეს დინება შეეცვალა, მისი აშლილი ტალღები ქალაქისაკენ მიექანებოდნენ.

ორ-სამ წუთში ორი ბოძისაგან გაკეთებულ ტივს ტალღები ათამაშებდა. ინ გორი ბოძებს შორის იწვა, ინ ბო კი წყალში მისცურავდა. ლატანისათვის ხელი წაეველო და ტივს მიმართულელებას აძლევდა.

ნაპირზე გამოსვლისთანავე ინ ბომ ტივი კვლავ თედონგანში შეაცურა. გათენებამდე ბუჩქებში ამჯობინეს ჯდომა. იცოდნენ, რომ ღამით ქალაქში შესვლას ვერასგზით ვერ შესძლებდნენ. გათენებამდე კი. როგორც ინ ბო ვარაუდობდა, ორი საათილა რჩებოდა.

„ეს რა საკვირველებაა, სიზმარში ხომ არა ვარ; არა. სიზმარს როდი ჰგავს, მგონი, ეს ყველაფერი ცხადია.“

კაი სუმ იმის გასაგებად, სიზმარში იყო თუ არა. თავი გააქან-გამოაქანა და თვალეები ფართოდ გაახილა.

განთიადი იწყებოდა. ცის აღმოსავლეთი კიდური შავ ღრუბლებს დაეფარა. ზღვიდან წამოსული ქარი ღრუბლებფხენიანისაკენ მოერეკებოდა.

კაი სუ მიხვდა, რომ მორანბონის მთის ძირას იმყოფებოდა. მის გვერდით მოხუცი ბოკ ლიმი თვალეზდახუჭული იწვა. მათგან ცოტა მოშორებით დახურული ავტომანქანა იდგა. ავტომანქანის შორიახლო მოკრილ ხეზე ნახევრად შიშველი ორი ქალი იჯდა. ერთ მათგანს ხელში ბავშვი ეჭირა, თმა გაწეწილი და მთელი სახე დასისხლიანებული ჰქონდა. მათგან ორიოდე მეტრის მანძილზე მესამე ქალი პირქვე იწვა. კაი

სუმ მაშინვე იცნო, ეს ის ქალი იყო, ამერიკელები ფეხებით მიწაზე რომ მოათრევდნენ. ქალების ირგვლივ სამი ავტომატიანი ამერიკელი დააბიჯებდა.

კაი სუმ ახლა ხელმარცხნივ გაიხედა: თმაქოჩორა ბუჩქებს შორის ოთხი საცვლების ამარა კორეელი მამაკაცი წელამდე ორმოში ჩამდგარიყო და მიწას თხრიდა. მათ თავზე მიგუკები დასტრიალებდნენ.

ერთი ამერიკელი ორმოში მომუშავე კორეელებს წამდა-უწუმ დამბაჩით ემუქრებოდა, თანაც ისე ხმამალა ყვიროდა. რომ სიტყვისა და სიტყვის თავზე დორბლებს ყრიდა.

— ჩოსოცარამ, ჩოსოცარამ!—მისუსტებული ხმით წამოიძახა კაი სუმ, ადგომას შეეცადა, მაგრამ ძალა არ ეყო.

„ნუთუ ეს ჩოსოცარამია! არა, როგორ შეიძლება. განა ისეთი კეთილი ადამიანი, როგორიც ჩოსოცარამია, ცოდო არ არის, რომ ამერიკელებს ხელში ჩაუვარდეს!“

ჩოსოცარამმა მისკენ გამოიხედა, მაგრამ უყურე, მის თავზე მდგარმა ამერიკელმა კონდახი დასცხო თავში და თანაც დაუყვირა:

— აქეთ-იქით თვალებს ტყუილად აცეცებ, ფეხს ველარსად გასდგამ, რით ვერ მიხვდით, რომ საკუთარ საფლავს გათხრე-ვინებთ?!

— აქედან ვერც შენ გასდგამ ფეხს, ტყვიას ვერსად ვერ გაეჭევი. ბრალი თქვენი, თორემ ჩვენ მაინც მშობლიურ მიწაში დავიმარხებით. ადამიანის სისხლით მთვრალეობ, მიწაც კი არ მიიღებს თქვენს ცოცხლად აყროლებულ გვამს, ყვავ-ყორანსაც კი შეეზარება თქვენი ხორცის ჯიჯგნა, — უპასუხე-ჩოსოცარამმა და უფრო მხნედ დაიწყო მიწის თხრა.

— ის არის, ის.—თავისთვის ჩაილაპარაკა კაი სუმ. კვლავ წამოდგომა სცადა, მაგრამ ამაოდ: დასუსტებული სხეული მას აღარ ემორჩილებოდა.

რაც დრო გადიოდა, ჩოსოცარამი და მასთან ერთად მომუშავე უცნობი მამაკაცები ორმოში თანდათან ძირს ეშვებოდნენ. მალე ისინი მთლად გაუჩინარდნენ. ახლა კაი სუ ბარის პირებსლა ხედავდა, ხანდახან ორმოს თავზე რომ გამოჩნდებოდა ხოლმე.

— კმარა! — დაიყვირა მაიორმა.

— კმარა! — გაიმეორა კაპიტანმაც.

ორმოში მყოფმა ადამიანებმა მუშაობა შეწყვიტეს და ამერიკელების მოთხოვნით ბარები ზევით ამოყარეს.

— ჩქარა მორეკეთ სსვებიც! — ბრძანა მაიორმა.

ამერიკელებმა კაი სუს ფეხებში ხელი დაავლეს და ორმოში გადაადგეს. ჩოსოცარამმა იგი ჰაერშივე დაიჭირა და ფრთხილად კუთხეში დააწვინა. ამის შემდეგ ამერიკელებმა ორმოში ორი ქალი ჩააგდეს.

„ნეტავი რა უნდა გვიყონ?“ — ფიქრობდა კაი სუ და ყურს უგდებდა ორმოს თავზე დარჩენილი ქალის ყვირილს.

— ბავშვმა რა დააშავა, ბავშვი მაინც შეიბრალებთ, ნუთუ თქვენ დედის ნაშობი არა ხართ, მე ხომ დედა ვარ, დედა. მომკალით მე, ასო-ასო ამკუწეთ, ოღონდ უსუსური ბავშვი შეიბრალებთ, ჩემს პატარა ბიჭს სიცოცხლე შეუნარჩუნეთ! — ნოსთქვამდა მუხლისთავეებზე დაჩოქილი დედა, მკერდში რომ შვილი ჰყავდა ჩაკრული. თითქოს ბავშვსაც ეგრძნო მოახლოებული საშინელება, ორივე ხელი დედისთვის ყელზე შემოეკლო და ტირილით ერთ და იმავე სიტყვას იმეორებდა „აბაძი“



— რას ალაპარაკებთ ამ შავ ეშმაკს, მოიყვანეთ და გადას-  
ჩეხეთ! — დაიღრიალა მაიორმა.

ამერიკელებმა ატირებული დედა თავის ბავშვიანად ორ-  
მოში ჩააგდეს. კვლავ ისმოდა დედის ხმამალალი ყვირილი:

— ბავშვი მაინც შეიცოდეთ, ბავშვს მაინც ნუ მოჰკლავთ!..  
მაგრამ მიგუყებს არ ესმოდათ დედის ხვეწნა-მუდარა.

— თქვენ, ეი, ამერიკელებო, ამას რას სჩადიხართ. ბავშვებ-  
მა რა დააშავეს, მათ რატომღა სჯით?! ხალხი არ გაპატიებთ ამ  
დანაშაულს, თქვენ პასუხს აგებთ კაცობრიობის წინაშე, გეს-  
ჯით, პასუხს აგებთ! — ყვიროდა ჩოსოცარამი.

მალღა ბოკ ლიმიღა იყო დარჩენილი, ამერიკელებს მის-  
თვის ხელი წაეველოთ და ორმოსაყენ მიათრევედნენ.

ორმოს პირზე ბოკ ლიმი როგორღაც ფეხზე წამოდგა, მი-  
გუყებს ხელიდან დაუსხლტა. ამერიკელებისათვის ცოცხალ-  
მკვდარი მოხუცისაგან ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ  
ჭრთ ადგილზე გაქვავდნენ.

— ხელი არ მომკიდოთ, სვავებო, მე ისე მინდა საფლავში  
ჩავიდე, რომ ადამიანის სისხლით მოსვრილი თქვენი ბინძური  
თათები აღარ შემეხოს.

მოხუცი უცბად ძირს დაემხო და მიწას დაუწყო კოცნა.  
შემდეგ წამოდგა და ფხენიანს გადააავლო თვალი.

საფლავში რომ ეშვებოდა, ის მაინც ნისლში გახვეულ მო-  
რანბონის მთას გასცქეროდა. დუმდა მორანბონი... მთის იქი-  
თა მხრიდან კი არტილერიის კანონაღა მოისმოღა.

კაი სუ თვალეზდახუჭული იწვა და სახსრების შემზარავი  
ტკივილი გულს უღონებღა. ახღა მას თავში მხოლოდ ის აზ-  
რი უტრიალებღა, რომ როგორმე ფეხზე წამომდგარიყო და  
ჩოსოცარამს გვერდში ამოსდგომოღა. მაგრამ, აბა, როგორ

შესძლებდა წამოდგომას, როცა ისე იყო დასუსტებული, რომ თვალის გახელაც კი უძნელდებოდა. მან იცოდა, რომ ამერიკელები მათ სჯიდნენ და ისინი ახლა ზემოდან ტყვიებს დააყრიდნენ. დე დააყარონ! მას სულაც არ ეშინია, ან რად უნდა შეეშინდეს, როცა ჩოსოცარამი მის გვერდით იმყოფება, ჩოსოცარამთან მას სულაც არ ეშინია.

კაი სუს პირისახეზე მიწა დაეყარა. მას ჯერ ეგონა, რომ ორმოს კედელი ჩამოინგრა, მაგრამ, როცა რომელიღაც ქალის ყვირილი შემოესმა, ცოცხლებს რად გემარხავთო, ყველაფერს მიხვდა. მას მაშინვე რუსი ახალგაზრდა გვარდიელების სიკვდილი გაახსენდა. მისთვის ტკბილი და საამო იყო ეს გახსენება. თავი უკეთ იგრძნო, თითქოს ტკივილებიც მიუყუჩდა. თვალები გაახილა, ორმოში მყოფ ადამიანებს დაუწყო ყურება. სწორედ ამ დროს ჩოსოცარამმა ამერიკელს ხელიდან ბარი გამოსტაცა და თვალის დახამხამებაში ორმოს თავზე გაჩნდა.

— დასცხეთ! — გაისმა მაიორის ღრიალი.

ჩოსოცარამმა სწორედ მაიორის თავზე აღმართა ბარი და ისეთი დასცხო, რომ თავი შუაზე გაუპო.

წუთით დაბნეულმა ამერიკელებმა ავტომატებიდან ცეცხლი დაუშინეს ორმოს თავზე მდგარ ჩოსოცარამს, რომელმაც ხელმეორედ აღმართა ბარი. ტყვიით დაცხრილულ ჩოსოცარამს მკერდსა და შუბლზე კვამლი ავარდა. მან ბარის მოჭრევა კი შესძლო, მაგრამ უკან გადამსტარ ამერიკელს ვეღარ მოახვედრა.

— სიკვდილი ამერიკელ ოკუპანტებს! გაუმარჯოს კორეას! გაუმარჯოს კიმ ირ სენს! — დაიძახა ჩოსოცარამმა და ძალღონეგამოღებული ორმოში გადაეარდა.

ამერიკელებმა ახლა უფრო სწრაფად ჩააყარეს ორმოს მიწა. ორმოს პირას მდგარი ტანდაბალი კაპიტანი, რომელიც პატარა თავით და ჩაცვნილი თვალებით შიმპანზეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, დამბაჩით ხვრეტდა ორმოში მყოფ კორეელ პატრიოტებს. ყოველი გასროლის შემდეგ ის ქეციანივით თავს იფხანდა, თანაც თვალის ჩაკვრით თავის თავს ეუბნებოდა:

— ბრავო, ბრავო!

ორმოდან ტირილისა და კვნესის ხმა ამოდიოდა; რომელიღაც ქალი ხმამაღლა ყვიროდა: ხალხო, გვიშველეთო. თითის წვერებზე შემდგარი დედა სულ იმის ცდაში იყო, რომ შვილი როგორმე მაღლა აესვა. ახლა ის ამერიკელებს უფრო მეტად ეხვეწებოდა, ბავშვს მაინც შეუნარჩუნეთ სიცოცხლეო. ბავშვი ხმამაღლა ტიროდა, ხელების ქნევით მამას უხმობდა. ბოკ ლიმი კი წამომჭდარიყო და ამერიკელებს წყევლა-კრულვას უგზავნიდა.

მხოლოდ ჩოსოცარამი და ორი კორეელი მამაკაცი იწვნენ უძრავად. უტბად ორმოში სიმღერის ხმა გაისმა, კედელზე მიყუდებული მოხუცი მამაკაცი, მკერდიდან რომ სისხლი ჩამოსდიოდა, კორეის ხალხის ჰიმნს მღეროდა.

კაი სუ ამ სიმღერის მოსმენისას. ყოველთვის სიხარულსა და აღტაცებას გრძნობდა. ეს იგრძნო ახლაც. მან თავი მაღლა ასწია და მღერა დაიწყო. ამღერდა ბოკ ლიმიც, რომელსაც კაი სუსათვის მხარზე ხელი შემოეხვია, დედაც, რომელსაც ატირებული შვილი უკვე გაღელილ მკერდზე ჰყავდა მიკრული.

გაცოფებულმა ამერიკელებმა ავტომატებიდან ცეცხლი დაუშინეს ამღერებულ ორმოს.

მაგრამ ორმო არ ღუმდებოდა. უფრო მკექარედ, უფრო ზმამაღლა გაისმოდა ნახევრადღამარხული ადამიანების სიმღერა.

კაი სუს მიწა პირში ეყრებოდა. ყელამდე მიწაში იყო ჩაფლული, მაგრამ ის მაინც მღეროდა.

უცბად სული შეეხუთა, „ნუთუ უკვე ვიხრჩობი“, გაიფიქრა მან და პირი ფართოდ გააღო, უნდოდა რაც შეიძლება მეტი ჰაერი ჩაესუნთქა, შემდეგ თავს ძალა დაატანა და მთელი ძალ-ღონის დაჭიმვით დაიძახა:

„თავისუფლება კორეას!“ ეს იყო მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ამის შემდეგ სული შეეხუთა და იმწამსვე გონება დაჰკარგა. ღუმდა მორანბონი. ფხენიანის მოღრუბლული ცა მწუხარედ დასტიროდა კორეის ღირსეულ შვილებს.



ღრუბლიანი დილა იყო. ზღვიდან ქარი ჰქროდა, ქარს თან ღროგამოშვებით წვიმაც მოჰქონდა.

ინ ბო და ინ გორი ერთმანეთს დაემშვიდობენ და სხვადასხვა მიმართულებით გაემართნენ.

ინ გორი თედონგანს ნაპირ-ნაპირ ჩაჰყვა. კლდეზე გადმომდგარი სახლის ეზოში გადახტა და თამამად ქუჩაში გავიდა. ის მარჯვედ მიაბიჯებდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ბოკლიმის სახლს, ნაბიჯს უფრო უმატებდა. რა ქნას, ძალიან მოენატრა კაი სუ და ბოკლიმი. ალბათ, მათაც ძალიან უნდათ მისი ნახვა. კარგი ბიჭია კაი სუ, ბოკლიმიც კეთილი ადამიანია. ინ გორი ყოველთვის მათი მეგობარი იქნება. ერთი

ჩქარა დანიტავრდებოდეს ომი, რომ მან და კაი სუმ კარგი ფეხ-  
ბურთის გუნდი ჩამოაყალიბონ, ისეთი, რომ ყველა უბნის  
გუნდებს უგებდეს. ეპ. ერთი ჩქარა დაიწყებოდეს სწავლა. რა  
კარგია სკოლაში სიარული!

მოხუც ბოკ ლიმსაც გადაუხდის სამაგიეროს. მამას ახალ  
ფეხსაცმელებს აყიდვინებს და ბოკ ლიმს საჩუქრად მიარ-  
თმევს, ბოკ ლიმსაც ხომ აჩუქა მას ფეხსაცმელები.

აგერ გამოჩნდა ბოკ ლიმის ეზოც. ინ გორმა თავი ველარ  
შეიკავა და გაიქცა. ყოჩაღად შეალო ჭიშკრის კარი, მაგრამ  
ფეხები ერთ ადგილზე დაება. ეზოში ფანზა აღარ იყო. ნასახ-  
ლარზე ნაცარი და დაფშენილი აგური ეყარა. ბაღში ხეივანი  
დაენგრიათ, ახალგაზრდა ხეხილი კი ძირში დაექრათ. ერთი  
ფშატილა იდგა მოუქრელი, ისიც ტოტებდამწვარი და მთლად  
შეტრუსული.

„ნეტავ სად არიან ბოკ ლიმი და კაი სუ?“ — გაითქრა მან  
და უცბად დედისა და ნიუნის სიკვდილი გაახსენდა. როგორც  
მაშინ, ახლაც ისე აუჩუყდა გული და ატირდა.

ლამის გასათევად ინ გორი ბოკ ლიმის მეზობლად მცხოვ-  
რებ მოხუც პეკ ჩანთან დარჩა. მოხუცებულობას პეკ ჩანი  
საგრძნობლად გაეტენა; თმა და წვერ-ულვაში თოვლივით  
ფეთრი გახდომოდა; წელში მოხრილიყო და ჯოხზე დაყრდნო-  
ბილი ძლივს დააბიჯებდა.

ინ გორმა პეკ ჩანისგან შეიტყო ჩოსოცარამის, ბოკ ლიმისა  
და კაი სუს ამბავი. ჩოსოცარამი არსენალის აფეთქების  
ღროს შეიპყრეს, ბოკ ლიმი და კაი სუ იმავე ღამეს ქალაქის  
ჩხრეკისას დააპატიმრესო. მათ დასჯაზე არაფერი უთქვამს.  
ამის შესახებ მოხუცმაც არა იცოდა რა.

ინ გორმა ამ ღამით გვიანობამდე ვერ დაიძინა. ის ათას

ფიქრში იყო გართული. მან პეკ ჩანისგან გაიგო, რომ დღეს-ხვალ ფხენიანს სახალხო არმია გაათავისუფლებდა. სახალხო არმიასთან ერთად კი მამამისიც დაბრუნდება. რა ტკბილი, რა საამო იქნება მამის ნახვა. დანახვისთანავე კისერზე ჩამოეკიდება, პირისახეს დაუკოცნის. ეპ, როგორ უნდა უთხრას მამას დედისა და ნიუნის სიკვდილი. მამამ ხომ ოჯახის უფროსობა მას ჩააბარა. ნეტავი ჩოსოცარამი, ბოკ ლიმი და კაი სუ როგორღა არიან. დილაზევე მთელ ქალაქს გადააბრუნებს, მთელ ქუჩებს შემოირბენს, მათ კვალს კი უსათუოდ იბოვის.

შუალამე იქნებოდა, როცა პეკ ჩანმა იმ გორი შეანძრია და ხმადაბლა უთხრა:

— იმ გორ, ადექი, შვილო!

იმ გორი თვალის დახამხამებაში წამოხტა.

— ჩემო პატარა ბიჭო, ახლავე უკან გამომყევი, ბომბსაფარში უნდა დავიმალოთ. ამ დილით ქალაქში დიდი ბრძოლები იქნება და აქ საშიშია.

როცა პეკ ჩანი და იმ გორი გარეთ გამოდიოდნენ, მოხუცმა ონდოლის ქვეშიდან კარაბინა ამოიღო, კუთხეში მიყუდებული ჯოხი კი, დღენიადაგ ხელში რომ ეჭირა, არც კი გახსენებია.

დღესავით ნათელი ღამე იყო. ქალაქს ბადრი მთვარე დაქათქათებდა. იმ გორს ასეთი ღამე არასოდეს ენახა. უკვე გათენება იყო, მას კი შუალამე ეგონა.

ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს ამერიკელი გუშაგების შედახილი არღვევდა. ხან აქ, ხან იქ ისმოდა ავტომატის სროლა.

ბომბსაფარე ფანზის წინ, პატარა ბახჩაში, იყო მოწყობილი. მასში ჩასვლაც კი ვერ მოასწრეს, რომ ჩრდილოეთით

ცა განათლა, ქვემეხთა შემზარავმა ქუხილმა ირგვლივ ყველაფერი დააყრუა.

— დაიწყო! — ალტაცებით წარმოთქვა პეკ ჩანმა. ისინი ორ-სამ წამს შეჩერდნენ, ჩრდილოეთით განათებულ ცას დაუწყეს ყურება, შემდეგ კი ბომბსაფარში ჩავიდნენ.

— სანამ ბრძოლა არ დამთავრდება, შეილო, შენ აქ იყავი, — უთხრა ინ გორს პეკ ჩანმა და ბომბსაფარი დატოვა.

ინ გორი ბომბსაფარის შესასვლელთან იდგა და თვალს არ აცილებდა პეკ ჩანს, რომელიც წელშიც კი გასწორებულიყო და მარჯვედ მიაბიჯებდა. პეკ ჩანმა ქუჩა გადასჭრა და უცბად გაუჩინარდა.

ინ გორი უმალ ბომბსაფარიდან ამოხტა, ფანჯასთან მიიბრბინა და თვალის დახამხამებაში სახურავზე გაჩნდა.

უკვე გათენდა. ქალაქის მთავარი ქუჩები ამერიკელებით აივსო. მათ ქუჩაზეც თითო-ოროლა ამერიკელი მირბი-მორბოდა.

ქალაქის ჩრდილოეთით, სადგურ ფხენიან II-ის რაიონში, ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების სროლა უფრო ძლიერდებოდა. დროდადრო შორიდან ისმოდა შეტევაზე გადმოსულ სახალხო არმიელთა მკექარე შეძახილები:

„მანსე, მანსე!“\*.

მათი ქუჩის შესახვევში ამერიკელების „ვილისი“ გამოჩნდა. ავტომანქანაში თმაგაწეწილი კაპიტანი იჯდა. მას ორივე ხელში დამბაჩა ეჭირა და აქეთ-იქით ფანჯებს ესროდა. როგორც კი „ვილისი“ მუშათა საცხოვრებელ სახლს მიუახლოვდა, კაპიტანი ძირს გადმოხტა, თანაც დამბაჩების ქნევით ზძლოლს უყვიროდა: ჩქარა, თორემ, რაც კი სიმდიდრე მი-

\* „ვაშა, ვაშა!“

შოვია, მეკარგება' და ხელცარიელი ვრჩებიო. მძლოლიც კაპიტანს გამოედევნა. ინ გორი სახურავიდან ჩამოხტა და მუშათა საცხოვრებელ სახლს უკნიდან მოუარა. ბარგი-ბარხანით დატვირთული ამერიკელები სახლიდან გამოცვივდნენ. ფაცაფუცით ბარგი ავტომანქანაზე დააწყვეს და ისევ სახლში შეტრიალდნენ. განსაკუთრებით კაპიტანი ჩქარობდა. კიბეზე ფეხი საფეხურს წამოჰკრა და პირქვე გაიშხლართა. ერთი წამითაც არ დაყოვნებულა. წამოხტა, კოჭლობით კიბე აირბინა. ინ გორმა დრო იხელთა, ავტომანქანას უკნიდან მიეპარა და ორივე თვალს „კამერაში“ დანა ჩასცხო.

ავტომანქანის შორიახლო ჭურვი გასკდა. კაპიტანს ხელიდან ტომარა გაუვარდა. დაფეთებული ავტომანქანაში ახტა. ეს რომ მძლოლმა დაინახა, კიბეზე ტომარა დააგდო, ძირს შურდულივით დაეშვა და უმაღლ საქესთან გაჩნდა.

კაპიტანი ისე მოკუნტულიყო, რომ ავტომანქანაში არ ჩანდა, შეშინებულს ხელში დამბაჩა ჩაებლუჯა და თან კნაოდა: ჩქარა, თორემ დავილუპეო.

ავტომანქანა ნელა ამოძრავდა. ერთ-ორ ნაბიჯზე კი გაგორდა და გაჩერდა. მძლოლი ავტომანქანიდან ჩამოხტა და სამხრეთისაკენ გაიქცა. კაპიტანმაც მას მიბაძა. ათიოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, უცბად შეჩერდა. აქეთ-იქით გაიხედა და ისევ ავტომანქანასთან მიირბინა.

ქალაქის ჩრდილოეთიდან უფრო მკვექარედ ისმოდა სახალხო არმიელთა შეძახილი:

„მანსე, მანსე!“

შეშინებული ამერიკელი ისევ სამხრეთით გაიქცა; ავტომანქანიდან ვერაფრის აღება ვერ მოასწრო. ათიოდე ნაბიჯი რომ



გაიბრინა, კვლავ შეჩერდა. მცირე ხანს ერთ ადგილზე იდგა და თვალეზღაპრული ავტომანქანისაკენ იცქირებოდა. ბოლოს ისევ ავტომანქანისაკენ გაიქცა.

კედელს ამოფარებული ინ გორი მეტისმეტად დედავდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ შესაძლოა ამერიკელს თავისათვის ეშველა, გულს უღონებდა. ოჰ, ნეტავი რაიმე იარაღი ჰქონდეს. იარაღს ვინ ჩივის, უბრალო შურდულიც რომ მისცა, ამერიკელს ორივე თვალს გამოსთხრის და ბრმა კი ადვილად ვერსად წაუვა. უცბად ინ გორმა კეტს წამოავლო ხელი და ლობეზე გადახტა. ეზო-ეზო ირბინა და ამერიკელს წინიდან უყვლა.

ამერიკელს ზურგზე ტომარა წამოეკიდა, წელში მოკაკულიყო და ჩრდილოეთით მიიპარებოდა.

ინ გორი, ის იყო უცნიდან უნდა მიჰპაროდა ამერიკელს და თავში კეტი დაეცხო, რომ კაპიტანმა ერთი კი დაიძახა, მიშველეთო, და შუა ქუჩაში გაიშხლართა. დაცემისთანავე ამერიკელი მეორე მხარეს გახიზნდა. ინ გორმა მაიორის ფეხზე გამობმული თოკი რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა. უნდოდა მეორე მხარეს გადაერბინა, მაგრამ ქუჩის შესახვევში ამერიკელები გამოჩნდნენ. ისინი ქუდმოგლეჯილი სამხრეთისკენ გარბოდნენ. ამერიკელებს ფეხდაფეხ სახალხო არმიელები და ჩინელი მოხალისეები მოსდევდნენ. მათი ცეცხლი გაქცეულ მტერს მუსრს ავლებდა.

ინ გორმა ქუჩაში სახალხო არმიის მაიორს მოჰკრა თვალი. უცბად ვერაფერი მოახერხა გარდა იმისა, რომ ტაში შეიშკრა და მაიორისკენ გაიქცა. მისმა ხმამ ზარით გაიწკრიალა:

— აბაძი, ნანუნ აბაძი \*

— ადლი, ნანუნ ადლი! \*\* — უპასუხა მისკენ შემობრუნებული მამა.

მამა და შვილი ერთმანეთს ჩაეკვრნენ. სიხარულით აცრემლებული ინ გორი გამალებით კოცნიდა მამას.

— მამა, იქ ამერიკელია, — უთხრა ინ გორმა და ხელი იქით გაიშვირა, საითაც კაპიტანი თოკით გაათრიეს.

— დარდი ნუ გაქვთ, ის საიმედო კაცის ხელშია, — უპასუხა ჩქარი ნაბიჯებით მათკენ მომავალმა ინ ბომ, რომელიც ფეხებში თოკგამობმულ კაპიტანს ქუჩაში მოათრევდა.

მეზობელი ქუჩის სახლის სახურავეებზე შეიარაღებულა კორეელები იდგნენ. ინ გორმა მათ შორის პეკ ჩანიც დაინახა. მოხუცი კარაბინას ჰაერში ათამაშებდა, თანაც ხმამაღლა ყვიროდა:

„მანსე. მანსე!“

ინ გორმა ინ ბოსთან მიიღბინა. ხელფეხშებოროკილი ამერიკელი მუშტისოდენად მოკუნტულიყო, პირისახეზე. მკვდრის ფერი დასდებოდა, პირი საშინლად დაეღო და მელიასავით თვალებს აცეცებდა.

— ფეხზე ადექი, გესმის, ყველა კორეელის დანახვაზე ფეხზე ადექი! — შესძახა ამერიკელს ინ გორმა.

— ძმაო ლი გო ჩე, ეს არის შენი ბიჭი? — შეეკითხა ინ გორის მამას მის გვერდით მდგარი ჩინელი მოხალისე.

— დიახ, ეს არის. — უპასუხა ლი გო ჩემ.

ჩინელმა მოხალისემ ბავშვს ალერსით თავზე ხელი გადაუსვა. შემდეგ ხალათის მარცხენა ჯიბესთან დაბნეული სამ-

---

\* მამა, ჩემო მამა!

\*\* შვილო, ჩემო შვილო!

კერძე ნიშანი მოიხსნა და ინ გორს კიმ ირ სენის სურათის გვერდით გაუკეთა.

— პატარა გმირო, მათ ძე-დუნის ეს სურათი გქონდეს ჩემგან სახსოვრად, — უთხრა ინ გორს ჩინელმა მოხალისემ.

მთელი დღე გაგრძელდა ფხენიანში გამარჯვების ზეიმი. ქალაქის მშრომელებთან ერთად ინ გორიც ზეიმობდა. იგი დიდ სიხარულთან ერთად დიდ მწუხარებასაც განიცდიდა. გვიან საღამომდე მთელი ქალაქი შემოირბინა, სად არ იყო, ვიღა არ ნახა, მაგრამ თავისი საყვარელი მეგობარი კაი სუ ვერსად რპოვა. არც ჩოსოცარამი და ბოკ ლიმი ჩანდნენ.

ნუთუ ისინი ცოცხლები აღარ არიან?!

# დღეები კორეაში







— ესეც ხასანის ტბა, — წამოიძახა ლეიტენანტმა ავერიანოვმა და ვიწრო გზიდან, ტბას რომ გარს უვლიდა, მარჯვნივ გადაუხვია.

ბატალიონის მეთაურმა შესვენება გამოაცხადა. ავერიანოვმა ტბის პირას, ბუჩქებში ამჯობინა ოცეულის განლაგება.

— უყურე, სულ ერთი ციდა ყოფილა ეს ტბა, მე კი მეგონა, ჩულისოდენა თუ არა, სილიგერისხელა მაინც იქნებამეთქი, — ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა სერჟანტმა საკირკომ.

— მერე რატომ გგონია ასე? — გაისმა ბუჩქების ქვეშ წამოწოლილი მებრძოლი მჭედლიძის ხმა.

— აბა, რა ვიცი, ხასანის ბრძოლების დროს პატარა ვიყავი და მაშინ შემეჩნა ასეთი შთაბეჭდილება.

—შე კაი კაცო, მერე ხომ გაიზარდე, წიგნი აგელო და წაგეითხა,— შენიშნა მჭედლიძემ.

ყველამ ხმაშალა გაიცინა. იცინოდა სერჟანტი საკირკოც-არავის არ ეგონა, რომ საკირკო პასუხის გაუცემლად დატოვებდა მჭედლიძის ნათქვამს. საკირკო ხომ ენამახვილი და გამჭრიახი გონების პატრონი იყო. ბრძოლის მძიმე წუთებშიც კი მას შემოპქონდა ოცეულში სიმხნევე და ხალისი. იგი ამასთანავე მთელი ჩვენი დივიზიის მოწინავე მეომრად ითვლებოდა. როგორც მეთაური, საკირკო სამართლიანი, მკაცრი და მომთხოვნი იყო თავის ხელქვეითთა მიმართაც და საკუთარი თავისადმიც.

ომის დაწყების პირველ დღეებშივე გაითქვა სახელი რიგითმა მეზრძოლმა საკირკომ. მოწინავე ხაზზე მტრის ოცდაათი ბომბდამშენი ბომბავდა ლეიტენანტ მატიაშის ბატალიონის ვანლაგებას. მოსალოდნელი იყო მტრის ქვეითი ჯარის იერიშის დაწყება.

მატიაშმა ბრძანა, ცეცხლი არ გაგვეხსნა მტრის თვითმფრინავებისათვის. რა უნდა გვექნა, ჩვენც არ ვესროდით. უხმოდ ვისხედით თხრილებში და ველოდით, თუ როდის დამთავრდებოდა ბომბარდირება. ამ მძიმე წუთებში მე და საკირკო ერთ თხრილში ვიწექით. ორიოდ წუთში რამდენჯერმე მოვირგეთ ჩაფხუტი, გვინდოდა როგორმე მისთვის შეგვეფარებინა მხრები და მთელი ტანიც კი, თითქოს ამით თავს დავიცავდით ასკილოგრამიანი ბომბებისაგან. გამუდმებით ვწევდით პაპიროსს. ნიკოტინით გაყდენთილი კვამლი თითქოს გულს გვიმაგრებდა და ძალას გვმატებდა.

უეცრად ჩვენ ახლოს ბომბი დაეცა. თვალთ დამიბნელდა. ყურებში შემზარავი უხუილი მესმოდა. თავზე მიწა გადმოშ-

ყარა და ცოცხლად დამარხული მეგონა თავი. რამდენიმე წუთს არ გაენძრეულვარ.

—ხომ არ დაიჭერი?— მომესმა საკირკოს შემკრთალი ხმა. აბა, რა უნდა მეთქვა, როცა თვითონაც არ ვიცოდი, დაკრძალი ვიყავი თუ არა. პასუხი რომ დაეუგვიანე, საკირკომ ხელით შემანძრია.

—ნუ გეშინია! ბომბი ჩვენგან მოშორებით დაეცა, სიკვდილს გადავრჩით,—მითხრა მან. საკირკოს სიტყვებმა გამომათხიზლა. ხელები მიწიდან ამოვყავი, ჩაფხუტი გავისწორე და მალლა ავიხედე. მტრის გაფანტული თვითმფრინავები კვლავ მწყრივდებოდნენ, ხელმეორედ დაბომბვისათვის ემზადებოდნენ. ირგვლივ ჭერ კიდევ კვამლის შავი ღრუბელი იდგა, ჰაერი გაეჟღენთა დენთისა და ნამწვის სუნს. -

— მიშველეთ, ძმებო!— მოგვესმა თხრილის მარჯვენა მხრიდან.

—ეს პარშინია, ნეტავი რა დაემართა?—თქვა საკირკომ და წამოდგომა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს „პიკზე“ წამოსულმა პირველმა თვითმფრინავმა ჩვენი თხრილის წინ ტყვიამფრქვევის ცეცხლის ხაზი გაავლო.

თვითმფრინავმა თავზე გადაგვიარა. კვლავ გაისმოდა პარშინის შემზარავი ხმა:

— მიშველეთ, ძმებო, მიშველეთ!

საკირკომ ხელმეორედ დააპირა წამოდგომა, მაგრამ ახლა პეორე თვითმფრინავი გვიახლოვდებოდა.

—როგორმე უნდა დავეხმაროთ პარშინს,—ამოოხვრით თქვა საკირკომ.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, თვალის დახამხამებაში, საკირკომ ხალათი და პერანგი გაიხადა. ხალათი ისევ



ჩაიცვა, პერანგი კი მალლა ააფრიალა და ჩიტვიით წამოფრინდა. ირგვლივ ბომბები სკდებოდა. ტყვიამფრქვევის ცეცხლის ხაზებში სერავდნენ ჩვენს სანგრებს. საკირკო სანგრის ბრუსტვერზე იდგა და ჰაერში პერანგს აფრიალებდა. სულ მალე მას რამდენიმე მებრძოლი ამოუდგა მხარში, ისინიც საკირკოს მსგავსად თეთრ პერანგებს აფრიალებდნენ. ასეულის სათვალთვალო პუნქტის მხრიდან თეთრი შუშხუნები ავარდა. მტრის თვითმფრინავებმა ბომბების ჩამოყრა შეწყვიტეს, ჰაერში რამდენიმე წრე მოხაზეს და შემდეგ ჩვენ მარცხნივ, სადაც მეორე ასეულის თავდაცვის სიღრმეში მტერი იყო შემოჭრილი, დაეშენენ დასაბომბად. კარგა ხანი ბომბეს გერმანელთა თვითმფრინავებმა თავიანთი ჯარის ნაწილები.

ამ დღეს ჩვენმა ოცეულმა დიდი ზარალი განიცადა. მებრძოლების თითქმის მესამედი დაეკარგეთ. პარშინისათვის ბომბის ნამსხვრევს ფეხი მოეწყვიტა. თხრილიდან რომ ამოვიყვანეთ, იგი ისევ სუნთქავდა, მაგრამ სისხლისაგან მთლად დაკლილიყო და დიდხანს აღარ უცოცხლია.

ოცეულში საკირკოს ამ დღიდან შევარქვით „ყოვლისშემძლე“.

ახლა ყველანი „ყოვლისშემძლე“ სერჟანტ საკირკოს შევცქეროდით და ვუცდიდით, თუ რას უპასუხებდა იგი მკედლიძეს.

—შენ თვითონ კაი კაცო, მე მინდა ყველაფერი ჩემი თვალთ ვნახო, თორემ წიგნის წაკითხვა ძნელი საქმე როდია,—მიუგო საკირკომ და ხელი გაიშვირა ხასანის ტბის გასწვრივ მდებარე მაღალ მთისაკენ.

—აგეჲ, აი, მთას ხომ ხედავ.—განაგრძობდა იგი,—იალბუზის მთას რომ ჰგავს, ეს ზაოზერნაიას მთაა. სულ მალე მის

მწვერვალზეც ავალთ და თბილისს კი არა, შენს საკუთარ სოფელს, ხელთუბანსაც შენიშნავ. თუ გინდ მთელი დღე ფურცლე წიგნები, თბილისს კი არა, გყინვარწვერსაც ვერ დაინახავ.

საკირკოს სიტყვებმა კიდევ უფრო გაამხიარულა ოცეული. ათიოდე წუთი ვისხედით ხასანის ტბის ნაპირას. პაპანაქება სიცხისაგან გამთბარ წყალში ხელ-პირი და ფეხები დავიბანეთ. ჭარისკაცის სახსრებმა შეება იგრძნეს.

გზას გავუდექით; მალე ბატალიონის შტაბის შიკრიკი წამოგვეწია და ლეიტენანტ ავერიანოვს მეთაურის ბრძანება გადასცა: სათანადო განკარგულების მიღებამდე ადგილზე შეჩერდით და შეინიღბეთო.

სწრაფად გავთხარეთ თხრილები, ვახშმის შემდეგ ყველანი სახელდახელოდ გაკეთებულ თხრილებში მოვთავსდით.

უკვე კარგად იყო დაღამებული, რომ საკირკომ თავისთან მიმიხმო. მოდი, წერილი დავწერე და უნდა წაგიკითხოო.

თხრილში სერჟანტი იწვა. საკირკო კი კუთხეში მიმჯდარიყო.

— იცი, ვის უნდა გავუგზავნო წერილი? — მისვლისთანავე მითხრა საკირკომ.

როგორ არ ვიცოდი. საკირკოს ხომ არც დედა ჰყავდა, არც მამა და არც სხვა ახლობელი ვინმე. ჰყავდა მხოლოდ საცოლე ვალია და მასთან ჰქონდა მიწერ-მოწერა.

— იცი, რა მიკვირს, — განაგრძობდა საკირკო, — ამ რამდენიმე წლის წინ, ჭარში რომ მივდიოდით, ვალია მაცოლებდა. მაშინ თავი კინალამ ტირილით მოიკლა, აღარ იცოდა, რა ექნა. სამი თვის წინ კი, ჩვენ მინსკში ერთმანეთს რომ შევხვდით, მისთვის არ გამიმჟღავნებია, თუ სად მივდიოდით, თვითონვე

მითხრა. არ ვიცი, როგორ გაეგო. სიმართლე რომ გითხრა, ეს სრულიად არ გამკვირვებია. ყველაზე მეტად იმან გამკვირვა, რომ მაშინდელივით აღარ ტიროდა. ახლა ვალიას სახეზე სიხარული აღბეჭდილიყო. მის ცისფერ თვალებში სინაზესთან ერთად ცეცხლიც იგრძნობოდა.

წამოსვლის წინ მხურვალე ტუჩებით შუბლზე მაკოცა, კეთილი მგზავრობა და სახლში გამარჯვებით დაბრუნება. მისურვა. ჩემი წერილი კი ცოტა გულისამაჩუყებელი გამოვიდა.

საკირკო წამოდგა და თუთუნის გახვევა დაიწყო.

— შენც სხვა წერილი დასწერე. მისწერე, ასე და ასე, სულ მალე დავბრუნდები, ცოლად შეგირთავ და ტკბილად ვიცხოვრებთო.

— მიწერით კი მივწერ, მაგრამ, ვინ იცის, როდის დავიწყებთ იპონელი დამპყრობლების განადგურებას. მოსახდენი ჩქარა უნდა მოხდეს, ჰა, რას იტყვი? ნეტავი მალე დადგეს ეს დოცვილი წუთები.

— აბა, რა გითხრა, ძმაო. მეც მაგას ვნატრობ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ღამე მეტად წყნარი იყო. ირგვლივ ყოველივე ღუმდა, შორს კი, ზაოზერნაიას მეორე მხრიდან ისმოდა მოტორების გუგუნის, ჩვენამდის რომ ძლივს აღწევდა.

— ადექით, მოემზადეთ! — ზარივით გაიწკრილა ლეიტენანტ ავერიანოვის ხმამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით ზაოზერნაიას მიმართულებით.

ზაოზერნაიას მაღალი მთა ზურგს უკან რომ მოვიტოვეთ, ლეიტენანტმა ბრძანა, შეწყვიტეთ პაპიროსის წევა და ლაპარაკიო.

სამხრეთის მხრიდან ახლა უკვე გარკვევით ისმოდა მოტო-

რების გაძუდმებული გუგუნი, ცაზე მოჩანდა პროექტორების სვეტები. პატარა გორაკზე ბოძი შეენიშნეთ.

—ფრთხილად იყავით, უკვე საზღვარზე ვართ,—ხმადაბლა ვვითხრა ლეიტენანტმა. საზღვრის ბოძამდე მცირე მანძილია დაგვრჩა გასავლელი, რომ ღრმად გათხრილ სანგარს წაეადე-ქით. აქ რამდენიმე ჩვენი მესაზღვრე შემოგვეგება.

ოცეულმა თავისთვის განკუთვნილი ადგილი დაიჭირა სანგარში. ღამე მთვარიანი იყო და ღიდ მანძილზე ვხედავდით, თუ როგორ ფრთხილად მოდიოდნენ საზღვრის მიმართულე-ბით და უცბად უჩინარდებოდნენ ქვეითი ჯარის ნაწილები.

ხელმარცხნივ, ასე, ოციოდე მეტრის დაცილებით, რამდე-ნიმე ადამიანმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. უეცრად საომ-რად გამზადებულ ბატალიონს ხმები მოედო: არმიის სარდა-ლი წინა ხაზზე იმყოფება, იგი უშუალოდ თვითონ უხელ-მძღვანელებს ბატალიონის შეტევასო.

გენერალი, მართლაც, წინა ხაზზე იმყოფებოდა, ლეიტენანტ ავერიანოვის ოცეულის მახლობლად. ჩვენ იგი არა ერთხელ გვენახა და ამ დღესავით ნათელ ღამეში კარგად გავარჩიეთ მისი სილუეტი. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ გენერალს უნდა ეხელმძღვანელა ბატალიონის შეტევისათვის, მგონი, ეს უფრო რიგითი ჯარისკაცების სურვილი იყო, ვიდრე სინამდვილე.

ავერიანოვის ოცეულმა შეტევისათვის ყველა სამზადისი ჩაატარა. ბატალიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში, კაპიტანმა მაკარენკომ ჯიბის ფარნის შუქზე წაგვიკითხა ფრონტის პოლიტსამმართველოს მიმართვა ჯარებისადმი.

—გავანადგუროთ იმპერიალისტური იაპონია, ომის მეორე კერა! სტალინისათვის! წინ, საბოლოო გამარჯვებისაკენ! — ამ სიტყვებით მთავრდებოდა მიმართვა.

რამდენიმე მებრძოლმა სიტყვა წარმოთქვა. ილაპარაკა სერჟანტმა საკირკომაც.

— ჯერ ხუთი თვეც არ გასულა, რაც გერმანიაში იბრძოდა ჩვენი ოცეული, — ხმადაბლა, მაგრამ ცოტა აღელვებით ლაპარაკობდა იგი; — უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ცუდად როდი ვიბრძოდით იქ, ამხანაგებო! გერმანიის ფაშიზმი უკვე დავამარცხეთ და გავანადგურეთ. ახლა საჭიროა დავამარცხოთ იაპონელი სამურაები, რათა კვლავ დავბრუნდეთ ჩვენს ოჯახებში და შევეუდგეთ მშვიდობიან ცხოვრებას. გაუმარჯოს სამშობლოს! გაუმარჯოს სტალინს!

შემდეგ ერთხელ კიდევ შევეამოწმეთ იარაღ-საჭურველი. გუშაგების გარდა ძილის ნება ყველას გვქონდა დართული, მაგრამ, აბა, ვინ დაიძინებდა!

მართალია, არც ერთ ჩვენგანს პირველად არ უხდებოდა იერიშის დაწყების წინ ლოდინი, მაგრამ... სხვისა რა გითხრათ და მე კი სულ სხვანაირად განვიცდიდი ამ წუთებს. თუ რატომ, სიმართლე რომ ვთქვა, ეს დღესაც არ ვიცი.

იმიტომ ხომ არა, რომ სხვა შეტევებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი მომავალ შეტევას, რომელთანაც დაკავშირებული იყო საბოლოო გამარჯვება. ან იქნებ იმიტომაც, რომ ჩემ გვერდით გენერალი მეგულებოდა.

ვიდექი სანგრის კედელზე მიყრდნობილი და მკერდზე ვიკრავდი საბრძოლველად გამზადებულ ავტომატს. მინდოდა მხოლოდ ხვალინდელ შეტევაზე მეფიქრა, მაგრამ ჩემი ფიქრები მაინც ლიახვისა და მტკვრის შესართავთან მდებარე პატარა ქალაქს დასტრიალებდნენ. აი, მე უკვე შინ ვარ, მეხვევა მოხუცი დედა, მკოცნის გაუთავებლივ და ჩამესმის მისი სიტყვები:

— შვილო, სულ იმას იწერებოდი, ჩემს წიგნებს გაუფრ-

თხილდიო. აბა, ერთი ნახე, ხომ ყველაფერი რიგზეა. ახლა შენ მიერ გაშენებულ ვენახს შეხედე, როგორ გაიზარდა, წელს რომ ყურძენი მოისხა, ასე ბევრი არასოდეს სხმია.

—ხომ არ ჩაგეძინა?—მეუბნება საკირკო.

—აბა, ასეთ დროს რა დამაძინებს,—ცოტა არ იყოს, ნაწყენით ვუპასუხე.

—უკვე თენდება,—თქვა მან და ჩვენ სწრაფად შემოვბრუნდით უკან; ზაოზერნაიას მხრიდან ცა განათდა, ცეცხლის ალი ავარდა. ქვემეხები და ნალმმტყორცნები შემზარავად ქუხდნენ.

—ახლა კი უკვე დადგა, წუხელ რომ ვნატრობდით, ის წუთები,—თქვა საკირკომ და ავტომატი მოიმარჯვა. მზად ვიყავით შეტევისათვის. ორი საათი გაგრძელდა ბრძოლა. უკვე კარგად გათენებული იყო, როცა გაისმა ლეიტენანტ ავერიანოვის ბრძანება: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის, ოცეულო, წინ!“

სწრაფად დავტოვეთ სანგარი და გავეჩანეთ მალლობისაკენ, რომელიც მდინარის სანაპირო გზას მარცხნივ ეკვროდა. ეს მალლობი იყო ჩვენი ორიენტირი №1 და პირველ რიგში ის უნდა დაგვეკავებინა. ათეულის წინ სერჟანტი საკირკო გარბოდა. მას ფეხდაფეხ ივანოვი და მე მივლევდით, ხელმარცხნივ მჭედლიძე და მასლენიკოვი მორბოდნენ.

მარჯვენა მხარეს, ნახევარი კილომეტრის იქით, ტანკების კოლონა მიიწევდა ორ მთას შუა მიმავალი შარაგზისაკენ.

არტილერიის მთელი ცეცხლი მტერმა ტანკების წინააღმდეგ მიმართა. ამან ბევრად შეამსუბუქა შემტევი ქვეითი ნაწილების მდგომარეობა, მალლობიდან ასიოდე მეტრით ვიყავით დაშორებული, როცა ამუშავდა მტრის ტყვიამფრქვევები და ნალმმტყორცნები; ჩვენ მაინც შეუსვენებლივ მივიწევდით წინ.

იაპონელთა პირველი რიგის სანგრებში იოლად შევიჭვრით, მაგრამ აქ არ შევჩერებულვართ. უკვე კარგად ვხედავდით მალლობზე ორი „დოტის“ ამბრაზურას. აქედან გვიშენდა მტერი ტყვიამფრქვევის ცეცხლს. ჰაერში გაჩნდა ჩვენი რამდენიმე მოიერიშე თვითმფრინავი. ისინი ქვემეხებიდან ესროდნენ მალლობზე მდგარ „დოტებს“. ამუშავდა არტილერიაც, მაგრამ მტერი მაინც განაგრძობდა სროლას. ჯვარედინა ცეცხლის ქვეშ მოვექეცით. იძულებული გავხდით დავწოლილიყავით, ახლა ხოხვით მივიწევდით წინ, მალლობისაკენ. სერჟანტი საკირკო სულ ახლო მიხონდა „დოტთან“. ხელში სასროლად გამზადებული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ეჭირა. საკირკოს მარცხენა მხრიდან მჭედლიძე უახლოვდებოდა „დოტს“. საკირკომ ოდნავ წამოიწია და ყუმბარის სროლა დააპირა, მაგრამ იაპონელებმა შენიშნეს და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი დაუშინეს.

სერჟანტმა ყუმბარის სროლა ვერ მოასწრო; იგი მიწას გაეკრა, ახლა მჭედლიძე გახონდა წინ. აი, ის სულ ახლოა „დოტთან“; იგი უკვე მოემზადა ყუმბარის სასროლად, მაგრამ იაპონელებმა ისიც შეამჩნიეს და ახლა მას დაუშინეს ცეცხლი. ამით ისარგებლა საკირკომ და ყუმბარა შიგ ამბრაზურაში შეაგდო. ჩაჩუმდა ტყვიამფრქვევი. საკირკო თვალის დახამხამებაში „დოტის“ სახურავზე გაჩნდა. სულ მალე ჩვენც მის გვერდით ვიყავით.

სერჟანტ სმირნოვის ათეულსაც უკვე დაედუმებინა მეორე „დოტის“ ტყვიამფრქვევი და ისინიც ჩვენსავით „დოტის“ სახურავს ზედ მოქცეოდნენ.

—კაპუტ, სამურაი,—ჩასძახა საკირკომ ღუმელის მილიდან „დოტში“ მომწყვდეულ იაპონელებს.

სამურაებმა ჯერ წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ შალე დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა წაგებული იყო, რკინის კარები გააღეს და სათითაოდ გარეთ გამოსვლა იწყეს. თითოეული მათგანი თოფს ხიშტით მიწაში არკობდა და ხელებს მაღლა სწევდა.

— აკი იაპონელები ტყვედ არ ნებდებიანო? — თქვა საკირკომ და მჭედლიძე იკითხა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ სად იყო იგი.

კოტა ხნის შემდეგ სანიტარმა სარქისიანმა მოირბინა და შეგვატყობინა, მჭედლიძე რამდენიმე ტყვიით მკერდში მძიმედ დაიჭრა და ეს-ეს არის გარდაიცვალაო.

სერჟანტი საკირკო ბავშვივით ატირდა. ან კი როგორ არ ატირდებოდა — მოკლეს ის, ვისთანაც ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდა. ვინ მოთვლის, რამდენი გაჭირვება გადაიტანეს მათ ერთად. მოკლეს მჭედლიძე, რომელიც ასე ძლიერ ნატრობდა მშობლიურ საქართველოში დაბრუნებას და თავისი სატრფოს ცოლად შერთვას. ნუთუ საკირკოს აღარ მოუხდება მჭედლიძესთან ყოფნა, ერთ კარდალში პურის ჭამა, ერთ საწვიმარკარვის ქვეშ ძილი?!

ბრძოლა დამთავრდა. უკვე გარღვეული იყო იაპონელთა პირველი გამაგრებული ხაზი.

ტყვე იაპონელები ბატალიონის შტაბს ჩავაბარეთ. ლეიტენანტმა მჭედლიძისა და ორი სხვა მებრძოლის დასასაფლავებლად რამდენიმე ჯარისკაცი გამოჰყო. სერჟანტმა საკირკომ ლეიტენანტს სთხოვა: — ნება მომეცით მეც დავრჩე, ჩემი ხელით მინდა დავკრძალო ჩემი ძმა და მეგობარიო. ლეიტენანტმა საკირკოს ნება მისცა დარჩენილიყო.

მაღლობიდან ჩამოვედით და გზას დავადექით. მაღე „ვილისი“ წამოგვეწია. მძღოლის გვერდით ბატალიონის მეთაური



მატიასი იჯდა. მანქანამ რამდენიმე მეტრით გაგვისწრო და შეჩერდა. მაიორი მანქანიდან სწრაფად გადმოხტა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ, თქვენ ერთხელ კიდევ მასახელეთ. გენერალმა მოიწონა თქვენი მოქმედება და მთელი ოცეულის შემადგენლობა „დიდების“ ორდენით დაგაჯილდოვათ.

მაიორმა ოცეულის მეთაურს ამოცანა გააცნო და კვლავ წინ გასწია.

ნახევარი საათის შემდეგ ბატალიონი პირველ დასახლებულ პუნქტში შევიდა. ეს სოფელი არცთუ ისე პატარა იყო, მაგრამ აქ კაცის ჭაჭანება აღარ იყო. როგორც შემდეგ გავიგეთ, იაპონელებს სოფლის მცხოვრებნი ძალით გაერეკათ სამხრეთში. ისინი ხომ დიდი ხნით გამაგრებას აპირებდნენ და საომარი მოქმედების ზონაში კორეელების ყოფნა სრულებითაც არ იყო მათთვის ხელსაყრელი.

მაიორ მათიასის ბატალიონი ამ სოფელში შეჩერდა. ახლა ჩვენ უკვე მეორე ეშელონში ვიყავით და ნაბრძანები გვექონდა სოფლის სამხრეთით გაგმაგრებულისავე. ნახევარი საათის განმავლობაში ბატალიონი თხრილებში მოეწყო.

სოფელში რომ შევედით, ცეცხლი მხოლოდ აქა-იქ ეკიდა სახლებს. ეტყობოდა, იაპონელებს მთელი სოფლის გადაწვა უნდოდათ, მაგრამ ჩვენი ჯარების წინსვლა ისეთი სწრაფი იყო, რომ მათ ყველა სახლისათვის ცეცხლის წაქიდება ვეღარ მოასწრეს.

რაც დრო გადიოდა, სოფელში ცეცხლი უფრო ძლიერდებოდა. ლერწმით გადახურულ ფიცრულ სახლებს ალი სწრაფად ეღებოდა.

მაიორმა მათიასმა ბატალიონის ოფიცერთა შემადგენლობა თავისთან მიიხმო და უბრძანა სოფელში ხანძრის ჩაქრობა.

ახლად გათხრილ სანგრებში თითო ათეულიდან სამ-სამი მებრძოლი დაეტოვებოდა, დანარჩენები კი გავნაწილდით ცეცხლწაქიდებულ სახლებზე. ჩვენი ათეული განაპირა სახლისაკენ გაეშურა, ხის დაბალი შენობა მთლად აღში იყო გახვეული. სახლს რომ მივუახლოვდით, საშინელი ყვირილი შემოგვესმა. აქეთ-იქით ცქერა დავიწყეთ, მაგრამ არავინ ჩანდა.

— ბიჭებო, სახლში ვილაცაა დამწყვდეული, — დაიძახა მებრძოლმა ზიმანოვმა და აივანზე ავარდა. სახლის კარები გარედან იყო გადაარაზული, მან სწრაფად გააღო კარი და სახლში შეიჭრა. ახლა ჩვენ გარკვევით გვესმოდა ადამიანის ყვირილი. სერჟანტს რამდენიმე მებრძოლიც შეჰყვა თან, დანარჩენები ცეცხლის ჩაქრობას შევუდექით. სულ მალე ზიმანოვმა და რამდენიმე მებრძოლმა ცეცხლწაქიდებული კორეელი მამაკაცი და პატარა ბავშვი გამოიყვანეს. კაცს მხოლოდ ტანისამოსზე ეკიდა ცეცხლი, ბავშვს კი სხეულზედაც მოსდებოდა. მამაკაცს სწრაფად შემოვახიეთ ტანსაცმელი. ზიმანოვმა ბავშვი საწვიმარში გახვია და მდინარისაკენ გააქანა. წელამდე წყალში რომ შევიდა, ბავშვი წყალში ჩაუშვა და ერთ ხანს ასე ეჭირა. კორეელი მამაკაცი მალე გრძნობაზე მოვიდა, წამოხტა და ყვირილით ზიმანოვისკენ გაიქცა, რომელიც ამ დროს უკვე მდინარის ნაპირზე იდგა და ხელში ნახშირად ქცეული ბავშვი ეჭირა. კორეელმა რომ ეს დაინახა, საშინელი ტირილი მორთო. იგი თმებს იგლეჯდა, ფრჩხილებით სახეს იკაწრავდა და დროდადრო გაიძახოდა: — ნანუნ ჩენია, ნანუნ ჩენია\*. ეს ამბავი მთელ ბატალიონს მოედო. რამდენიმე მებრძოლი ამ სახლთან მოვგროვდით. მოვიდა ლეიტენანტი ავერიანოვიც. ამ საწყალი ადამიანების თავზე დატრიალებულმა საცოდობამ ყველას გული აგვიჩუყა. ხანძრის ჩაქრობაზე თავგამოდებით

\* ჩემო გოგონა, ჩემო გოგონა.

ვმუშაობდით, აგიზგიზებულ ცეცხლში ვვარდებოდით. გვინდოდა სახლი მაინც გადაგვერჩინა მთლიანად დაწვისაგან, რა არის, იქნებ როგორმე ამით მაინც შეგვემსუბუქებინა ამ ადამიანის უბედურება.

როგორც იყო, ცეცხლი ჩავაქრეთ. მაგრამ ვაი ამ ჩაქრობას; მთელი სახლიდან მხოლოდ ორი კედელიღა გადარჩა.

ლეიტენანტმა ავერიანოვმა თავისი საკვირაო ტანსაცმელი აჩუქა მთლად შიშველ კორეელ გლეხს.

მამა-შვილი ასე მკაცრად იმიტომ დაუსჯიათ, რომ მათ იაპონელების ბრძანება არ შეუსრულებიათ. მართალია, სოფელი დაუტოვებიათ, მაგრამ სამხრეთით კი არ გამგზავრებულან, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, არამედ მთებში წასულან და თავი ტყისათვის შეუფარებიათ. თან წაღებული ბრინჯი მალე გამოლევიათ. შიმშილით რომ შეწუხებულან, გადაუწყვეტიათ, სოფელში ჩამოსულიყვნენ და სახლში დარჩენილი ცოტაოდენი ბრინჯი წაეღოთ. მართლაც, წინა საღამოს ისინი სოფელში ჩამოსულან, მამა სოფლის გარეთ დამდგარა, ბავშვი კი სოფელში შეუგზავნია სახლიდან ბრინჯის გამოსატანად. მას ეგონა, სამურაები გოგონას ხმას არ გასცემდნენ, მაგრამ იაპონელებმა ბავშვს თურმე მაშინვე ხელი სტაცეს და მათრახებით ცემა დაუწყეს. მამას ეს რომ დაუნახავს, იაპონელებთან მიჰრილა და ფეხებში ჩავარდნია. ეხვეწებოდა თურმე, ბავშვს ნუ სცემთ, ეგ რა შუაშია, მე ვარ დამნაშავეო. მაგრამ არ გაუჭრია მის ხვეწნა-მუდარას. იაპონელები შეუბრალებლად სცემდნენ მამა-შვილს. იმდენ ხანს უცემიათ, სანამ ორივეს გრძნობა არ დაჰკარგვია. დამე საკუთარ სახლში გამოუმწყვდევიათ, ამ დილით კი, როცა ჩვენი ჯარები სოფელს მიუახლოვდნენ, იაპონელებს მამა-შვილი კედელზე თოკებით მიუბამთ და სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ.

სოფელში მოვიდა რამდენიმე კორეელი მამაკაცი, რომლებსაც ახლომასლო ტყეებისთვის შეეფარებინათ თავი. ახლანდელი ისინიც გვეხმარებოდნენ ცეცხლის ჩაქრობაში.

შუაღლე იყო, როცა საქმეს მოვრჩით. ჯერ ლუკმა პური აჩაგვედვა პირში. ეს მხოლოდ მაშინ გაგვახსენდა, როცა საველზე სამზარეულო, რომლის საკვამლე მილი ჯერ კიდევ ბოლავდა, სოფელში შემოგრუხუნდა. შევუდექით სადილს.

— ეს რა, საუზმეა თუ ვახშამი? — ხუმრობით უთხრა ლეიტენანტმა ავერიანოვმა ზემდეგს.

— არა, ეს საუზმეა გაძლიერებული სადილით.

— კარგი და, რატომ კორეელებს არ მოიპატიეთ. ისინი ხომ მშვიდები არიან!

— მეც მაგას ვფიქრობ, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ რა ვქნა, ჭურჭელი არა გვეყოფნის. თქვენი ჯარისკაცები კარდალებს თან არ ატარებენ, შეტევის დროს გვამძიმებსო; რაც ჭურჭელი გვქონდა, მაგათ დავურიგე და ერთი თეფშიც კი აღარ დამრჩა.

ამის გამგონე მებრძოლებმა სადილი ერთმანეთის კარდალებში გადაასხეს და რამდენიმე კარდალი მიურბენინეს ზემდეგს. მზარეულმა პირამდის გაავსო ისინი. კორეელები ზემდეგმა სადილზე მიიპატიეთ. სადილის შემდეგ თავის ქნევით გვეუბნებოდნენ:

— კომასუმიდა, კომასუმიდა!\*

სადილი რომ დავამთავრეთ, საკირკო და მასთან დარჩენილი მებრძოლები მოვიდნენ. მათ გზის პირად გაუთხრიათ ძმათა საფლავი. იმ დროს, როცა ნერგის ტოტებისაგან გაკეთებული საკაცეებით საფლავში ასვენებდნენ მკვდრებს, გენერალს გამოუვლია. იგი მაშინვე გადმომხტარა მანქანიდან; საფლავთან

\* გმადლობთ, გმადლობთ!

პისულა, ქუდი მოუხდია და ერთ ხანს მდგარა თავდახრილი. წასვლის წინ გენერლის ადიუტანტს უბის წიგნაკში ჩაუწერია დალუპულთა გვარები.

ბრძანება მივიღეთ, რომ წინ წავსულიყავით. ორი საათი ვიარეთ შეუსვენებლივ. სულ ახლოს მივედით მოწინავე ხაზთან.

სოფელი, რომელშიც ჩვენ შევჩერდით, სავსე იყო ქვემეხებითა და ტანკებით. რამდენიმე ბატარეას უკვე მოესწრო საბრძოლო პოზიციების დაკავება და გამუდმებულ ცეცხლს აყრიდა მტერს. არტილერიისტები ხმამაღლა გადასცემდნენ ბრძანებებს. შეუსვენებლივ ქუხდნენ გვარდიელთა ნაღმმტყორცნები, ფრონტზე რომ „კატუშები“ შეარქვეს.

მატიაშის ბატალიონმა სოფლის განაპირას დაიწყო გამაგება.

— ეხ, მეგობრებო, რა დროს სანგრების თხრაა, — ამბობს თხრილში წელამდის ჩამდგარი ივანოვი.

— ჰოდა, აქ ყოფნა რა ჩვენი საქმეა, წინ უნდა ვიყოთ, მოწინავე ხაზზე, — ერევა ლაპარაკში მასლენიკოვი, — ღმერთმანი, ისეთი სუნი ტრიალებს, რომ ყველაფერს უჩვენოდ დაამთავრებენ. წელან მეორე ბატალიონიდან ერთ დაჭრილს გამოველაპარაკე, შევეკითხე, როგორაა წინ საქმე-მეთქი. მეუბნება, — რა უჭირს, ყველაფერი რიგზეა, დღეს მარტო ჩვენმა ასეულმა მტრის ხუთასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაატყვევა; კიდევ ორი დღე დაგვაცალეთ და მთელ კორეას გავათავისუფლებთო.

— ნუ დარდობთ, ბიჭებო, კიდევ მოგვიხდება ბრძოლები, — ჯვეუბნება ავერიანოვი.

ჩვენ უკან, სოფლის განაპირას, „ჰაუბიციების“ დივიზიონი ოდგა. იგი მთელი ნახევარი საათი ისროდა შეუწყვეტლად.

შემდეგ არტილერისტებმა ქვემეხები ავტომანქანებს მიუბეს და წასასვლელად გაემზადნენ.

— ეს რა გვემართება, არტილერისტებიც კი ჩვენზე წინ მიდიან, — იცინის მასლენიკოვი.

— ახლა, მგონი, ჩვენც წავალთ, — გვეუბნება საკირკო, რომელიც ის იყო ბატალიონის შტაბიდან დაბრუნდა, — შტაბში რალაც ფაციფუცია; მგონი, პირველ ეშელონში გადავდივართ.

— დიდება შენდა, უფალო! — ცისკენ ხელების აპყრობით ხუმრობით ამბობს მასლენიკოვი.

— ბიჭებო, იცით, რა უნდა გითხრათ! ჩვენი შტაბის გვერდით ბატარეა იდგა. აქეთ რომ მოვდიოდით, ბატარეის პოზიციაზე რამდენიმე კორეელი გლეხი შევნიშნე. მათ არტილერისტებთან საუბარი გაებათ. დავინტერესდი და ყური მივუგდე. კორეელი გლეხი, რომელიც რუსულს კარგად ლაპარაკობდა, მებრძოლებს ეუბნებოდა:

— შვილებო, აგერ, აიმ ობელისკს ხომ ხედავთ, მაღალ მთაზე რომ დგას, ქვემეხები დაუშინეთ და აჰგავეთ პირისაგან მიწისა. თითქმის ექვსი წელია თავზე დავცქერის როგორც საშინელება.

— მერე რა არის იქ? — ეკითხებიან არტილერისტები.

— რა და, საფლავია ათასობით სამურაისა, ხასანის ტბასთან თქვენს სამშობლოს თავს რომ დაესხნენ.

— რა, არტილერისტებმა არ დაუშინეს? — კითხულობს მასლენიკოვი.

— არა, არ დაუშინიათ; არტილერისტების მათორმა კორეელებს უთხრა: ეს რა ჩვენი საქმეა, თქვენ როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცითო.

— მაშ ჩვენ თვითონ დავანგრევთ, — ამბობდნენ გახარებულნი კორეელები.

შტაბიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. ჩვენ პირველ ეშელონში გადავდიოდით. ნაბრძანები გვქონდა, წინა ხაზზე პოზიციები დაგვეკავებინა.

ლამის პირველი საათი იქნებოდა, რომ უკვე წინა ხაზზე სახელდახელოდ გათხრილ სანგრებში ვიწექით.

— გუშინ ამ დროს ოთარ მკედლიძე ცოცხალი იყო, — მეუბნება საკირკო და საველე ჩანთიდან კონვერტს იღებს.

— აჰა, წაიკითხე, ოთარის ბარათია, — მაწვდის იგი ოთხად დაკეცილ თეთრ ფურცელს.

ჯიბის ფარნის შუქზე წავიკითხე მე ეს ბარათი.

„ ძვირფასო ნათელა! მე კვლავ ფრონტზე ვარ, უკვე წაგვიკითხეს საბრძოლო ბრძანება, გათენებისას მივდივართ შეტევაზე.

ახლა ღამეა. ვწევარ სანგარში და მთვარის შუქზე ვწერ ამ ბარათს. ჩემ გვერდით წევს ლეიტენანტი ავერიანოვი.

აბა, შენ იცი, როგორ ბარათს მისწერ, ჩემგანაც მოკითხვა გადაეციო, — ხელის წაკვრით მეუბნება იგი.

გათენებამდე ორი საათილა რჩება. მინდა, ჩქარა გავიდეს დრო, ჩქარა წავიდეთ შეტევაზე. არ ვიცი რატომ, ყოველი წუთი საუკუნედ მეჩვენება.

მართლა, მივიღე შენი წერილი, კლუბის აშენების შესახებ. რომ მწერდი. ამ ამბავმა მეტად გამახარა. ვინ იცის, როგორ გალამაზდა ჩვენი სოფელი. თვალწინ მიდგას ზღვასავით აღლვებული ყანები; შეუსვენებლივ დაცურავს ჩემი კომბაინი. ვხედავ კალოზე მომუშავე ჩვენ გოგო-ბიჭებს, მესმის მათი სიმღერა და სიცილ-კისკისი...

უკვე თენდება. მალე წავალთ შეტევაზე. წერას ვამთავრებ... მკერდზე ვიკრავ ჩემ ავტომატს... ვიცი, ჩვენ გავიმარჯვებთ.

მშვიდობით, იყავი კარგად, შენი ოთარი.“

ბარათი უხმოდ დავუბრუნე საკირკოს. მან გასაგზავნად გამ-  
ზადებულ წერილებში შეინახა იგი.

— ბიჭებო, ხომ კარგად ხართ? — გვესმის შეუმჩნევლად  
თავზე წამომდგარი ავერიანოვის ხმა.

— არა გვიჭირს რა! — ხმადაბლა პასუხობს მთელი ათეული.

— აბა, კარგად დაისვენეთ, დილაზე მტერს გვარდიული  
დარტყმა უნდა ვაგემოთ, — ამბობს იგი და მიემართება მეო-  
რე ათეულისაკენ.

— ნეტავ ლეიტენანტი რატომ არ დაისვენებს, მას ხომ  
მეორე ღამეა თვალი არ მოუხუჭავს, — გვესმის სანგრიდან  
მებრძოლი ივანოვის ხმა.

— სანამ მთელ ოცეულს არ შემოივლის, ყველა მებრძოლს  
არ ნახავს, — ლეიტენანტს რა დააძინებს, — პასუხობს ზიმანოვი.

— აბა, უყურე, როგორ ზრუნავს ჩვენზე. იშვიათი ადამიანია  
ლეიტენანტი, იშვიათი, — ერთმანეთს ეუბნებიან მებრძოლები.

და უეცრად მაგონდება კალინინის ფრონტი. სადგურ ნი-  
ლიდოვასთან ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ლეი-  
ტენანტი უსკოვი, ჩვენი ოცეულის მეთაური. ვწუხდით, რომ  
ჩვენ შორის აღარ იყო იგი. „ბლინდაჟში“ კაპიტანი მატიაშა  
შემოვიდა. მას თან შემოჰყვა სრულიად ახალგაზრდა უმ-  
ცროსი ლეიტენანტი. იგი ოცი წლისა თუ იქნებოდა, მაღალი  
იყო და გამხდარი.

— ხომ კარგად ხართ, არწივებო? — შემოსვლისთანავე შე-  
გვეკითხა კაპიტანი მატიაში. ჩვენგან პასუხი რომ მიიღო, გა-  
ნაგრძო: — აი, ოცეულის ახალი მეთაური მოგიყვანეთ, — უმ-  
ცროსი ლეიტენანტი ავერიანოვი. აბა, თქვენ იცით, როგორ  
მოიქცევით, ლეიტენანტი უსკოვი არ შეარცხვინოთ.

კაპიტანი მატიაში მაშინვე წავიდა.

— გამარჯობათ, მებრძოლებო! — ბავშვური ხმით გვითხრა



ავერიანოვმა და ყველას ხელი ჩამოგვართვა.

ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადავხედეთ.

„ნუთუ ეს გაგვიწევს ლეიტენანტ უსკოვის მაგივრობას?“—აი, რა გავიფიქრე მე უეცრად; იგივე ამოვიკითხე სხვა მეზობლთა თვალეშიც.

ავერიანოვმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ყველას შემოგვთავაზა. შემდეგ გვარი, სახელი, მამის სახელი და ვინაობა გამოგვკითხა. იგი ყოველივე ამას უბის წიგნაკში იწერდა. ცოტა რამ თავის შესახებაც გვიაშობო. ავერიანოვი მოსკოველი იყო. ომამდე სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში უმუშავებდა ტექნიკოსად. გერმანელები მოსკოვს რომ მიახლოვებოდნენ, მოხალისედ წასულა ფრონტზე. იქ ერთ-ერთ ბრძოლაში ფეხში დაჭრილა და ერთი თვე ჰოსპიტალში წოლილა. ჭრილობის მორჩენის შემდეგ ოფიცერთა ექვსთვიან კურსებზე უსწავლია და ეს არის კვლავ ფრონტზე დაბრუნებული.

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, მე თქვენ გიცნობთ!— მიმართა ავერიანოვს მეზობლმა ივანოვმა.

—საიდან მიცნობთ?

—ომის დაწყების წინ ვნახეთ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე.

— უყურე შენ, რა მეხსიერება ჰქონია, ერთი ნახვით აღაშინი ამდენ ხანს დახსომებია! — სიცილით ამბობს საკირკო.

—ერთჯერ კი არა, ათჯერ მინახავს.

—შესაძლოა. ხომ გაგიგონიათ: „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...“

—არავითარი ჰორაციო,—არ დააცადა საკირკოს სიტყვას დაბოლოვება ივანოვმა,—მე უმცროს ლეიტენანტს ვნახულობ-

დი მოედანზე „ტორპედოს“ თავდამსხმელთა შორის. ხომ მართალია, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო?

— თქვენ მართალი ხართ. „ტორპედოს“ გუნდში ვთამაშობდი.

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, ჩვენი ოცეულის მებრძოლების უმეტესობა ფეხბურთელები ვართ. მასლენიკოვი საკოლმეურნეო გუნდში მეკარედ თამაშობდა, ივანოვი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის დამცველი იყო, მე კი დნებროპეტროვსკაა ნაკრების თავდამსხმელი. ზიმიანოვი და ფედოროვიც ახალგაზრდობაში ბურთს თამაშობდნენ. ახლა ისინი თავისუფალ დროს საათობით ფეხბურთზე ლაპარაკობენ. ზიმიანოვი მოსკოვს „დინამოს“ გულშემატკივარია, ფედოროვი კი— „სპარტაკისა“. დგანან და ერთმანეთს უმტკიცებენ: არა „დინამო“ სჯობია, არა „სპარტაკი“.

ჯარისკაცებს პირველი დღიდანვე შეგვიყვარდა უმცროსი ლეიტენანტი ავერიანოვი: კარგი მიდგომა ჰქონდა მებრძოლებისადმი.

როცა აღელდებოდა, რამდენიმე სიტყვას იტყოდა, მაგრამ მისი სიტყვები ჯარისკაცის გულს სწვდებოდა. ბრძოლაში ოცეულს კარგად მართავდა, თვითონ თამამი და გამბედავი იყო, არაფრის არ ეშინოდა. ამიტომ იყო, რომ მას ოცეულში „ჩვენი ჩაპაევი“ შევარქვით. აღარ მახსოვს, თუ ვის დაებადა ეს აზრი. მართალია, ასე მისთვის არასოდეს მიგვიმართავს, მაგრამ ჩვენ შორის მას მხოლოდ ამ სახელით ვიხსენიებდით.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოგვწონდა ავერიანოვი. ახლა ის ჩვენი მარტო მეთაური კი არა, უფროსი ძმაც იყო და კარგი მეგობარიც.

დილის ექვსი საათისათვის იყო დანიშნული შეტევა. არტა-

ლერია მ ერთი საათით ადრე გახსნა ცეცხლი. საარტილერიო მომზადების შემდეგ მტრის პოზიციისაკენ ტანკების კოლონები დაიძრნენ. ტანკებს ფეხდაფეხ ქვეითი ჯარი მიჰყვებოდა. სანგრებიდან წამოდგომის წინ საკირკომ წამჩურჩულა, აძლენი ტანკები ჩვენ რალას დაგვაცლიანო. და, მართლაც, ასე მოხდა. ტანკებმა ადვილად გაარღვიეს მტრის თავდაცვა. ქვეითი ჯარი ნიაღვარივით შეიჭრა მტრის სანგრებში. მტერი გატყდა. ათასობით იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი იარალს ყრიდა და იჩოქებდა.

ბრძოლის შემდეგ მაიორ მატიაშის ბატალიონი ავტომანქანებზე მოთავსდა და მახლობელ ქალაქისაკენ გაემართა. ჩვენ წინ სატანკო ბატალიონი მიდიოდა, ზურგში კი მოტოდივიზიონი მოგვეყვებოდა.

ქალაქს რომ მივუახლოვდით, შემოგვესმა ტყვიამფრქვევისა და ქვემეხების სროლა. გზის პირას გამოსულმა კორეელმა გლეხებმა, ხელების ქნევითა და „მანსეს“ ძახილით რომ გვეგებებოდნენ, გვითხრეს: ქალაქში უკვე მეორე დღეა კიმირსენელ პარტიზანებსა და იაპონელებს შორის ბრძოლები წარმოებსო. ჩვენ უკვე ქალაქის ქუჩებში მივჭრით. ნაჩინის პატარა მოედნები და ვიწრო ქუჩები მტრის ავტომანქანებითა და საბარგულებითაა გაქედილი.

კორეელ პარტიზანებს გზა გადაუღობიათ უკან დახეული იაპონელებისათვის და ქალაქიდან გასვლის საშუალება არ მიუციათ. ჩვენსა და პარტიზანებს შუა მომწყვდეული იაპონელი სამურაები იარალს ყრიან და ტყვედ გვბარდებიან. ქალაქის გარეუბნიდან ჩვენკენ მომავალ ასამდე შეიარაღებულ ადამიანს მოვკარით თვალი.

— ჩვენ კიმ ირ სენის პარტიზანები ვართ,— ეუბნება პარტი-  
ზანთა მეთაური ტანკისტების პოლკოვნიკს.

პოლკოვნიკი და პარტიზანთა მეთაური ერთმანეთს ეხვე-  
ვიან. ერთმანეთს ეხვევიან ჯარისკაცები და პარტიზანებიც.

სერჟანტმა საკირკომ ოცეულში ორი პარტიზანი მოიყვანა.  
ისინი კარაბინებით იყვნენ შეიარაღებული.

— ამხანაგო სმირნოვ,— მიმართავს საკირკო მეორე ათეუ-  
ლის მეთაურს, იაპონელი ტყვეების იარაღს რომ იბარებდა,  
— ჩვენი კორეელი ძმები ავტომატებს გვთხოვენ.

— ეგ რა სალაპარაკოა,— ამბობს ავერიანოვი,— რაკი გვთხო-  
ვენ, უნდა მივცეთ. მათთვის ხომ იარაღია საჭირო.

საკირკო პარტიზანებს თავისი ხელით ჰკიდებს ავტომა-  
ტებს. გახარებული პარტიზანები მკერდში იკრავენ ჩვენგან  
ნაჩუქარ იარაღს და ამბობენ:

— ჩოსო, ჩოსო.\*

ქალაქ ჩენგჩენთან მატიაშის ბატალიონმა სასტიკად დაა-  
შარცხა იაპონელ ოფიცერთა დიდი ჯგუფი და ქალაქ ვონსანი-  
საკენ გაეშურა. ბატალიონის ავანგარდში ლეიტენანტ ავერიან-  
ოვის ოცეული იმყოფებოდა.

ამ დილით ცა მოღრუბლული იყო. ცოტათი იწვიმა კიდევ.  
შუადღისას ღრუბელი გაიფანტა და საშინლად ჩამოცხა. მზე  
სწევას ყველაფერს, თავს კი ვერსად ვერ შეაფარებ: ირგვლივ  
არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. გარშემო მხოლოდ ბორცვე-  
ბია, იმათ იქით კი ნაცრისფერი მთები.

მთლად ოფლში ვიწურებოდით, სუნთქვა გვეკვროდა,  
მაგრამ მაინც გზას განვაგრძობდით, ფეხდაფეხ მივლევდით  
დამარცხებულ იაპონელ ოფიცერთა ნაშთებს და ტყვიამ-  
ფრქვევების ცეცხლით მოსვენებას არ ვაძლევდით.

\* კარგია, კარგია.

ერთი სოფლიდან ასე ორასი მეტრის დაცილებით, პატარა წინარესთან, ოცეულმა თავი შეაფარა გზის პირას მდებარე ბუჩქებს. საჭირო იყო იმის გაგება, იყვნენ თუ არა სოფელში იაპონელი ოფიცრები. გადაწყვეტივით მწვერავეების გაგზავნა. მაგრამ ამ დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა კორეელმა ბავშვმა. ისინი სოფლის მხრიდან დიდი სიჩქარით მორბოდნენ ჩვენკენ. სერჟანტმა საკირკომ, რომელმაც უკვე მოასწრო რამდენიმე კორეული სიტყვის შესწავლა, ბავშვებს გასძახა:

—თანსენ ოსიფსიო!\*

აბა, ბავშვებს რაღა დაძახება უნდოდათ, ისინი ისედაც ჩვენკენ მორბოდნენ, მაგრამ, სერჟანტის ხმა გაიგონეს თუ არა, კიდევ უფრო სწრაფად გამოიქცნენ. სულ მალე ჩვენ წინ იდგნენ პატარა კორეელი ბიჭი და გოგო. ისინი, ასე, 9-10 წლისანი თუ იქნებოდნენ. ბიჭი მოკლე შარვლის ამარა იყო, გოგოს კი ნაკუწებად ქცეული კაბა ტანს ძლივს უფარავდა. ორთავეს ფეხები დამსკდარი და დასისხლიანებული ჰქონდა. მთელ სხეულზე მზე მოჰკიდებოდათ და აქა-იქ კანიც აძრობოდათ. აწითლებულ ლოყებზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, ვიწრო, შავი თვალები კი მეტად უბრწყინავდათ.

ბიჭი გოგოზე უფრო თამამი ჩანდა. მან მოსვლისთანავე ნმობლიურ ენაზე სხაპასხუპით ლაპარაკი დაგვიწყო. მაგრამ მის ლაპარაკს, აბა, როგორ გავიგებდით, ჩვენგან ხომ არავინ იცოდა კორეული ენა. სერჟანტ საკირკოსაც კი, რომელსაც თავი მოჰქონდა, კორეული ლაპარაკი ვიცოთ, გაუჭირდა მათი ნათქვამის გაგება.

პატარა ბიჭი კი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ვხვდებოდით, რომ იგი ერთ და იმავე სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებდა. ხანდახან გოგონაც ჩაერეოდა ხოლმე ლაპარაკში.

\* აქ მოლით!

ბავშვებს თითქოს უკვირდათ კიდევ, რომ მათი სიტყვები ახ გვესმოდა, და კიდევ უფრო ხმამაღლა და დაჟინებით გველაპარაკებოდნენ.

ბოლოს საკირკო მიხვდა, რასაც ბავშვები ამბობდნენ.

—ისო, ისო,\*—ეუბნებოდა იგი კორეელ ბიჭს, ჩვენ კი გვითხრა:

—ბიჭებო, იაპონელებს ხიდი დაუნაღმავთ და გაქცეულან. ბიჭის სახეზე ღიმილი აღიბეჭდა. ეტყობოდა, ძალიან უხაროდა, რომ ჩვენ მივხვდით მის ლაპარაკს. ახლა იგი უფრო თავისუფლად და თამამად გრძნობდა თავს.

კორეელი გოგონა კი თითებით გვიჩვენებდა იაპონელთა რაოდენობას. იგი ბიჭივით დაიღრიჯა და ათივე თითი ხუთჯერ მოკეცა. ამასაც მივხვდით: იაპონელი ოფიცრები ორმოცდაათამდე უნდა ყოფილიყვნენ.

ლეიტენანტმა ავერიანოვმა ბავშვებს სოფელი დაანახვა. შემდეგ უთხრა:

—ისო, ისო.

ბავშვებმა ერთდროულად უპასუხეს:

—ოფსო, ოფსო.\*\*

უკვე ყველაფერი ნათელი იყო. პატარა მდინარის ხიდის ქვეშ ჩვენ, მართლაც, რამდენიმე ნაღმი ვიპოვეთ. ნაღმები რომ მოვხსენით, სოფლისაკენ გავემართეთ.

ბავშვები ერთ ხანს წინ მიგვიძლოდნენ. შემდეგ სწრაფად მოკეპურცხლეს და უკან ჩამოგვეტოვეს. ისინი იყვნენ სოფლის მახარობელნი—მათ ამცნეს ხალხს ჩვენი სოფელში მისვლა.

მთელი სოფელი ფეხზე იდგა. ხალხი გვესალმებოდა.

---

\* არის, არის.

\*\* არა, არა.

მათ რიგებში გაისმოდა შეძახილები:

„ნოგუცარამ მანსე,“ „სტალინ მანსე!“\*

სოფელში შესვლისთანვე პატარა ბიჭებმა სურებით ცივი წყალი გამოგვირბენინეს, ხოლო გოგონები კალათებით ატამსა და მსხალს გვთავაზობდნენ.

სოფელში რამდენიმე კაცმა იცოდა რუსული. მათგან შევიტყვეთ, რომ ბავშვები, რომლებიც ჩვენ დაგვეხმარნენ, დამანი იყვნენ.

მათი მამა ქიმ ინ ბო რევოლუციონერი ყოფილა და კავშირი ჰქონია კიმირსენელ პარტიზანებთან. დიდხანს უდევნიათ მისთვის იაპონელებს, მაგრამ ვერა და ვერ შეუპყრიათ. ბოლოს სახლში მძინარისათვის მიუსწრიათ, დაუმორჩილებიათ და ხელ-ფეხზე ბორკილები დაუდვიათ. მეორე დღეს სოფლის შუაგულში სახრჩობელა აღუმართავთ, სახლებიდან ხალხი ძალით გამოუყვანიათ და მიუტრეკიათ.

ქიმ ინ ბო ვაჟკაცურად შეხვედრია სიკვდილს. როცა იაპონელები მარყუქში თავს აყოფინებდნენ, მას მთელი ხმით დაუძახია:

„გაუმარჯოს კიმ ირ სენს!“ თოკზე ჩამოკიდებულ ქიმ ინ ბოს ჰაერი არ ყოფნიდა, მაგრამ მისი ბაგეებიდან მაინც ისმოდა სიტყვები:

„თავისუფლება კორეას.“

ამ სურათის მნახველთ თვალები ცრემლით ავსებიათ, გული კი—რისხვით. ჯალათებს ცემა-ტყვებით გაურეკიათ ატირებული ხალხი. იაპონელებს სახრჩობელასთან გუშაგი დაუყენებიათ: ეშინოდათ თურმე, ხალხი ქიმ ინ ბოს გვამს ჩამოხსნის და დაასაფლავენსო.

სოფლის შუაგულში დიდხანს ეკიდა ქიმ ინ ბო. მას გულზე

---

\* გაუმარჯოს რუსებს, გაუმარჯოს სტალინს!

ფიცარი ჰქონდა შებმული წარწერით: „ყველა პარტიზანს ეს დღე მოვლის“.

სერჟანტი საკირკო, რომელსაც ჭიმ ინ ბოს შვილები კალათში ესხა, ავერიანოვს ეუბნებოდა:

—ამხანაგო ლეიტენანტო, იცით, რა ჰქვია ჩვენს პატარა მეგობრებს?

—არა, არ ვიცი.

—გოგონას დიუნი ჰქვია, ბიჭს კი ლი.

ლეიტენანტმა მაჯის საათი მოიხსნა, პატარა ბიჭისათვის უნდა ეჩუქებინა იგი. ავერიანოვს საკირკომაც მიჰბაძა, მანაც გოგონას მაჯაზე თავისი საათის კეთება დაუწყო, მაგრამ ბავშვები უარობდნენ.

უცბად ლიმ ლეიტენანტ ავერიანოვის საველე ჩანთას მოჰკიდა ხელი და ცქერა დაუწყო.

ჩანთის ცელულოიდის ჰვეშ სტალინის სურათი ჩანდა. ბავშვმა მკერდში ჩაიკრა ჩანთა და იქვე მდგარ რუსულად მოლაპარაკე კორეელს რაღაცა უთხრა.

—ლი სტალინის სურათს გთხოვთ,—გვითხრა კორეელმა. ამ დროს გაისმა დიუნის წკრიალა ხმაც.

—დიუნიც სტალინის სურათს გთხოვთ,—გაიმეორა იმავე კორეელმა.

ჩვენ შევასრულეთ ლის და დიუნის თხოვნა. მათი მოქმედებით ჩვენ სრულიადაც არ განვცვიფრებულვართ: ჭიმ ინ ბოს შვილებისაგან ეს გასაოცარი როდი იყო.

ვონსანისაკენ მიმავალ ოცეულს დიდხანს მოსდევდნენ პატარა კორეელი ბავშვები. მათ წინ მოუძლოდნენ ლი და დიუნი, რომელთაც მკერდში სტალინის სურათები ჰქონდათ ჩაკრული.

ქალაქში ღამით შევედით. იგი ცეცხლით იყო განათე-



ბული. იაპონელებს გაქცევის წინ საწყობისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. მთელი ქალაქის გადაწვა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ რკინიგზელ მუშებს ამის საშუალება არ მიუციათ. ქალაქის მთელი მოსახლეობა ხანძარს ებრძოდა. ამ საქმეში მათ რკინიგზელი მუშები ხელმძღვანელობდნენ. ჩვენმა ქალაქში შესვლამ ხალხი ადაფრთოვანა. ახლა ისინი უფრო ენერგიულად აქრობდნენ ცეცხლს. იქ ჩვენ არც ერთი წუთი არ შევჩერებულვართ.

პატალიონი ქალაქ ფხენიანისაკენ მიეშურებოდა.

## 2

დილის 7 საათზე საბჭოთა ჯარებმა ფხენიანში საჰაერო დესანტი ჩამოსხეს. ორი საათის შემდეგ კი ქალაქში ლეიტენანტ ავერიანოვის ოცეული შევიდა. რკინიგზის სადგურის ბოედანზე ათასობით ადამიანს მოეყარა თავი. ისინი ზეიმით და აღტაცებით გვეგებებოდნენ.

ჩვენ მივდიოდით ტრამვაის ლიანდაგებს შუა, ფართო ქუჩით, რომლის ორთავე მხარეს ევროპული სტილის შენობები იდგა. ტანმადალმა, სრულიად ახალგაზრდა კაპიტანმა, ქალაქის კომენდანტის მოვალეობას რომ ასრულებდა, ლეიტენანტს უბრძანა, ჩვენ ოცეულს ქალაქის საპატიმრო დაეკავებინა.

— აი, ეს კორეელი, — უჩვენა კაპიტანმა თავის გვერდით მდგომ ახალგაზრდა კაცზე, წითელი ქალაღდის ვარსკვლავი რომ ჰქონდა მკერდზე. გაკეთებული, — თან გამოგყვებათ. იგი თქვენი გზის მაჩვენებელიც იქნება და თარჯიმანიც.

ისევ სადგურისაკენ, გამოვბრუნდით. თარჯიმანი კარგად ლაპარაკობდა რუსულს. მისგან შევიტყვეთ, რომ იმ საპატიმროში, რომლის დაკავებაც ჩვენ გვქონდა ნაბრძანები, იაპონელები მხოლოდ პოლიტიკურ პატიმრებს ათავსებდნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე საპატიმროს ფართო ეზოში ვიდექით. სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. ღუმდნენ შავად შეღებილი საპატიმროს კედლები...

და უცბად, ყველასათვის მოულოდნელად, ღუმლის კედელი გაირღვა და დაიძრა ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი და ახლობელი ხმები. საპყრობილეში წლობით გამომწყვდეული ასობით ადამიანი მღეროდა „ინტერნაციონალს.“

მრავალჯერ მსმენია მე ეს სიმღერა პიონერულ კოცონებზე თუ კომკავშირულ შეკრებებზე, მაგრამ არასოდეს ასეთი რამ არ განმიცდია. ამ ხმების გაგონებისთანავე სუნთქვა შემიწყდა. საკუთარი გულის ცემაც კი საგრძნობი გახდა.

საპატიმროს საგუშაგო ოთახთან ტანდაბალი კორეელი შემოგვეგება, ჭაჭვზე აგებული გასაღებები გადმოგვცა და გვითხრა, ციხის ზედამხედველი იაპონელები ეს-ეს არის გაიქცნენო.

საპატიმროს შესავალი კარები გვავლეთ. გრძელ სარდაფში რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგით, თარჯიმანმა ქვედა სართულში ჩამავალი კიბე გვიჩვენა.

— დაბლა კარცერებია, — გვითხრა მან.

ბნელ კიბეზე ფრთხილად ჩავედით. დაბლა კიდევ უფრო ბნელოდა. ჯიბის ფარნებით გავაშუქეთ ვიწრო სარდაფი, რობლის ორთავე მხარეს რამდენიმე რკინის კარი დაეხსიანო.

მარჯვედ გავადეთ ყველა კარცერის კარი. ოცდახუთი კორეელი პატრიოტი იყო მათში გამომწყვდეული. ყველა გრძნობადაკარგული, სიკვდილის პირამდე იყო მისული. მაგრამ მათი მებრძოლი სული ვერ გაეტეხა ვერც შიმშილს, ვერც წყურვილს, ვერც იაპონელთა პსეუდო ტანჯვა-ჩამებას. ისინი ბტრის წინაშე არ დაჩოქილან, ქედი არ მოუხრიათ. დიდება მათ!

საპატიმროდან სამასამდე პოლიტიკური პატიმარი გაეა-

თავისუფლეთ. მათ პირდაპირ ქალაქში ვუშვებდით. დაავად-  
ბყოფილებული პატიმრები კი, სიარული რომ არ შეეძლოთ,  
ეზოს გალავნის ჩრდილში მოვათავსეთ.

ამასობაში საპატიმროსთან მრავალ ადამიანს მოეყარა თა-  
ვი. ეზოს კარებთან მდგარი ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე  
კორეელები ხელში იტაცებდნენ განთავისუფლებულ პატ-  
რიოტებს და ასე მალა აყვანილები მიჰყავდათ ისინი ხალ-  
ხში. ხალხი კი ესალმებოდა თავის სახელოვან შვილებს.  
ცისფერკაბიანი ახალგაზრდა ქალიშვილები წითელი აბრეშუ-  
მის თავშლების ფრიალით კორეის ხალხის ეროვნულ ჰიმნს  
მღეროდნენ. მათ მამაკაცები ტაშის კვრით და მაღალი ვაჟ-  
კაცური ხმით აძლევდნენ ბანს. დედების ზურგზე წამოკიდე-  
ბულ ძუძუმწოვარა ბავშვთა სახეებზე ღიმილი აღბეჭდილი-  
ყო. ისინიც დიდების მსგავსად ხელებს იქნევდნენ. ნუთუ  
მათაც იგრძნეს თავისუფლება!

დიდხანს გაგრძელდა ფხენიანის მშრომელთა ზეიმი.

როდესაც კორეელებმა პატიმრების განთავისუფლების  
ამბავი გაიგეს, მოვიდნენ და გვთხოვეს, ნება მოგვეცით, რომ  
მალ ჩვენ აღმოვუჩინოთ დახმარებაო. თანხმობა მიიღეს თუ  
არა, ახლომანლო სახლებში გადაიყვანეს ყველა, გარდა ერთი  
მოხუცისა, რომელიც ჭერ კიდევ გრძნობაზე არ იყო მოსული.  
იგი საგუშაგო ოთახში ტახტზე დავაწვინეთ. სანიტარმა სარ-  
ქისიანმა ვალერიანის წვეთები დააღვინა. მოხუცი დამშვიდ-  
და და ტკბილად ჩაეძინა. მალე გაიღვიძა და ტახტზე წამოჯ-  
და.

— დიდი მადლობელი ვარ, თქვენ მარტო იაპონელ ჯალა-  
თებს კი არა, სიკვდილსაც გამოსტაცეთ ჩემი თავი,—გვითხ-  
რა მან რუსულად. მოხუცს ჩაი შევთავაზეთ. ორი ჭიქა ჩაი  
რომ დალია, უკეთ იგრძნო თავი. ჩვენ შორის მეგობრული

წაუბარი გაიმართა. მოხუცი მეტად ცნობისმოყვარე აღ-  
მოჩნდა.

ჩვენი თხოვნის შემდეგ მან მოკლედ გვიამბო თავისი თავ-  
გადასავალი.

მოხუცი გვარად ლი ინ გორი იყო, პროფესიით მასწავლე-  
ბელი. მამამისი ფხენიანის ახლო მდებარე სოფლის გლეხი  
ყოფილა. ლი ინ გორს სიღარიბეში გაუტარებია ბავშვობა.  
სწავლის ნიჭი პატარაობიდანვე ჰქონია. კარგად დაუმთავრე-  
ბია სოფლის დაწყებითი ორწლიანი სკოლა და სწავლა ფხე-  
ნიანის ვაჟთა გიმნაზიაში გაუგრძელებია. გიმნაზიის დამთავ-  
რების შემდეგ თავისივე სოფელში დაბრუნებულა დაწყები-  
თი სკოლის მასწავლებლად. მძიმე და აუტანელი ყოფილა  
სოფლის მასწავლებლის ცხოვრება, მაგრამ ბავშვებისადმი  
სიყვარული ასულდგმულებდა—ძალასა და ენერჯიას მატებ-  
და ლი ინ გორს. იგი მონდომებით ასწავლიდა სოფლის ბავ-  
შვებს მშობლიურ ენას, უნერგავდა მათ სამშობლოსა და თა-  
ვისი ხალხისადმი სიყვარულს. დიდხანს არ გაგრძელებულა  
ლი ინ გორის ასეთი ცხოვრება. კორეის დაპყრობის შემდეგ  
იაპონელებმა ყველა სკოლა დახურეს. ლი ინ გორი უადგი-  
ლოდ დარჩა.

სოფელში ცხოვრება გაქირდა. ბრინჯის მთელი მოსავალი  
იაპონელებს მიჰქონდათ, კორეელი ხალხი კი შიმშილობდა.  
ლი ინ გორი ლუკმაპურის საშოვნელად სეულში წასულა.  
დიდხანს უხეტიალია სეულის ქუჩებში, მაგრამ სამუშაო  
ვერსად უშოვია. ბოლოს ნავსადგურ ჩემულპოში დაუწყია  
მუშაობა მტვირთავად. დღეში 14—16 საათს მუშაობდნენ  
დოკერები. განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ექვსფუთიან ბრინ-  
ჯის ტომრებს იაპონიის სატვირთო გემებზე.

ხუთი წელი უწევია ლი ინ გორს დოკერის მძიმე უღელი.

შეტი ვერ აცტანია. დასუსტებულა და ავად გამხდარა. კვლავ უმეშვერობა, დღედაღამ სეულის ქუჩებში ხეტიალი, შიმშილ-წყურვილი, უსახლკარობა...

ექვსი თვის შემდეგ იგი გაქირვებით ახერხებს ქალაქ სარივონის სკოლაში გაკვეთილების შოვნას. მაგრამ სულ ძალე იაპონელებმა გამოაძევეს იგი სკოლიდან. გამოაძევეს იმიტომ, რომ მან სიმართლე უთხრა ბავშვებს: კორეას კორეა უწოდა. კვლავ უმეშვერობა... მან დაჰკარგა ყოველგვარი რწმენა. გადაწყვიტა ჩინეთში გაქცევა, მაგრამ ვერ მოახერხა. უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ, აი, ბედნიერება:

კორეის სოფლებსა და ქალაქებს ხმები მოედო—მანჯურიის საზღვრებთან, მდინარე იალუძიანის სანაპიროებზე, კორეელი პარტიზანები ულეტენ იაპონელ მტაცებლებსო. პარტიზანებს სათავეში უდგას ცნობილი რევოლუციონერის შვილი კიმ ირ სენიო.

„კიმ ირ სენი, კიმ ირ სენი, ნუთუ ეს ის ახალგაზრდაა, სეულის მშრომელთა აჯანყების წინა დღით მამამისმა ხელჩაკიდებული რომ მოიყვანა ნავსადგურში. ცოცხალი ბავშვი კი ჩანდა, ყველაფერი აინტერესებდა. კარგად მახსოვს, მეც შემეკითხა, ძია, ბეჭები არ გტკივა ამდენი ტომრების ზიდვითო?“ ასე ფიქრობდა მთებში კიმ ირ სენთან მიმავალი ლი ინ გორი. მიდიოდა ლი ინ გორი და თან მიჰქონდა იაპონელთა სიძულვილი, სამშობლოს განთავისუფლების წყურვილი.

აი, ის დგას პარტიზანთა მეთაურის წინაშე. მის დანახვაზე მამა გაახსენდა. მამა სრული იყო, ბეჭებში განიერი, თეთრი თმა და შექალაქარავებული წვერ-ულვაში ჰქონდა. შვილი ტანით მამაზე მალალი მოჩანდა, ოღნავ. გამხდარი, უწვერულვა-

შო, შავი გრუზა თმებით. შეხედულებით, ასე, ოცი წლისა თუ იქნებოდა, მოქმედებით კი დარბაისელი, აზრიანი, დინჯი და აუჩქარებელი.

— მე თქვენ უკვე დიდი ხანია გიცნობთ. თქვენ ვერ გაგახსენდით? — უთხრა ლი ინ გორმა ჰაბუკ კიმ ირ სენს.

— მე თქვენ ყოველთვის მახსოვდით, — უპასუხა პარტიზანთა მეთაურმა.

ლი ინ გორი ჩარიცხული იქნა პარტიზანთა რაზმში, ამის შემდეგ იგი იბრძოდა კიმ ირ სენტან. მასთან მიიღო პოლიტიკური წრთობა. გახდა კორეის კომუნისტური პარტიის წევრი. რეკომენდაცია თვით პარტიის ბელადმა მისცა. იგი ამაყობს ამით.

— მაშ თქვენ გაინტერესებთ კორეის პარტიზანთა ამბები? — გვეუბნება ლი ინ გორი, — კეთილი, მოგახსენებთ. კიმ-ირსენელ პარტიზანთა ბრძოლების მოსაყოლად ძალიან ბევრი დროა საჭირო, ამაზე მთელი წიგნები დაიწერება. მაგრამ მე მაინც მოკლედ გეტყვით: ჩვენ ვიბრძოდით სამშობლოსა და კორეელი ხალხის თავისუფლებისათვის.

— და მოიპოვეთ კიდევ, — ეუბნება სერჟანტი საკირკო.

— დიახ, მოვიპოვეთ თქვენი დახმარებით, — პასუხობს ლი ინ გორი და განაგრძობს:

— დღეს თავისუფლებას დღესასწაულობს კორეის ხალხი. მადლობა თქვენ, საბჭოთა მეომრებო! გაუმარჯოს სტალინს!

საპატიმროში ბატალიონის შტაბიდან გამოგზავნილი შიკრიკი მოვიდა. მას რამდენიმე კორეელი მოჰყვა თან.

საპატიმრო კორეელებს გადააბარეთ, თქვენ კი სარივონის

მიმართულებით გამოემგზავრეთო, გვატყობინებდნენ შტაბი-დან.

საპატიმროს გადაბარება არ მომხდარა. ან რა უნდა გადაგვებარებინა. კორეელებს მხოლოდ ჯაჭვზე ასხმული გასაღებები გადავეცით.

— გმადლობთ, გმადლობთ. საპატიმრო ჩვენ ახლა ძალიან გვესაჭიროება,—გასაღებების ჩამორთმევის დროს რუსულ ენაზე გვეუბნებოდა სათვალეებიანი კორეელი, რკინიგზელის ფორმა რომ ეცვა.

ყველანი გამოვემშვიდობეთ მოხუცს.

— ჩვენ ახლა ხშირად შევხვდებით ერთმანეთს,—წამოსვლის წინ ხელის ჩამორთმევით გვითხრა მოხუცმა.

კვლავ რკინიგზის სადგურში ვართ. სულ რაღაც ორმა-სამმა საათმა განვლო ჩვენი აქ ყოფნის შემდეგ, მაგრამ ცვლილებები უკვე საგრძნობია. ლიანდაგი სატვირთო მატარებლებით აღარაა გაჭედილი. რამდენიმე ორთქლმავალი მანევრირებას ახდენს. ახლად მორწყულ სადგურის ბაჟანზე აქეთ-იქით რკინიგზელი მუშები ჩამწყრივებულან და გრძელი ცოცხებით ჰგვიან. სადგურის ერთ მხარეს ორ კორეელს კიბე მიუდგამს კედელზე და ძველი აბრის მაგივრად ახალს ჰკიდებს. ფხენიანი — ვკითხულობთ მასზე რუსულად კორეული წარწერის ქვეშ. მეორე მხარეს კი ისევ ძველი აბრა ჰკიდია ინგლისური და იაპონური წარწერებით.

სადგურის მოედანზე, იქ, სადაც ტრამვაის შემოსაბრუნებელია, ოცამდე კორეელი მუშა ლიანდაგს ასუფთავებს.

ჩვენ ქალაქის მთავარი ქუჩით ცენტრისაკენ მივემართებით. ქუჩის ვიწრო ტროტუარებზე ხალხის კედელია აღმართული. თეთრ ტანსაცმელში საზეიმოდ გამოწყობილი კორეელები ხელებს გვიქნევენ და შემოგვცინიან.

ქუჩის მარჯვენა მხარეს ჩარიგებულ რკინის ბოძებზე ასული მამაკაცები გაწყვეტილ მავთულებს ერთმანეთზე აბამენ.

თედონგანის რკინის დიდ ხიდთან, პატარა მოედანზე, ხალხი შემოსევია გადახურულ ავტომანქანას.

გვესმის თითქოს ნაცნობი და ახლობელი ხმები.

— ნეტავი რა ხმებია? — ერთმანეთს ეკითხებიან მეზობლები.

კორეელი ადამიანები გზას გვაძლევენ და ავტომანქანისაკენ ხელების გაშვებით გვეუბნებიან:

— მოსკოვი! სტალინი!

აი, ჩვენ სულ ახლოს ვართ ავტომანქანასთან. გარკვევით ვხედავთ მასზე მოწყობილ რადიო-დანადგარებს. გვესმის ქვემეხთა შორეული გრიალი.

— მოსკოვი სალუტს გვაძლევს! მოსკოვი იაპონიაზე გამარჯვებას დღესასწაულობს! გაუმარჯოს სტალინს! ვაშა! — ხელების მალლა აშვერით ყვირის ავერიანოვი.

— ვაშა! — ხმას უერთებს მას მთელი ოცეული.

— მანსე! — ორივე ხელების ქნევით ყვირიან გახარებული კორეელები.

ქალაქგარეთ რომ გავედით, მზე უკვე დასავლეთის პორიზონტზე ეშვებოდა. ამალღებული ბორცვებიდან, სადაც ჩვენ შესვენება მოვაწყვეით, ხელისგულივით ჩანდა ფხენიანი. მზის აღმაცერ სხივებზე ოქროსფრად ლივლივებდა მდინარე თედონგანი, შუა ქალაქში წყნარად რომ მიედინებოდა; ქალაქის ქუჩები და მოედნები ხალხით იყო სავსე. თედონგანიდან მქროლავ ნიავს მუსიკისა და სიმღერის ხმები მოჰქონდა.

ფხენიანი გამარჯვებას ზეიმობდა.

ფხენიანი ახალ ცხოვრებას იწყებდა.



რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ფხენიან-სეულის გზა-ტკეცილის მარჯვენა მხარეს მაიორ მატიაშის ბატალიონი ღამეს ათევდა. სულ რაღაც ორი-სამი საათი იყო გასული, რაც ბატალიონი აქ შეჩერდა სამოცკილომეტრიანი მარშის შემდეგ.

დაგვიანებული ვახშობა რომ დაამთავრეს, მებრძოლებმა წესრიგში მოიყვანეს იარაღ-საჭურველი და დასასვენებლად განლაგდნენ.

ბანაკს ჯერ ისევ ეღვიძა. მაიორმა მატიაშმა ბატალიონის ოფიცერთა შემადგენლობა თავისთან გამოიძახა. თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. მაიორი ლაპარაკობდა ხმამაღლა, ცოტა აღელვებით. ასე იცოდა მან ლაპარაკი რთული საბრძოლო ამოცანის შესრულების წინ.

ბატალიონის მეთაურს ნაბრძანები ჰქონდა, გზა განეგრძო შემდგომი ქალაქისაკენ. ეს ქალაქი 38-ე პარალელის ჩრდილოეთით მდებარეობდა. იგი საბჭოთა ჯარებს უნდა დაეკავებინათ.

— უნდა ვიაროთ რაც შეიძლება ჩქარა, ყოველი წუთი ძვირფასია, დაგვიანება არ შეიძლება, — დაამთავრა საუბარი მაიორმა.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ბატალიონის ავანგარდში გაეგზავნათ ლეიტენანტ ავერიანოვის მეავტომატეთა ოცეული.

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, რომ ავერიანოვმა სასწრაფოდ აგვაყენა. მოკლედ გაგვაცნო საბრძოლო ამოცანა და გვიბრძანა წასასვლელად მოვმზადებულიყავით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ვსხდებოდით დიდ სატვირთო ავტომანქანაზე.

ახმაურდა მობტორი. ავტომანქანა სწრაფად გასრიალდა ფხე-

ნიან-სეულის ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე. მალე ერთ პატარა ქალაქში შევედით, შემდეგ მარჯვნივ გადავუხვიეთ და ქალაქ №-ისკენ გავეშურეთ. სეულის ფართო გზატკეცილთან შედარებით ეს გზა ბევრად უვარგისი გამოდგა. 25-ე კილომეტრზე მივაღექით პატარა მდინარეს, რომელზედაც ხიდი ჩანგრეული აღმოჩნდა. მძლოლმა ავტომანქანა მოხერხებულად დაამუხრუჭა. ლეიტენანტი სწრაფად გადმოხტა კაბინიდან და ჩანგრეული ხიდის დათვალიერება დაიწყო. შემდეგ რამდენიმე მეტრძოლი გაგზავნა, იქნებ ახლომანლო გასასვლელი ფონი იყოსო, მაგრამ ამოდ; მდინარე საკმაოდ ღრმა და თანაც ლამიანი იყო. გადავწყვიტეთ ხიდის შეკეთება. ამისათვის საჭირო იყო ხის მასალა, მაგრამ სად შეგვეძლო მისი შოვნა, როცა ირგვლივ გორაკების მეტი არაფერი ჩანდა!

ლეიტენანტმა ავერიანოვმა საველე ჩანთა გაშალა და ყურადღებით შეუდგა რუკის თვალიერებას. შემდეგ აღმოსავლეთით დაიწყო მზერა და სერჟანტ საკირკოს დაუძახა:

— აგერ, აი, იმ მაღალ გორაკს ხომ ხედავ, — უჩვენებდა იგი სერჟანტ საკირკოს ორი კილომეტრით დაშორებულ მაღლობზე, — ამ გორაკის მარჯვნივ სოფელია. შენ და სამი მეტრძოლი იქ უნდა წახვიდეთ და მცხოვრებლებისაგან შეიტყოთ, თუ როგორ შეიძლება სხვა გზით მდინარეზე გადასვლა, ან იქნებ როგორმე საჭირო ხის მასალა გამოიხატოს.

სერჟანტმა სამი მეტრძოლი დაგვისახელა. ჩვენ მასთან ერთად სწრაფად გავეშურეთ სოფლისაკენ.

გორაკი უფრო ახლო აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, რომ სოფელი დავინახეთ. ნაბიჯს უფრო ავუჩქარეთ და მალე სოფელს მივაღექით. ამ სოფელს სოფლისა არა ეტყობოდა რა. ძალლი რა არის, ძალლიც კი არ ჰაჭანებდა სოფელში! ეს ჩვენ არც გაგვკვირვებია. ვიცოდით,

რომ იაპონელებმა უკანასკნელ წლებში კორეელ მოსახლეობას მთლად წაართვეს როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. გაგონილი გვექონდა ისიც, რომ იაპონელები მკაცრად უკრძალავდნენ სოფლელებს ძაღლების ყოლას, რათა უფრო თავისუფლად ენავარდათ და ეძარცვათ ხალხი. ამიტომ იყო, რომ კორეელი გლეხები ამბობდნენ: „მგელს და იაპონელს ერთნაირად ეჯავრებათ ძაღლი!“

მაგრამ ჩვენ გაგვაკვირვა იმან, რომ სოფელში არც ერთი ადამიანი არ ჩანდა. უკვე კარგა ხნის გათენებული იყო და როგორ დავიჯერებდით, რომ სოფელში ახლა ვინმეს სძინებოდა.

მაშ სად იყვნენ ამ სოფლის მცხოვრებნი? ერთი სახლის აივანზე დავაკაქუნეთ. პასუხი არავის არ გაუცია. მაშინ ხელმეორედ დავაკაქუნეთ, ამჯერად უფრო ძლიერად. სახლიდან შემოგვესმა ჩვენთვის გაუგებარი ლაპარაკი. შემდეგ გარკვევით გავარჩიეთ მამაკაცის შემკრთალი ხმა ჩვენთვის უცნობ ენაზე. სერჟანტმა აივანზე აირბინა და კარებში შესძახა:

— ნუ გეშინიათ, ჩვენ რუსები ვართ.

— ნოგუცარამ, ნოგუცარამ! \* — ერთდროულად გაისმა ოთახში რამდენიმე ადამიანის შეძახილი. უცბად კარები გაიღო, ფეხებში ჩაგვიცივდნენ ხანში შესული გლეხი და მისი ნახევრად ტიტველი ცოლ-შვილი.

ისინი თითქოს შიშს გრძნობდნენ ჩვენს მიმართ და ხეყწნამუდარით რალაცას გვთხოვდნენ.

სერჟანტმა საკირკომ კორეელ გლეხს ხელებით აჩვენა, ნუ გეშინიათ, ჩვენ და თქვენ ძმები ვართო.

გახარებული კორეელი ფეხზე წამოდგა, თავის ქნევით მად-

---

\* რუსები, რუსები

ლობა გადაგვიხადა და ყვირილი მორთო. მის ძახილში, როგორც ზარის მომწოდებელი ხმა, გაისმოდა სიტყვები:

„ნოგუცარამ, ნოგუცარამ!“

და ამ სიტყვებს იმეორებდნენ სახლებიდან გამოცვენილი, უსაზღვროდ გახარებული კორეელები, რომელნიც ხელების ქნევითა და აღტაცებული შეძახილებით ჩვენკენ მობოდნენ.

ჩვენ გარშემო მრავალი ადამიანი შეიკრიბა: მოხუცი, ახალგაზრდა, დედები ძუძუმწოვარა შვილებით ხელში, მთლად შიმველი პატარა ბავშვები. ისინი მუხლისთავეებზე იჩოქებდნენ და თავებს მიწას ახებდნენ. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩვენ ცოტა დავიბენით კიდევ. მაგრამ მალე მივხვდით, რაშიც იყო საქმე. ასე ხომ იაპონელი დამპყრობლები აჩოქებდნენ პატიოსან და შრომისმოყვარე კორეელ ადამიანებს!

რამდენიმე კორეელი ფეხზე ავაყენეთ და ხელებით მივახვედრეთ, რომ რუსები იაპონელები არ არიან და მათგან დაჩოქებას არ მოითხოვენ. ამან კიდევ უფრო აღაფრთოვანა კორეელი გლეხები. ჩვენ წინ იდგნენ ათეული წლობით მონობაში გაწვალებული მშრომელები. მათ დანაოჭებულ სახეებზე და ღრმად ჩაცვენილ თვალებში აღბეჭდილიყო სიხარული და აღტაცება.

მალე ჩვენ და კორეელ გლეხებს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა. მეტად გაგვიჭირდა გაგვეგებინებინა მათთვის ჩვენი მისვლის მიზანი, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე მოიყვანეს მოხუცი კორეელი, რომელსაც ორმოცი წლის წინათ პორტ-არტურში ემსახურა რუსებთან ერთად.

ჩვენს დანახვაზე მოხუცი ატირდა.

ნეტავ რა ატირებდა მოხუცს?

მოპოვებული თავისუფლება, რაც მთელი სიცოცხლის გან-

მავლობაში ასე ძლიერ ენატრებოდა, თუ მოგონება თავისი რუსი მეგობრებისა, ორმოცი წლის წინათ პორტ-არტურში შეუბრალებლად რომ დახვრიტეს იაპონელმა სამურაებმა!

როგორც მოხუცისაგან შევიტყვეთ, ხიდი წინადლით დაუნგრევიათ იაპონელ ოფიცრებს. სოფელში ყოფილან ისინი. ყველა გლეხის სახლი გაუჩხრეკიათ და, თუ რამ ძვირფასი უპოვიათ, გაუტაციათ. ექვსი ლამაზი ქალიშვილიც შეუპყრიათ და თან წაუყვანიათ, ამერიკელებს უნდა მივგვაროთო. წასვლის წინ გლეხებს დამუქრებიან, ჩვენ კვლავ დავბრუნდებით, თქვენ მაშინ გაგისწორდებითო.

მოხუცმა გვიჩნია, რომ დანგრეული ხიდი აღგვედგინა. რამდენადაც მან იცოდა, ეს ერთადერთი ხიდი იყო ამ მდინარეზე და ფონიც არსად ეგულებოდა.

მოხუცმა სოფლის შუაგულში მდგომ სახლზე მიგვითითა და გვითხრა, ეს ჩემი სახლიაო. ამ სახლის ეზოში პატარა საბძელი იდგა. სწორედ ამ საბძლის დანგრევა გადაეწყვიტა მოხუცს. საბძლის ბოძებით ხიდის შეკეთება ძალიან იოლი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით მოხუცს საბძლის დანგრევაზე. მოხუცი თავისას არ იშლიდა,—ხვალვე ავაშენებ ახალ საბძელსო, თავისუფლებაში მყოფს საბძლის აშენება როგორ გამიჭირდებაო!

ჩვენ ისიც გვაფიქრებდა, თუ როგორ გადაგვეზიდა ეს ბოძები მდინარემდე; სოფელში არც ერთი უღელი ხარი და ცხენი არ მოიპოვებოდა. ეს ამბავი მოხუცს გაუუმხილეთ.

— ამის დარდი ნუ გაქვთ! — გვითხრა მოხუცმა და ყველას გასაგონად მშობლიურ ენაზე ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. ჩვენ ვერ მივმხვდარიყავით, თუ რას ელაპარაკებოდა მოხუცი თანასოფლელებს, რომელნიც თითქმის ყველა წინადადების

დამთავრებისას მოხუცს თავს უქნევდნენ და ერთ და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ.

მოხუცმა ლაპარაკი რომ დაამთავრა, ჩვენს გარშემო შემოკრებილი კორეელები საბძლისაკენ გაიქცნენ.

თეთრკაბიანმა ქალებმა ლომები და ცულები გამოარბენინეს სახლებიდან. რამდენიმე ახალგაზრდა კორეელი მამაკაცი თვალის დახამხამებაში საბძლის სახურავზე გაჩნდა და სახურავის ნგრევა დაიწყო. ყველა მონაწილეობდა შრომაში, მაღლა ასულებმა სახურავი სწრაფად აშალეს, შემდეგ კედლების ნგრევა დაიწყო. პირველი კოჭი ჩამოაგდეს თუ არა, დაბლა მდგარმა ორმა კორეელმა სწრაფად დაავლო ხელი ბოძს, მხარზე გაიდო და ხიდის მიმართულებით გასწია. პირველ ბოძს მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე და ა. შ.

მამაკაცებს არც ქალები და ბავშვები ჩამორჩებოდნენ. ისინიც ქმრებისა და მამების მსგავსად ეზიდებოდნენ ბოძებს ხიდისკენ. ამასობაში ჩვენკენ მომავალი ორი კორეელი ცისფერკაბიანი ქალი გამოჩნდა. მათ ხელში ეჭირათ თეთრბრეშუმგადაფარებული პატარა მაგიდა, რომელიც სულ ნახევარი მეტრის სიმაღლისა თუ იქნებოდა.

ქალებმა მაგიდა ვაშლის ხის ქვეშ მოათავსეს. შუახნის მამაკაცმა, რომელსაც კორეული თეთრი შარვალ-ხალათი ეცვა და ბრინჯაოსფერი კუნთმაგარი ხელები ნიდაყვებამდე ჰქონდა დაკაბიწებული, სიცილითა და თავის ქნევით მაგიდასთან მიპატიება დაგვიწყო:

— საპატიო სტუმარს საპატიო დახვედრა უნდა; რა ვუყოთ, სუფრა ღარიბული გვაქვს, გული კი — უხვი. მთელ სოფელში არავის აქვს ბრინჯი. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვშიმშილობთ. არ დაგვემღუროთ, რომ სასმელის მეტი ვერაფერი მოგართვით. სახლში წაგიყვანდით, ოჯახის კარებს გაგიღებდით, მაგრამ ვი-

ცი, რომ თქვენ ამისათვის დრო არ გექნებათ, ვამჯობინებთ ისევ აქ გცეთ პატივი. მობრძანდით, სოფელი დალოცეთ, კორეელისათვის გმირი მებრძოლისაგან დალოცვა ღმერთის დალოცვას უდრის, — გვითარგმნიდა მოხუცი მის ნათქვამს.

ჩვენ ბევრი არ გვიუარია.

ტანწერწეტა ახალგაზრდა ქალმა ჭიქები წითელი ფოდოძე-ლი აავსო (კორეელები ფოდოძუს ღვინოს ეძახიან). მეორე ქალმა კი ჭიქები ჩამოგვირიგა. პირველი ჭიქა მოხუცს მიაწოდა, მაშასადამე, პირველი სიტყვაც მას ეკუთვნოდა.

ოთხმა საბჭოთა მებრძოლმა და ოთხმა კორეელმა გლეხმა ჭიქები მალა ავწიეთ და ერთმანეთს მივუქახუნეთ.

მოხუცს თვალები გაუბრწყინდა, წელში გაიმართა და ხმა-მალა წამოიძახა:

— სტალინ მანსე!

ჩვენ შევსვით ბელადის სადღეგრძელო.

ორმოცი ბოძის წაღების შემდეგ მალა ასულებს ვუთხარით, მეტი ბოძი აღარ გვესაჭიროებაო. წამოსვლის წინ მოხუცმა ხელი ჩამოგვართვა და ასე მოგვმართა:

— ბევრი რამ კარგი ახსოვს კორეას რუსი ხალხისაგან. ჩვენ ახლაც თქვენ უნდა გიმადლოდეთ თავისუფლებას. მე მინდა გადაგიხადოთ ათასი მადლობა, მაგრამ ესეც ცოტაა, მე ვიცი, რომ რუსები კეთილი ადამიანები ხართ, ამიტომ ვბედავ სოფლის სახელით თხოვნით მოგმართოთ: იქნებ როგორმე დაგვიბრუნოთ იაპონელი ოფიცრების მიერ გატაცებული ჩვენი ექვსი ქალიშვილი.

ჩვენ დახმარებას დავპირდით. შემდეგ ყველას დიდი მადლობა გადავუხადეთ და გამოვემშვიდობეთ.

ორ-ორმა თითო ბოძი გავიდეთ მხარზე, ხიდისაკენ წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ იმ წუთში რამდენიმე კორეელმა სწრაფად

მოიბრძინა და ჩვენს მიერ აწეულ ბოძებს მხრები შეუდგეს. არ გვაძლევდნენ ნებას ბოძები გვეტარებინა, გინდათ თუ არა, ეს ბოძებიც ჩვენ უნდა წამოვიღოთო.

მთელმა სოფელმა გამოგვაცილა. უკვე კარგა მანძილით ვიყავით სოფელს დაშორებული, მაგრამ სოფლის განაპირას მდგარი კორეელი ქალები და ბავშვები კვლავ გვიქნევდნენ ხელებს.

ოცეულში რომ მივედით, ხიდი თითქმის შეეკეთებინათ. რამდენიმე საბჭოთა არმიელი და კორეელი წელამდე წყალში ჩამდგარიყვნენ და ხიდის ბურჯებს ამაგრებდნენ.

მალე ხიდი აღდგენილი იქნა. კვლავ გაისმა მოტორის გუგუნი. ავტომანქანა ნელი სვლით გადავატარეთ ხიდზე.

ლეიტენანტმა კორეელებს მადლობა გადაუხადა, რამდენიმეს ხელიც ჩამოართვა და მძღოლის გვერდით დაჯდა.

ავტომანქანა ამოძრავდა. ახლა იგი უფრო დიდი სისწრაფით მიჰქროდა სამხრეთით. მაგრამ მანქანის სიჩქარეზე უფრო სწრაფად ჩვენი ფიქრები მიჰქროდნენ წინ.

თითქმის ერთი საათი ვიარეთ. გახშირდა მადლობები, შეუჩერებლივ განვაგრძობდით გზას. ერთ ადგილას ასვლაც კი გაგვიჭირდა, მაგრამ აქაც არ დაგბრკოლებულვართ. ამ მადლობს რომ გადავცილდით, ჩვენ წინ ზღვა გადაიშალა. მის კლდოვან ნაპირებზე ქალაქი მოჩანდა.

— აი, ეს ქალაქიც, — კაბინიდან ამოგვეძახა ლეიტენანტმა. ხუთი წუთის შემდეგ ავტომანქანა ქალაქში შესრიალდა. ქუჩებში თითო-ოროლა ადამიანი ჩანდა. ყველა სახლისა და მაღაზიის კარები ჩაკეტილი იყო, ფანჯრების დარაბები — უახურული.

ქალაქის შუაგულში, პატარა მოედანზე, ავტომანქანამ ნახევარწრე მოხაზა და ორსართულიანი სახლის წინ შეჩერდა.

ქუჩის კუთხეში კორეელი წაბლს ყიდდა, ის გაკვირვებული



გვიცქეროდა. ლეიტენანტმა ავერიანოვმა იგი თავისთან მოიხ-  
წო. დაბალი ტანის კორეელმა ჩვენთან მოიხრბინა. მეტად თა-  
მამი კაცი ჩანდა. მოსვლისთანავე პირველმა დაგვიწყო გამო-  
კიოხვა.

ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, ზღვისკენ ხელი გაიშვირა და  
დაბალი ხმით გვითხრა:

—ამერიკა, ამერიკა!

ყველაფერი გასაგები იყო. ავტომანქანასთან რამდენიმე მეტ-  
რძოლი დავტოვეთ. დანარჩენები კი ლეიტენანტ ავერიანოვის  
მეთაურობით პორტისაკენ გავეშურეთ.

პორტი ქალაქიდან მცირე მანძილით იყო დაშორებული.  
ზღვის პირას ათიოდე 'იალქნიანი გემი იდგა. ნაპირიდან 150—  
200 მეტრის დაცილებით დავინახეთ ნაცრისფერი სამხედრო  
გემი. მის ანძაზე არავითარი ალამი არ ფრიალებდა.

პორტის ბაქანზე რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი შეე-  
ნიშნეთ. ჩვენ მათკენ გავემართეთ, ისინი — ჩვენკენ. მალე ერ-  
თიმეორის პირისპირ ვიდექით.

— ამერიკის შეერთებული შტატების ქვეითი ჯარის მაი-  
ორი, — გვითხრა რუსულად ყველაზე წინ მდგომმა მაღალ-მა-  
ღალმა ამერიკელმა. იგი ხელის მაღლა აწევით მოგვესალმა  
და განაგრძო:

— ჩემ უკან მდგარნი ჩემი ხელქვეითნი არიან—აქ მაიორმა  
უკან მიუხედავად ცერით გვიჩვენა მის ზურგში მდგომნი,—მე  
როგორც ჯარისკაცი, დიდად მოხარული ვარ შევხვდე ამ და-  
წყველილ ქვეყანაში მოკავშირე კომუნისტ ჯარისკაცებს. ნება  
მომეცით, ხელის ჩამორთმევითა და მეგობრული გადახვევით  
გამოვხატო ეს სიხარული,—მაიორმა თავისი მეტრიანი მკლავი  
ლეიტენანტს გაუშვირა. მის სახეზე ნაძალადევი ღიმილი აღი-  
ბეჭდა.

ლეიტენანტმა ავერიანოვმა ხელი ჩამოართვა ამერიკელ მაიორს, მაგრამ გადახვევის საშუალება არ მისცა და ხმამაღლა მიმართა:

— ბატონო მაიორო, საინტერესოა, თუ როგორ მოხვდით თქვენ ამ ქალაქში. ეს ქალაქი საბჭოთა ჯარს უნდა დაეკავებინა და არა ამერიკელებს. მაიორმა შუბლი შეიჭმუნა და ლეიტენანტს ალმაცერად შეხედა.

— თქვენი აქ ყოფნა არაკანონიერია. გიბრძანებთ დაუყოვნებლივ დასტოვოთ ქალაქი, — განაგრძო ლეიტენანტმა ავერიანოვმა.

— ბატონო ლეიტენანტო, — დაიწყო ხმამაღლა მაიორმა ნაძალადევი აღელვებით, — თქვენ არ გაქვთ უფლება განკარგულება მისცეთ ამერიკის ჯარის მსახურთ, მით უმეტეს, მე მალალი წოდება მაქვს; საჭიროა პატივი სცეთ მუნდირს. ამას მოითხოვს ზრდილობა, სამხედრო ეთიკა. — ამ დროს მაიორმა თავისი დიდრონი თვალები ქალაქისაკენ მიაპყრო. ქალაქიდან ჩვენკენ რამდენიმე კორეელი მორბოდა. მაიორმა ისე დაიჭირა თავი, ვითომ მას ეს არც კი შეუმჩნევია, თავის მხლებლებს დამშვიდებით რაღაც უბრძანა და ლეიტენანტს მიუბრუნდა:

— თქვენ მართალი ხართ, ლეიტენანტო! ეს ქალაქი რუსებს ეკუთვნით. ჩვენი აქ მოსვლა ცუდად შედგენილი რუკების ბრალია, ამიტომ ჩვენ მივდივართ. გისურვებთ წარმატებას. შემდგომ შეხვედრამდის.

მაიორი სწრაფი ნაბიჯით ზღვის ნაპირისაკენ გაეშურა, მას უკან გაჰყვნენ ავტომატმომარჯვებული ამერიკელი ჯარისკაცები.

ნაცრისფერმა გემმა შემოტრიალება იწყო. ბაქანზე მდგომი

ოფიცრები განკარგულებას იძლეოდნენ. გემის წინა და უკანა ბაქანზე ქვემეხთა ლულები ამოძრავდნენ.

როცა კორეელებმა ჩვენამდის მოაღწიეს, ამერიკელები ზღვის ნაპირას მდგომ მოტორიან ნავში ფაციფუციტ სხდებოდნენ.

ერთმა მაღალმა კორეელმა ინგლისურ ენაზე შესძახა ამერიკელებს:

— შესდექით, სად მირბიხართ!

ამერიკელები არ შეჩერებულან.

ხანში შესული კორეელი კი ლეიტენანტს აჩქარებით უყვებოდა:

— ამერიკელებმა წუხელ მთელი ღამე ძარცვეს ქალაქი. ამ საქმეში იაპონელი ოფიცრებიც ეხმარებოდნენ. ამერიკელებმა იაპონელი ოფიცრები გემზე მოათავსეს, გასამრჯელოდაც იაპონელი ოფიცრების მიერ დატყვევებული კორეელი ქალები მიიღეს.

ამერიკელები მეტისმეტად ჩქარობდნენ. მოტორიანი ნავი უკვე ამოძრავდა.

— თქვენ, ეი, პირატებო, არ გესმით, შესდექით! — კიდევ შესძახა მაღალმა კორეელმა და ნავისაკენ გაიქცა. მაგრამ უკვე გვიან იყო, ამერიკელებით დატვირთული ნავი გემისაკენ სწრაფად მისცურავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პორტს დიდი სიჩქარით სცილდებოდა ნაცრისფერი გემი, რომლის ანძაზე ა. შ. შ. სახელმწიფო საზღვაო ალამი ფრიალებდა.

#### 4

აღმოსავლეთით, პატარა სოფელში შეჩერდა მჯიორ მატიაშის ბატალიონი და 38-ე პარალელის გასწვრივ განლაგდა.

ლეიტენანტ ავერიანოვის მეავტომატეთა ოცეული სოფელში დარჩა ბატალიონის შტაბთან.

ბატალიონის შტაბი სოფლის განაპირას დაბანაკდა.

ასწლოვანი ვერხვების ქვეშ სახელდახელოდ გაეჭიმეთ თეთრი კარვები. უკვე კარგად ბნელოდა, რომ ვივახშმეთ. ამ დღეს არც ერთი წუთი არ დაგვესვენა, მაგრამ მაინც ყოჩაღად ვგრძნობდით თავს. დადლილობა მხოლოდ ვახშმის შემდეგ შეგვეტყო. ახლომახლო ბუჩქებში გამოგლეჯილი ბალახი კარავში გავშალეთ და ზედ საწვიმარკარვები გადავაფარეთ. თავქვეშ ჩაფხუტები ამოვიდეთ და დასაძინებლად ტანსაცმელგაუხდელი დავწექით.

სერჟანტ საკირკოს ათეული ერთ კარავში ათევდა ღამეს. ისედაც თბილი ღამე იყო და კარავში ძალიან დაცხა. ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ მებრძოლები ერთმანეთთან მჭიდროდ ვიწექით. გვიჭირდა სუნთქვა, სული გვეხუთებოდა.

— არა, ძმაო, აქ წოლას გარეთ, ცის ქვეშ წოლა მირჩევნია, — წამოიძახა ფედოროვმა.

— მართალს ამბობ, — კვერს უკრავს ზიმანოვი.

— მაშ წამო, ზიმანოვ, და გარეთ დავიძინოთ.

— თუ სერჟანტი ნებას დაგვრთავს, წავიდეთ.

კარებთან მაიორ მატიაშის ხმა გაისმა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, დღეს რაღა იქნება, ხვალ კი, როგორც გითხარით, ისე უნდა მოაწყოთ კარვები.

— არის, ამხანაგო მაიორო, — პასუხს აძლევს მას ავერიანოვი.

— ეს ვისი კარავია? — იკითხა ჩვენი კარავის წინ შეჩერებულმა მაიორმა.

— პირველი ათეულისა, — მოახსენა უკვე ფეხზე წამოხტარმა სერჟანტმა საკირკომ.

— არ ვარგა, ამხანაგო სერჟანტო. ომის დაწყების წინ რომელიმე ბანაკში ხომ იყავი?

— ვიყავი, ამხანაგო მაიორო.

— მეც ვიცი, რომ იყავი. აი, როგორც მაშინ, ახლაც ისე უნდა მოაწყო კარავი. ახალი გაზეთი მოგიტანეთ, თქვენი ათეულის შესახებ სწერია. აჰა, წაიკითხეთ,—თქვა მაიორმა და გაზეთი საკირკოს გადასცა. შემდეგ ძილი ნებისა გვისურვა და წავიდა.

— აჰა! — წარმოთქვა მასლენიკოვმა, — მაშასადამე, ჩვენ აქ დიდხანს მოგვიხდება ჯდომა.

— ნამდვილად, ნამდვილად, — ამბობენ მებრძოლეზი.

— სოფლიდან ცოტა მოცილებით მაინც ვიყოთ, ჰირივით შეჯავრება მამლების ყივილი, — თავის თავს ელაპარაკება ფედოროვი.

— მაგის დარდი ნუ გაქვს. წელან ერთმა კორეელმა მითხრა, საქონელი სულ არ გვყავს, ქათამი რა არის, ისიც კი გაგვიწყვიტეს იაპონელებმაო, — პასუხობს ფედოროვს ზიმანოვი.

საკირკომ სანთელი აანთო და გაზეთი გაშალა.

— ამხანაგო სერჟანტო, უკეთესი ხომ არ იქნება დავიძინოთ. გაზეთის წაკითხვას დილაზეც მოვასწრებთ, — ეუბნება საკირკოს რომელიღაც მებრძოლი.

— როგორ შეიძლება, მაიორმა თქვა, მაშასადამე, უნდა წავიკითხოთ, — ამბობს საკირკო და გაზეთს ათვალეირებს.

— ოთარ მჭედლიძე ლენინის ორდენით დაუჯილდოებიათ! — უცბად წამოიძახა საკირკომ. თვალის დახამხამებაში ჩვენ ყველანი წამოვხტით და სერჟანტს გარს შემოყვრტყით. თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი თვალით წაიკითხა ბრძანებულება, თითქოსდა სერჟანტის ნათქვამი არ გვჯეროდა.

სინათლის მკრთალ შუქზე ჯარისკაცთა თვალები ერთმანეთს

შეხვდნენ. მათში სიხარულთან ერთად სინანულიც ამოიკითხებოდა. კარგად ვგრძნობდი, რომ ყველა ჩვენთაგანს რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმას კი არავინ იღებდა. ასე ხმის ამოუღებლად ჩვენ კვლავ თავ-თავის ადგილზე დავეწკეით.

— მჭერა, ღმერთმანი, გულითა და სულით მჭერა, რომ ჩვენი მომავალი ცხოვრება ლამაზი იქნება, ძალიან ლამაზი, — გაისმა ხმადაბალი ლაპარაკი მებრძოლი ფედოროვისა, იგი თითქოს ვიღაცას ეკამათებო, განაგრძობდა:—მე ეს გაზეთებიდან კი არ ამომიკითხავს, ან ვინმესგან კი არ გამიგონია. ამას თვითონვე ვხვდები და ვგებულობ...

ფედოროვს სურდა კიდევ რალაც ეთქვა, მაგრამ ზიმანოვმა არ დააცადა.

— სიმართლეა, სიმართლე. რახან სიტყვა ჩამოვარდა, მეც ერთი რამის თქმა მინდა, ბიჭებო; რა ვიცი, იქნებ ბავშვურიც იყოს, სასაცილოც, მე კი ასე ვფიქრობ და უკვე კარგა ხანია ეს აზრი დამეზადა, მაგრამ თქმით კი დღემდის ვერავისათვის ვერ მითქვამს.

— მოკლედ თქვი, — შეაწყვეტინა ფედოროვმა.

ზიმანოვი კოლმეურნე იყო. სმოლენსკის ოლქიდან. სამი წლის წინ მოვიდა იგი ჩვენს ოცეულში. ისევ ყოჩაღად ეჭირა თავი, 25 წლის ჭაბუკი გეგონებოდათ. უკვე შუახნის კაცი იყო. ძალიან კარგი თვისებები ჰქონდა. პირველი ნახვისთანავე თავს შეგაყვარებდათ. ყველას გვიყვარდა ზიმანოვი. მაგრამ ერთი მცირე ნაკლი მასაც ჰქონდა: ლაპარაკის გაგრძელება უყვარდა. ის; რაც ორი სიტყვით შეიძლებოდა თქმულიყო, თუ ყურს დაუგდებდით, ორ საათზე მეტ დროს მოანდომებდა. ერთხელ მისთვის ბატალიონის მეთაურს რალაც დაებარებინა ლეიტენანტ ავერიანოვთან. მოვიდა ზიმანოვი და დაუწყო ავერიანოვს მაიორის ბრძანების მოხ-

სენება. მგონი, ხუთჯერ მარტო ეს სიტყვები გაიმეორა: „ამხანაგო ლეიტენანტო, მაიორმა ბრძანა“. ლეიტენანტმა უსმინა, უსმინა და, როცა დაინახა, რომ ზიმანოვი ლაპარაკის დამთავრებას აღარ აპირებდა, შესძახა: „მოკლედ თქვი!“ ამ დღიდან ზიმანოვს მხოლოდ „მოკლედ თქვის“ ვეძახოდით. სერჟანტი საკირკოც კი, სიის ამოკითხვისას, როცა ოცეულში ლეიტენანტი არ იმყოფებოდა, ზიმანოვის გვარის მაგივრად „მოკლედ თქვის“ კითხულობდა და ოცეულში ერთი სიცილ-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე.

მაგრამ ახლა „მოკლედ თქვის“ გაგონებაზე არავის გაუცინია.

— რა ვიცი, იქნებ ბავშვურიც იყოს და სასაცილოც, მაგრამ მე ერთი რამ მინდა გითხრათ, — კვლავ გაიმეორა ზიმანოვმა და განაგრძო, — ზედიზედ რომ ვიანგარიშო, სულ ხუთი წელი გამომდრს ჯარში ნამსახური და ამ ხუთი წლის მანძილზე ხუთი ხალხის განთავისუფლებაში მივიღე მონაწილეობა, ჰოდა, იმას გეუბნებოდით, არ ვიცი, იქნებ ბავშვურიც იყოს და სასაცილოც, მაგრამ მე კი ასე მინდა.

— თქვი, რა გინდა, შე კაი კაცო, — ეუბნებიან მეტრძოლები.

— რა მინდა? იცით, რა მინდა? იმას გეუბნებოდით, ამ სალამოთი, რაც დავწექი, სულ აიმ კორეულ სოფელს გავცქერო (ღიად დატოვებული კარვის კარიდან სოფლის თავზე შეჩერებულ მთვარის შუქზე კარგად ჩანდა დაბალი ალიზის სახლები) და ამას ვფიქრობ: წუხელ ამ სოფელში მშვიდად არავის სძინებია. ან როგორ დაიძინებდნენ. თურმე სალამო ხანს სოფელში იაპონელ ოფიცერთა ჯგუფს გაუვლია. სოფლიდან ისე წასულან, ხმა არავისთვის გაუციათ. ამ ამბავს გაუკვირვებია კორეელები. ისინი სოფლის მოედანზე შეკრებილან და ერთ-

მანეთთან საუბარი გაუბამთ. და იცით, რა უქნიათ იაპონელებს: მოულოდნელად ტყვიამფრქვევები დაუშენიათ ქუჩებში გამოსული ხალხისათვის. ახლა კი სოფელს ეშვიდად სძინავს. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, მინდა ბარათი მივწერო ამხანაგ სტალინს.

— მერე რას მისწერ ამხანაგ სტალინს? — ეკითხება საკირიკო.

— მივწერ, რომ ჩვენს არმიას ხალხთა განთავისუფლებისა და მშვიდობის არმია ეწოდებოდეს.

— მართალია, მართალი. ასეთ სახელს უნდა ატარებდეს ჩვენი არმია, — ამბობენ მებრძოლები.

— ადექით! — კარავში შემოგვძახა ლეიტენანტმა.

ერთ წუთში ათეული ფეხზე იდგა.

— მომყევით! — ბრძანა ლეიტენანტმა და ბატალიონის შტაბისაკენ გაიქცა. ათეული უკან გაჰყვა ლეიტენანტს. ღამე მთვარიანი იყო. ჩრდილოეთიდან მონაქროლი ნიავი საამურად გვესალბუნებოდა.

ბატალიონის შტაბის კარვის წინ მაიორი მატიაში და რამდენიმე ადამიანი იდგა. ორ მათგანს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, როგორც შემდეგ გავიგეთ, ისინი კორეელები იყვნენ.

— ასე, ამხანაგო ლეიტენანტო, იარეთ სწრაფად, მაგრამ ფრთხილად.

კორეელები წინ გაგვიძღვნენ. ერთი მათგანი მაღალი იყო და სრულიად ახალგაზრდა ჩანდა. მეორე შედარებით ტანდაბალი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ უკვე შუახანს გადაცილებული უნდა ყოფილიყო.

კორეელებს უკან ლეიტენანტი გაჰყვა, ლეიტენანტს კი ორად ჩამწკრივებული ათეული.



სოფელს გარშემო შემოვუარეთ და მის იქითა მხარეს გზის პირას შევჩერდით.

— ლეიტენანტო, აი, ეს სახლია კორეელი მემამულისა, — ამბობს დაბალი კორეელი და ხელს იშვერს ორსართულიანი სახლისაკენ, სიდიდით რომ ყველასაგან გამოირჩეოდა.

— გასაგებია, — უთხრა კორეელს ლეიტენანტმა და ჩვენ მრგვიბრუნდა: — ამხანაგებო, ეს სახლი კორეელი მემამულისაა. უნდა დავიკავოთ იგი და მემამულე დავაპატიმროთ. მას საწყობში 100 ტონა ბრინჯი აქვს მაშინ, როცა მთელი სოფელი შიმშილობს. როგორც მემამულის შინამოსამსახურეს უთქვამს, მემამულეს ოჯახი ამ დილით გაუსტუმრებია სეულში. თვითონ თავისი ორი ძმით აქ დარჩენილა, რომ ამ ღამით სახლი და ბრინჯის საწყობი გადასწვას, შემდეგ კი თვითონაც სამხრეთით გაიქცეს.

— ცეცხლი, ამხანაგო ლეიტენანტო! — დაიძახა საკირკომ. მაღალი სახლის უკან ცეცხლის ენა გამოჩნდა და უცბად გაუჩინარდა.

— საკირკო, შენ და ზიმანოვი აქ დარჩით. ყველას, ვინც კი მოინდომოს სახლიდან გაქცევა, ესროლეთ. დანარჩენები კი მომყევით! — ბრძანა ლეიტენანტმა და სახლისაკენ გაიქცა.

ჩვენ მას სირბილით მივყევით. ჩვენთან ერთად მორბოდნენ კორეელებიც. ეზოს კარები დაკეტილი აღმოჩნდა. ლეიტენანტი სწრაფად ახტა ქვიტკირის კედელზე და ეზოში ჩაეშვა. ჩვენც გადავხტით. მაღალი სახლის უკან, გრძელი ხის შენობასთან, ორი ადამიანი შევნიშნეთ. ისინი შენობის ცეცხლწყვილებულ კარებს ვედროებით წყალს ასხამდნენ. დაბალმა კორეელმა მათ სხაპასხუპით რამდენიმე შეკითხვა მისცა. პასუხი რომ მიიღო, ავერიანოვს მიმართა:

— ლეიტენანტო, მემამულესა და მის ძმებს დავუნახივართ საწყობისათვის ფაციფუციოთ ცეცხლი მიუციოთ და, ეს არის, უკანა კარებიდან ცხენებით გაქცეულან. ესენი კი მემამულის მოსამსახურეები არიან.

აშის თქმა და თოფის გავარდნა ერთი იყო. ორ-სამ წამში თოფის რამდენიმე სროლა გავიგონეთ. გაისმა ავტომატის გრძელი ჭერიც. სროლა იქიდან ისმოდა, სადაც საკირკო და ზიმანოვი დავტოვეთ.

— მოსკვიტინ, მასლენიკოვ, თქვენ აქ დარჩით და კორეელებთან ერთად ცეცხლი ჩააქრეთ. დანარჩენები კი მომყევით! — ბრძანა ლეიტენანტმა.

მოსკვიტინი და მასლენიკოვი კორეელებთან ერთად ცეცხლის ჩაქრობას შეუდგნენ. ჩვენ უკან გაბოვიქეციოთ. სროლა დროგამოშვებით კიდევ ისმოდა. ღამე მთვარიანი იყო და ვხედავდით: შარაგზაზე სამი ცხენოსანი მიჰქროდა. მათ უკან კარგა მანძილზე ვილაც მისდევდა.

„ტორპედოელმა“ თავდამსხმელმა ჩვენ ყველა უკან ჩამოგვტოვა. ლეიტენანტი უცბად შეჩერდა და ძირს დაიხარა. მასთან რომ მივირბინეთ, გზაზე მწოლარე ადამიანი დავინახეთ.

— საწყალი, ზიმანოვია! — დაიძახა ლეიტენანტმა და, თითქოს ფეხებში მოწყდაო, ისე ჩაიკეცა მის წინ. მან ზიმანოვს მკერდზე ყური დაადო, უნდოდა გაეგო, ცოცხალი იყო თუ არა.

ყველანი გაშტერებულნი დავცქეროდით ამ სურათს და სულგანაბული ველოდით, თუ რას იტყოდა ავერიანოვი.

— მკვდარია, — კი არ თქვა, ამოიოხრა ლეიტენანტმა.

უკვე აღარ ისმოდა არც სროლა და არც ცხენების ფეხის თქარუნნი. ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს სოფლის მხრიდან მომავალი ავტომანქანის მოტორის ხმაური არღვევდა.

მაიორ მატიაშის „ვილისი“ შუა გზაზე შეჩერდა. ავტომანქანის შუქზე კარგად დავინახეთ პირქვე მწოლარე ზიმანოვი. მას თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი, სწორედ ისე, როგორც ძილი იცოდა. ხელებში დაბლუჯული ავტომატი მკერდში ჰქონდა ჩაკრული. ღიად დარჩენილი თვალები სამხრეთისაკენ მიეპყრო, თითქოს ვიღაცას უცქერის გაშტერებულიო. ლეიტენანტმა ფრთხილად ჩამოუწია ჯერ კიდევ ცოცხალი თვალის ქუთუთოები.

— ზიმანოვია? — იკითხა ჩვენთან მოსულმა მაიორმა.

— დიახ, ამხანაგო მაიორო, — უპასუხა ავერიანოვმა.

— ვერც ერთი ვერ შეიპყარით?

— ვერა, ამხანაგო მაიორო.

— საკირკო სად არის?

— მათ მისდევს უკან.

— უნდა დავეწოთ, — თქვა მაიორმა და ლეიტენანტი „ვილისში“ გვერდით მოისვა. ავტომანქანაში მაიორის გარდა ბატალიონის შტაბის ოფიცრები ისხდნენ.

— ზიმანოვი ბანაკში გადაიტანეთ და ლენინის ოთახში დაასვენეთ, — გვითხრა კაპიტანმა მაკარენკომ, ბატალიონის უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში.

მანქანა ისარივით მოსწყდა ადგილს.

## 5

უკვე კარგად იყო გათენებული. აღმოსავლეთით ცა ვარდისფერად შეღებილიყო, მაგრამ მზე ჯერ არ ჩანდა. ხილის ბაღებით და ვენახებით მორთულ ბორცვებს თეთრი თავშალივით წამოსხმოდა თხელი, გამჭვირვალე ნისლი. დილის სიგრილეში მშვიდად ჩასძინებოდა ბრინჯით გამწვანებულ მინდვრებს. მთის მწვერვალებიდან დაქანებული ნაკადულები მკვირცხლად მოხ-

ტოდნენ. მათი საამო ხმაური დედის ნანასავით ჩაესმოდა გარემოს. გაკრიალებულ ცაზე გარდიგარდმო დასრიალებდნენ მერცხლები. ისმოდა ფრინველთა ტკბილი მღერა-ჰიკჰიკი.

მთელი ღამე არც ერთ ჩვენგანს თვალი არ მოუხუჭავს. ჭარისკაცის გული კმუნვას მოეცვა. ამღვრეული თვალებით გავცქეროდით სეულისაკენ მიმავალ გზას.

ის იყო ვისაუზნეთ, რომ მაიორი მატიაში და ოფიცრები დაბრუნდნენ. მათ თან მოიყვანეს სერჟანტი საკირკო.

ავერიანოვი და საკირკო ოცეულში მოვიდნენ. ლეიტენანტი ხმადაბლა მოგვესალმა. შემდეგ ზოგი რამ შეგვეკითხა და თავისი კარავისკენ გააწია.

ამ ერთი ღამის განმავლობაში მთლად გამოცვლილიყო ავერიანოვი: ოდნავ წელში მოხრილი, თითქოს კოჭლობდა, ფართო შუბლზე ორი ზოლი დამჩნეოდა, გაწითლებული თვალები კი ღრმად ჩასცვენოდა.

შეცვლილი იყო სერჟანტი საკირკოც. ლეიტენანტის წასვლისთანვე იგი კარავში წამოწვა. წამოვწეკით ჩვენც. ხმისამოუღებლად პაპიროსს ვეწეოდით.

ფედოროვმაც კი, რომელსაც გული სტკიოდა და წინა დღით დაიფიცა, პაპიროსს აღარ მოვწევო, ზედიზედ რამდენჯერმე გააბოლა.

სერჟანტი საკირკო ერთ ხანს თვალდახუჭული გულაღმა იწვა. შემდეგ წამოდგა და თუთუნი გაახვია. თითქოს, ამინდიც თანაუგრძნობდა ჩვენს სულიერ განწყობილებას: აღმოსავლეთის ქარმა დაჰბერა. ცაზე გამოჩნდა შავი ღრუბლების ქარავნები, ისინი ერთ მთლიან მასივად შეერთდნენ, დაბლა ჩამოწვნენ და საშინლად გაავდრდა.

— თქვენ, ალბათ, გინდათ გაიგოთ, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, — გვეუბნება სერჟანტი საკირკო და ჩვენგან პასუ-

ხის მიუღებლად განაგრძობს, — კედელზე გადახტით თუ არა, სახლის მარცხენა მხრიდან სამი ცხენოსანი გამოჩნდა. რომ მოგვიახლოვდნენ, შევეძახე: შესდევქით-მეთქი, მაგრამ ისინი არ შემდგარან. ავტომატი მოვიმარჯვე და, ის იყო ჯერი უნდა მიმეცა, რომ ზიმანოვმა ავტომატზე ხელი ამიკრა და მითხრა: „ამხანაგო სერჟანტო, ჯერ ნუ ესვრი. ეგენი ხომ სხვა მხრიდან მოდიან და იქნებ სრულიად უდანაშაულო ადამიანები არიან, ტყუილებრალოდ სისხლი არ დავღვაროთ.

თოფმა დაიგრიალა. ზიმანოვი ძირს დაეცა. მასთან ერთად მეც ძირს დავეცი და გაქცეულებს ავტომატიდან ცეცხლი დავუშინე. მაგრამ უკვე გვიან იყო: ცხენოსნები შარავზაზე მიჰქროდნენ. შემდეგ ზიმანოვს მივვარდი და მკერდზე დავუწყე ფათური. თოფის გავარდნისთანავე ისე მომეჩვენა, რომ მას ტყვია მკერდში მოხვდა. გამართლდა ჩემი გუმანი, მარცხენა მკერდჯიბესთან ხელზე სითბო ვიგრძენი, სათითისოდენა კრილობიდან სისხლი წვეთავდა.

„ნუ გეშინია, ზიმანოვ, მე შენთან ვარ, საკირკო, — ვეუბნები მას. „ვგრძნობ, ვგრძნობ, სერჟანტო, რომ შენ ხარ... მე არ მეშინია... რა ძნელი ყოფილა ეს ვერანა სიკვდილი... სი-  
ცოცხლე კი ძალიან მინდა. მეგონა ომი დამთავრდა, ახლა მაინც მოვესწრები ჩემი ცოლ-შვილის ნახვას-მეთქი, მაგრამ უყურე, რა დამემართა“. ზიმანოვმა აქ ღრმად ჩაისუნთქა და სრულიად შეცვლილი ხმით წაიჩურჩულა: „კარგად იყავით, სერჟანტო, შენც, ლეიტენანტიც, ბიჭებიც,“ — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ამის შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს.

გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა მანქანა წამომეწია. მანქანაზე დასაჯდომი ადგილი არ იყო და ამიტომ კიბეზე და-



ზაყენეს. ჩვენ დიდი სისწრაფით მივჭროდით წინ და თანაც აქეთ-იქით ვიცქირებოდით, გვეშინოდა გაქცეულებს გზიდან არ გადაეხვიათ.

სეულისავენ მიზავალ გზაზე რომ პირველი სოფელია, გაქცეულებს იქ წამოვეწიეთ. კარგად დავინახეთ, თუ როგორ შეიჭრა სოფელში სამი ცხენოსანი. მათ ჩვენ თითქმის ფეხდაფეხ შევყევით. სოფლის შუაგულში შეიარაღებული ადამიანები შევნიშნეთ. ისინი ხელების აწევით გვანიშნებდნენ, რომ გავჩერებულიყავით.

— ესენი ამერიკელები არიან, — თქვა მაიორმა და მძღოლს უბრძანა, რომ მანქანა დაემუხრუჭებინა.

მანქანა შეჩერდა თუ არა, გარშემო ავტომატმომარჯვებული ამერიკელები შემოგვერტყნენ.

— მოკავშირე რუსო ოფიცრებო, თქვენ ნამდვილად გზა აგერიათ, რომ 38-ე პარალელის სამხრეთით მოხვდით. გიბრძანებთ, ახლავე დაბრუნდეთ უკან, — ინგლისურად გვეუბნება მაღალ-მაღალი ამერიკელი.

— თქვენ გელაპარაკებათ საბჭოთა არმიის მაიორი...

— მერე რას გვიბრძანებთ? — არ დააცადა ამავე ამერიკელმა.

— გთხოვთ, დაგვეხმაროთ ჩვენი მხრიდან გამოქცეულ დამნაშავეთა შეპყრობაში. მათ მოკლეს საბჭოთა ჯარისკაცი.

— მერე სად არიან ეს დამნაშავენი?

— ისინი ორი წუთის წინ ცხენებით შემოცვივდნენ სოფელში.

— თქვენ ცდებით, რუსო მაიორო, ორი წუთის წინ აქ არავინ არ შემოსულა.

— ჯარისკაცს არ შეჭფერის სიცრუე ილაპარაკოს, — აღელვებით ეუბნება მაიორი.

— თქვენ ახლაც ცდებით, რუსო მაიორო, თქვენ ოფიცერი გელაპარაკებათ.

— მით უმეტეს.

ორი ამერიკელი ჯარისკაცი მე და მძლოლს დაცინვით გვეუბნებოდა: „თქვენ, ეი, მშიერო ჯარისკაცებო, სიგარეტებს ხომ არ ინებებთ“. ერთი მათგანი მომცრო ტანისა და მეტად გამსდარი იყო. მას მანქანაში წერაქვივით გრძელი ცხვირი შეერგო, თვალები საშინლად დაეჭყიტა და მძლოლ პერეკრესტოვს ამ სიტყვებს ეუბნებოდა. პირველად მათთვის ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ, რომ აღარა და აღარ მოისვენეს, მეც და პერეკრესტოვიც მეტად ავლელდით. პერეკრესტოვი მანქანიდან გადმოხტა, გრძელცხვირა ამერიკელს კისერში ხელი ჩაავლო და ფარნის შუქზე ციკანივით მიათრია. გინახავთ ბავშვებისათვის დახატულ წიგნებში დევგმირი და ქონდრისკაცი? ასე ჩანდნენ პერეკრესტოვი და ამერიკელი ჯარისკაცი.

— შე გრძელცხვირა, შენა, ქათამივით რომ ორი კილო არ გამოხვალ, ერთი მეც შემომხედე და შენ თავზეც დაიხედე, მაშინ გაიგებ, მშიერი ვინც არის, შენ თუ მე, — უყვიროდა ამერიკელს პერეკრესტოვი და თანაც კისერზე მთელი ძალით ხელს უჭერდა. ჯარისკაცი ერთ ხანს კისერწაგრძელებული და გატვრენილი იდგა, შემდეგ კი ბავშვივით ყვირილი მორთო.

მაიორმა მატიაშმა და ამერიკელმა ოფიცერმა, რომლებიც ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება ჯარისკაცებს.

— პერეკრესტოვ, ახლავე ხელი უშვი, — დაუძახა მაიორმა მატიაშმა.

— აი, შე ლაწირაკო, რუს ჯარისკაცს როგორ წაავლებინე კისერში ხელი, — უყვიროდა ამერიკელი ოფიცერი აკანკალებულ ჯარისკაცს.



პერეკრესტოვმა მაშინვე ხელი უშვა ამერიკელს და საჭეს-  
თან ადგილზე დაიკავა. გრძელცხვირა კი კისერზე ხელს ისვამ-  
და, თანაც რაღაცას ბუტბუტებდა.

— ასე, რუსო მაიორო, იმისათვის, რომ სოფლის გაჩხრეკის  
ნება დაგროთო, სანქცია გენერალ მაკარტურის შტაბიდან უნ-  
და მოიტანოთ, ამის უფლებას სხვა ვერავინ მოგცემთ. ხომ  
გასაგებია? — უკვე ოფიციალური ტონით ლაპარაკობდა ამე-  
რიკელი ოფიცერი.

— გმადლობთ, მოკავშირეებო, გმადლობთ, — უთხრა ამე-  
რიკელებს მაიორმა და მძღოლს უბრძანა, მანქანა შემოებრუ-  
ნებინა.

პერეკრესტოვი ცალი ხელით საჭეს ატრიალებდა, მეორე  
ხელს კი ამერიკელს უქნევდა:

— აი, შე ჭირიანო, მაიორი რომ არ ყოფილიყავი, კისერს  
მოგამტვრევდი.

— რუსებო, — გვიყვირის ამერიკელი ოფიცერი, — სოფელ-  
ში ჩქარი მოძრაობა აკრძალულია. ნელა იარეთ. სოფლიდან  
ჩემი ჯარისკაცები გაგაცილებენ.

ორი ჯარისკაცი მანქანას აქეთ-იქიდან ამოუდგა.

მანქანა ნელი სვლით დაიძრა სოფლიდან.

ერთი ჯარისკაცი, მანქანას რომ მარჯვენა მხარეს მოსდევდა,  
სულ ახლო მივიდა მაიორთან და წასჩურჩულა:

— ბატონო მაიორო, თქვენ მართალი ხართ. თქვენი მხრი-  
დან გამოქცეულმა მემამულეებმა ორი წუთით შემოგასწრეს  
სოფელში. ისინი შემოსვლისთანავე ოფიცრის მანქანაში ჩას-  
ხდნენ და სეულისაკენ გაიქცნენ.

ჯარისკაცები სოფლის განაპირამდე გამოგვყვნენ. მაიორმა  
მათ მადლობა გადაუხადა.

— ხომ ხედავთ, როგორი მოკავშირეები გვყავს, — გვეუბნება მაიორი.

— ღმერთმა მხოლოდ ჩვენს მტრებს არ მოუშალოს ასეთი მოკავშირეები, — გაიძახიან ოფიცრები.

— ასეთი მოკავშირეები ყოველთვის ასე გვიმუხთლებენ, — ეუბნებიან სერჟანტს ჩვენი ათეულის მეზობლები.

ორი საათი ქუხდა და წვიმდა გადაუღებლად.

როგორც უცბად გაავდარდა, ასევე უცბად გამოიღარა. შავი ღრუბლები გაიფანტა. მოკრიალებულ ცაზე კვლავ მცხუნვარე მზემ დაიწყო მბრძანებლობა.

საფლავი სოფლის განაპირას, პატარა გორაკზე, გავთხარეთ. ცხედრის გამოსვენების წინ ლეიტენანტმა ფრთხილად გაუხსნა ზიმანოვს ხალათის ჯიბე და ნაღმის მუყაოდან გაკეთებული ყდა ამოიღო. მასში პარტიზღეთთან ერთად პატარა სურათი იდო: ახლად აშენებული ორსართულიანი სახლის წინ, გრძელ სკამზე, წითელთავშლიანი ქალი იჯდა. აქეთ-იქით გოგო-ბიჭი უსხდა. გოგო შვიდი წლისა თუ იქნებოდა, ბიჭი კი ცხრისა. დედას ძუძუმწოვარი ბავშვი ეჭირა ხელში. მომცინარე ბავშვს ხელები წინ ჰქონდა გამოშვერილი და ქორთა თითები ოდნავ მოკეცილი, თითქოს ბავშვი მამას ხელს უქნევს და ეძახისო.

ზიმანოვი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა თავისი ცოლ-შვილის შესახებ, მაგრამ ისინი ჩვენთვის მაინც უცნობები იყვნენ, თითქმის შორეულნიც. ახლა კი მის ოჯახს საკუთარ ოჯახად ვთვლიდით, გვინდოდა დაუსრულებლივ გვეცქირა ამ პატარა სურათისათვის, გულში ჩაგვეკრა იგი.

დასაფლავებაზე მთელი სოფელი მოვიდა. აქ იყვნენ კორეელი ჰაბუკებიც და ქალიშვილებიც, მოხუცებიც და ბავშვე-

პი. არავის შეუტყობინებია მათთვის დასაფლავების დრო, არავის დაუძახია, მაგრამ ისინი მაინც მოვიდნენ.

კორეელები უკან მოსდევდნენ ქვემეხზე დასვენებულ კუბოს. მათი თვალებიც, ჩვენსავით ცრემლებით იყო სავსე. ზინანოვი იმ პატივისცემით დავასაფლავეთ, რომლითაც ასაფლავებენ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირებს.

— მის საფლავთან ყოველთვის თავდახრილი გავივლით, მან ჩვენს საქმეს შესწირა თავი, — ამბობდნენ კორეელები.

რამდენიმე დღემ განვლო.

დაიწყო ფრონტელი ჯარისკაცისათვის ყველაზე დაძაბული პერიოდი — საბრძოლო და პოლიტიკური მზადება.

ყოველ დღით ორი საათი სამწყობრო მზადება გეჰქონდა. ფედოროვი სამზარეულოში მთლ დღეს კარტოფილის ფცქვნას ამჯობინებდა ამ მეცადინეობას.

— ორი ომი გადავიხადე, სამწყობრო მზადება სულაც არ დამჭირვებია; მართალი რომ ვთქვა, მოსკოვიდან კენიგსბერგამდე მუცელზე ხოხვით გავიარე, მწყობროში კი სულაც არ ვმდგარვარ. აბა, მითხარით: მაშ რა საჭიროა ამდენი სამწყობრო მზადება? — უთხრა ერთხელ ფედოროვმა ლეიტენანტს.

— მუცელზე ხოხვის დრომ უკვე განვლო. ახლა მხოლოდ ალღუმებზე მოგვიხდება სიარული; ვთქვათ, მოსკოვში გამარჯვების ალღუმზე გაგვიწვიეს, სიარული რომ არ გეცოდინებოდა, მითხარი, აბა. როგორ უნდა ჩაიარო სტალინის წინ? — უპასუხა ავერიანოვმა.

— ეს კი მართალია, — თავის ქნევით ამბობს ფედოროვი.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ეგეც რომ არ იყოს, — ჩაერიო ლაპარაკში საკირკო, — ფედოროვი მალე სახლში მიემგზავრება, ვინ იცის, იქნებ მთელი სოფელი გზაში შემოეგებოს. აი,

მისი „ქენინაც“, თავი რომ ამაყად უჭირავს, ხუმრობა საქმე ზომ არაა, ორ ომში ნამყოფი ვაუკაცის ცოლია, ეს ჩვენი ფედოროვი კი წელში ორად მოკაკულა, თავი ჩაუღუნავს და მიტრატუნებს. აბა, მითხარით, ამაზე დიდი სირცხვილი გაგონილა გამარჯვებული ჯარისკაცისათვის?

— ესეც მართალია, — თავის ქნევით კვლავ იმეორებს ფედოროვი.

მეცადინეობა, რასაკვირველია, აუცილებელი იყო. აბა, სხვა რა უნდა გაგვეკეთებინა. ჯარისკაცისთვის ზომ ყველაფერზე მძიმე უსაქმოდ ყოფნაა, მაგრამ, რაც მართალია მართალია, ვერ ვეგუებოდით მტკიცე დღის წესრიგს, გვიძნელდებოდა საათობით მცხუნვარე მზის ქვეშ საბრძოლო ვარჯიში. იქნებ ეს იყო მიზეზი, რომ ზღაპრით გადიოდა დრო და მეტად ჭიანჭურდებოდა დღეები!

საღამოობით, როცა ცეცხლივით გაწითლებული მზე დედამიწისაკენ მიექანებოდა, რუხ ფარაჯაზე წამოწოლილი და ნიდაყვებზე დაყრდნობილი გავცქეროდი ხოლმე კორეულ პეიზაჟს: ჰორიზონტზე, ამწვანებული მთების ცოტა ქვევით, გორაკებზე შეფენილ უხვად მსხმოიარე ბაღებს და ბარაქიან ვენახებს; ჩემ წინ კი ტირიფონის ველივით გაშლილ ხოდაბუნებს.

ვუცქეროდი და ვერ ვძლებოდი მისი ცქერით. ის ხომ ჩემს სამშობლოს, ჩემს საქართველოს მაგონებდა!

ერთ საღამოს ლეიტენანტმა ავერიანოვმა დამიძახა, მას ხელში მინდვრის ყვავილების კონა ეჭირა.

— წავიდეთ, — მითხრა მან.

და ჩვენ წავედით.

გზაში მეც მოვგლიჯე ჩვენი გვირილას მსგავსი ყვავილები. მივდიოდით ნელა, ხმისამოუღებლად.

სოფლის განაპირას, პატარა გორაკზე, კორეელი ბავშვები იდგნენ. მათაც ყვავილები ეჭირათ ხელში. ისინი მორცხვად შემოგვეცქეროდნენ.

უხმოდ შევამკეთ საფლავი ყვავილებით და უკან გამოვბრუნდით.

— იარე, დაგეწევი, — მითხრა ავერიანოვმა და ბუჩქებს ამოეთარა.

არ მახსოვს, რატომ შევჩერდი, რატომ მივბრუნდი უკან: ბუჩქებს ამოფარებულ ლეიტენანტს ხელში პატარა სურათი ეჭირა და ამღვრეული თვალებით დასცქეროდა.

„ნუთუ ეს განთქმული მეომარი ლეიტენანტი ავერიანოვია“, გავიფიქრე უცბად რატომღაც და ხელებით სველი თვალები მოვიმშრალე.

სალამოთი პარტიული კრება იყო დანიშნული. დღის წესრიგში მებრძოლ კონოვალოვის საკითხი იდგა.

კონოვალოვმა საბრძოლო ნათლობა იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლებში მიიღო. ის, მართალია, ჩვენთან გერმანიაში მოვიდა, მაგრამ ქვემეხებისა და „კატუშების“ გრუხუნის არ მოუხმენია, აფეთქებული ნაღმებისა და ბომბების კვამლის სუნის არ უყნოსავს.

კონოვალოვს ბავშვური შეხედულება ჰქონდა: თუმცა ამბობდა, ოცი წლისა ვარო, მაგრამ ოცეულში ეს არავის სჯეროდა; „ოცისა კი არა, თექვსმეტისაც არ იქნები“, — ეუბნებოდნენ მას მებრძოლები. მიუხედავად ამისა, იგი ყოველმხრივ წესიერი მებრძოლი იყო, დაუზარებელი და ხალისიანი, დავალების პირნათლად შემსრულებელი, მეთაურებისა და უფროსი

ამხანაგების პატივისმცემელი. სამურაებთან ბრძოლებში თავი ისახელა, არაფრის არ ეშინოდა, მოქმედებდა მამაცურად.

ბრძოლების დაწყების პირველ დღესვე განცხადება დაწერა პარტიაში მიღების შესახებ. პარტიულმა ორგანიზაციამ ერთხმად მიიღო კანდიდატად, ამის შემდეგ იგი უფრო გაყოჩაღდა, გამამაცდა. არა ერთი და ორი მადლობა გამოუცხადებიათ მისთვის სერჟანტ საკირკოს, ლეიტენანტ ავერიანოვს, მაიორ მატიაშს და ლეგიონის მეთაურს. გენერალისიმუსის მადლობაც მიიღო.

დღეს კი პარტიული კრება იხილავდა კონოვალოვის საკითხს. იგი წინა სკამზე იჯდა, ფედოროვის გვერდით, თავჩალუნული.

კრების თავმჯდომარემ სიტყვა პარტორგანიზაციის მდივანს, სერჟანტ სმირნოვს მისცა.

— ამხანაგებო, — დაიწყო სერჟანტმა სმირნოვმა, — ჩვენ უნდა განვიხილოთ ამხანაგ კონოვალოვის საქციელი. თქვენ ყველამ იცით, რომ დღეს ორი საათით გვიან ვისადილეთ; ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ამბავია, ყოფილა შემთხვევები, როცა ორი საათით გვიან კი არა, სულაც არ გვისადილია. ასეთი რამ ახლა დაუშვებელია. ზუსტად უნდა შესრულდეს დღის განაწესი, რადგან ეს სამხედრო დისციპლინის განმტკიცებას ემსახურება. დისციპლინა კი ჩვენთვის საჭიროა, როგორც ჰაერი, როგორც სიცოცხლე. დღეს ამხანაგი კონოვალოვი ეხმარებოდა მზარეულს; საუზმის შემდეგ იგი სოფელში გაუგზავნიათ წყლის მოსატანად. წყალზე კი ულაპარაკოდ წასულა კონოვალოვი. მაგრამ ვაი ამ წასვლას: ორი საათით გვიან დაბრუნებულა. როგორც ირკვევა, ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ კონოვალოვს ცხენი უთხოვებია კორეელი გლეხისათვის, რისთვისაც კორეელ

გოგონებს კალათით ყურძენი მოუტანიათ მისთვის. კორეელ მოსახლეობას უნდა ყოველმხრივ დაეხმაროთ, ხელი გავუწოდლოთ. მაგრამ ამ დახმარებამ ასეთი სახე არ უნდა მიიღოს, ამხანაგებო. ისე გამოდის, რომ კონოვალოვმა ცხენი გააქირავა. ეს კი არ შეჰფერის საბჭოთა მეომარს, გამათავისუფლებელს. ძალიან კარგი იქნება, თუ თვითონ კონოვალოვს მოვუხსენებთ.

თავმჯდომარემ სიტყვა კონოვალოვს მისცა. ყველამ მისკენ მივიხედეთ. იგი მძიმედ წამოდგა და ერთ ხანს თავჩაღუნული იდგა. შემდეგ თავი ასწია და ყველას გადმოგვხედა.

—ამხანაგებო,—ხმადაბლა დაიწყო მან,—სერჟანტი სმირონოვი მართალს ამბობს,— მე წესრიგი დავარღვიე, ცხენი კორეელს ვათხოვე და წყლის მოტანა დავაგვიანე. ეს ასე მოხდა: წყაროზე მივედი და წყლის ჩასხმა დავიწყე. ხელმარცხნივ შევნიშნე, ხის კავში შებმული კორეელი ქალი და კაცი უშაობდნენ, კავს ბავშვებიც აწვებოდნენ ხელით. ისინი მთლად ოფლში იყვნენ გაწუწულნი და ძლივს სუნთქავდნენ. უღელში შებმულმა ადამიანებმა რომ შეისვენეს, ბავშვები ჩემკენ გამოიქცნენ. მათ უნდოდათ დამხმარებოდნენ წყლის ჩასხმაში. გავიფიქრე: დღეს მაინც ცოტა ადრე წამოვედი წყალზე, თანაც სამზარეულო ქვაბი ჩქარა გავავსე, დაბრუნებასაც დიდი ხანი არ მოვუნდები, რაც იქნება, იქნება, ამ საწყალ ადამიანებს მაინც მოვუხნავ ცხენით და ნაწილობრივ შევუმსუბუქებ შრომას-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

კავში ცხენი შევაბი და შევუდექი ხვნას.

ხვნას რომ მოვრჩი, მეგონა, ჯერ ერთი საათიც არ იყო გასული, მაგრამ მზეს რომ შევხედე, მაშინ მივხვდი—დამგვიანებოდა. ცხენი ფიცხლად გამოვუშვი და სალაშქრო სამზარეულოში შევაბი. კორეელი გლეხი თავის ქნევით მადლობას

მისდინდა, თანაც ხელებით მანიშნებდა: ცოტა ხანს მოიცადე, ბავშვები ვენახში გაიქცნენ და ახლავე ყურძენს მოგირბენინებენო. მეც ხელებით ვანიშნე: ნუ შეწუხდებით, ყურძენი არ მინდა, აქვენ თვითონ მოიხმარეთ-მეთქი.

სამზარეულოში მოვედი თუ არა, ვხედავ ბავშვებიც მოსულან და ყურძენი მოუტანიათ. აი, ესაა მთელი ჩემი დანაშაული. ვფიცავ, რომ კორეელი ადამიანების სიბრალულმა მაიძულა გამეკეთებინა ასე. აი, რისი თქმაც მინდოდა.

კონოვალოვი დაჯდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთმანეთს ვუცქეროდით.

სიტყვა კაპიტანმა მაკარენკომ აიღო.

—ამხანაგებო, მე მჯერა, რომ კონოვალოვი მართალს ლაპარაკობს.

— ჩვენც, ამხანაგო კაპიტანო, ჩვენც, — ერთხმად ეუბასუნეთ ნას.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომ შესაძლებლობისდაგვარად დავხმარებოდით ღარიბ გლეხებს მიწის დაწესებულებაში.

სერჟანტ საკირკოს ათეული ბანაკის გვერდით მოცქრიალე ნაკადულში ხელ-პირს იბანდა.

მდინარის მეორე მხარეს, დაჭაობებულ დაბლობში, ორ კორეელს შარვლის ტოტები აეკეცა. მუხლებამდე წყალში ჩამდგარიყვნენ და რალაცას თხრიდნენ.

—ალბათ, ჭაობს ამოაშრობენ და ბრინჯის დასათესად ნაკვეთს გაამზადებენ,—ამბობს ერთი მეზობელი.

—მერე რა აზრი აქვს ამას, იწვიმებს და ისევ დაჭაობდება. წვიმები კი აქ ყოველდღეა,—პასუხობს მეორე.

—მაშ რა უნდა ქნან, როცა მეტი მიწა არა აქვთ?—ამბობს ისევ პირველი.



—ამხანაგო სერჟანტო, მინდორში რამდენი კორეელიც კი ვნახე, ყველა ჭაობიან და უვარგის ნაკვეთებში მუშაობდა, ნეტავ ამოდენა მამული ვილასია?—კითხულობს ფედოროვი.

—ვისია და მემამულეებისა. აქ ხომ მიწის რეფორმა ჯერ არ გაუტარებიათ.

—მერე რაღას ელიან ეს დალოცვილები. იქნება არც იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, მაშინ ჩვენ უნდა დავეხმაროთ,— ამბობენ მებრძოლენი.

—დარდი ნუ გაქვთ. მათ ყველაფერი კარგად იციან. სოფელში ჩვენი მოსელის პირველი დღიდანვე მუშაობს ღარიბთა კომიტეტი. სულ მალე გადაეცემა გლეხებს მიწები,—გვეუბნება სერჟანტი.

—რაც მართალია, მართალია, ნაღებივით მიწა კია ამ წარმტაც ქვეყანაში. საკვირველია, ხის კავეებით ჩიჩქნიან და კიდევ რა კარგ მოსავალს ღებულობენ. ეხ, ერთი ამ ხოდაბუხებში ჩვენი „ნატები“ აბულრავე, მინერალური სასუქი შეიტანე და იმდენი ბრინჯი მოვა, რომ მარტო კორეას კი არა, მთელ ქვეყანას ეყოფა, — თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ამბობს ფედოროვი.

მეორე დღით, ჩვენ ჯერ კიდევ ვიწეჩით, სოფელში ხმაური რომ შემოგვესმა. ღარიბთა კომიტეტის შენობის წინ მთელ სოფელს მოეყარა თავი. დაბალი ტანის კორეელი, ღამით რომ მემამულის სახლისაკენ მიგვიძლოდა, აივანზე გადმომდგარიყო, ხელები მალლა აეშვირა და თანასოფლელებს ხმამალლა მიმართავდა. მის გვერდით ჩვენი ნაცნობი ახოვანი კორეელი და რამდენიმე გლეხი იდგნენ.

ხალხი ტაშის კვრით და „მანსეს“ ძახილით სიტყვას აწყვეტინებდა ორატორს.

—რა ამბავია?—კითხულობენ კარვების წინ ჩამწკრივებულ  
ლი მებრძოლები.

—რა ამბავია და, ღარიბებს მიწებს ურიგებენ,—გვეუბნება  
ლეიტენანტი ავერიანოვი.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, ის იყო უნდა გვესა-  
დილა, რომ ბანაკში სადღესასწაულოდ მორთული რამდენიმე  
კორეელი მოვიდა. მათ შორის იყო ახალგაზრდა კორეელი  
ქალი, რომელიც სოფელში ორი დღის წინ ჩამოსულა ახლად  
გახსნილი სკოლის მასწავლებლად. იგი კარგად ლაპარაკობდა  
რუსულს. რამდენიმე წელი ხარბინში უცხოვრია და იქ უსწავ-  
ლია.

—ბატონო მაიორო, დღეს ჩვენ მიწა მივიღეთ, — გვითარ-  
გმნის მასწავლებელი ქალი მოხუცი კორეელის სიტყვებს,—ამ  
რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ოცნებითაც კი არ შეგვეძლო წარ-  
მოგვედგინა, რომ ოდესმე მოვესწრებოდით ამას, ან სად  
გვქონდა საოცნებო დრო. დღედაღამ ვმუშაობდით, სისხლითა  
და ოფლით ვრწყავდით მინდვრებს, მაგრამ მაინც კუჭი შიმ-  
შილით გვიხმებოდა, მთელი მოსავალი იაპონელებსა და  
მემამულეებს მიჰქონდათ. ახლა მიწა ჩვენია, ჩვენ ვართ მისი  
ბატონ-პატრონი.

აქ მოხუცმა უცბად დაიჩოქა და, როგორც ბავშვი ჰკოცნის  
ხოლმე საყვარელ დედას, ისე დაუწყო მიწას კოცნა.

მოხუცი წამოდგა. მას ფერმკრთალი სახე ოდნავ წამოსწით-  
ლებოდა. შემწვარ ვაშლივით დანაოქებულ ლოყებზე ღრმად  
ჩაცვენილი თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. იგი ერთ ხანს  
ჩუმად იდგა და მაიორს თვალებში შესცქეროდა. შემდეგ ხმა-  
მადლა სიცილი მორთო და განაგრძო:

—ჩემი ცრემლები სიხარულის ცრემლებია. ისინი დილის  
ნამივით სპეტაკია და წმინდა. ასევე სპეტაკი და წმინდაა მიწო-

სადმი ჩემი სიყვარული. აღარავის მივცემ ჩვენი მიწის-  
დაპყრობის ნებას. დედაბუდიანად დავიხოცებით, სხვისი  
მონები კი აღარასოდეს აღარ გავხდებით. ათასი მადლობა  
თქვენ, რუსო ადამიანებო. თქვენ მოგვიტანეთ თავისუფლება,  
გვაჩუქეთ სიცოცხლე, გვასწავლეთ ცხოვრება; ხალხმა გამოგვ-  
გზავნა თქვენთან თხოვნით: უნდა ყველანი წამობრძანდეთ,  
ჩვენს ლხინსა და ზეიმს დაესწროთ, შნო და ლაზათი მისცეთ  
ჩვენს დღესასწაულს.

ბატალიონის მეთაურმა დიდი მადლობა გადაუხადა. მაგრამ  
კორეელები არ ეშვებოდნენ, გინდათ თუ არა, უნდა წამობ-  
რძანდეთო. როგორც იყო, მაიორი დაითანხმეს, მაგრამ იგი  
თვითონ მაინც არ წავიდა. მან ნება დაგვრთო რამდენიმე  
მებრძოლს, რომ წავსულიყავით. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ  
კაპიტანი მაკარენკო და ლეიტენანტი ავერიანოვი.

სოფლის წყაროსთან, ორი დიდი ნუშის ქვეშ, გრძლად  
ჩამწკრივებულ დაბალ მაგიდებზე გაეშალათ სუფრა. მომ-  
ცრო ტანის კაცი არღანს უკრავდა. მის გვერდით სამკორეელს  
მოგრძო, დუდუკის მაგვარი საკრავი ჩაედო პირში და  
მთელი ძალით ბერავდა. მეოთხეს კისერზე დოლი ჰქონდა  
ჩამოკიდებული და ჯოხებს უტყაპუნებდა.

წყაროსთან შეკრებილი მამაკაცები ქუდების მოხდით მო-  
გვესალმენ, ქალები კი — თავის დაკვრით.

ყველანი სუფრის ერთ მხარეს, თეთრ კილოებზე დაგვსხეს,  
ჩვენ წინ კორეელი გლეხები ჩამომწკრივდნენ. ქალები სუფ-  
რას არ მოჰკარებდნენ, ჩვეულების მიხედვით, კორეელი ქალე-  
ბი სტუმარ მამაკაცებთან პურს არ ჭამენ.

სუფრაზე იდგა რამდენიმე თიხის ჯამი უმარილოდ მოხარ-  
შული ბრინჯით. ხის თეფშებზე კომბოსტოსა და წიწაკის

მწილი, ძმრითა და ზეთით შეზავებული სალათა და გაუთ-  
ლელი კიტრები ეწყო.

სტუმრებს ჩაის კიჭები ჩამოგვირიგეს, თერთონ კი პატარა  
თეთრი ფინჯნები დაიდგეს. ხის თეფშებზე კოვზების მაგივ-  
რად სუფთად გათლილი წყვილი პატარა ჯოხი ეწყო.

—გვაპატიეთ, რომ ღვიხო ვერ მოგართვით. მართალია,  
ვენახები გვაქვს, მაგრამ ღვინოს როდი ვაყენებდით. ყურძენს  
ვყიდდით და ბრინჯს ვყიდულობდით. ამის შემდეგ გვეწვიეთ  
სოლმე. მაშინ მოგართმევთ წითელ ღვინოს. ეს კი არაყია,  
ვაშლისაგან გამონხილი,—გვითარგმნიდა მასწავლებელი ქა-  
ლი მოხუცი კორეელის ნალაპარაკევეს: კაპიტნისა და ლეიტე-  
ნანტის პირიპირ მჭდარმა ორმა კორეელმა სავსე კიჭები  
აიღო და ცოტათი მოსვა, ასე მოიქცნენ ჩვენ წინ მსხდომი  
კორეელებიც. გაკვირვებული ვუცქეროდით ერთმანეთს.

—ასე იმიტომ ვიქცევით, რომ იაპონელი ოფიცრები,  
როცა სოფელში მოგვეჭებოდნენ, ძალით წართმეულ სას-  
მელს ჯერ ჩვენ დაგვაღვივებდნენ და მერე თვითონ იკუი-  
პებოდნენ,—განმარტებას გვაძლევდნენ კორეელები.

—უთხარით მათ, რომ ძმა ძმას ყველაფერში უნდა ენდო-  
ბოდეს,—მიმართავს თარჯიმანს კაპიტანი მაკარენკო.

— მაშ ჩვენს ძმობას, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! —  
ამბობს ფეხზე ამდგარი ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარე,—  
შევსვათ კორეელი ხალხის ყველაზე დიდი მეგობრის —  
სტალინის სადღეგრძელო,—გაიძახიან ფეხზე ამდგარი გლეხე-  
ბი და კიჭებს გვიკახუნებენ.

სასმელი რომ შევსკით, გაისმა მუსიკის ხმა.

პატარა გოგომ და ბიჭმა ჩვენ წინ ცეკვა დაიწყეს. გოგოს  
ცისფერი მოგრძო ქვედატანი და თეთრი პერანგი ეცვა, ბიჭს—  
თეთრი განიერი შარვალ-ხალათი.

გოგომ ირგვლივ რამდენჯერმე შემოირბინა, თითქოსდა ბიქს გაუბრბოდა. ბიქი ფეხდაფეხ მისდევდა, ცდილობდა მის დაჰერას. შემკრთალი გოგო ძირს დაიჩოქებს, ხელაპყრობილი ბიქს ევედრება. ბიქი კი გოგოს გარს დასტრიალებს და თავს ევლება.

—ეს ჩვენი ეროვნული ცეკვაა. იაპონელები არ გვაძლევდნენ მისი შესრულების ნებას. ძალას გვატანდნენ, რომ ჩაგვეცვა მათი ქიმიანო და გვესწავლა მათი ცეკვები,—გვიამბობს თარჯიმანი.

ბოლოს გოგო ფეხზე წამოდგა, ახლა იგი ბიქს გვერდით მისდევს და შესცინის... ცეკვა დამთავრდა.

გვიძნელდებოდა პატარა ჯოხებით მწნილისა და მოხარშული ბრინჯის ჭამა. მასლენიკოვს ჯიბიდან თავისი კოვზი ამოეღო და გემრიელად შეექცეოდა, თანაც სიცილით გვეუბნებოდა:

—აბა, რომ დამცინით ხოლმე, კოვზს სულ ჯიბით დაატარებო, ახლა ხომ რწმუნდებით, რომ ჯარისკაცს ომში შაშხანასთან ერთად კოვზიც მუდამ თან უნდა ჰქონდეს.

—მერე სადღაა ომი?—ეუბნება საკირკო.

—ამხანაგო სერჟანტო, ომი რომ აღარ არის, განა მე არ ვიცი, მაგრამ, ეს ოხერი, ისევ ქვემეხების გრიალი და ნალმების წივილი მესმის ყურებში. გუშინ დილით საგუშაგოზე ვიდექი. კაკალზე ყვავმა ფრთები დაიბერტყა და, რომ დაგენახეთ, ბევრს იცინებდით.

—რაზე ვიცინებდით?—ეკითხებიან მებრძოლები.

—იმაზე, რომ მეგონა, ნალმი მოფრინავს-მეთქი, და მიწას გავეკარი.

კაპიტანი მაკარენკო და ლეიტენანტი ავერიანოვი ხმამაღლა იცინოდნენ. მათ თარჯიმანი უთარგმნიდა მოხუცი კორუელის ნაამბობს.

— უცნაურები არიან ეს ქალები. ამას წინათ, როცა ჩვენ სოფელში რუსი ჯარისკაცები მოვიდნენ, წვიმიანი ამინდი იყო. სოფლის ბოლოს, ნუშების ქვეშ შეეფარებინათ თავი საწვიმარებში გახვეულ ჯარისკაცებს. ისინი რომ დავინახე, სულ გული ამიჩუყდა. სახლში მივედი და ჩემი ქალი გავაფრთხილე, რუსი ჯარისკაცები უნდა მოვიყვანო და თადარიგი დაიჭირებოდა, რომ იცოდე, ერთი ყვირილი მორთო. მლნაძლავდა— აი, შე ასეთო და ისეთო, როგორ შეიძლება მათი სახლში შემოშვება, არ გეშინია, რომ ყელები დაგვჭრან და გაგვძარცვონო? ხომ გახსოვს, გასულ წელს იაპონელი ჯარისკაცები ღამის გასათევად სახლში რომ ძალით შემოგვეჭრენ და ცარიელ-ტარიელი დაგვტოვესო.

ვეუბნები, არა, ქალო, ესენი ხომ რუსები არიან, აბა, სტალინის ჯარისკაცები ამას როგორ იკადრებენ-მეთქი. ის კი თავისას გაიძახის: ჯარისკაცი—ჯარისკაცი; გინდა რუსი იყოს და გინდა იაპონელიო. აბა, მე იმას ყურს რას დავუგდებდი. წავედი და ორი ჯარისკაცი მოვიყვანე. სანამ სახლში მოვიდოდი, ამ ჩემს ბებრუცუნას მთელი ლოგინი, ჭურჭელი, ქვაბები, საჭმელი თუ სასმელი სადღაც გადაემალა და თვითონაც უგზო-უყვლოდ გადაკარგულიყო.

ჯარისკაცები იატაკზე გაშლილ მაზარებზე წამოწვენენ, ზევიდან საწვიმარკარავეები გადაიფარეს და დაიძინეს.

იმ ღამით მე ახლომანლო მეზობლებში მოვიკითხე ჩემი სახლობა, მაგრამ, რომ ვერსად აღმოვაჩინე, დავწექი და დავიძინე. დილით ჯარისკაცები ადრე ადგნენ. ორი ხორცის კონსერვი დამრამდენიმე შაქრის ნატეხი დამიტოვეს, დიდი მადლობა გამამინაღდეს და წავიდნენ. მათი წასვლა და ჩემი ბებრის გამოჩენა ერთი იყო. თურმე ჭერში აეტანა ყველაფერი და თვითონ

ნაც იქ მჭდარიყო, მთელი ღამე თვალი არ მოეხუჭა. რამდენჯერაც კი გადაბრუნდებოდნენ ჯარისკაცები, ის ყურებს აცქვეტდა, ეგონა, ალბათ, ახლა გამოსჭრიან ჩემს ქმარს ყელს რუსები და სახლის გაძარცვას შეუდგებიანო.

ახლაც არ სჯერა, რომ იმ ღამეს ჩემთან ჯარისკაცები იყვნენ, ამბობს: ისინი ჯარისკაცები კი არა, ღმერთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზები იყვნენო.

უკვე ბნელოდა, რომ ბანაკში დავბრუნდით.

ამ საღამოთი ჩვენი ათეული დღიურში გავიდა.

სოფლის განაპირას იყო საგუშაგო №1. აქ ორ-ორი გუშაგი ვიდექით ხოლმე ერთდროულად. ამ ღამით ფედოროვსა და მასლენიკოვს მოუხდათ საგუშაგოზე ერთად დგომა. ისე ბნელოდა, თვალში კაცს რომ თითი ეტაკებინა, ვერ დაინახავდით. ჩრდილოეთის ქარი ქროდა. ხეები განუწყვეტლივ შრიალებდნენ. ცვიოდა უკვე შეყვითლებული ფოთლები. აქა-იქ ისმოდა გამხმარი ტოტების ლაწალუწი.

გუშაგებს ძაღლების შორეული ყეფა მოესმათ.

ძაღლების ყეფის გაგონებამ ჟრუანტელი მოჰგვარა მასლენიკოვს.

უკვე ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ისე ჰგონია, თითქოს ახლაც მას მოსდევენ ყეფით ძაღლები და ძაღლებზე უფრო გაავებული გერმანელები.

ქალაქ №-თან მტრის ტანკების კოლონა უტევდა ლეიტენანტ ლოგინოვის ასეულის პოზიციებს. ტანკების უკან სიგარეტების ბოლებით მედიდურად მოაბიჯებდნენ გერმანელები. ასეულს მტრის მოსაგერებლად არ გააჩნდა არც ქვემეხები, არც ტანკსაწინააღმდეგო თოფები და არც სხვა რამ საშუალება. სანგრებში იდგნენ მებრძოლები და ელოდნენ მეთაუ-

რის ბრძანებას. როცა მათი ტანკები ათიოდე მეტრზე მოუახლოვდა, ლეიტენანტმა ლოგინოვმა შეტევაზე გადაიყვანა ასეული. ამუშავდნენ ტანკების ქვემეხები და ტყვიამფრქვევები, მაგრამ ასეულმა მოასწრო ხიშტებით დარეოდა ტანკების უკან უდარდელად მომავალ გერმანელებს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. დაჩუმდნენ ტანკების ქვემეხები და ტყვიამფრქვევები. ახლა ისინი ერთ ადგილზე ტრიალებდნენ. გერმანელმა ტანკისტებმა აღარ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ასეულს მტერი რიცხოვრებულ სჭარბობდა. თითქმის მთელი ასეული დაიღუპა, მაგრამ ძვირად დაუსვენს გმირმა მებრძოლებმა თავიანთი სიცოცხლე: მტრის სამასამდე, ოფიცერი და ჯარისკაცი გაანადგურეს.

მასლენიკოვი ხელჩართული ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა. ორ გერმანელს კონდახით გაუპო საფეთქელი. მესამეს ხიშტი მოუქნია და მთელი ძალით მუცელში ჩასცხო. მაგრად მოუვიდა: მტრის მუცელში ხიშტთან ერთად შაშხანის ლულაც შესრიალდა, ხიშტზე აგებული გერმანელი მასლენიკოვის შაშხანას ხელებით სწვდა. მასლენიკოვს უნდოდა გერმანელი ფეხის კვრით მოეცილებინა. ასწია კიდევ ფეხი, რომ მუცელში ჩაეკრა მტრისათვის, მაგრამ უკანიდან წამოპარულმა გერმანელმა შაშხანის კონდახი დასცხო კისერში.

მასლენიკოვს თვალთ დაუბნელდა, გრძნობადაკარგული ძირს დაეცა.

თვალი გრძელ საბძელში გაახილა. საბძლის ორივე მხარეს დაჭრილი მებრძოლები იწვნენ, შუა საბძელში ორი გერმანელი დააბიჯებდა.

— წყალი! — შემოესმა მას უცნობი ხმა.

„ნუთუ ეს ჩემი ხმაა“, გაიფიქრა და უფრო ხმამაღლა დაიძახა:



— წყალი, წყალი დამალევიანეთ!

მის გვერდით მწოლარე მებრძოლმა, მკერდი რომ გასისხლიანებული ტომრის ნახევით ჰქონდა შეხვეული, მასლენიკოვს მათარა მიაწოდა. ხარბად დაეწაფა მასლენიკოვს წყალს, მაგრამ წყურვილი ვერ მოიკლა, უკანასკნელი წვეთები იდგა მასში.

წყლის დაღევის შემდეგ მასლენიკოვმა უკეთ იგრძნო თავი. ახლა მას მხოლოდ შიმშილი აწუხებდა.

დილის თერთმეტ საათზე გერმანელებმა დიდი ქვაბი შეიტანეს საბძელში და დაჭრილები ცემა-ტყეებით ფეხზე წამოაყენეს. ყველას ორ-ორი კარტოფილი მისცეს ხელში და გააფრთხილეს, სანამ ნებას არ დაგრთავთ, არავინ სჭამოთო.

ჩასუქებულმა გერმანელმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დრო დანიშნა და დაიძახა:

— ჩამე, რუსო!

სიგრძეზე ჩამწკრივებული დაჭრილი ჯარისკაცები ცხელი კარტოფილის ფცქვნას შეუდგნენ. გერმანელები კი მათ შუა დააბიჯებდნენ და გაიძახოდნენ:

— ჩქარა ჩამე, რუსო, რუსს სიჩქარე უკვარს.

თითო კარტოფილის შეჭმაც ვერ მოასწრეს ტყვე ჯარისკაცებმა. რომ სქელმა გერმანელმა ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა:

— ნულარ ჩამ, რუსო!

მგლებივით დაერივნენ გერმანელი ჯარისკაცები ტყვეებს. ისინი რეზინის ჯოხებით სცემდნენ სახეში იმ ჯარისკაცებს, რომელთაც ბრძანება არ შეასრულეს და კარტოფილის ჭამას განაგრძობდნენ.

სქელი გერმანელი კი იჭაჭებოდა:

— გაიგონე, რუსო, რუსს დისციპლინა უკვარს.

მასლენიკოვსაც ხელიდან გააგდებინეს კარტოფილი, წამოაქციეს და ბეჭებში კონდახები დაუშინეს.

მეორე დღით გერმანელმა ჯარისკაცმა ფეხის წაკვრით წამოაყენა იგი და გარეთ გამოიყვანა. სოფელი გერმანელებით იყო სავსე.

„რუს, ვლეს... ხადი“ — უთხრა გერმანელსა და კონდახის ცემით წინ გაიგდო.

სოფლიდან ტყე არც ისე შორს იყო. ტყეში რომ შევიდნენ, გერმანელმა დაუძახა: „რუს, სტოი!“

მასლენიკოვი შეჩერდა, მაგრამ უკან არ მოუხედავს: ეგონა გერმანელი ზურგში ტყვიას დაახლიდა. იგი ერთ ხანს გაჩუმებული იდგა და ელოდა თოფის გავარდნას. შემდეგ შემოტრიალდა. ზურგშექცეული ჯარისკაცი ხის ტოტზე მჯდარ ბუს თოფს უმიზნებდა. დაიჭექა თოფმა, მაგრამ ბუ კვლავ თავის ადგილას უძრავად იჯდა.

მასლენიკოვი ისევე, როგორც „მკვდარი“ ბურთების ადებისას, ერთი ნახტომით გერმანელს კისერში ჩააფრინდა. რამდენიმე წამი და გერმანელი უძრავად ეგდო. მასლენიკოვმა გერმანელის თოფს ხელი წამოაწვლო და აღმოსავლეთით გაიქცა. მიდიოდა ტყეში, უგზო-უკვლოდ, შეუსვენებლივ. ასე იარა საღამომდე. უცბად ძაღლების შორეული ყეფა შემოესმა. იგი უფრო სწრაფად გაიქცა, მაგრამ ძაღლების ყეფასულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ბაღე მან დაინახა გერმანელი მოტოციკლისტები. მოტოციკლების წინ ძაღლები მობობდნენ. უკვე ყურებთან გაუწეულია ტყვიამ, ერთმა, ორმა და მთელმა ჭერმა. მას სუნთქვა უჭირდა, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც გარბოდა. უნდოდა, როგორმე ტყის პირამდე მიეღწია, იქიდან კი სროლა აეტეხა მტრისათვის.

თავზე ტყვიამფრქვევების ცეცხლმა გადაუარა. ტყის ნაპირ

რას რამდენიმე მწოლარე ადამიანი შენიშნა. ისინი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს უშენდნენ გერმანელებს. ორი გერმანელი მოტოციკლიდან გადმოვარდა, გაისმა ძაღლების წკმუტუნიც. ცეცხლი უფრო გაძლიერდა. შეშინებულმა გერმანელებმა აწრათად მიაბრუნეს მოტოციკლები და გაიქცნენ. მასლენიკოვმა ძლივს მიიღებინა ტყის პირას და ძირს დაეცა. იქ ჩასაფრებულმა ადამიანებმა იგი ტყის სიღრმეში წაიყვანეს. ესენი პარტიზანები იყვნენ.

როგორც მაშინ, ახლაც ისე ესმოდა მასლენიკოვს მოახლოებული ძაღლების ყეფა. სიბნელეში გამოჩნდა რამდენიმე შუქი, გაისმა მოტორების ხმაურიც.

— ფედოროვ, რალაც ამბავია, საჭიროა შევატყობინოთ საგუშაგოზე, — წასჩურჩულა მასლენიკოვმა.

— შეტყობინება აუცილებლად საჭიროა, — პასუხობს ფედოროვი. გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— ფრთხილად იყავით. სოფელში არავინ შემოუშვათ, ჩვენ ახლავე მანდ გავჩნდებით, — ჭეჭდა მილში ლეიტენანტ ავერიანოვის ხმა.

ფედოროვი და მასლენიკოვი გზის აქეთ-იქით დაწვნენ და ავტომატები მოიმარჯვეს.

ახლა უკვე კარგად ჩანდა, თუ გზაზე როგორ მოემართებოდა ავტომანქანა და რამდენიმე მოტოციკლი.

გზის მარჯვენა მხრიდან ისმოდა ძაღლების გახშირებული ყეფა. ავტომანქანის შუქზე ორი კორეელი გამოჩნდა. მათ უკან მოსდევდნენ შეიარაღებული ამერიკელები ძაღლებით ხელში. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და კორეელები საგუშაგოსთან იქნებიან. გუშაგებმა კარგად დაინახეს, ერთმა ამერიკელმა როგორ მოიმარჯვა ავტომატი. იგი სროლას აპირებდა.

—არ ისროლოთ, თორემ ჩვენ თქვენ გესვრით!—უყვირის გზის პირას გაწოლილი ფედოროვი.

ამერიკელები შეჩერდნენ. საგუშაგოზე მოიბრინა სერჟანტმა საკირკომ ათიოდე მეტრძოლით. „ვილისით“ მოვიდა ლეიტენანტი ავერიანოვიც.

— სალამი რუს მოკავშირეებს, — ამბობს მანქანიდან გადმოსული მაღალი ამერიკელი ოფიცერი, სწორედ ის, რომელმაც შემამულეებს ავტომანქანა ათხოვა. ახლა იგი რუსულად ლაპარაკობდა.

— რას გვიბრძანებთ?—მიმართავს მას ავერიანოვი.

— უნდა დაგვეხმაროთ ჩვენი მხრიდან გამოქცეულ დამნაშავეთა შეპყრობაში.

— მერე სად არიან ისინი?

— ისინი ორი წუთის წინ თქვენს სოფელში შემოცვივდნენ.

— ორი წუთი კი არა, ორი კვირა იქნება, თქვენი მხრიდან კაცი არ შემოსულა სოფელში.

— ბატონო ლეიტენანტო, თქვენი მოქმედება არ მომწონს.

— ის ხომ მოგწონდათ, ავტომანქანით რომ სანბკოთა ჯარისკაცის მკვლელი შემამულეები გააპარეთ. უკეთესია ვილაპარაკოთ მოკლედ. თქვენ, ალბათ, შეცდომით მოხვდით 38-ე პარალელის ჩრდილოეთით. გიბრძანებთ, ახლავე გაბრუნდეთ უკან.

ამერიკელი ოფიცრის უკან ჩვენი ნაცნობი გრძელცხვირა ჯარისკაცი ყელყელაობდა. იგი პერეკრესტოვს დაენახა, მანქანიდან ჩამოსულიყო და დაციხვით უმზერდა.

ამერიკელი ჯარისკაცი, თვალი მოჰკრა თუ არა პერეკრესტოვს, ოფიცერს ამოეთარა და მალულად უთვალთვალებდა რუს გოლიათს.

—ბატონო ლეიტენანტო, მე მსურს ჩემი ნაცნობი მაიორის წახვა;—მიმართავს ამერიკელი ოფიცერი ლეიტენანტს.

—ტყუილად გარჯილხართ. ასეთ დროს მაიორს ყოველთვის სძინავს და არავის ლებულობს.

—კარგით. მე ხვალ მოველაპარაკები მას,—თქვა ოფიცერმა და მანქანაში ჩაჯდა.

კისერმოგრებილი გრძელცხვირა ამერიკელი პერეკრესტოვს შესცქეროდა და ავტომანქანისაკენ მიიპარებოდა, მაგრამ მან უცბად ფეხი რალაცას წამოჰკრა და წაიქცა.

—ჰალო, აყენება ხომ არ გინდა ან კისრის გატყაცუნება,—აიცილით ეუბნება მას პერეკრესტოვი.

როდესაც ავტომანქანაში ჩამსხდარი ამერიკელები უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, ლეიტენანტმა შესძახა:

— ამერიკელებო, ჩვენს საგუშაგოზე ავტომანქანით გავლა აკრძალულია. გთხოვ, ჩამობრძანდეთ და ორასი მეტრი ფეხით გაიაროთ.

ავტომანქანიდან ყველაზე პირველად გრძელცხვირა ჯარისკაცმა ისკუპა, სხვებიც თაყიფუცით ჩამოხტნენ. ოფიცერმაც იკადრა ჩამობრძანება.

ამერიკელებმა ფეხით ორასამდე მეტრი გაიარეს, შემდეგ ავტომანქანაში ჩასხდნენ და კუდამოძუებულებმა სამხრეთისაკენ მოუსვენს.

## 6

კორეელები მამა-შვილი გამოდგნენ. მამა სეულის განთქმული ექიმი ყოფილა და მას სოფელში ბევრი სცნობდა. ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარემ ისინი ფხენიანში გაისტუმრა. წასვლის წინ კორეელ ექიმს ლეიტენანტ ავერი-

ნოვისათვის პატარა რვეული გადაეცა, ეს ჩემი ნაწერებიაო. სოფლის მასწავლებელმა ქალმა გვითარგმნა იგი.

კაპიტანმა მაკარენკომ კი პოლიტ-ინფორმაციაზე წაგვიკითხა ეს ნაწერები:

„25 სექტემბერი.

უკვე თვეზე მეტია, ქალაქში არ გასულა ჩემი ქალიშვილი ზიზიკო. დღეს დილით იგი იძულებული შეიქნა ბაზარში წასულიყო და პროდუქტები ეყიდა.

ზიზიკოს ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ სახლის კარზე ვილაცამ დააკაკუნა. „ნეტავ ვინ უნდა იყოს“, — გავიფიქრე და კარი გავაღე. ჩემ წინ ამერიკელი ოფიცერი იდგა. ამერიკელმა დამინახა თუ არა, მომესალმა და ყოველგვარი მიპატიებების გარეშე სახლში შემოაბიჯა. კორეელებს ასეთი წესი გვაქვს, სახლში არასოდეს ფეხსაცმლით არ შევდივართ. სახლის იატაკს, „ონდოლად“ წოდებულს, სუფთად ვინახავთ, „ონდოლი“ ჩვენთვის მაგიდაც არის, საწოლიც და დასაჯდომიც.

ოფიცრის საქციელმა გული მატკინა, მაგრამ საყვედურს როგორ შევბედავდი. რას იზამ, იქნებ მან ჯერ არ იცის ჩვენი წესები. კარგი, მაგრამ ფეხები მაინც დაეწმინდა. ამას აკეთებს სახლში შესვლის წინ ყველა შეგნებული ადამიანი.

ვერაფერი ვერ გამიგია!

ოფიცერს გულმოდგინედ გაუთოებელი მოკლე შარვალეცვა, მუნდირის პაგონებზე წარწერა ჰქონდა: „MP“; როგორც შემდეგ ხანიოშმა (ჩემი ვაჟიშვილია) მითხრა, ეს წარწერა „სამხედრო პოლიციას“ ნიშნავს.

— თქვენი ოჯახის ჰერქვეშ იმყოფება ამერიკის შ. შ.არმიის პოლკოვნიკი. ეს თქვენ ბედნიერებად უნდა ჩასთვალოთ,—

პითხრა პოლკოვნიკმა და თეთრი აბრეშუმის ხელთათმანების გახდა დაიწყო.

— დიდად მოხარული ვარ, ბატონო პოლკოვნიკო, — მიეუგე და მასთან ახლო მივედი, მინდოდა ხელი ჩამომერთმია.

მას ჩემთვის ხელი არ გამოუწვდია. ისე დაიჭირა თავი, ვითომ ჩემი განზრახვა არც კი შეემჩნიოს. სავარძელზე დაბრძანება ვთხოვე, მან არც ეს მოისურვა, უარყოფის ნიშნად ხელი გააქნია.

— ვინ ცხოვრობს თქვენი სახლის ზედა სართულში? — მეკითხება იგი.

— ზედა სართულში სამშობიარო სახლია, ქვედა სართულში კი მე ვცხოვრობ, ბატონო პოლკოვნიკო.

— სამშობიარო სახლი, — ამბობს იგი და ფანჯარაზე თითების თამაშით რომელიღაც ვალსს უკრავს, — მერე რა საჭიროა სამშობიარო სახლი?

— საჭირო როგორ არაა, ბატონო პოლკოვნიკო, ჩემს პოლიკლინიკაში ყოველდღიურად ორი-სამი ქალი ლოგინობს.

— ლოგინობა სახლშიც შეიძლება. ნაპოლეონი დედამ ქუჩაში შობა. თუ კორეელი ქალები სახლში ილოგინებენ, ამით არაფერი დაშავდება. ახლავე დაითხოვეთ ავადმყოფები. გასაგებია?

— გასაგებია, მაგრამ...

— უკეთესია მომახსენოთ, — თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოიძახა პოლკოვნიკმა, — რამდენი ხართ ოჯახში?

— ჩვენი ოჯახი ოთხი სულისაგან შედგება — მე და ჩემი ცოლი, თვრამეტი წლის ვაჟიშვილი და ქალიშვილი თექვსმეტი წლისა.

— მაშ ასე, გაათავისუფლეთ ზედა სართული. იქ მე დავდგები საცხოვრებლად. ახლა დღის 12 საათია, ორი საათის შემ-

დეგ. მაშასადამე დღის 2 საათზე, სანიტრებს გამოვეგზავნო დეზინფექციის ჩასატარებლად,—მითხრა პოლკოვნიკმა და წავიდა ისე, რომ არც კი გამოემშვიდობა.

ეს რა ამბავია, ამას რას ვხედავ. განა ეს შეპფერის პოლკოვნიკს? თუ ასეთია პოლკოვნიკი, მაშინ რა იქნებიან მისი ჯარისკაცები. მაგრამ რას ვმსჯელობ, დრო გადის, საჭიროა ბრძანების შესრულება.

ზედა სართულში სამი მელოგინე წევს. ორი მათგანი გუშინდელს აქეთ მუცელს იტკივებს. ამ დღით მესამესაც დაეწყო შეტევები. მათი დათხოვნა შეუძლებელია. მაშ, როგორ მოვიქცე? ჩემს სახლობას ყველაფერი დაწვრილებით ვუთხარი. ამ ამბავმა იგი მეტად შეაწუხა, ატირებული ცოლი მირჩევს: „ავადმყოფები დაბლა ჩამოვიყვანოთ და საცხოვრებელ ოთახში მოვათავსოთ. ჩვენ კი დროებით სამზარეულოში გავიდეთ“. კარგი აზრია. სხვა გამოსავალი არ არის.

მელოგინე ქალები დაბლა ჩამოვიყვანეთ.

ზედა სართულში სულ ხუთი ოთახია: ოთხი—ავადმყოფების საწოლი, ერთი კი — საოპერაციო. დანიშნულ დროისათვის ყველა ოთახი გავათავისუფლე. საოპერაციოს კი ფარდები ჩამოვაფარე და კლიტე დავადე.

ამ საქმეს რომ მოვრჩი, ჩვენი სახლის წინ „ვილისი“ გაჩერდა. ოთხი ამერიკელი ჯარისკაცი ხმაურითა და ყაყანით კიბეზე ამოვიდა და ავტომატებით კარების ბრახუნს დაიწყო. ხმაურის გაგონებისთანავე ფანჯარა გამოვადე და ინგლისურ ენაზე ჯარისკაცებს გადავძახე: მოითმინეთ, კარებს ახლავე გაგიღებთ-მეთქი. მაგრამ ამერიკელები არ ითმენდნენ. ისინი კიდევ უფრო მაგრად აბრახუნებდნენ.

ერთმა ამერიკელმა ხმამაღლა შეიგინა და მხეცივით კარებს დაეჯახა. კარები გაიღო.



— როგორ შეიძლება დღისით კარების ჩაკეტვა?!—მისაყვე-  
დურებს მაღალ-მაღალი ამერიკელი კაპრალი.

— ბატონო, კარები რომ არ...

— ახსნა-განმარტება საჭირო არაა,—მეუბნება იგი და ტა-  
ლახში ამოსვრილი ჩექმების ბაკაბუკით მეორე სართულში  
შიშვალ კიბეზე მიაბიჯებს.

მას უკან ორი ჯარისკაცი გაჰყვა, ერთი ჯარისკაცი კი, ყვე-  
ლაზე დაბალი რომ იყო და მელასავით თვალებს აცეცებდა,  
დაბლა დარჩა და ოთახების თვალიერებას შეუდგა. მან სა-  
წოლ ოთახშიც შეჰყო თავი. იატაკზე მწოლარე ქალებს რომ  
თვალი მოჰკრა, ერთი საშინლად დაიღრჩა.

— ადექით, მაღამ, ვიცეკვოთ, თუ არ იცით, ახლავე გას-  
წავლით, — ხელების ფშვნეტით ეუბნებოდა იგი მელოგინე  
ქალებს.

— ბატონო ჯარისკაცო...

— როგორ თუ ჯარისკაცო, ჯარისკაცი კი არა მე მისტერი  
ვარ,—ხელის შემოღერებით მიყვირის ამერიკელი.

— ბატონო მისტერო, ქალები ავადმყოფები არიან.

— ვერ მომატყუებ, ცუცუმცარამ... მე უკვე ვიცი თქვენი  
ვშმაკობა. საღ-სალამათ ქალებს ძალად ავად ხდით, რა არის,  
ამერიკელებს არ შეეძლოთ მათგან სიამოვნების მიღება,—ცე-  
რის მუცელში წაკვრით და სიცილით მეუბნება იგი.

— ქაფსიდა!\* — უყვირის ქალებს დამახინჯებულ კორეულ  
ენაზე ამერიკელი.

მელოგინე ქალები არ ამდგარან. ან როგორ ადგებოდნენ.  
მათ ხომ მშობიარე დედის ტკივილები აწუხებდათ. ქალები  
მწარედ ატირდნენ.

---

\* ადექით.

— მაღამ, ნუ ტირით, ამერიკელ ჯარისკაცს კორეელი მაღამი უყვარს,—ვითომ ალერსით ეუბნება ქალებს ამერიკელი და ოთახში მიიზღაზნება.

გაისმა ავადმყოფი ქალების შემზარავი კივილი.

ჯარისკაცი კარებთან ახლო მწოლარე ქალთან რომ მივიდა, უცბად დაიხარა და უსირცხვილოდ საბანი გადახადა მელოგინე დედას. მშობიარე ქალის სხეული რომ დაინახა, წელთან ფეხი წაპკრა შეშინებულ ქალს და მისი მისამართით ხმამაღლა შეიგინა. ჯარისკაცი უკან გამობრუნდა და ლანძღვა-გინებით ზედა სართულისაკენ გასწია.

ამერიკელები დიდხანს დაბორილებდნენ მეორე სართულში. კარგად გავიგონე, თუ როგორ გაიღო საოპერაციოს კარი, გაისმა კარადის მინების ლაწალუწი. უხმოდ ვიდექი და ვისმენდი ყოველივე ამას. ბოლოს ველარ მოვითმინე და ზედა სართულში ავირბინე. ამერიკელი კაპრალი კიბეზე შემომხვდა.

— როგორ ბედავთ უნებართვოდ ამოსვლას, ზედა სართული ახლა ჩვენია და აქ შენ აღარაფერი გესაქმება,—მიყვირის იგი.

მინდოდა მეთქვა: „ბატონო კაპრალო, გთხოვთ გაუფრთხილდეთ საოპერაციო ნიეთებს“, მაგრამ მან თქმის ნება არ მომცა და ხელისკვრით უკან გამომავლო.

საღამოთი პოლკოვნიკი მოვიდა. მე მას კარებში შევეგებე, მინდოდა რამდენიმე სიტყვის თქმა, მაგრამ ყურიც არ მათხოვა.

ჯარისკაცებმა სწრაფად აარბენინეს პოლკოვნიკის ბარგი— საწოლი, ერთი ხელი ლოგინი და პატარა ჩემოდანი.

ამის შემდეგ კაპრალი და ორი ჯარისკაცი წავიდნენ, პოლ-

კოვნიკთან დარჩა მხოლოდ დაბალი ჯარისკაცი, თავის თავს რომ ძისტერს უწოდებდა.

26 სექტემბერი. წუხელ მთელი ღამე არ მძინებია. ორმა ქალმა იოლად მოიმშობიარა. მესამე მეტად შეაწუხა ტკივილებმა. ერთი აურზაურით ჩამომექრა „მისტერი“, მლანძლა და მაგინა. ნემუქრებოდა, ან გააჩუმე ეს ოხერი ქალი, ან არა და მაგასაც ქუჩაში გავუძახებ და შენც თან მიგაყოლებო.

მე არ შემიძლო მეთქვა ქალისათვის, რომ გაჩუმებულიყო.

მას ეს თავისმა დედამ უთხრა. ქალი გაჩუმდა.

კარგად ვგრძნობდი, თუ როგორ წვალობდა იგი. მას აწუხებდა მძიმე ტკივილები. სწყუროდა ტირილი, მაგრამ არ შეეძლო ეტირა. უნდოდა ეყვირა, მაგრამ არ შეეძლო ხმის ამოღება. დილით დაეწყო უკანასკნელი შეტევები. ქალი იტანჯებოდა. იგი ბევრს ცდილობდა, რომ არ ეკვნესა და არ ეყვირა, მაგრამ ტკივილებმა დასძლიეს და ხმამაღალი ყვირილი მორთო.

გაისმა კიბეზე მომავალი ამერიკელი ჯარისკაცის ლანძღვა-გინება. მან რომ საწოლი ოთახის კარი შემოაღო, გაწვალებული ქალი ბავშვს შობდა.

— რა ქოთაკი ძაღლივით ღმუი, შე ოხერო, შენმა გაუთავებელმა ყეფამ პოლკოვნიკს ძილი დაუფრთხო, ახლავე გაჩუმდი, თორემ გიჩვენებ სეირს.

ქალს არ შეეძლო გაჩუმება, იგი გმინავდა, შევლას ითხოვდა.

— გაჩუმდი, შენი!.. — დაიყვირა ამერიკელმა. ამ დროს მე უკვე ხელში მეჭირა ახლად დაბადებული ბავშვი.

27 სექტემბერი. დღეს დილით პოლკოვნიკმა თავისთან დამიძახა. იგი მოფერებით მელაპარაკებოდა. დაწვრილებით გამომკითხა ვინაობა. თავის შესახებაც ბევრი რამ მითხრა. 35 წლისა ყოფილა. ძნელი დასაჯერებელია. იგი 50 წლის.

ნაინც იქნება. ნეტავი რად სჭირდება ჩემთან წლოვანების დაკლება? ცოლ-შვილი არ ჰყოლია. მეუღლე ხუთი წლის წინ მომიკვდაო. იგი გულთბილად იგონებს მას. ამბობს: ყოველ წელს, ჩემი ცოლის გარდაცვალების დღეს, მისი ხსოვნის აღსანიშნავად საღამოს ვაწყობ ხოლმეო. ორი დღის შემდეგ ცოლის სიკვდილიდან ხუთი წელი სრულდება და მინდა პატარა საღამო გავმართო.

წესიერ ადამიანს ჰგავს, გარეგნულადაც ბრწყინავს: პირს ყოველ დილა-საღამოს იპარსავს, წარბებს იკეთებს, თითის ფრჩხილები, როგორც ქალებს, ვარდისფრად აქვს შეღებილი, ოდეკალონის ისეთი სუნი ასდის, თითქოს მასში ებანაოს.

ამბობს: „მიყვარს ეგზოტიკური აზია, განსაკუთრებით კი კორეა, ამ ქვეყანაში ჩიტის რძის შოვნაც კი შეიძლება. სულაც აღარ წავალ ამერიკაში, ჩემთვის ცხოვრება აქ უკეთესია. მართალია, კორეა კულტურით ჩამორჩება თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებს, მაგრამ ჩვენი დახმარებით სულ მალე იგი ამერიკული ტიპის ქვეყნად გადაიქცევა“.

\* \* \*

დღევანდელი დღიურის წერა საღამოს ათსაათზე დავამთავრე, დაწოლის წინ. ორი საათის შემდეგ კი იძულებული გავხდი, რამდენიმე წინადადება დამემატებინა ამ ჩანაწერისათვის.

ჩემ მეზობლად ცხოვრობს თერძი ლი ინ ხი. იგი წვრილ-შვილია და ძალიან ღარიბად ცხოვრობს, მას ქუჩისპირა ოთახში პატარა სახელოსნო აქვს მოწყობილი და ტანისამოსის კერვით არჩენს ოჯახს.

ის იყრ ჩამეძინა, რომ ლი ინ ხის ცოლ-შვილის ყვირილი შემომესმა: „ხალხო, გვიშველეთ, გაგვძარცვესო.“ ატირებული

ბავშვები კი გაიძახოდნენ: „ყაჩაღებმა მამა მოგვიკლესო.“

პალტო წამოვისხი და საჩქაროდ გარეთ გავვარდი. ლი ინ ხის სახლთან რამდენიმე ადამიანს მოეყარა თავი. სახელოსნოს კარები შემტვრეული იყო. კარის ზღუდესთან თავგატეხილი ლი ინ ხი იწვა. მას თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი.

ლი ინ ხის მეუღლემ დამინახა თუ არა, ფეხებში ჩამივარდა: „უცა,\* მიშველეთ, ქმარი მიკვდებაო“. ლი ინ ხი ჩემს პოლიკლინიკაში გადავიყვანეთ. ჭრილობა კეთაში ჰქონდა მიყენებული რომელიღაც მძიმე ნივთის დარტყმით. ჭრილობის შეხვევის შემდეგ ლი ინ ხიმ უკეთ იგრძნო თავი.

— ყაჩაღები, კარები შემთამტვრიეს და ძალით შემოიჭრენ. შესაკერად მოტანილი ნაჭრები და ნახევრადშეკერილი კოსტუმები გაიტაცეს. რა პასუხი გავცე ახლა მათ პატრონებს?— თვალეზღაბუქული თავის თავს ელაპარაკებოდა ლი ინ ხი.

დერეფნის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა.

— ვინ იყვნენ, ვერ იცანი?— ვეკითხები მას.

— კარგად ვიციანი,— მიპასუხა მან და თვალეზღაბუქული გაახილა.

ლი ინ ხის უცბად თვალეზღაბუქული გაუფართოვდა, ოდნავ ზეზე წამოიწია და ღიად დარჩენილი კარებისაკენ გაშტერებულმა დაიწყა მწერა.

კარის ზღურბლზე კისერწაგრძელებული „მისტერი“ იდგა.

— აი, ის,— დაიძახა ლი ინ ხიმ და წამოიწია, მაგრამ მეუღლე ორივე ხელით შემოეხვია და წამოდგომის ნება არ მისცა.

„მისტერი“ კი ჩექმების ბაკაბუკით კიბეზე არბოდა. ალბათ, ამიტომ უნდა პოლკოვნიკს კორეაში დარჩენა.

28 სექტემბერი. - დღეს სოფლიდან ჩამოვიდა ჩემი ცოლის-და. ბევრი იტირა საწყალმა: სოფლებში ტანსაცმელგადაცმუ-

---

\* ეჭიმო.

ლი შეიარაღებული ადამიანები დაძრწიან და ხალხს ძარცვა-  
ვენო. წინა დამით ისინი მათ სოფელში შექრილან. რამდენი-  
მე ოჯახი გაუძარცვავეთ, ქალიშვილები ტყეში გაუტაციათ და  
ნამუსი აუხდიათ. ისინი ადამიანები არ არიანო. მიგუცარამის\*  
(ამერიკელების) მაგივრად მათ ხალხმა მიგუკები\*\* შეარქვაო.

სოფელში გადასახადები ერთიორად გაუზრდიათ. პოლი-  
ციელებს ჯერ კიდევ მოსავლის აღებისას წაურთმევიათ ბრინ-  
ჯის მთელი მოსავალი, დამშეული ხალხისათვის კი მხოლოდ  
ნამჭა დაუტოვებიათ.

რამდენიმე გლენს გაუბედავს ხმის ამოღება: ცოტა ბრინჯი  
ჩვენც დაგვიტოვეთო. პოლიციელებს მათთვის ხელ-ფეხი შე-  
უკრავთ და შიშველი ტანი მათრახებით აუჭრელებიათ. შემ-  
დეგ კი ცემა-ტყეპით გრძნობადაკარგული გლენები ავტომან-  
ქანებზე შეუყრიათ, ზევიდან ბრინჯით სავსე ტომრები დაუ-  
წყვიათ და სეულში წაუყვანიათ.

წუხდა საწყალი ქალი და აცრემლებული გაიძახოდა: ნეტა-  
ვი ისეთი რა შევცოდეთ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ ასეთი  
უბედურება დაატრიალა ჩვენს თავზე, ნუთუ ამ ტანჯვა-წვალე-  
ბაში უნდა აღმოგვხდეს სულიო.

მე და ჩემმა ცოლმა მას ფული შევამძლიეთ, მაგრამ არ აიღო.  
„ვაითუ გასაყიდი ბრინჯი ვერ ვიშოვო და ფული, აბა, რად  
მინდა. უკეთესი იქნება, თუ ცოტაოდენ ბრინჯს მომცემთო“.  
ოცი კილოგრამი ბრინჯი მივეცით, მაგრამ რა გაუხდებათ. ისინი  
ხომ რუა სული არიან ოჯახში. აბა, რა უნდა ქნან საწყლებმა.

---

\* კორეულ ენაზე ყველა ეროვნების სახელი ბოლოვდება ცარამით  
(რაც ადამიანს ნიშნავს). მაგალითად, ნოგუ-ცარამ—რუსი ადამიანი ცუ-  
ცუმ-ცარამ—კორეელი ადამიანი და სხვა.

\*\* ამერიკელი ყაჩაღები.

ის იყო კოლისდა წავიდა, რომ სახლის კარი ერთმა ჩემ-  
მა ნაცნობმა გლახმა შემოაღო. „განა ეს ჩემი ნაცნობი ლი  
გო ჩეა,— გავიფიქრე მის დანახვისთანავე,— ნუთუ შეიძლება  
მცირე ღროის მანძილზე ასე შეიცვალოს საღსალამათი შუახ-  
ნის მამაკაცი: მეტისმეტად გამხდარა, თვალები ღრმად ჩასცვე-  
ნია, წელში მოხრილა“.

— უცა, მოვედი, რომ გამოგემშვიდობო, — მითხრა მან და  
ატირდა. მეც წამომცვივდა ცრემლები.

ჩვენ ერთმანეთს გადავებხვიეთ და გადავკოცნეთ.

— უცა. კარგად იყავი, მე მივდივარ, — მითხრა მან და ოთა-  
ხის კარი გამოაღო.

— სად მიხვალ? — ძლივს მოვახერხე ამის თქმა.

— ჩრდილოეთში, — მიპასუხა უკვე გარეთ გასულმა ლი გო  
ჩემ. დავიბენი და ველარაფერი ვერ შევეკითხე.

ნეტავ რა შეემთხვა, რატომ ტიროდა? ან რად მიემგზავ-  
რება ჩრდილოეთში?

ჯერ ისევ ამ ფიქრებში ვიყავი ჩაძირული, რომ ჩემს ოთახ-  
ში ტანისამოს შემოგლეჯილი და თმაგაწეწილი ლი გო ჩეს  
დედა შემოვარდა.

— შვილო, გვიშველე. ოჯახი დაგვიქციეს, ცოცხლად დავ-  
მარხეს, — მოსთქვამდა იგი.

როგორც იყო, მოხუცი დავამშვიდე და ყველაფერი დაწვრი-  
ლებით გამოვკითხე. გუშინ დილით მათ სოფელში ავტომანქა-  
ნით რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცი და პოლიციელი მი-  
სულა.

რომელი ოჯახიც ორ საათში ორ ფუთ ბრინჯს არ ჩავვაბა-  
რებს, დავარბევთო, უბრძანებია პოლიციელების უფროსს.

გასულა ორი საათი, ბრინჯი კი არავის მიუტანია მათთვის.

ან როგორ მიუტანდნენ. ბრინჯის მთელი მოსავალი ხომ ჯერ კიდევ მოსავლის აღებისას წაურთმევიათ პოლიციელებს.

ორი საათი რომ გასულა, სოფელს დარევიან პოლიციელები, ერთი ამერიკელი ჯარისკაცი და ორი პოლიციელი ლი გო ჩეს სახლშიც შეჭრილან. ბრინჯი რომ ვერ აღმოუჩენიათ, ლის ვაჟის საქორწინო ტანსაცმელისათვის წამოუვლიათ ხელი. ლის ხვეწნა დაუწყია: ოღონდ მაგ ტანსაცმელს ნუ წაგვართმევთ და ჩემი ინებეთო. რახან ასე გინდა, მაგასაც ჩვენ წავიღებთო, უთქვამთ პოლიციელებს. ეს კი ველარ მოუთმენია ლის ცხრამეტი წლის ვაჟს. პოლიციელთან შევარდნილა და მამის ტანსაცმელი ხელიდან გამოუგლეჯია.

„ეს როგორ შემოგვბედაო“.—დაუწყიათ პოლიციელებს ყვირილი და ლის ვაჟიშვილი წამოუქცევიათ. მშობლები ფეხებში ჩასცივნიან გამხეცებულ პოლიციელებს, ხვეწნა-მუდარით სთხოვდნენ — აპატიეთ, ახალგაზრდობით მოუვიდა, ეგ ერთადერთი შვილი გვყავს და ნუ მოგვიკლავთო. პოლიციელებს წიღლების ცემით მოუცილებიათ ისინი. მათი შვილისთვის კი კონდახები დაუშენიათ თავში.

ამერიკელებს ხელიდან გამოსხლტომია სისხლში ამოთხვრილი კაბუკი. კუთხეში მიყუდებულ ცულისათვის ხელი წამოუვლია და თავში დაურტყამს ერთი პოლიციელისათვის. მაშინ ამერიკელს რევოლვერი უძვრია და დაუხლია მისთვის. სასიკვდილოდ დაჭრილს კიდევ მოუხწრია მეორე პოლიციელი-სათვის ცულის დარტყმა და უსულოდ ძირს დაცემულა.

გაცეცხლებულა ამის მნახველი მამა. ერთი ნახტომით მიჭრილა ამერიკელთან და რევოლვერი წაურთმევია. შემდეგ კი ყელში სწვდომია და კატასავით წაუხრჩვია. ხმაურის გაგონებზე სახლში მეზობლები შეცვივნულან. მათ ლი გო ჩე ტყეში გაუპარებიათ. დედას კი მკვდარი შვილისათვის თავი არ დაუ-



ნებეზია. ის შვილის მკერდზე დამხობილი მწარედ მოსთქვამდა: რალად მინდა სიცოცხლე, ჩემს შვილს უნდა დავაკვდევო.

ეს ამბავი რომ გაუგიათ ამერიკელებს, ლი გო ჩეს სახლისათვის ცეცხლი წაუცილებიათ. მკვდარ შვილთან ერთად ცეცხლში ჩამწვარა კორეელი დედა.

ალბათ, ამიტომ უნდა პოლკოვნიკს კორეაში დარჩენა.

29 სექტემბერი. დილიდანვე დაიწყო პოლკოვნიკმა სამზადისი. დამკლავებული „მისტერი“ მთელი დღე სამზარეულოში დაბორილებდა და საჭმელებს ამზადებდა.

სალამოს „ვილისით“ სამი ამერიკელი ოფიცერი მოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე სიცილ-კისკისით ორმა ამერიკელმა ქალმა აირბინა. „მისტერმა“ საიდანღაც მოარბენინა „რადიოლა“. ორი საათი შეუჩერებლივ ქუხდა „რადიოლა“. ამ ხნის განმავლობაში შეუსვენებლივ ხტოდნენ და კუნტრუშებდნენ ამერიკელები.

ვანშამზე პოლკოვნიკმა ჩვენც მიგვიწვია. დიდი მადლობა გადავუხადე. იგი მაინც არ მეშვებოდა, განა თქვენთვის დიდი ბედნიერება არ არის, რომ ამერიკელებთან პური სჭამოთო.

„ცოლი და ქალიშვილი ვერ წამოვლენ, მე და ჩემი ვაჟი კი გეახლებით-მეთქი, ვუთხარი ბოლოს.

მართლაც, მე და ხანიოში მალლა ავედით. ამერიკელები უკვე ვანშამად ისხდნენ და საჭმელს შეეჭკოდნენ. „მისტერი“ თავაზიანად მოგვეგება და მაგიდის ბოლოს მოგვათავსა. ყველაფერი, რაც კი სუფრაზე ელაგა, კორეული იყო: ცივად მოხარშული ქათმებიც, ნედლი თევზიც, შემწვარი გოჭიც, ქიშმიშიც, ტკბილეულიც, ნამცხვარიც და ხილეულიც. მაშ. რაღას გაიძახიან, რომ ამერიკიდან კორეელებისათვის ამდენი და ამდენი პროდუქტი შემოვზიდეთო, როცა თვითონ ისინი ყველაფერს კორეულს ხეთქავდნენ.

— იმხიარულეთ და გვამხიარულეთ, ლამაზო ქალიშვილებო. ამ საღამოს თქვენ გიძღვნით,— მიმართავს პოლკოვნიკი ამერიკელ ქალებს.

— ბრავო, ბრავო,—ყვირიან ოფიცრები და თვალების თამაშით ეალერსებიან ნახევრად ტიტველ ქალებს.

„თუ ესენიც ლამაზები არიან“, გავიფიქრე და ქალებს შევხედე. ერთ მათგანს კატასავით ჭრელი თვალები და მშვილდივით მოგრებილი წარბები ჰქონდა. მეორეს პირველისაგან მხოლოდ წითლად შეღებილი დიდრონი ტუჩები და ინდაურის ბოლოსავით აფხორილი თმა განასხვავებდა.

„ეს როგორი ცოლის გარდაცვალების აღსანიშნავი საღამოა“,— ვფიქრობდი და გაკვირვებით შევცქეროდი ამერიკელებს, რომლებიც ზედიზედ ხვრებდნენ იაპონური საკეთი (სასმელია) სავსე ჭიქებს.

— მე ვსვამ ამერიკიდან ჩამოყვანილი ლი სინ მანის სადღეგრძელოს,— წამოიყვირა ერთმა ამერიკელმა და თავისი ჭიქა ისე მაგრად მიაჯახა ჩემს ჭიქას, რომ ნახევარი ღვინო ზედ გადმომესხა.

— ლი სინ მანი... არ იცით, ვინ არის ლი სინ მანი?— ირონიულად მეკითხება პოლკოვნიკი და ჩემგან პასუხის მიუღებლად განაგრძობს:— ლი სინ მანი— ეს ჩვენი სიძეა, ჩვენი კაცი. კორეაში არ გამოინახება ამერიკელებისათვის მასზე ერთგული, მასზე გამგონე ადამიანი. ცოტა დაგვაცადეთ და ჩვენ მას მთელი კორეის პრეზიდენტად გავხდით.

ამერიკელები ხმამაღლა იცინიან.

„ლი სინ მანი... უყურე, კორეის პრეზიდენტად ვისი დაყენება განუზრახავთ ამერიკელებს. ლი სინ მანი ხომ მოლაღატეა. განა ლი სინ მანის წინაპრები არ იყვნენ, რომ იაპონე-

ლებს მიჰყიდეს კორეა? ალბათ, ახლა მას განუზრახავს, ამერიკელებს მიჰყიდოს ჩვენი სამშობლო.“ — ვიჭეჭი უნძოდ და თვალყურს ვადევნებდი ამერიკელთა გახრწნილებას: პოლკოვნიკსა და ერთ ამერიკელ ოფიცერს მუხლებზე უსხდნენ ქალები. ისინი ერთმანეთს უსირცხვილოდ ლოშნიდნენ.

— მამა, აი იმ თვალეზაყვიტოვანი ოფიცერს ხომ ხედავ, — ჩუნად მეუბნება ხანოში და თვალთ მანიშნებს სწორედ იმ ოფიცერზე, ქალი რომ მუხლებზე უჯდა და ყველაზე ბევრს რომ მხიარულობდა, — დღეს იგი ბაზარზე „ვილისით“ მოვიდა. საჭესთან თვითონ იჯდა. მის გარდა მანქანაში კიდევ სხვა ოფიცრები ისხდნენ. უკან წასვლისას „ვილისის“ შემობრუნება მას ბაზრის მოედანზე უნდოდა, მაგრამ ადგილი საკმაო არ აღმოჩნდა. ყველას ეგონა, რომ მანქანას დაამუხრუჭებდა. ალბათ, ამასვე ფიქრობდა მწესუმწირას გამყიდველი ქალი, ხის ძირას რომ უღარდელად იჯდა. მაგრამ ამერიკელი ასე როდი მოიქცა. მან მანქანა ტროტუარზე შეახტუნა და ხის ძირას მჭდარ მწესუმწირას გამყიდველ ქალს ზედ გადაატარა. სისხლში ამოსვრილი. ქალი უსულოდ ეგდო, „ვილისი“ კი დიდი სიჩქარით მიჰქროდა.

— ეჭიმო, მე სულითა და გულით მინდა, რომ თითო ჭიქა ღვინო შესვან თქვენმა მეუღლემ და ქალიშვილმა. მე მათთვის თათლივით ტკბილი შამპანური მაქვს, — მითხრა პოლკოვნიკმა და „მისტერს“ გასძახა. თვალეზაყვიტოვანი „მისტერი“ ოთახში „შემოგოგმანდა“. მას ხელში შამპანური ღვინის ბოთლი ეჭირა.

— ეჭიმო, თქვენმა ვაჟმა ჩაურბენინოს მათ ეს სასმელი, — ამბობს პოლკოვნიკი და ბოთლს ხანოშს აწვდის.

ზანოშმა პოლკოვნიკს ბოთლი ჩამოართვა და წამოდგა.

— როზა, — ეუბნება იგი ამერიკელ ქალს, --- შენც გაჰყევი ამ ახალგაზრდა კაცს და ამბავი მომიტანე, შესვამენ თუ არა ისინი ღვინოს.

--- დიდი სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით, — ამბობს ქალი და პრანჭვა-გრეხით მისდევს ხანიოშს.

ხანიოში და ამერიკელი ქალი მალე დაბრუნდნენ: ამ უკანასკნელს ხელში ცარიელი ბოთლი ეჭირა და სიცილ-კისკისით ამბობდა:

— რომ იცოდეთ, მათ თითო ჭიქაზე მეტის დალევა არ უნდოდათ, მაგრამ ჩემი ხატრით ორ-ორი ჭიქა დალიეს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, — ეუბნება მას ფეხზე წამომდგარი პოლკოვნიკი.

ვახშამი დამთავრდა.

მე და ხანიოში გამოვემშვიდობეთ ამერიკელებს და დაბლა ჩავედით. დიდხანს სტუმრებიც აღარ დარჩენილან. ისინი სიცილ-ხარხარით ჩასხდნენ „ვილისში“ და წავიდნენ.

ჩემს სახლობას ლოგინი უკვე გაეშალა, მაგრამ ჭერ არ დაწოლილიყვნენ. ზიზიკოს ჩინურად თარგმნილი ტოლსტოის „ანა კარენინა“ ეჭირა ხელში და დედას სწორედ იმ ადგილს უკითხავდა, სადაც ანა კარენინა მატარებლის ქვეშ ვარდება. ჩვენი შესვლისთანავე ზიზიკომ კითხვა შეწყვიტა. თითქმის შუალამე იყო და ჩვენ მაშინვე დავწყვეით.

ასეთი ჩვეულება მაქვს: ძილის წინ დიდხანს ვფიქრობ ხოლმე. დღევანდელი დღე კი სავსე იყო ახალი ამბებით, ახალი შთაბეჭდილებებით. მინდა ვიფიქრო, მაგრამ თავს დაღლილად ვგრძნობ, თავბრუ მესხმის და მეძინება. მესმის ხანიოშის სუნთქვა, იგი რატომღაც მძიმედ სუნთქავს. ალბათ, უკვე სძინავს ჩემს სახლობასა და ჩემს ზიზიკოსაც. მაშ მეც დავიძინებ...

დაღხანს ვშფოთავდი და ვბორგავდი, მესმოდა რაღაც გაუ-  
ვებარი ხმები, გაუთავებელი ხმაური. თითქოს, ვიღაცა მაჭლა-  
ჯუნასავით დამაწვა და ჩემი დახრჩობა უნდა, მინდა და-  
კიყვირო, მაგრამ ენა არ მემორჩილება, მინდა წამოვდგე, მაგ-  
რამ არ შემიძლია. „ბოლო თუ ექნება ამ ტანჯვა-წვალებას“,  
გავიფიქრე ეს და თვალი გავახილე. ოთახის ღია კარმა მი-  
აპყრო ჩემი ყურადღება. კვლავ ისმოდა ხანოშის ხერინვა,  
ჩემი სახლობაც ჩემ გვერდით იწვა, მაგრამ... „ზიზიკო“ —  
უნებლიეთ წამოვიძახე და ფეხზე წამოვხტი. სწრაფად მივირ-  
ბინე მის ლოგინთან, მაგრამ ზიზიკო იქ არ იწვა. ცივმა  
ოფლმა დამასხა და ენა ჩამივარდა. გაშტერებული ვიდექი და  
ადგილიდან ვერ დავძრულიყავი. გიჟივით ავირბინე მეორე  
სართულში. დერეფანში „მისტერი“ თვლემდა. პოლკოვნიკის  
საწოლი ოთახის ღიად დარჩენილი კარიდან ქშინვა ისმოდა.

— აბაძი, აბაძი,\* — შემომესმა ჩემი ზიზიკოს მისუსტებული  
ხმა. ერთ ადგილზე გავქევა ვდი, თვალთ დამიბნელდა.

მძინარე „მისტერს“ ხელიდან ავტომატი გამოვგლიჯე და  
მთელი ძალით დავკარი თავში.

„პოლკოვნიკს კორეაში უნდა დარჩენა“, — გამახსენდა უც-  
ბად და...

ალარ მახსოვს როგორ გავჩნდი პოლკოვნიკის საწოლთან,  
როგორ გავუბე მასაც შუაზე თავი...

გონებამიხდელი შვილი ხელში მეჭირა. ჩემი მეუღლე ქვი-  
თინებდა. იქვე თავჩალუნული ხანოში იდგა.

— მამა, მე და შენ უნდა გავიქცეთ, თორემ ამერიკელები  
ამ დილითვე ჩამოგვახრჩობენ, — მეუბნება ატირებული ხანი-  
ოში.

---

\* მამა, მამა!

—საით გაექცევით, შვილო, ამ ჭალათებს?— კითხულობს დედა.

— ტყეში.

— უკეთესია ჩრდილოეთში, კიმ ირ სენტან!— ეუბასუხე მე.

ამერიკელების თვალის ასახვევად პოლკოვნიკს ხელში ბარათი ჩავუდგე:

„მე მოგკალი ეს ყაჩაღი, ეს მოძალადე და მთელი ჩემი ოჯახით გავიქეცი ტყეში“.

ჩემი მეუღლე და ზიზიკო სოფელში გავგზავნე დეიდასთან. იქ ისინი მალულად იცხოვრებენ.

მზემ რომ თავი ამოჰყო, მე და ხანიაში სეულიდან უკვე დიდი მანძილით ვიყავით დაცილებული.

ამ ღამით ჩვენ 38-ე პარალელზე გადავალთ. კარგია, რომ უმთვარო ღამეებია. ნეტავ თუ შევძლებთ სამშვიდობოზე გასვლას...“

## 7

ზამთარი უცბად დაიწყო. ზღვიდან მქროლ ქარს სიტბოს მაგივრად სიცივე მოჰქონდა. ღამღამობით მიდამო სქელი რთვილით იფარებოდა. დილით ისეთი ბურუსი იდგა ხოლმე, რომ ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. მხოლოდ შუადღისას გამოანათებდა მზე, ოდნავ ჩამოთებოდა. რთვილი შეუმჩნევლად ქრებოდა და გაშავებულ მინდვრებსა და ბალ-ვენახებს ორთქლი ასდიოდა.

საღამოობით კი—კვლავ ბურუსი, ზღვიდან მქროლი ქარი და მშრალი, მსუსხავი ყინვა.

სოფელმა სახე იცვალა. ფოთოლგაცვენით ხეებს შორის ახლა ის მეტად ღარიბულად გამოიყურებოდა. ალიზით ნა-

შენ და ლერწამგადაფარებული კორეული ქოხმახების სახურავებზე აყვანილი თუნუქის საკვამურები განუწყვეტლივ ბოლავდნენ.

დილით სიცივისაგან მობუზული ბავშვები სკოლისაკენ გარბოდნენ. მათ ნაფლეთებად ქცეული ტანსაცმელი ეცვათ. ბევრი მათგანი ფეხშიშველა იყო.

ლარიბთა კომიტეტის შენობის წინ თითქმის მთელი დღე ჩაცუცქული ისხდნენ კორეელი გლეხები. ჰაბუკი კორეელი; ლარიბთა კომიტეტში რომ მუშაობდა, მათ გაზეთს უკითხავდა, გლეხები გულდასმით უსმენდნენ. გაზეთის წაკითხვის შემდეგ კი ერთმანეთთან საუბრობდნენ, რალაცაზე მსჯელობდნენ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, რა იქნება, რომ ბატალიონის ზემდეგთან შუამდგომლობა გაგვიწიოთ, იქნებ ცოტაოდენი ქრომი და საძირე ტყავი მოგვცეს, — უთხრეს ერთხელ ფედოროვმა და მოსკვიტინმა ავერიანოვს.

— მთელი ომი „ბათინკები“ გეცვათ, სახლში გამგზავრება კი ქრომის ჩექმებით გინდათ? — იცინოდა სერჟანტი საკირკო.

ფედოროვა და მოსკვიტინი სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ. ხელს მხოლოდ ის უშლიდათ, რომ დივიზიის შტაბიდან მიღებულ ბრძანებაში ნათქვამი იყო, უფროსი ასაკის ჯარისკაცები მოამზადეთ სახლში გასაშვებადო, გამგზავრების დღე კი აღნიშნული არ იყო.

ჩვენს ოცეულში ამ ბრძანების ამბავი სერჟანტმა საკირკომ მოიტანა. ამას გამგონე ფედოროვმა და მოსკვიტინმა სიცილი მორთეს, შემდეგ საკირკოს მისცვივდნენ და კოცნა დაუწყეს. მასლენიკოვმა კარავიდან აკორდონი გამოარბენინა და, როგორც ჯარისკაცები ამბობდნენ ხოლმე, „თავისებურად გასწია“. ფედოროვმა და მოსკვიტინმა ცეკვა დაიწყეს. მოცეკვა-

ვეთა გარშემო მთელი ოცეული მოგროვდა. კარავიდან გამოვიდა ლეიტენანტი ავერიანოვიც. სერჟანტი სმირნოვი პირველი აჰყვა მოცეკვავეებს. მას არც სერჟანტი საკირკო და სხვა მებრძოლები ჩამორჩნენ. სულ მალე მთელი ოცეული ცეკვავდა. მასლენიკოვმაც კი, რომელიც დღეს აკორდეონს განსაკუთრებით მაგრად ჭიმავდა, რამდენიმე წრე შემოირბინა. ათამაშეს ლეიტენანტი ავერიანოვიც, მებრძოლები ერთმანეთს ეცილებოდნენ; ყველას უნდოდა, ლეიტენანტ ავერიანოვს ამოსდგომოდა მხარში, მასთან ეცეკვა.

ბატალიონის შტაბის კარავთან მაიორი მატიაში, კაპიტანი მაკარენკო და შტაბის სხვა ოფიცრები იდგნენ. ისინი ერთ ხანს შემოგვეცინოდნენ, შემდეგ კი ტაშისკვრით ჩვენკენ გამოემართნენ. სერჟანტი საკირკო მაიორ მატიაშთან მიიჭრა და მის წინ მუხლებზე დაეცა. მაიორი მატიაში სიცილით ამბობდა:

— ჩვენთან, ბელორუსიაში ასე არ ცეკვავენ.

— ყოველნაირ ცეკვას ვლებულობთ. ვინც როგორ იცის, ისე იცეკვოს,—ეუბნება მაიორს თითის წვერებზე მღვარი საკირკო და თანაც წამდაუწუმ თავს უკრავს.

— საკირკო მართალს ამბობს, ჩვენც უნდა ვიცეკვოთ,—მომართა კაპიტანმა მაკარენკომ მაიორს, შემდეგ „ჰასაო“, დაიძახა და ლეიტენანტ ავერიანოვს გამოედევნა.

ბატალიონის მეთაურმაც ხელები გაშალა და ადგილზე ფეხის გასმა დაიწყო. ჯარისკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ყველას უნდოდა მას გასთამაშებოდა.

ცეკვის შემდეგ ოფიცრები შტაბში წავიდნენ, ჩვენ კი კარვის წინ გრძელ სკამზე ჩამოვჯექით.

— ძალიან მიხარია, ბიჭებო, სახლში წასვლა, მაგრამ ამასთანავე გულიც მტკივა, წარმოდგენითაც კი ვერ წარმომიდ-



გენია, თუ როგორ შეიძლება უთქვენოდ ცხოვრება,—გვეუბნება ფედოროვი.

— არა უშავს რა, წახვალ, დაგვივიწყებ,—უპასუხა ვილაცამ.

— არა, არ დაგვივიწყებთ.

ფედოროვი ცოტა ხანს შეჩერდა, შემდეგ თავისთვის წაილაპარაკა:

— რა დამავიწყებს ჩვენს ოცეულს. ეს ხომ ჩემი მეორე ოჯახია.

— მართალი რომ გითხრათ, ბიჭებო, მე ვერც კი წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდეთ, ერთმანეთის გვერდით აღარ ვიყოთ,—ამბობს მოსკვიტინი.

— თქვენ ამაზე ნუ იღარდებთ, ჩვენც მალე დავბრუნდებით შინ. რა ვუყოთ, რომ ერთ კოლმეურნეობაში ან ერთ ქარხანაში არ ვიმუშავებთ. განა თქვენს სოფელში ისეთივე კოლმეურნეობა არ არის, როგორც ჩვენს სოფელშია, განა იქ მომუშავე ადამიანები ერთმანეთს არ ჰგვანან? ჰოდა, ისე უნდა ჩავთვალოთ, რომ ვითომდა ჩვენ ერთ კოლმეურნეობაში ვიმუშავებთ და კვლავ ერთად ვიქნებით,—პასუხობს მათ პარტორგანიზაციის მდივანი.

ბატალიონის შტაბიდან ლეიტენანტი ავერიანოვი გამოვიდა. იგი ჩვენკენ გამოჟმართა. მის მოახლოებისთანავე ყველანი ფეხზე წამოვდექით.

— დაჯექით, დაჯექით,—გვითხრა მან და თვითონაც ფედოროვის გვერდით ჩამოჯდა.

— ფედოროვ, რაც ომი დამთავრდა, ყოველ წუთს სახლისაკენ მიგიწევდა გული. სულ ამ დღის მოლოდინში იყავი და, აი, ხომ მოესწარი კიდევ,—მხარზე ხელის დარტყმით ეუბნება იგი ფედოროვს.

— მოსწრებით კი ძოვესწარი, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ ახლა თქვენგან წასვლა მიმძიმს.

— ეს არათურია, ჩვენც დიდხანს არ დავრჩებით აქ. მართლა, ფედოროვ, მე და კაპიტანმა მაკარენკომ ბარათი მივწერეთ თქვენი რაიკომის მდივანსა და სამხედრო კომისარს. ისინი დაგეხმარებიან სახლის აშენებაში.

— გმადლობთ, ამხანაგო ლეიტენანტო, გმადლობთ.

ფედოროვა სმოლენსკის ოლქის სოფელ მაკაროვოდან იყო. მახსოვს, ერთხელ დასასვენებლად ვიდექით. ერთ დღეს ფედოროვმა სახლიდან გამოგზავნილი ბარათი მიიღო. ისე ძლიერ გაუხარდა, რომ ორმოც წელს გადაცილებულმა კაცმა ბავშვივით ბტუნვა დაიწყო. ან როგორ არ გაუხარდებოდა. მან ხომ თითქმის ორი წელი არა იცოდა რა თავისი ოჯახის შესახებ. ფედოროვმა სწრაფად გახსნა კონვერტი და ოთხად მოკეცილი ბარათი გაშალა. ჩვენ ახლა ყველანი მას შევცქეროდით, გვინდოდა გაგვეგო, თუ რას სწერდა სახლობა.

კითხვას რომ მორჩა, გვითხრა, ბიჭებო, საქმე ვერაა კარგადო, და ხელმეორედ ბარათის კითხვას შეუდგა. შემდეგ აკანკალებული ხმით მოგვმართა:

— გერმანელებისაგან გაუთავისუფლებიათ ჩვენი სოფელი. გაქცევის წინ ფაშისტ არამზადებს ცეცხლი წაუკიდებიან სოფლისათვის. უსახლკაროდ დარჩენილ ჩემს ცოლ-შვილს მიწურში შეუფარებია თავი.

ფედოროვმა ერთხელ კიდევ გადაიკითხა ბარათი. „ვაკ-მეო“, ამოიოხრა და თავი ჩალუნა. დიდხანს ვისხედით დაღონებული ჯარისკაცები და შევცქეროდით დადარდიანებულ მეგობარს. გვინდოდა, როგორმე შეგვემსუბუქებინა მისი წუ-

ზილი, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ბოლოს სერჟანტმა სმირნოვმა დაარღვია სიჩუმე:

— არა უშავს რა, ფედოროვ, ცოლ-შვილი ხომ ჯანმრთელად და კარგად არის. დამთავრდება ომი და სახლის აშენებ. როდის გაგვიჩივრდება. ყველა დამწვარი სახლის სანაცვლოდ ახალს ავაშენებთ, უფრო ლამაზსა და უფრო ნათელს, ისეთს, რომ ჭერიც მაღალი ჰქონდეს, კედლებიც განიერი, საძირკველიც მაგარი.

— ამხანაგო სერჟანტო, ერთი ომი დამთავრდეს და, მგონი, მართლაც არ გამიჭირდება სახლის აშენება, — უპასუხა ფედოროვმა სმირნოვს და ზეზე წამოდგა.

ლეიტენანტმა ეს ამბავი იმ დღიდანვე გაიგო. მაშინვე უნდოდა მიეწერა მას რაიკომის მდივნისათვის, რომ დახმარებოდნენ ფედოროვის მეუღლეს ახალი სახლის აშენებაში. მაგრამ ფედოროვმა არა და არ ქნა; ამბობდა, როცა მე სახლში წავალ, მაშინ მისწერეთო. მე დიდი, ორსართულიანი სახლის აშენება მაქვს განზრახული და ჩემი ხელით მინდა ავაგო.

ლეიტენანტმა ახლა მოსკვიტინს წაჰკრა ხელი და შეეკითხა:

— შენ რა, მუშაობას ისევ კომბაინების გუშაგად აპირებ?

— მაშ, რა უნდა გავაკეთო, ამხანაგო ლეიტენანტო, ათი წელი ვიმუშავე გუშაგად და ისევ ამ საქმეზე დავრჩები.

— იქნებ კომბაინერთა კურსებზე წახვიდე, კომბაინის მართვა ისწავლო?

— თუკი გამგზავნიან, წავალ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— გაგზავნიან. მე ახლავე მივწერ თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და მტს-ის დირექტორს.

— ძალიან კარგი იქნება, ამხანაგო ლეიტენანტო, ძალიან კარგი, — ლეიტენანტი ავერიანოვი ბარათის წერას შეუდგა.

სერჟანტმა საკირკომ და მებრძოლებმა ვთხოვეთ, რომ ეს ბარათი ოცეულის სახელით დაწერილიყო. ავერიანოვმა შეასრულა ჩვენი თხოვნა. ბარათი ასე მთავრდებოდა:

„პატივცემულო კოლმეურნეობის თავმჯდომარეე და მტს-ის ღირექტორო. გვჯერა, რომ მოსკვიტინი არ შეარცხვენს ჩვენი ოცეულის სახელს. ჩვენი გადაწყვეტილება ასეთია: ბრძოლებში მოპოვებული სახელი შრომაში უნდა განვამტკიცოთ...“

—... არა, ამხანაგო სერჟანტო, ქრომის ჩექმების შეკერვა როდი გვაქვს ჩვენ განზრახული,—უთხრა საკირკოს ფედოროვმა.

— აბა, მაშ რისთვის გინდათ ქრომი და საძირე ტყავი?

— აი, რისთვის გვინდა, ამხანაგო სერჟანტო. ეს ორი დღეა, რაც მე და მოსკვიტინი მეცადინეობაზე არ დავდივართ. ვსხედვართ კარავში და სოფელს გავცქერით; რომ იცოდეთ, პირდაპირ ვიწვით კორეელი ბავშვების ცოდვით. უკვე მაგრად ყინავს, თოვლივით რთვილსა სდებს, ისინი კი ფეხშიშველა დაიარებიან სკოლაში,—უპასუხა ფედოროვმა.

— ფედოროვ, ქრომისა და საძირე ტყავის შოვნა ძნელი არ არის, ზემდგეს უსათუოდ ექნება საწყობში. მთავარია: ფეხსაცმელის შეკერვა თუ შეგიძლია?—ეკითხება ფედოროვს ავერიანოვი.

— შემიძლია? ახლა რომ იცოდეთ, როგორი ფეხსაცმელის შეკერვა შემიძლია; აი, შევკერავ და, თუ ლენინგრადის ნაწარმი არ გეგონოთ, მაშინ, რაც გინდათ, ის მითხარით.

— მეც დავეხმარები, ამხანაგო ლეიტენანტო, ცოტაოდენი ჭარაზობა მეც ვიცი, — ამბობს მოსკვიტინი.

ლეიტენანტის წასვლის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ შემდეგმა მოიბრინა. მას, მართლაც, ჰქონია საწყობში ქრომი და საძირე ტყავი. უშოვია საჭირო ინვენტარიც. ეს ყველაფერი მასთან ერთად მოსულმა მეკუჭნავემ ძოიტანა. შემდეგი და ფედოროვი სკოლაში წავიდნენ ბავშვებისათვის ფეხსაცმელების ზომების ასაღებად. მათთან ერთად წავიდა მოსკვიტინიც.

იმ ღამეს ჩვენს კარავში შუქი არ ჩამქრალა. ფედოროვი და მოსკვიტინი შუა კარავში ისხდნენ და სანთლის შუქზე მუშაობდნენ. დილით ხელოსნებმა კარავში ისაუზმეს.

— ახლა მაინც დაისვენეთ ცოტაოდენი, — უთხრა მათ საუზმის შემდეგ სერჟანტმა საკირკომ.

— არა, ამხანაგო სერჟანტო, მგონი, ამ საღამოთი აუცილებლად მოვა ბრძანება ჩვენი გამგზავრების შესახებ და გვეშინია, ვაითუ საქმეს ვერ მოვრჩეთ. სკოლაში რომ ვიყავით, მასწავლებელმა ბავშვებს უთხრა, რუსი ჯარისკაცები ზომას იმიტომ გიღებენ, ფეხსაცმელები უნდა შეგიკერონო. ეს ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. ერთმა პატარა გოგონამ დაფასთან მიიბრინა და რუსულად დიდი ასოებით დაწერა: სტალინ. რუსული ასოები მეტი არ იცოდა, ამიტომ მეორე სიტყვა კორეულად მიაწერა: კომასუმიდა. ეს სიტყვა კი კორეულად მადლობას ნიშნავს. ბავშვები სტალინს მადლობას უხდიან. აბა, მითხარით, როგორ შეიძლება, რომ დროზე არ შევკეროთ მათთვის ფეხსაცმელები?

საღამოთი ბრძანება მართლაც მოვიდა. ფედოროვი და მოსკვიტინი მეორე დღეს სახლში მიემგზავრებოდნენ. ამ დღესაც შეუსვენებლივ იმუშავეს მათ. მეორე ღამეც თითქმის თეთრად გაათენეს.

დილით რომ ავდექით, შაშხანების „პირამიდის“ ქვეშ ათი

წყვილი ფეხსაცმელი ელაგა. მოსკვიტინი ტახტზე გულაღმა იწვა გაუხდელი და პირგალებული ხერინაუდა. ფედოროვს კი „პირამიდაზე“ ნიდაყვით დაყრდნობილს ეძინა. ისინი ჩვენს ადგომისთანავე წამოხტნენ.

— როგორაა, ხელოსნებო, საქმე, კერვას ხომ მორჩით?— გაისმა კარის ზღურბლზე მდგარი ზემდეგის ხმა.

— ყველაფერი წესრიგზეა, ამხანაგო ზემდეგო, — პასუხობენ ფედოროვი და მოსკვიტინი.

— მაშ, წავიდეთ, ბავშვებს ფეხსაცმელები გადავცეთ, თორემ ერთი საათის შემდეგ თქვენ უკვე მანქანით გაემგზავრებით, — მიმართავს მათ ზემდეგი.

— წავიდეთ, ჩვენ უკვე მზად ვართ.

სკოლაში მათთან ერთად ჯარისკაცებიც წავედით. ყველას თითო წყვილი ფეხსაცმელი გვეჭირა ხელში.

სეულში გაქცეული მემამულის ორსართულიან სახლთან, სადაც სოფლის ახლად გახსნილი სკოლა იყო მოწყობილი, წითელყელსახვევიანი ბავშვები შემოგვეგებნენ. ზემდეგმა და ფედოროვმა მათ ფეხსაცმელები დაურიგეს. ბავშვები მადლობას გვიხდინენ და შემოგვეცინოდნენ. ბოლოს, ყველა ფეხშიშველა ბავშვს ფეხსაცმელი რომ გადასცეს, ზემდეგს ერთი წყვილი ფეხსაცმელი შერჩა ხელში. მან არ იცოდა, ვისთვის მიეცა იგი.

— ეს რა, ზედმეტი ხომ არ შეკერეთ?— ეკითხება ფედოროვს ზემდეგი და უჩვენებს ფეხსაცმელებს.

— არა, ამხანაგო ზემდეგო, — მიუგო მას ფედოროვმა და იქვე მდგარ მასწავლებელ ქალს მიუბრუნდა:

— ის პატარა გოგონა სადღაა, ყელი რომ ჰქონდა შეხვეული?

— მისთვის წუხელ სიცხე მიუცია და ამიტომ სკოლაში ვერ მოვიდა, — უპასუხა ფედოროვს მასწავლებელმა ქალმა.

— მაშ, თქვენ გადაეცით მას, — უთხრა ზემდეგმა მასწავლებელს და ფეხსაცმელები მიაწოდა.

ბანაკისაკენ რომ გამოვბრუნდით, ბავშვები ხელებს გვიქნევდნენ და ხმაშეწყობილი გაიძახოდნენ:

„სტალინ კომასუმიდა, ნოგუცარამ კომასუმიდა!“

ათიოდე წუთის შემდეგ ბატალიონის მეთაურის „ვილისი“ ფენიანისაკენ მიჰქროდა. ავტომანქანაში ფედოროვი და მოსკვიტინი ისხდნენ. ისინი ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ მათ გასაცილებლად გზაზე გამოსულ მშობლიური ოცეულის ჯარისკაცებს, კორეელ გლეხებს და სკოლის აივანზე გადმომდგარ ბავშვებს.

## 8

უკვე საგრძნობლად ციოდა. ხანგამოშვებით თოვდა კიდევ, მაგრამ ჩვენ გარშემო თოვლი მალე დნებოდა.

კარავში ღუმელი დავდგით. მეცადინეობის შემდეგ ღუმელს საათობით ვუსხედით გარშემო.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვმსხდარვართ ღუმელთან. ვის ეხსომება ყოველივე ის, რის შესახებაც ჩვენ გვიმსჯელია, გვისაუბრია მოსკოვის მისადგომებთან თუ კენიგსბერგის ქუჩებში.

ახლა ჩვენ მხოლოდ სამშობლოში გამგზავრებაზე ვლაპარაკობდით, ამ სასიხარულო დღის დადგომაზე ვოცნებობდით.

სერჟანტ საკირკოს სულ იმაზე უნდოდა ლაპარაკი, თუ როგორ ჩავიდოდა თავის მშობლიურ ქალაქში, როგორ შეხვდებოდა თავის ვალიას და გადაჰკოცნიდა.

— სახლში მივალ თუ არა, იმ დღესვე ქორწილი უნდა გადავიხადო. ჩემი ქარხანა, ჩემი დაზგა ისე მომენატრა, რომ მეორე დილიდანვე მუშაობა უნდა დავიწყო,— ამბობდა იგი.

მასლენიკოვი კი დიდი გრძნობითა და ალტაცებით თავისი კოლმეურნეობის შესახებ გააბამდა ხოლმე ლაპარაკს.

ივანოვი, ჩემი არ იყოს, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას აპირებდა. კონოვალოვსაც სწავლა ჰქონდა განზრახული, უნდოდა არტილერიის ოფიცერი გამხდარიყო. იგი შტაბში რამდენჯერმე გამოიძახეს, დოკუმენტები გაუმზადეს. ახლა ყოველდღე ელოდა ბრძანებას სასწავლებელში წასვლის შესახებ.

— კარგია არტილერიაში სამსახური. აბა, შენ იცი, კონოვალოვ, როგორ გვასახელებ, კარგად ისწავლე, ყოჩაღად მოიქეცი, იქნებ გენერალი გახდე, — ვეუბნებოდა მას.

— გენერლობაზე ლაპარაკი ნაადრევია. ორი წლის შემდეგ კი ლეიტენანტი უთუოდ ვიქნები,—სიცილით გვპასუხობდა: კონოვალოვი.

— მაშ. ჯერჯერობით ასე მოგმართავთ ხოლმე: ამხანაგო არტილერიის ლეიტენანტო.

და, მართლაც, ასე მიემართავდით. ხანდახან თვითონაც თავის თავს არტილერიის ლეიტენანტად იხსენიებდა. ერთხელ მას სერჟანტი საკირკო სადღაც გზავნიდა. კონოვალოვმა წესისამებრ ბრძანება გაიმეორა, შემობრუნდა კიდევ წასასვლელად, მაგრამ ზურგშექცეულმა ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ეს სადაური წესია, ქვეითი ჯარის სერჟანტი არტილერიის ლეიტენანტს მბრძანებლობს.



ერთი სიცილ-ხითხითი ატყდა ოცეულში. ყველაზე მეტად სერჟანტი საკირკო და კონოვალოვი იცინოდნენ..

„სამშობლოში მივემგზავრებით, საბჭოეთში მივდივართ“, უკვე რამდენიმე დღე იყო, ჯარისკაცებს მხოლოდ ეს ეკერათ პირზე.

ლეიტენანტს რამდენჯერმე შევეკითხეთ, მართლა მივდივართ თუ არა სამშობლოშიო.

— ამის შესახებ მე არაფერი ვიცი, მაგრამ, რახან თქვენ ლაპარაკობთ, მართლაც წავალთ, — გვიპასუხა ერთხელ ლეიტენანტმა.

— რატომ ამბობთ ასე, ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ უფრო არ უნდა იცოდეთ ამის შესახებ? ჯარისკაცმა რა იცის, გულთმისანი ხომ არაა? — მიუგო მასლენიკოვმა.

— გულთმისნობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯარისკაცის გული ყველაფერს გებულობს.

ღამით ლეიტენანტი შტაბში გამოიძახეს. ავერიანოვი წავიდა თუ არა, მასლენიკოვმა, რომელიც მორიგეობდა, სერჟანტი საკირკო გააღვიძა და წასჩურჩულა:

— ამხანაგო სერჟანტო, შტაბში რაღაც ბრძანება მოვიდა. ბატალიონის მეთაურმა ოფიცერთა შემადგენლობა თავისთან იხმო.

ჩვენ დიდი ხნის დაწოლილები ვიყავით, უკვე ყველას გვეძინა, მაგრამ მასლენიკოვის სიტყვებმა ყველა გამოაღვიძა.

— იქნებ სახლში გავემგზავროთ, ჰა, ბიჭებო? — ამბობს ივანოვი.

— ნამდვილად ამის შესახებ გამოიძახეს ოფიცრები, ნამდვილად, — გვარწმუნებს მასლენიკოვი.

კონოვალოვსაც კი, ბავშვივით ძილი რომ იცოდა, გამოღვიძებოდა.

— მერე და შტაბში რატომ არტილერიის ლეიტენანტი არ გამოიძახეს? — თვლების ფშვნეტიტ გვეკითხება იგი.

ივანოვმა ლუმელში შეშა შეუყვია. ხმელმა შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო. ყველანი აგიზგიზებულ ლუმელს შემოვუსხედით, თუთუნი გავახვიეთ და გემრიელად გავაბოლეთ.

ვისხედით ჩუმაღ, ლეიტენანტ ავერიანოვის მოსვლას გულის ფანქვალით ველოდით. ოღნავი ფაჩუნიც კი ჩვენს ყურადღებას იპყრობდა.

— ლეიტენანტი მოდის! — უცბად წამოიძახა საკირკომ და გარეთ გავარდა. ჩვენც მას გავყევით. მთვარის შუქზე კარგად გავარჩიეთ ლეიტენანტი ავერიანოვი. იგი ჩქარი ნაბიჯით მოემართებოდა ჩვენკენ.

— ბიჭებო, რატომ არ გძინავთ, რაშია საქმე? — ოცი-ოცდაათი მეტრის მანძილიდან გვეკითხება ლეიტენანტი.

— თქვენ გელოდებოდით, ამხანაგო ლეიტენანტო, — პასუხობენ მებრძოლები.

— კიდევ ხომ არაფერს მიხვდა თქვენი გული, ხომ არაფერი შეიტყო?

— ჩვენ უკვე დიდი ხანია მივხვდით, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ...

— აღარ არის საჭირო მეტი „მაგრამ“. იმხიარულეთ, ძმებო, დილაზე სამშობლოში მივემგზავრებით, — ბეჭებზე ხელის დარტყმით გვეუბნება იგი. გახარებული ჯარისკაცები ერთმანეთს გიხვევით, ვკოცნით...

ბატალიონი დილის ცხრა საათზე უნდა გასულიყო. იმ დროით თვალი არ მოგვიხუჭავს. ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ კარვები ავშალეთ და მარშისათვის სამზადისს შევუდექით.

დილის რვა საათიდან ბატალიონის ნაწილებმა უკვე იწყეს

მოსვლა. ჩვენმა ოცეულმა ბატალიონის მარჯვენა ფრთაზე დაიკავა ადგილი. ხელმარცხნივ სხვა ნაწილები მწკრივდებოდნენ, ნაწილების მეთაურები შტაბის უფროსს რიგრიგობით მოახსენებდნენ.

— ბატალიონო, დადექ! — გაისმა ბატალიონის შტაბის უფროსის ბრძანება.

ბატალიონის მწკრივები ლარივით გაიჭიმა.

— სმენა, სწორება მარჯვნივ! — ბრძანა ბატალიონის შტაბის უფროსმა. შემდეგ მარცხნივ შემობრუნდა და სამწყობრო ნაბიჯით მაიორ მატიაშისაკენ გაემართა.

შტაბის უფროსმა მოხსენება რომ დაამთავრა, მაიორი მატიაში ბატალიონს მიესალმა.

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო მაიორო! — გაისმა ბატალიონის მჭექარე ხმა.

ბატალიონის გასვლამდე ჯერ კიდევ ნახევარი საათი იყო დარჩენილი და ამიტომ მაიორმა შესვენება გამოაცხადა.

კორეელ გლეხებს გაეგოთ ჩვენი გამგზავრების შესახებ. ასინი ჯგუფ-ჯგუფად მოემართებოდნენ ჩვენკენ. მათ რატომღაც არ უღიმოდათ სახეები. ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარემ მაიორს მიმართა:

— ჩვენ გული გვტკივა, ძალიან გვწყინს, რომ მიდიხართ. კორეელი გლეხების ერთი ჯგუფი ჩვენ ოცეულთანაც მოვიდა. მასწავლებელი ქალი მოხუცი კორეელის სიტყვებს გვითარგმნიდა:

— ხომ ხედავთ, შვილებო, ამ ჩემს თოვლივით თეთრ თმას და ჭალარა წვერს. ასი წელი მიცხოვრია. რას არ მოვსწრებივარ, რა არ მინახავს. დამპყრობელთა თარეში და ძალადობა, ტანჯვა-წვალება, გაჭირვება, უბედურება, მაგრამ ასეთ დღეებს კი არასოდეს არ მოვსწრებივარ. როგორც ახლა, ასე

მშვიდად არ მძინებია, ასეთი ბედნიერება არასოდეს არ განმიცდია. თქვენი წასვლა ძნელია ჩემთვის, მოხუცისათვის. ეშმაკს წაულია ჩემი თავი. მე ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ბედი მაღონებს. ნეტავ უთქვენოდაც ასე მშვიდად, ასე ბედნიერად ვიცხოვრებთ?..

— იცხოვრებთ, მამაჩემო, იცხოვრებთ!— ეუბნება ლეიტენანტი.

— ჩვენ კი ვიცხოვრებთ, შვილო, მაგრამ, ვაითუ კვლავინდებურად მოსვენება არ მოგვცენ შინაურმა თუ გარეშე მტრებმა.

— მოემზადეთ!— გაისმა მაიორის ბრძანება.

— თქვენ უკვე მიდიხართ?— გვეკითხება მოხუცი.

— მივდივართ, — პასუხობს ავერიანოვი.

— მოსკოვში თუ მოხვდებით?

— როგორ არა, მე თვითონ მოსკოველი ვარ.

— სმენაა!

— მაშ, სტალინი ნახე, შვილო, და ჩემი გულწრფელი სალამი და კეთილი სურვილები გადაეცი.

— ვნახავ, უთუოდ ვნახავ.

— მარჯვნისაკენ!

— სტალინს ჩემგანაც გადაეცი მოკითხვა, — ამბობს მეორე კორეელი.

— ნაბიჯით იარ!

— სტალინს მოკითხვა ჩემგანაც გადაეცი, ჩემგანაც, — მიმართავენ ლეიტენანტს ჩვენ გვერდით მომავალი კორეელები.

მზე უკვე ამოსულიყო. ბურუსი თანდათან იფანტებოდა. მაიორ მატიაშის ბატალიონი ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა ჩრდილოეთით. მაღალ ბორცვზე კორეელები იდგნენ, ხელებს გვიქნევდნენ. გვესმოდა კორეული სიმღერის ხმები.

**ს ა რ ო ბ ი**

<b>წინასიტყვაობა ვ. ბაიძისა . . . . .</b>	<b>3</b>
<b>შორანბონი . . . . .</b>	<b>9</b>
<b>ძღუები კორეაში</b>	<b>77</b>